იგორ უგილავა

O – დენის ძალა

თბილისი
1997

სამყარო ლოგიკის კანონებით ცხოვრობს და ამ შეშლილობას დიდხანს ვერ გაუძლებს. საქმე აქ მარტო პიროვნებებში როდია, არამედ რაღაც ზემიწიერ ძალაში, რომელიც ადამიანებს თავისი შეუცნობელი კანონებით განაგებს.

ავტორი

რედაქტორის წინასიტყვაობა

იგორი (იდენი) უბილავას წიგნში, რომელიც შედგება სხვადასხვა თემაზე დაწერილი თავებისაგან, ჩქეფს თანამედროვე ადამიანის სისხლსავსე ცხოვრება; ზოგჯერ ძმათამკვლელ ომისაგან დატრიალებული ტრაგედია, ზოგჯერ უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახისა და დაკარგული პირველი სიყვარულისაგან დატოვებული სევდა. აკი ამბობს ავტორი ამ უკანასკნელის შესახებ: „უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი სიყვარულმა დაანგრიაო“.

ნაჩვენებია თანამედროვე ზოგიერთ ოჯახში არსებული თვალთმაქცობა და ღალატი, ასევე, ავტორის დამოკიდებულება ზემოთნაჩვენები მოვლენებისადმი.

წიგნში მკითხველი გაეცნობა თვით ავტორის ბიოგრაფიასაც.

ი-დენის ძალა (მოკლე ბიოგრაფია)

„უსაზღვროა ადამიანის ინტერესთა სფერო, იგი შეისწავლის ბუნებაში მიმდინარე მოვლენებს, ნიშან—თვისებებს, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს და ა.შ. ამ ინტერესთა შორის ერთ—ერთი უძირითადესია საკუთარი თავის შეცნობა, იმ თავისებურებათა დადგენა, რითაც ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ან გვანან ერთმანეთს. ყოველი ადამიანი თავისი არსებით უნიკალური, განუმეორებელი მოვლენაა. ეს უნიკალობა იმაზეა დაფუძნებული, რომ თითოეული ჩვენგანი ფლობს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური კომპონენტების განსაკუთრებული კომბინირების უნარს, ძველთაგანვე შემჩნეულია, რომ ადამიანები გარკვეული თვისებების მიხედვით კონკრეტულ ჯგუფებად, ანუ ტიპებად იყოფიან, ერთი მხრივ, სხვადასხვა ჯგუფის წევრები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან, ხოლო, მეორე მხრივ, ჯგუფის შიგნით მსგავსება მნიშვნელოვანია. ეს მსგავსება თავს იჩენს ნებისმიერ ქცევაში,

„დაკვირვებითა შენითა შეიცან თავი შენი“-ო — უთქვამს ბრძენს და მეც ვაკვირდები მას. გ. ლაცტენბერგი ამბობდა: „ყოველ ადამიანში არის რაღაც ყველა ადამიანიდან“. და ისიც ფაქტია, რომ მხოლოდ ადამიანებში შეიძლება კაცმა შეიცნოს თავისთავი.

ჩემი დაბადებისას შურა მამიდას უთქვამს, სახელს მე დავარქმევო და დამარქვეს იდენი. რვა წლისა სოფლის ოთხკლასიან დაწყებით სკოლაში შემიყვანეს. ჟურნალში იდენის სახელით ჩამწერეს. ეს სკოლა დავამთავრე წარჩინებით. გადამიყვანეს ქალაქის 1—ლ საშუალო სკოლაში. კლასის ხელმძღვანელი იყო რუსულის მასწავლებელი ბ-ნი ილარიონი...

...ნოემბრის თვე. რუსულის გაკვეთილი. მასწავლებელმა სია ამოიკითხა. ფეხზე ამაყენა და მითხრა: „შვილო, შენ იცი თუ არა, რომ იდენი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის გვარია და არა სახელი. არ შეიძლება! სახელი უნდა გამოიცვალო!“ მე ცოტა არ იყოს, მეუხერხულა.

—სხვა სახელი უნდა დაგარქვან! — გაიმეორა მან.

თავი ჩავღუნე. რა მექნა?

—იგორი ჩაწერეთ, პატივცემულო მასწავლებელო; — ეუპასუხე მე.

იგორი ნათესავ ბავშვს ერქვა. მიყვარდა ძალიან. იმ დღიდან ჟურნალში ჩაიწერა ჩემი სახელი — იგორი. სკოლის ამხანაგები და მეზობელ—ნათესავები მაინც იდენს მეძახდნენ. ეხლაც უმრავლესობა ამ სახელს იხსენიებს ხოლმე...

მეხუთე კლასიდან, თითქმის სკოლის დამთავრებამდე, თანაკლასელები ორ ჯგუფად ვიყავით დაყოფილი. რა თქმა უნდა, არაოფიციალურად. ჩემისთანები ჩემს ჯგუფში იყვნენ. უფრო ცელქები, „ეშმაკები“ — გენკას ჯგუფში. ხშირად ერთმანეთს ვაკრიტიკებდით ხოლმე. მეორე ჯგუფიდან ამბობდნენ: „იდენის ჯგუფიდან ხარ კი არა, ტოროლა; პატიოსნად მიგაქვთ თავი კი არა, სულელები ხართო.“ ჩვენ კი ვპასუხობდით: „იყავით ჭკუით, ისწავლეთ, თორემ ბოლოს ინანებთო.“ მეორე ჯგუფის გოგო—ბიჭები შედარებით სუსტად სწავლობდნენ. გენკა გამოირჩეოდა სწავლითაც და ეშმაკობითაც. ჩვენი ჯგუფის მიზანი იყო, გენკას ჯგუფის ჩვენსკენ მობრუნება. მათ ხშირად ვუტარებდით აგიტაციას, რომ არ ვარგა მათი ყოფაქცევა და სწავლის კურსი. ვურჩევდით, „დარჩით გაკვეთილების მერე და გამეცადინებთ მათემტიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში და სხვა ნებისმიერ საგანში, ოღონდ თქვენი სურვილი იყოსო“.

მათემატიკაში და სხვა საგნებში ძლიერები ვიყავით გენო, იოსები, მე, გულნარა, ნინო, ნოდარი, ჯუსტანი, ამური და ზოგი სხვა ჩვენი ჯგუფიდან. ჩვენს თხოვნას და აგიტაციას გენკა ყურად არ იღებდა. მას „მოადგილედ“ ყავდა რენო. ის და კიდევ სხვა გოგო—ბიჭები, ცოტა არ იყოს, ჩვენსკენ იხრებოდნენ, მაგრამ გენკასი „ეშინოდათ“. ასე გადიოდა დრო...

ფიზიკის გაკვეთილი გვქონდა. მასწავლებელი ბ—ნი ხუტა გვიხსნიდა ელექტრობის განყოფილებიდან ომის კანონს.

—ომის კანონის თანახმად, — დაიწყო ხუტა მასწავლებელმა, —დენის ძალა პირდაპირპროპორციულია ძაბვისა და

უკუპროპორციულია წინააღმდეგობისა. დენი — ეს არის გამტარში ელექტრონების ცალმხრივი მოწესრიგებული მოძრაობა, ე.ი. ელექტრონები გამტარში ერთ მხარეს მიედინებიან. ამ დინებას აიძულებს ელექტრო მამოძრავებელი ძალა ე.ი. ძაბვა — დაძაბულობა. ძაბვა — ეს არის გამტარში ორ წერტილს შორის პოტენციალთა სხვაობა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ გამტარს აქვს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს ელექ-ტრონების მოძრაობას. ამ წინააღმდეგობის შედეგად გამტარ-ში გზადაგზა კლებულობს ძაბვა, ე.ი. ადგილი აქვს ძაბვის, ანუ დაძაბულობის ვარდნას, დაცემას.

დენის ძალა აღინიშნება I—ასოთი.

ძაბვა U — ასოთი.

წინააღმდეგობა R — ასოთი.

დენის ძალა იზომება ამპერებში, ძაბვა — ვოლტებში და წინააღმდეგობა ომებში. ამპერი, ვოლტი და ომი გვარებია, რომლებმაც გამოიგონეს ეს გამზომი ხელსაწყოები. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ომის კანონის თანახმად:

$$I=U/R$$

—ეს ფორმულა ასე იკითხება, ი დენის ძალა უდრის ძაბვის შეფარდებას წინააღმდეგობასთან —თქვა ხუტა მასწავ-ლებელმა და უცებ გენკას ხმამაღალი სიცილი აუტყდა. „იდენს რა ძალა ჰქონიაო“ და გააგრძელა ხითხითი. ბატონი ხუტა გაბრაზდა ჭერს ორ-სამჯერ შეხედა.

—რა არის აქ სასაცილო? აბრძანდი, შე მუტრუკო! გარეთ გაბრძანდი! გენკა ადგა. მერხიდან გამოვიდა, დაფასთან მივიდა, ფორმულას თითი დაადო და გაიმეორა: „იდენის ძალა უდრის უ გაყოფილი ერ-ზე—ო“ და ისევ გადაიხარხარა. გენკას ამ სიტყვაზე ბევრ მოსწავლესაც გაეცინა. გენკამ კარი გააღო და გარეთ გავიდა. ხუტა მასწავლებელი ისევ გაბრაზდა. ისევ ჭერს შეხედა, (ასეთი ჩვევა ჰქონდა) და ყველას ჰკითხა: „მითხარით, რა არის აქ სასაცილო?“ იოსები ადგა. „პატივცემულო მასწავლებელო, ჩვენს ერთ ამხანაგს

იდენი ჰქვია და ამიტომ ეცინებათ ბავშვებს.“ იდენს დიდი ძალა ჰქონიაო“. აუხსნა იოსებმა.

—რომელია იდენი?! მე ავდექი.

—რა გქვია!?

—დაბადებიდან სულ იდენს მეძახიან. ეხლა ჟურნალში იგორი სწერია, მაგრამ ყველა მაინც იდენს მეძახის — ვუპასუხე მე. ხუტა მასწავლებელმა გაიღიმა. — დაბრძანდით მომმართა მე და გააგრძელა: ე.ი. ხომ გაიგეთ. რომ ომის კანონის თანახმად, ი დენის ძალა პირდაპირპროპორციულია ძაბვისა და უკუპროპორციულია წინააღმდეგობისა.

—გავიგეთ, გავიგეთ, მასწავლებელო! — მივაძახეთ ჩვენ და ზარის ხმაც გაისმა...

შემდეგი გაკვეთილი იყო ქართული ლიტერატურისა. მასწავლებელი ქალბატონი ნინო მოგვესალმა. ჩვენს ფეხზე დგომით მივესალმეთ. ჟურნალი გადაშალა. სიის ამოკითხვა დაიწყო. გენკა დაფას მისჩერებია, სადაც ეწერა: I=U/R. ნინო მასწავლებელმა ჩემი გვარი და სახელი ამოიკითხა თუ არა, გენკამ სიცილი ვერ შეიკავა. ნინო მასწავლებელმა თავი ასწია. გენკას შეხედა. „რა გაცინებს, შე ტუტუცო! აბრძანდი!“ — მიმართა გენკას ნინო მასწავლებელმა. გენკა ადგა. მასწავლებლის მაგიდასთან, წინა მერხზე, იჯდა პატარა ნინო, ჩემი ჯგუფიდან. პატარა ნინო ადგა. მასწავლებელს აუხსნა, თუ რატომ ეცინებოდა გენკას. ნინო მასწავლებელმაც გაიღიმა. დაბრძანდითო მიმართა გენკას და გაკვეთილის მსვლელობა გააგრძელა. პატარა ნინომ ბრწყინვალედ უპასუხა გაკვეთილი და ხუმრობაც ლამაზმა მსჯელობამ შეცვალა...

მე, იოსები და გენო ვაგრძელებდით აგიტაციას. ბევრი გადმოვიბირეთ. გენკა სახლში რომ წავიდოდა, ზოგიერთი ამხანაგი რჩებოდა და მათ ვამეცადინებდით: მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში და სხვა საჭირო საგნებში. გენკა ეჭვობდა, მაგრამ ვერ გებულობდა, რაში იყო საქმე, რატომ „სუსტდებოდა“ მისი ჯგუფი!?

ერთ დღეს გენკას ჯგუფში მყოფმა გოგომ ჩემს ჯგუფში მყოფ გოგოს — ნინოს უთხრა: „გენკამ მის „მოადგილეს“ — რენოს რაღაც საიდუმლო წერილი გადასცაო“. ნინომ მე

მომახსენა, მე - იოსებს. ვიყავით ფრთხილად. დიდი შესვენების დროს იოსებმა თამაშ-თამაშობაში რენოს ჯიბიდან ამოუღო ის „საიდუმლო“ წერილი. უცებ კუთხეში მივიმალეთ ორი ბიჭი და ორი გოგო. იოსები, მე, ნინო და გულნარა. გავხსენით რვეულის ფურცელი და ვკითხულობთ:

„რენო! I = U/R

U – Напряжение постоянное;

R – Сопротивление – наша;

I – Сила тока увеличивается;

Думаю U – постоянное, 220 в;

R – сопротивление что – то уменшается чем дело? надо изучит!“

წავიკითხეთ, გავჩერდით. უცებ ვერ გავიგეთ. „ეს სულ სხვაა“, თქვეს გოგოებმა. მე თავში მომივიდა, რატომ რუსულად წერს – მეთქი. ქართულად გადავთარგმნე და გადავიხარხარე.

—რა იყო?— მკითხა იოსებმა და ყველა თვალში ჩამყურებდა.

—გადავთარგმნოთ ქართულად, – მივუგე მე მათ.

„რენო! ვფიქრობ, U დაძაბულობა მუდმივია, R ჩვენი წინააღმდეგობა, რაღაც მცირდება, I დენის ძალა დიდდება, რაშია საქმე? უნდა შევისწავლოთ!“

—გავიგეთ, გავიგეთ, მიმხედარა ის ეშმაკი, რომ ჩვენმა აგიტაციამ გაჭრა და მისი ჯგუფიდან ბევრი გადმოვიბირეთ. მართლა რომ იდენის ძალა დიდდება – თქვა სამივემ... ცოტა დრო გავიდა და გენკამ „ფარხმალი“ დაყარა.

ჩვენკენ გადმოვიდა... ასეთი ურთიერთგაგებით, ხუმრობით, სიყვარულით, მეგობრობით და კარგი სწავლით სკოლაც დავამთავრეთ...

სკოლის მერე დავამთავრე ტექნიკუმი და მომანიჭეს „ტექნიკოს—ელექტრიკოსის“ კვალიფიკაცია , დავამთავრე ინსტიტუტი, მომანიჭეს „ინჟინერ—მშენებელი“—ის კვალიფიკაცია, დავამთავრე მეორე ინსტიტუტი, მომანიჭეს „ინჟინერ—ელექტრიკოსის“ კვალიფიკაცია. ავიმაღლე კვალიფიკაცია „ეკონომიკური ცოდნის პროპაგანდისტთა“ სპეციალობით. როცა

მე ჩამოთვლილ პროფესიებს ვეუფლებოდი, კარგად მესმოდა, რომ ადამიანი არის ყველაზე ძნელი პროფესია, და რომ „სოფელი იმად არ ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერარას არგებს მამულსა“...

ყოველთვის მწამდა, რომ ადამიანი არის ის, რასაც აკეთებს. ...და ვაკეთებდი, ვიღვწოდი უანგაროდ, ჩემი ხალხის სიყვარულით გულანთებული. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ყველა კაცმა თუ იგი სიკეთე ჰქმნას, რისი შემძლებიც არის, ქვეყანაზე უბედურნი აღარ იქნებიან“...

ასე მიედინება იდენი, რომლის ძალა უხილავია...

ღმერთი არს ჩემთან! დიდება მის ძალას! დიდება მის სახელს!.. გთხოვთ, გაუფრთხილდეთ იდენის ძალას! იგი ხან ათბობს, ხან ანათებს და ხან კიდევ სპობს შეცდომებით სავსე ადამიანს. ის უხილავია, უფერო და უსუნო, მაგრამ უძლიერესია...

სიზმარი და ცხადი

ენგურჰესის მშენებარე კასკადის დირექციაში ვმუშაობდი. ორივე სპეციალობით ვსარგებლობდი. ენგურჰესის დასახლებაში, რეჩხის ოროთახიან ბინაში ვცხოვრობდით მე—იდენი, მეუღლე—მედიკო, შვილები — მარიკა და მურთაზი. მარიკა და მურთაზი სოფლის სკოლაში დადიოდნენ, მესამე და პირველ კლასში...

ერთ დღეს სოხუმიდან სტუმრად ჩამოგვივიდა` სიდედრი — ეთერი. გაგვიხარდა და, რა თქმა უნდა, უფრო მეტად შვილიშვილებს, რადგან მათ ბებიამ ბევრი საჩუქარი ჩამოუტანა...

ოთხშაბათ ღამეს დამესიზმრა, დღესაც ვერ ვხსნი, რატომ, როგორ? საიდან? მაგრამ, ალბათ, ჩემი აზრით, არსებობს რაღაც წინათგრძნობა, რაღაც ზემიწიერი ძალა, რომელიც

სიცოცხლეში არ ჩანს და გამოეცხადება ადამიანს მხოლოდ სიზმარში, როცა იგი ფიზიკურად ისვენებს და სულიერად დადის. აი, როგორია ეს საშინელი სიზმარი: თითქოს მოვდივარ ფეხით რეჩხის (ენგურჰესის) დასახლებიდან გალში, ჩემი მშობლების სახლისაკენ. ცენტრალურ გზაზე არხის ხიდი გავიარე. მარჯვენა მხარეზე მოვდიოდი; მანქანების ტექნიკური მომსახურების სადგურის მხარეზე. უცებ შევნიშნე, რომ გზის მარცხენა მხარეზე, საწინააღმდეგო მიმართულებით, სკოლიდან მოდიოდნენ ჩემი შვილი – მარიკა და მეზობელ–ნათესავის გოგო. მარიკამ მე რომ შემნიშნა, ჩემსკენ გადმოირბინა. მე ვხედავდი, რომ მის უკან მანქანა დიდი სიჩქარით მოდიოდა. ვიყვირე; „შეჩერდი, მარიკა, შეჩერდი! მანქანა მოდის!“ მარიკა არ შეჩერდა და გზის შუაგულში მანქანამ გადაუარა. ვხედავდი თუ როგორ გაუჭყლიტა თავი მანქანამ და ასფალტზე თავის ტვინი და სისხლი დაინთხა. მანქანამ გზა გააგრძელა... შიშმა გამაღვიძა. ვკანკალებდი. გული ფეთქავდა. ავდექი. საათს დავხედე. ხუთი იყო. სამზარეულოში შევედი, სინათლე ავანთე. ონკანზე წყალი მოუშვი. სიზმარი ჩუმად გავიმეორე. მერე ციცი წყალი ხელზე დავისხი და შუბლზე გადავისვი სველი ხელი. სიდედრის მომერიდა, ისევ დავწექი, მაგრამ არ დამეძინა. დილით რომ ავდექი, მეუღლეს და სიდედრს მოვახსენე საზარელი სიზმრის შესახებ. ისინი გაოცდნენ, შეწუხდნენ, რა საშინელი სიზმარიაო...

იმ დღეს ბავშვები სკოლაში არ გავუშვით. მეუღლემ და სიდედრმა აიღეს სურათები – ჩემი, მედიკოსი, მარიკასი, მურთაზის და გაეშურნენ მკითხავთან. შარანგიას ქალს, სხვათა შორის, დიდი ქება ჰქონდა. სიდედრი და მეუღლე ადრე წავიდნენ, რადგან იქ, შარანგიას მკითხავთან, რიგი იქნებოდა. მე სამსახურში წავედი. იქვე ჰესების სამმართველოში. ბავშვები გავაფრთხილე რომ ბინიდან არ გამოსულიყვნენ. ხშირად დაგირეკავთ და შეგამოწმებთ – მეთქი, თანაც მეზობლის ქალს, ჯულიეტას, ვთხოვე, ბავშვებისათვის ცოტა ყურადღება მიექცია. იგი უყოყმანოდ დამთანხმდა; ნუ გეშინია და ნურც იდარდებო...

სამსახურიდან ადრე მოვედი, 16 საათი იყო. მეუღლე, სიდედრი და ბავშვები ბინაში დამხვდნენ. ბავშვები ოთახში შევიყვანე და დავალება მივეცი. სიდედრი და მეუღლე სამზარეულოში იყვნენ და მეც მათ შეეუერთდი.

—აბა მომიყევით, რა გითხრათ მკითხავმა?—შევეკითხე მათ.

—რა გვითხრა, შვილი, იცი? — დაიწყო ეთერმა — რომ შეეედით მასთან ოთახში, მივესალმეთ და მის წინ მდგარ მაგიდაზე გავუშალეთ ხუთივე სურათი, ჩემიც თან ახლდა. დახედა ყველას, მერე მედიკოს მარცხენა ხელის გულზე დაუწყო ცქერა. ცოტა ხნის მერე ორივეს შემოგვხედა, ისევ სურათებს დახედა და მერე ქვევით დაიწყო ყურება. „თქვენ ცუდი სიზმრისგან შეშინებულები ხართ ჩემთან მოსულიო, კარგი გიქნიათ, რომ დროზე მოხვედითო". მერე თავი ასწია და ისევ სურათებს დახედა, მარიკას სურათს თითები დაადო და თქვა: „ამ ბავშვს მანქანა დაეჯახება!" ჩვენ ორივემ ერთხმად „ვაიმე" მივაძახეთ.

—მოითმინეთ — გვითხრა. გავჩუმდით. „სხვას არაფერი უჭირსო"; ეხლა ამ ბავშვს უნდა დროზე მიშველება და როგორ? გეტყვით და მომისმინეთო!" ჩვენ თვალებზე ცრემლებმომდგარი, ყურადღებით ვუსმენდით. „დღესვე აქედან, რომ წახვალთ, სხვა რამეზე არ იფიქროთ, ერთი თეთრი მამალი და ცხვარი შეჰპირდით ღმერთს. ხვალვე იყიდეთ და კვირას შემოაველეთ სამჯერ მარჯვნივ, დაწყებული ფეხიდან, დამთავრებული თავის თმამდე და ღმერთს თხოვეთ, რომ ამ ბავშვის სულის მაგივრად სწირავთ ცხვარს და თეთრ მამალს. ამის შემდეგ დრო გაიელის და ბავშვს მაწქანა მაინც დაეჯახება, მაგრამ სიკვდილს გადაურჩება და კარგადაც იქნებაო". შეშინებულები და გაკვირვებულნი შევყურებდით მკითხავს. „ეხლა თავისუფალნი ხართო" და შემოგვხედა ორივეს თვალებში. საჩუქარი მივართვით და დაეემშვიდობეთ. — დაამთავრა სიდედრმა. მე ძალიან გამიკვირდა. საიდან იგრძნო ჩემი სიზმარი იმ ჭალმა — მეთქი. ჩავფიქრდი. არსებობს რაღაც დიდი, ჩვენთვის უხილავი ძალა—მეთქი. პარასკევს და კვირას ისე გავაკეთეთ ზუსტად, როგორც მკითხავმა გვირჩია...

გავიდა ერთი თვე, ორი, სამი, ოთხი, ხუთი და ა.შ. ყველაფერი კარგად მიდიოდა — ბავშვები ქალაქის II საშუალო სკოლაში გადმოვიყვანეთ, მეოთხე და მეორე კლასში იყვნენ. ფრიადზე სწავლობდნენ. კლასგარეშე საბავშვო ლიტერატურასაც კითხულობდნენ და დღიურსაც წერდნენ. მე სამსახურში დავდიოდი ხან ზუგდიდში, ხან რეჩხის დასახლებაში, ხან ჯვარზენში და ხან ენგურჰესისს სხვადასხვა ბაზაში. მედიკო რეჩხის დასახლებაში სასურსათო მაღაზიაში მუშაობდა. თხუთმეტი დღე იმუშავებდა და მეორე თხუთმეტი — ისვენებდა. საღამოს ყველა მშობლიურ სახლში ვიყრიდით თავს მშობლებთან, სოფ.მზიურში. მამაჩემი— იონა და დედაჩემი შუშკა ხანდაზმულები იყვნენ.

დაგვავიწყდა სიზმარიც და მკითხავიც. იმ სიზმრის მერე გავიდა ალბათ, რვა—ცხრა თვე...

ცხრა ოქტომბერი იყო. საღამოს ხუთი საათი იქნებოდაა, როცა რეჩხის დასახლების ცენტრში ვიდექი და სამარშრუტო ავტობუსს ვუცდიდი. მახსოვდა, რომ ხვალ მარიკას დაბადების დღე იყო, ათი წელი უსრულდებოდა... გვერდით მსუბუქი მანქანა შეჩერდა. შევხედე, ჯუმბერი იყო მარტო საჭესთან. ის ქალაქში ცხოვრობდა. ჩემი ძმის — კარლოს კარგი მეგობარი. ჯუმბერის სახლის მერე ჩემს სახლამდე ორიოდე კილომეტრი იქნებოდა. მოვდიოდით და ჯუმბერის შესახვევს, რომ მივუახლოვდით, ვთხოვე, გაეჩერებინა და ფეხით გავაგრძელებდი გზას, მაგრამ არ გააჩერა. „არ გრცხვენიაო, გზაში ხომ არ დაგტოვებო“. ცენტრში შევედით და ბაღის შუა გულს, რომ მივუახლოვდით, მარცხენა მხარეზე, ავტობუსების გაჩერებასთან, შევნიშნე ჩემი გოგო და მეზობელნათესავის გოგო — დარეჯანი იდგნენ. ჯუმბერს ვთხოვე, მანქანა შეეჩერებინა და ბარემ მაგათაც წავიყვანთ — მეთქი. ჯუმბერმა მანქანა შეაჩერა. უკან დახია და ბავშვების მოპირდაპირედ შეჩერდა. მე გადმოვედი, მინდოდა მარცხენა მხარეზე გადავსულიყავი, ბავშვებისათვის ხელი ჩამეკიდა და მანქანასთან მომეყვანა, მაგრამ შევნიშნე, რომ ორივე მხრიდან მანქანა მოდიოდა და შევჩერდი. ამასობაში მარიკამ შემნიშნა და ჩემსკენ გამოირბინა ჩანთით ხელში. მე შევყვირე, შე-

ჩერდი! მანქანა მოდის—მეთქი. მან მარცხნივ გაიხედა, იქიდან მომავალი მანქანა გაატარა და გააგრძელა სირბილი. მე ისევ, შეჩერდი — მეთქი, მაგრამ მარიკას მარჯვენა მხრიდან მომავალი მანქანა არ შეუმჩნევია. ...და ჩემს თვალწინ ხდებოდა ტრაგედია. სოხუმიდან მომავალი მანქანა „02“ მარკის ახალი ჟიგული იყო. დაახლოებით 50—60 კმ/სთ სიჩქარით მოდიოდა. დაამუხრუჭა, მარჯვენა მხარე აიღო, მაგრამ მარიკას მაინც დაეჯახა, ბავშვი არ ჩანდა. არ მახსოვს, როგორ მივედი. მარიკა მანქანის წინა მხარის მარცხენა ფრთასთან ასფალტზე იწვა, გვერდით ჩანთა და ცალი ფეხსაცმელი ეყარა. ავიყვანე მარიკა და გულზე მივიხუტე. თვალი გააღო. ატირდა, მძღოლი ჩამოვიდა. შემეხვეწა, საავადმყოფოში მიმაყვანინეო. საავადმყოფო სად არის არ ვიციო. მანქანაში სხვა არავინ იყო. მან რა იცოდა რომ მე ბავშვის მამა ვიყავი. მეც დავიბენი და ბავშვიანად მის მანქანაში ჩავჯექი. ჯუმბერი დამავიწყდა, რომელიც გვერდით მედგა. საავადმყოფოში მივედით. ტრამვატოლოგიურ განყოფილებაში სანამ შევდიოდით, ჯუმბერს მისი ბიძია ტრამვატოლოგი ბ—ნი შოთა მოუყვანია სახლიდან. მარიკა მაგიდაზე წამოაწვინეს. შოთამ გასინჯა. თავი ცოტა გასივებული აქვსო. მუხლზე დარტყმა ეტყობა, მაგრამ საშიში არ არისო. ერთი კვირა წოლითი რეჟიმი უნდა სახლშიო. ღია ჭრილობა და მოტეხილობა არ აქვსო. ასე რომ, ღმერთი ყოფილა თქვენი მფარველიო... მაშინ გამახსენდა ჩემი სიზმარი და მკითხავი, შარანგიას ქალი. მარიკა მაგიდიდან არ იყო ამდგარი, რომ საგზაო ინსპექციის ხალხი თავს დაგვადგა.

—ვინ არის „02“ მარკის ჟიგულის მძღოლი?! — იკითხა მაღალმა ინსპექტორმა — სოსომ.

—მე ვარ — უპასუხა პატრონმა.

—წამობრძანდით ჩვენთან! — უბრძანა სოსომ ცოტა უხეშად.

—მაგას არაფერი ბრალი არა აქვს, ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა, მე ბავშვის მამა ვარ, არაფერში არ ვადანაშაულებ მძღოლს, პირიქით, ივარგა და ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა. ბავშვმა ვერ შეამჩნია მანქანა და სირბილით კინაღამ ქვეშ ჩაუვარდა. ბავშვის და ჩემი ბრალია. გთხოვთ,

მძღოლს ნუ დასჯით — ავუხსენი და ვთხოვე მე მათ. მაშინ გაიგო იმ მანქანის პატრონმა, რომ მე ბავშვის მამა ვიყავი. მოვიდა, შემომეხვია და გადავკოცნეთ ერთმანეთი. მანქანის პატრონი ზუგდიდელი ნ. მაქაცარია გამოდგა. რუსეთში უყიდია ახალი მანქანა და სახლში ბრუნდებოდა სიხარულით.

—წამობრძანდით, უფროსთან უნდა მივიდეთ, იქ გავარჩიოთ! ჩვენ ასეთი დავალება გვაქვს— თქვა სოსომ და გავიდა. ნ. მაქაცარია და მეორე ინსპექტორი მას უკან გაჰყვა. მანქანის პატრონმა უკან გამოიხედა და მე შემომხედა საწყალი თვალებით.

—ნუ გეშინია, მეც მოვალ იქ, უფროსთან! — მივაძახე, ნ. მაქაცარია სოსომ გვერდით მოიჯინა ინსპექციის მანქანაში, ხოლო „02“ მარკის ჟიგულზე მეორე — დაბალი ინსპექტორი დაჯდა და გაემგზავრნენ მილიციის განყოფილებისაკენ... ჩვენ სახლში ჯუმბერმა წაგვიყვანა. მარიკა დავაწვინეთ. მალე მეზობელ—ნათესავის ბავშვი — დარეჯანი, რომელიც მარიკასთან იდგა ავტობუსის გაჩერებასთან, მოვიდა ტირილით, ხელში მარიკას ჩანთა და ფეხსაცმელი ეკავა. მარიკასთან შევიდა, ცოცხალი, რომ ნახა ტირილი შეწყვიტა და ჩაეხვია... მე ისევ ჯუმბერს გავყევი ქალაქში. ინსპექციის უფროს ბ—ნ ბიჭიკოსთან შევედი. მე მას ყველაფერი ავუხსენი. უფროსმა გვთხოვა ნ. მაქაცარიას და მე ახსნა — განმარტებითი ბარათი დაგვეწერა, დავწერეთ და ბ—ნ ბიჭიკოს ჩავაბარეთ... ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მარიკამ ერთი კვირა წოლით რეჟიმში გაატარა. კარგად იყო. ნ. მაქაცარიასა და ჩვენი ოჯახი დამეგობრდნენ. ხშირ—ხშირად დავდიოდით ერთმანეთთან...

როგორ ავხსნა ეს სიზმარი და ცხადი, არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ არსებობს რაღაც წინათგრძნობა, რაღაც უხილავი ძალა, რომელიც შენს დაუკითხავად მოქმედებს შენზე; მე ჩემი დაკვირვებიდან ვატყობ, რომ ის ძალა ჩემთან ახლოსაა. დიდება მას და მის ძალას!...

დრო გადიოდა. ბავშვები იზრდებოდნენ. ენგურჰესის მშენებარე კასკადის დირექციიდან, რიგით მსუბუქი მანქანა მივიღე. მარიკამ საშუალო სკოლა და მურთაზმა რვა კლასი ფრიადზე

დაამთავრეს. ჩემი დედ–მამის ძირეულ სახლ–კარში ვცხოვრობდით, ნორმალურ პირობებში ვიყავით. მარიკა და მურთაზი ზუგდიდის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში გასაუბრებით ჩაირიცხნენ. მარიკა პარალელურად მუსიკალურ ტექნიკუმშიც სწავლობდა, იქვე ზუგდიდში, მე მანქანით ხან სამსახურში დავდიოდი, ხან ბავშვები დამყავდა სასწავლებელში და ხან კიდევ, ვინ ჩამოთვლის სად?...

ერთ ღამეს ყველა სახლში ვიყავით და დამესიზმრა: „თითქოს, ჩვენი სახლის წინ, ცენტრალური ქუჩა რომ გადის, მის გაღმა მეზობელ ბიჭებთან ერთად ვიდექი. მეორე, მოპირდაპირე მხარეზე, დაახლოებით ოცდაათი მეტრის დაშორებით, მეზობლის გოგონები იდგნენ და რაღაცაზე ბჭობდნენ. მე შემთხვევით აღმოსავლეთით, იქითკენ, სადაც გოგონები იდგნენ, გავიხედე და შევნიშნე, რომ მაღლიდან რაღაც საოცარი მოფრინავდა, დიდი თეფშივით, დაახლოებით მეტრონახევარი დიამეტრის იყო. მასზე თეთრი გრძელკაბიანი გოგო იდგა; გრძელი, მუხლებს ქვემოთ დაცილებული თმა ჰქონდა და დიდი ოქროს ჯვარი – წინ ჩამოშვებული. ცოტ–ცოტა დაბლა დაეშვა. გოგონებს მიუახლოვდა და ცოტა უხეშად ჰკითხა მათ „რომელია იქ იდენიო“ და ჩვენსკენ გამოიხედა. ერთმა გოგომ ჩემსკენ ანიშნა; პირველი რომ დგას, ის არისო“. მე მომიახლოვდა, ჰაერში გაჩერდა, დაახლოებით ორნახევარი მეტრის სიმაღლიდან შემომხედა მარტო მე და მკითხა ბრაზიანი კილოთი:

–შენ იდენი ხარ?

–დიახ,– მიუგე მე მოკრძალებით.

–მერე იცი თუ არა, რომ შენ ხვალამდე ვერ იცოცხლებ?

–არ ვიცი, მაგრამ რამე ან ვინმე თუ მიშველის?

–იყავი ძალიან ფრთხილად და მერე გაიგებ, თუ რამე ან ვინმე გიშველის! – მიბრძანა მან. შეწუხებული სახე ჰქონდა. ისე უხეშად მეუბნებოდა, თითქოს მის წინ დიდი დანაშაული მიმიძღვოდა. მითხრა და უკან მობრუნდა, სიმაღლე აიღო და ისევ აღმოსავლეთისაკენ, ჯვარისკენ (ჯვარი სოფელია, წალენჯიხის რაიონი) გაფრინდა. გოგონები, ბიჭები და მე

გაჩუმებულნი, გაკვირვებულნი გავყურებდით, სანამ არ მიიმალა თვალწინ...

დილით ადრე გამეღვიძა. იმ გოგოს სახე და ტანადობა თვალწინ მედგა. ნაცნობი სახე არ იყო. ისეთი ფორმის და სახის გოგო არასდროს არ მენახა. „დღეს და ხვალ მანქანით არ ვიმოძრავებ და ფრთხილად ვიქნები – მეთქი", – გავიფიქრე. ბავშვებს ვუთხარი: „დღეს და ხვალ მანქანა არ ივარგებს და ფეხით უნდა ვიაროთ – მეთქი". მეუღლე შეკრთა, მანქანას რა მოუვიდაო. არაფერი, მერე გეტყვი, შესვენებაზე რომ მოვალ–მეთქი...

13 საათზე შეესვენებაზე მოვედი ავტობუსით. სახლში დამხვდა ჩემი და – მიმოზა, დედ–მამა და მეუღლე. სადილს რომ მივუსხედით, თან ნელ–ნელა ჩემი წუხანდელი სიზმარიც მოვახსენე მათ, ამიტომ ვუფრთხილდები და ფეხით დავდივარ–მეთქი. მიმოზამ მითხრა: „ჩემი მეზობლის სახლშია სტუმარი ქალი მუჟადან, (მუჟავა სოფელია, წალენჯიხის რაიონი) ჩვენი გვარისაა, მისმა გოგომ იცის სიზმარის ამოხსნაო, მგონი დღეს ან ხვალ უნდა მოვიდეს დედის წასაყვანად და ვეტყვიო"...

ის გოგო მართლა იმ დღეს მოსულა და მეორე დილით წასულა დედასთან ერთად. მიმოზას უთქვამს ჩემი სიზმრის შესახებ, მაგრამ არ აუხსნია და უთქვამს, „აუცილებლად ჩემთან მოვიდესო!"

კვირა დღეს ავიბარგეთ ჩემი მანქანით მე, მიმოზა და მისი მეზობელი ქალი, რომელმაც იცოდა იმ გოგოს სახლი. შევუდექით გზას აღმოსავლეთისაკენ, ჯვარისკენ. გავიარეთ სოფლები: მზიური, ჭუბურხინჯი, დიხაზურგა, საბერიო, ფახულანი, ჭალე და მოვუხვიეთ მარცხენა მიმართულებით, ოლორი და მუჟასკენ. გავიარეთ მთაგორიანი აღმართ-დაღმართი, ძალიან რთული და საშიში, ხან მოხრეშილი, ხან ტალახიანი და ხან წყლიანი გზა. მივადექით ანთიების ოჯახს. ეზოში ჭიშკრის პირდაპირ დაბალი ოდა სახლი იდგა, მარცხნივ – ორსართულიანი ხის სახლი, წინ დიდი აივნით. მანქანიდან რომ ჩამოვედით, ეზოში შემოგვეგება ის, ჩვენი სისხლის და ხორცის ქალი. გავიცანი და გადავკო-

ცნეთ ერთმანეთი. მან პატარა სახლისკენ მიგვიწვია. მე სახლში არ შევედი. მარტის მზიანი დღე იყო. სკამები გამოიტანეს და გარეთ, ოდა სახლის წინ ჩამოესხედით.

—ლიანა სახლშია? — შეეკითხა მიმოზას მეზობელი ქალი ოჯახის უფროს ქალს, მის ნათესავს.

—კი, სახლშია, ვიღაც ქალი ჰყავს და მალე გამოვა, — მიუგო მან. მე ორსართულიანი სახლის აივანს შევყურებდი. ხუთი წუთი არ იქნებოდა გასული, ვიღაცა შავებში ჩაცმული ქალი გამოვიდა აივანზე. მას უკან მოჰყვებოდა თეთრ კაბაში გამოწყობილი გოგო. მისი სახე არ მესიამოვნა. ეზოში ჩამოვიდნენ. ჩემს თვალწინ წარმოდგა ზუსტად იმ გოგოს ფიგურა და სახე, რომელიც სიზმარში ვნახე. თეთრი გრძელი კაბა, გრძელი თმა და დიდი ოქროს ჯვარი. ის ქალი გააცილა ჭიშკრამდე და ჩვენთან მოვიდა. ჩემს გარდა ყველას იცნობდა. მიმოზამ გააცნო ჩემი თავი. ხელი ჩამომართვა და გადამკოცნა. გაიღიმა, დედისეული ყოფილხართო. აწი დღეიდან ერთმანეთს ვიცნობდეთო. მე ვუპასუხე, რომ თქვენ ოთხი დღეღამის წინ გაგიცანით — მეთქი. როგორ? საიდანო? მე არ მახსოვსო? სიზმარში — მეთქი.

—ხო, მიმოზა მეუბნებოდა თქვენი სიზმრის შესახებ. ძალიან კარგი, რომ მოხვედით, წამობრძანდით ჩემთან — მიგვიპატიჟა და დედამისს მიუბრუნდა: „აბა შენ იცი, ახალგაცნობილ ნათესავს როგორ სუფრას გაუშლი, შენი მოგვარეა, მალე ქიშვარდიც მოვა“. ქიშვარდი ლიანას ძმა იყო. მამა არ ჰყავდათ. ლიანა წინ გაგვიძღვა მეორე სართულისაკენ. ოთახში რომ შევედით, კარგად მოწყობილ ეკლესიაში მეგონა თავი. ცოტა არ იყოს შევკრთი; ორი ოთახი ისე ჰქონდა მოწყობილი სურათებით, ხატებითთ, ჯვრებით და ძვირფასი განძეულით, რომ თვით ეპისკოპოსსაც გაუკვირდებოდა. ჩამოვსხედით. ლიანამ პირველ რიგში, გაცნობის მიზნით, მოკლედ მისი რთული, ტანჯული და წამებული ბიოგრაფია მოგვიყვა. მის ნათქვამიდან გამომდინარე, ერთი საინტერესო წიგნის დაწერა შეიძლებოდა. ის მკითხავი კი არ იყო, უფრო სწორად რომ ვთქვათ, წინასწარმეტყველებდა და სიზმრებს ზუსტად ხსნიდა. მისი თქმით მაშინ მეჩვიდმეტე წელი იყო, რომ ბატონებს

შეპყრობილი ჰყავდა. საჭირო წესების დაუცველობას მამამისი უდროოდ გადაჰყვა თურმე... იმ დღიდან დღემდე, ლიანას გაცნობიდან, თითქმის თორმეტ—ცამეტი წელი გავიდა, ლიანა რომ გვესაუბრებოდა, ხანდისხან თუ გაიღიმებდა ხოლმე. უფრო მეტ ხანს უკმაყოფილოდ იყურებოდა, ზუსტად ისე, როგორც მე სიზმარში ვხედავდი. მერე მეც მოვუყევი ჩემი სიზმარი და ჩვენი შეხვედრის დიალოგი. ლიანამ ასე აგვიხსნა: „შენ რომ გამოგეცხადა, ის ანგელოზი იყოო“.

—თქვენ იყავით ზუსტად! — ვუპასუხე მე.

—შეიძლება მე, ან სხვა, მაინც ანგელოზი იყო. ხვალამდე ვერ იცოცხლებო, რომ გითხრათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალ წლამდე ვერ მიაღწევო. რამე ან ვინმე თუ მიშველისო, რომ გიკითხავთ, ეს კარგია. რომ არ გეკითხათ და დადუმებული ყოფილიყავით, ძალიან ცუდი იქნებოდა. შველა გაქვთ. მე თუ დამიჯერებთ და ისე მოიქცევით, როგორც მე დაგარიგებთ, თქვენისთანა ბედნიერი კაცი იშვიათი თუ იქნება ამ ქვეყნად...

მეც დავუჯერე. ბევრი რამე მასწავლა. ბევრი დამეხმარა. ბევრი შრომა გასწია ჩემს საკეთილდღეოდ. ბევრი რამე მირჩია. „შენ ჩვენი სისხლის ხარ; პატიოსანი, ალალი გულის და მეც ვალდებული ვარ შენისთანა ადამიანებს სამსახური გავუწიოო“...

გამოთხოვებისას ქიშვარდი მოვიდა. გავიცანით ერთმანეთი. ვისადილეთ, თითო—ოროლა ჭიქა ღვინოც შევსვით და დავბრუნდით სახლში. მე და ჩემი ოჯახი დღემდე დიდად კმაყოფილი ვართ ლიანასაგან.

როგორ გავიცანით ერთმანეთი მე და ლიანამ? რა არის ეს? სიზმარი? წინათგრძნობა? მისნობა და ზემიწიერი ძალა??. პასუხს მკითხველს მივანდობ.

...სურამში ვისვენებდი ბავშვებით და მეუღლითურთ. საკუთარი მანქანით ვიყავით. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტეთ ბორჯომში გასეირნება. ქალაქში შესვლამდე, შესახვევის შემდეგ, საგზაო პოლიცია მდგარა, ვერ შევამჩნიე. ცოტა აჩქარებული მიმყავდა მანქანა. „ეხ, ეხლა გაგაჩერებენ“ — თქვეს მურთაზიმ და მარიკამ ერთხმად. მიახლოებისას პოლი-

ციის თანამშრომელმა აჭრელებული ჯოხის აწევა მოინდომა ჩემს გასაჩერებლად. შევხედე და ჯოხი გაუვარდა აწევამდე. სანამ ჯოხს აიღებდა, მე გავაქროლე და ხელის აწევით მივესალმე. მათ გაიღიმეს. „შენ მართლა პიპნოზი გაქვსო“ მითხრეს ბავშვებმა და გადაიკისკისეს. ქალმა ჩაიღიმა და ნელა იარეო, გამაფრთხილა... ასე და ამგვარად ფრთხილად, სწორი და პატიოსანი გზით მიმყავდა და მიმყავს ჩემი ცხოვრება... მარიკა და მურთაზი ტექნიკუმის დამთავრების მერე უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხნენ. ასე მიედინებოდა და მიედინება იდენის ოჯახი. ბევრი კარგი გამიკეთებია ხალხისათვის. ბევრი სიკეთე მითესია, ბევრი განცდები, ნერვიულობა, ფიქრი, აზრი და გონება გადამიტანია. ვერ ვიტანდი და ვერც ეხლა ვიტან სიცრუეს, მლიქვნელობას, ქურდობას, თვალთმაქცობას და ორპირობას. ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად ბევრჯერ ფიქრებში ღამეები გამითენებია; მაგრამ მე ყოველთვის ასე მიმართლებს, ზოგი ჭირი ჩემთვის სარგებელი გამოდგა. ბოლოს ვხვდები, რომ ფიქრი, აზრი და გონება — ეს ვარჯიშია ტვინისა. მე ვაკვირდებოდი ჩემს თავს და შევიცან იგი. ყველა ვალდებულია შეიცნოს თავისი თავი. ყველამ შეიფასოს თავისი თავი იმდენად, რამდენადაც ღირს, თორემ ოდნავადაც რომ გადააჭარბოს სულ გაუფასურდება... მე ვატყობ და ვგრძნობ ჩემს სიმართლეს და სამართლის ძალას. ვინც მე გული დამწყვიტა, ზოგი ადრე გარდაიცვალა, ზოგმა მეტი გულისტკივილი მიიღო, ზოგი დასახიჩრდა და წვალობს, ზოგს სახლკარი დაეწვა და მაწანწალობს, ზოგი კიდევ ათეული წლებით იტანჯება და ა.შ...

ღმერთი არს! დიდება მის სახელს! დიდება მის ძალას!

—აქ ვერ შეგვამჩნევენ შენი და ჩემი ნაცნობ—ნათესავები, სწორედ იმიტომ ვარჩიე ჩვენი პაემანი აქ, მეტროს ახალ სადგურზე — თქვა თენგომ და კუთხეში ჩამოსხდნენ. სამიოდე კაცი იდგა მოშორებით მატარებლის მოლოდინში.

—მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ცოლ—შვილ, ქმარ—შვილიანები ვართ, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ხომ? — შეეკითხა თენგო ზემფირას, მიიხედ—მოიხედა და ლოყაზე აკოცა. ზემფირა გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

—სწორი ბრძანდები, თენგო, მიყვარხარ და გიყვარვარ,. მაგრამ მაინც მეშინია, ძალიან მეშინია. ჩემი ქმარი ერთი წელია, რაც ეჭვის თვალით მიყურებს. როცა დათვრება ხოლმე, თავისთვის ლაპარაკობს: „რაც მესმის“ უნდა დავამტკიცოო, გაგონილს ნახული სჯობიაო, კოკა წყალზე გატყდებაო.“ ე.ი. ვილაცამ რაღაცა უთხრა ჩვენზე — თქვა და თენგოს შუბლზე აკოცა.

—ვიცი, ჩემო ზემფირავ, ჩვენი სიყვარული და შეხვედრები თუ გაიგო შენმა და ჩემმა ოჯახმა, ორივე ოჯახი დაინგრევა და ჩვენი სიყვარულიც ჩაქრება; მაგრამ ჩვენ ხომ ვართ გამოთვლითი მანქანების, ახალი ტექნიკის დანერგვის ახალგაზრდა სპეციალისტები, ამიტომ ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, გამოვთვალოთ, ტექნიკურად განვსაზღვროთ და ამ მილიონიან ქალაქში უშიშარი ადგილები ავირჩიოთ, პერიოდულად უნდა გამოვიცვალოთ სასტუმროები, რომ ნაცნო—ნათესავების თვალი და ყური არ გაგვეკაროს — ჩაიხუტა თენგომ ზემფირა, მერე ტუჩებზე აკოცა.

—გვეყოფა, მეშინია, ცუდი წინაგრძნობა მაქვს, წავიდეთ — თქვა ზემფირამ და წამოდგა.

—კარგი , წავიდეთ, ასე დავთქვათ: ხვალ ლევანს მიღების დღე აქვს. თორმეტ საათზე შემოხვალ, მდივნის გასაგონად ითხოვ ერთი საათით განთავისუფლებას. წახვალ ტროლეიბუსით ან მეტროთი. ბოლოს წინათ რომ ვიყავით, იმ სასტუმროში ლიფტით ახვალ იმაე სართულზე, იმავე ოთახის გასაღებს აიღებ და იქ მომიცდი. მე ათ—თხუთმეტ წუთში

გეახლები. ადმინისტრატორთან და სართულის მორიგესთან მოლაპარაკებული ვარ. აგერ საშვი, „შეეიცარს“ აჩვენებ. გაიგე?

—გავიგე, თენგო, გავიგე, მაგრამ მეშინია. „სიყვარულო, ძალსა შენსა...“ — თქვა ზემფირამ და საშვი გამოართვა.

—აბა, შენ იცი, ნუ გეშინია, ნახვამდის!

თენგო მაღალი და სუსტი ტანის იყო, ლამაზი, ენამახვილი, თბილი ლაპარაკის მოყვარე, დინჯი, შავთვალწარბა, კოხტად იცვამდა და იხურავდა. ოცდაექვსი წლის, ვიწრო ულვაშებს ატარებდა. გამოთვლითი მანქანების ახალი ტექნიკის დანერგვის ცენტრის უფროსი იყო. ზემფირა თენგოსთან მუშაობდა რიგით ინჟინრად. საშუალო ტანის, შავი და მოკლე თმა, ეშხიანი გამოხედვა და მიმზიდველი სილამაზე ჰქონდა. ზემფირა ოცდაოთხი წლის იყო. მისი მეუღლე — ლევანი სამშენებლო სამმართველოს უფროსი იყო. ოცდათორმეტი წლის ლევანი სიგარეტს და მაგარ სასმელებს ხშირად ხმარობდა. ჰყავდათ ორი ბავშვი გოგო და ბიჭი. უფროსი ოთხი წლის იყო. თენგოს მეუღლე და ერთი ბიჭი ჰყავდა...

...თებერვალი. თოვდა. თოვლის ფიფქი ვერტიკალურად კი არ ვარდებოდა, ისე თამაშობდა, რომ თითქმის ორი—სამი მეტრით სადღაც განზე ჯდებოდა. მეორე წუთს ყველა ერთად გადაიხრებოდა სასტუმროს წინა ფასადისკენ, გეგონებოდათ, მიმართულებას აჩვენებსო...

სამშენებლო სამმართველოს უფროსის მისაღებ კარებთან ხალხმრავლობა იყო. უფროსს მშრომელთა მიღების დღე ჰქონდა. მოადგილე სამინისტროში იყო გასული. დღის პირველის ნახევარი იქნებოდა, როცა ის სამმართველოში დაბრუნდა. თავის ოთახში არ შესულა, პირდაპირ უფროსთან შევიდა. აღელვება ეტყობოდა. უფროსს ორი კაცი ჰყავდა მიღებული. თამაზი არ დაბნეულა.

—უკაცრავად, ბატონებო, მაპატიეთ — უთხრა მან მაგიდასთან მსხდომთ და ლევანი უკანა ოთახში გაიხმო.

—რამე უბედურება ხომ არაა ჩემს თავს? — ჰკითხა ლევანმა.

—მომისმინე, ლევან, ზუსტად ათი წუთის წინ, სამინისტროდან, რომ მოვდიოდი, ნუ გეწყინება და ვერ დაგიმალავ...

—თუ არ ეცდები, პროფილით დაინახე, შენი მეუღლე სასტუმროში შევიდა. შორიდან თვალი მივადევნე და პირდაპირ კიბეზე ავიდა. მე გავშეშდი. ნაბიჯი ვერ დავდგი. იქვე ხის ქვეშ გავჩერდი. თვალები სასტუმროს შესასვლელზე მქონდა შეჩერებული. თითქმის ხუთი წუთი ასე ვიყავი... და ის კაციც გამოჩნდა შესასვლელთან. ის, რომელზედაც დიდი ხანია ვეჭვობ.

—თამაზ, მითხარი ვინ იყო?

—თენგო იყო, თენგო! ზემფირას უფროსი.

„რასაც ლაპარაკობენ, დამტკიცება უნდა. გაგონილს ნახული სჯობიაო!“ — ჩაიფიქრა ლევანმა.

—წამოხვალ ჩემთან! — უთხრა თამაზს და ყურმილი აიღო. ზემფირას სამსახურის ტელეფონის ნომერი აკრიფა. ვიღაც ქალმა უპასუხა: „ზემფირამ ითხოვა, მაღაზიაში გავალო.“ მერე თენგოს ნომერი აკრიფა. არ პასუხობდა. „ყველაფერს დამტკიცება უნდა, მეც ხომ მეეჭვებოდა!“... გაიფიქრა და გამოვიდა.

—მაპატიეთ მეგობრებო, ისეთი რამ მაცნეს, რომ საჩქაროდ უნდა წავიდე. დღის მეორე ნახევარში გავაგრძელოთ! — უთხრა ლევანმა მაგიდასთან მსხდომთ და პალტო ჩაიცვა.

„ორი საათის მერე გავაგრძელებ მიღებას!“ — დაბარა მდივანს.

—რა ეცვა, თუ დააკვირდი? — ჰკითხა ლევანმა თამაზს მანქანაში ჩაჯდომისთანავე.

—შოკოლადისფერი ქურქი, იმავე ფერის ჩექმა, მოკლედ შეკრეჭილი და უკან ჩამოშვებული თმა. ზუსტად ზემფირას პროფილი.

—ზუსტად ასე გავიდა დილით — მიუგო ლევანმა...

ზემფირა და თენგო ლოგინში ტრიალებდნენ, ხვევნაკოცნაში იყვნენ გართული, როცა ლევანი და თამაზი სასტუმროს მიუახლოვდნენ.

—მანქანა გვერდით ფასადთან შევაყენოთ, იმიტომ, რომ ვერც აივნიდან და ვერც გამოსასვლელიდან ვერ დაინახონ. — დაარიგა თამაზმა.

—სწორია. ჩვენ პირდაპირ გამოსასვლელთან დავდგეთ, ვარიანტი ხომ არაა, რომ ვერ გამოვიჭიროთ — თქვა ლევანმა და სასტუმროში შევიდნენ. თამაზი „შვეიცარს“ მიუახლოვდა;

—უკაცრავად, ეს—ეს არის მეგობარს დავურეკეთ, უნდა ჩამოვიდეს, სხვა გამოსასვლელი ხომ არ აქვს სასტუმროს?

—არა, გენაცვალე, ყველა აქ ჩამოდის. უკან კი აქვს კარები, მაგრამ დაკეტილია და გასაღები მე მაქვს. ლევანი გაფითრებული იდგა, საზარელი სურათის მოლოდინში სიგარეტს, სიგარეტზე აყოლებდა...

—გვეყოფა, წავიდეთ, თენგო, წავიდეთ, მეშინია, ცუდ გრძნობაზე ვარ. გამიშვი, უკვე მეორე საათი დაიწყო. წავიდეთ, წავიდეთ — ეხვეწებოდა ზემფირა და თან თვალებს უკოცნიდა — სიყვარულმა სირცხვილი არ იცისო, სწორი ყოფილა, — დაამატა მან.

—მოიცა, რა გეჩქარება, მეორეც დამთავრდეს და მერე წავიდეთ — ეუბნებოდა თენგო. მეორეც დამთავრდა.

—გეხვეწები რა, გამიშვი, წავიდეთ, მეშინია. ცუდი შეგრძნება მაქვს, — თქვა და ხელიდან გაუსხლტა, წამოხტა ლოგინიდან ზემფირა. ტანსაცმელები აიტაცა და აბაზანაში შევარდა.

...ლევანი მეექვსედ აბოლებდა სიგარეტს, როცა თენგო მარტო ჩამოვიდა პირველ სართულზე.

—ვახ, გამარჯობა თამაზ, სალამი ლევანს, თქვენც აქ ბრძანდებით? რაშია საქმე, ვის უცდით? — არ დაიბნა თენგო.

—სტუმარია ჩამოსული მოსკოვიდან, სადაცაა უნდა ჩამოვიდეს— მიუგო თამაზმა.

—ხო, მეც სტუმარი მყავს დასავლეთიდან, ადრე ჩამოვედი, გავიხედ—გამოვიხედო. ცოლი მყავს ეჭვიანი. თუ უთხრეს სასტუმროდან ქალთან ერთად გამოვიდაო, ტვინს გამიხვრეტს. თქვენ ხომ „მეგობრები“ ხართ და დარწმუნებული ვარ, არ გამცემთ — დაატრიალა წამში ათასი აზრი თენგომ...

„გაგონილს ნახული სჯობია, სად გაგვექცევა, საიდან გავა, რომ არ ჩამოვა? მეორე სართულზე თუ არის, შეიძლება გადახტეს? ავალ მესამეზე, იქ მოვიცდი, თამაზს მეორეზე დავტოვებ, თუ არა პირიქით. რატომ თქვა ქალთან ერთად

ჩამოვალო? ალბათ, ფიქრობს ჩვენი „სტუმარი“ მალე ჩამოვა და ჩვენ აქედან ავითესებით!? ვარიანტი არაა თენგო უკან არ დაბრუნდეს, მეც კვალს გავყვები ჩუმად; ხომ ვნახავ, რომელ სართულზე შეჩერდება? მესამეზე თუ ავიდა, მე მეორეზე, მორიგესთან შევჩერდები. ვილაცას მოვიკითხავ, თითქოს ვილაცას ველოდები. სად წამივა, რომ არ გამოიაროს, მესამე სართულიდან ხომ არ გადახტება?“ — ფიქრობდა ლევანი და გეგმები ერთმანეთში ერეოდა. დაიბნა... თენგო ალაყაფის კარებთან მივიდა. წამით შეჩერდა, მერე გარეთ გამოვიდა, მიიხედ—მოიხედა, ვინმე დაინახა თუ არა არც ახსოვს. გამოსავალზე ფიქრობდა. უკან დაბრუნდა. ლიფტისკენ წასვლა დააპირა. ლიფტი დაკავებული იყო. „კიდევ კარგი“ — გაიფიქრა უცებ. მერე ხმამაღლა დაამატა: „რად მინდა ლიფტი, მესამეზე ფეხით ავალო“, — თქვა განზრახ ლევანის და თამაზის გასაგონად, კიბეებს აპყვა.

—მართლა რა სჭირს იმ ოხერს? ამდენი ხანი მეორე სართულიდან ვერ ჩამოვიდა? გამატარეთ თუ კაცი ხარ, 236—ე ოთახში მივალ! — უთხრა „შვეიცარს“, შენ აქ დაელოდე, თამაზ მალე ჩამოვალ! — იცრუა ლევანმა და თენგოს უკან გაპყვა. 236—ი თენგოს 636—ად ჩაესმა. გული შეუწუხდა, რადგან ზემფირა 636—ში იცდიდა. ლევანმა რომ შეამჩნია, თენგო მესამე სართულის კიბეს აპყვა, მეორეზე შეჩერდა. უკან ფეხის ხმა რომ შეწყდა, თენგოს ცოტა არ იყოს გულზე მოეშვა. „არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა“... — ფიქრობდა თენგო და მეექვსე სართულისკენ მიიჩქაროდა...

—ქალბატონო თამარ, რთულ სიტუაციაში ჩავვარდით. ხსნა აუცილებელია და ისიც შეგიძლიათ მხოლოდ თქვენ: — პატივისცემა ჩემზე იყოს. აპა, ხუთი თუმანი, ეხლა მეტი არ მაქვს, მაგრამ ვალში არ დაგრჩებით. გთხოვთ გამომიყვანოთ მძიმე მდგომარეობიდან — თხოვა თენგომ მეექვსე სართულის მორიგეს. თამარი ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა, ლამაზად გამოიყურებოდა, არც გამხდარი იყო და არც მსუქანი, საშუალო სიმაღლის, მოკლედ შეკრეჭილი შავი თმა უხილავებით ჰქონდა აკრეფილი.

—მითხარი რა მოხდა? მე რა შემიძლია? — მიუგო თამარმა.

—მე რომ მყავს 36—ში, მისი ქმარი მეორე სართულზე იცდის, ვნახე და ველაპარაკე. ნაღდია, ვიღაცამ ან დაურეკა ან მოახსენა. გამოჭერილში ვართ.

—ვახ, ბიჭოს! მერე მე რა შემიძლია?

—ტანად ერთნაირი ხართ, თმას ჩამოუშვებ, ზემფირას „შუბას“ და „საპოშკებს“ ჩაიცვამ, ჩამომყვები ქვემოთ. ქმარი რომ დაინახავს მის მეუღლის მსგავსს, იფიქრებს, ალბათ, შეეშალათო და მაშინათვე აითესება აქედან. ჩვენ კი უცებ უკან დავბრუნდებით. ესაა და ეს, გამოვალთ მძიმე მდგომარეობიდან.

—შენ, ხომ არ შეიშალე? მერე მე ხომ დამინახავენ ქვედა სართულის მორიგეები? მეც ხომ მაქვს ოჯახი? ან უფროსმა რომ დარეკოს და არ ვუპასუხო, ტყავს გამაძრობს, სამსახურიდან მომხსნის. რამდენი რისკია იცი?

—ორი-სამი წუთის საქმეა. ისინი, რომ დარწმუნდებიან, ზემფირა კი არა, სხვა, მისი მსგავსიაო, უმალვე გაქრებიან. ჩვენც უცბად ლიფტში შევალთ და ერთ წუთში აქ გავჩნდებით ისევ. ხვალ დილით შენს წასვლამდე ხუთთუმანს კიდევ მოგიტან. აბა ქენი, ჩქარა! სხვა გზა არა გვაქვს.

—ჯანდაბას თქვენი თავი. ჩქარა, დრო არ წავიღოთ — უთხრა და გაჰყვა თამარი თენგოს, თან დერეფნიდან დამლაგებელს მიაძახა: „მარო, ხუთი წუთით ჩავალ ქვემოთ და ამოვალო!“ ზემფირას მაგიდაზე თავი დაედო და ტიროდა.

—აბა, ჩქარა გაიხადე „შუბა“ და „საპოშკები“, თამარმა უნდა ჩაიცვას. ხუთ წუთში ორივე დავბრუნდებით! — აღელვებით უთხრა თენგომ.

—რა მოხდა? დავიღუპეთ? — წამოხტა ზემფირა.

—ჩქარა! დრო არ წაიღო, შენი ქმარია, ქვემოთ იცდის, ეტყობა ვიღაცამ დაურეკა. თამარმა ელვის სისწრაფით ჩაიცვა ქურქი და ჩექმა. თმები გაუშვა, დაივარცხნა სარკეში ჩაიხედა. უკანა და გვერდით პროფილი სულ ზემფირას გავდა. ზემფირა უფრო ახალგაზრდა და ლამაზი იყო... თენგო და თამარი ჩაყვნენ კიბეებს. მეორე სართულზე რომ ჩავიდნენ, თენგომ თამარს ხელი ჩაკიდა ლევანს თვალი ჩაუკრა, პირველზე —

თამაზს; გარეთ გავიდნენ. დადგნენ თითქოს ტაქსის მოლოდინში. ლევანი ჩამოვიდა მეორე სართულიდან.

—თამაზ, წავიდეთ, ის „სტუმარი“ შეუძლოდ გამხდარა და წევს — უთხრა „შეეიცარის“ გასაგონად. გარეთ გამოვიდნენ.

—მანქანა ხომ არ გჭირდება, თენგო? — მიაძახა ლევანმა ხათრიანად. „არა, გმადლობთ, ტაქსი უფრო გვაწყობს“— მიუგო თენგომ.

ლევანი და თამაზი სასტუმროს გვერდიდან მანქანით გამოემართნენ. მათ კიდევ ერთხელ შეხედეს თენგოს და იმ ქალს, გაეცინათ და მოშორდნენ იქაურობას... თენგო და თამარი უმალვე უკან დაბრუნდნენ მეექვსე სართულზე ლიფტით.

თამაზი და ლევანი დუმდნენ.

—გაგონილს ნახული სჯობიაო, — ჩაილაპარაკა ლევანმა.

—როგორ შევცდი, ლევან, გთხოვ მაპატიო, ვერ გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს. თუ ძმა ხარ, ნუ გეწყინება. ასეთი ზუსტი დამთხვევა ტანით, თმით, პროფილით, ტანსაცმლით და ფეხსაცმლით, ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია. ძალიან გთხოვ, სხვანაირად ნუ ჩამითვლი — ეხვეწებოდა თამაზი.

—არა, თამაზ, პირიქით, შენ ხომ დარწმუნებული იყავი და ჩემთვის რომ არ გეთქვა, უფრო მეწყინებოდა. ბრძენის ნათქვამია: „გაგონილს ნახული სჯობიაო, ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო!“ — მიუგო ლევანმა.

სამმართველოს მიუახლოვდნენ. მანქანა შეაჩერეს, ჩამოვიდნენ და სასადილოში შევიდნენ...

—ხომ გეუბნებოდი, მეშინია, მეშინია, ცუდი გრძნობა მაქვსო. გათავდა და მორჩა! რაც გინახავს, ველარ ნახავ! გამოგეცალა! დღევანდელ დღეს თუ გადავურჩით, ჩვენი შეხვედრა ასეთი აღარ იქნება! „კოკა წყალზე გატყდებაო“ და ამიტომ სანამ აღარ გატყდეს წყლის გზაზე, უნდა შველაო. ჩვენ ორნი ვართ და ამ მილიონიან ქალაქში ორი მილიონი თვალია და ყური! — ლაპარაკობდა ზემფირა ბრძანების კილოთი და ტიროდა. ბრძანების კილოთი იმიტომ, რომ მას თავიდან ეგონა თენგო ცოლად წაიყვანდა და ორ ოჯახს დაშლიდა.

ხედავდა რა, ეს ასე არ გამოდიოდა. გადაწყვიტა, პირველიც არ დაეკარგა.

—კარგი, დამშვიდდი, მე ჩავალ, გავიხედ—გამოვიხედავ, ხუთ წუთში თუ არ დავბრუნდი, გამოხვალ და სამსახურში წახვალ. ნაღდია ლევანი დარეკავდა და დარეკავს კიდევ შენთან. მაღაზიაში შეიარე, რამე უნდა იყიდო, საბაბი რომ გქონდეს.

—აბა წავედი ნუ ღელავ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა თამარის წყალობით — უთხრა თენგომ და გავიდა...

საღამოს ლევანი მთვრალი მიეიდა ბინაში. თენგოს და ზემფირას მთელი ღამე არ უძინიათ. ერთმანეთს ძლიერ მიჩვეულები იყვნენ და უჭირდათ დათხოვება. ზემფირას სულ თავში მოსდიოდა: „კოკა წყალზე გატყდებაო და სანამ გატყდებოდეს, მანამ უნდა შველაო“. თენგოს — ორი მილიონი თვალი და ყური ლევანი კი ბოდავდა: „გაგონილს ნახული სჯობიაო“...

მონანიება

ძმებს - კაკოს და გოგის - საერთო ეზო და ჭიშკარი ჰქონდათ. ეზოში ორი ორსართულიანი და ორი ოდა სახლი იდგა. მარცხენა მხარე კაკოს ეკუთვნოდა, მარჯვენა — გოგის. კაკო „იონოვიჩი“ დამსახურებული ინჟინერ—მშენებელი იყო. თავის მეგობარ — ამხანაგებში უფროსი და თანაც საქმის ობიექტურად გამრჩევი. მეგობარ—ამხანაგებში თუ ვინმე რამეს დააშავებდა ან სამშენებლო საქმეში, ან სხვა რამეში. ყველა კაკოს თხოვდა საქმის გარჩევას. პროკურატურისა და სასამართლოს ჩარევა კაკოს და მის მეგობარ—ამხანაგებს არ სჭირდებოდათ. კაკო იტყოდა მოფიქრებით და დინჯად. მისი ბოლო გადაწყვეტილება კანონი იყო. რაიონში დიდი თუ პატარა პატივს სცემდა კაკოს და თანაც ერიდებოდათ მისი. სმაში და პურმარილში ბადალი არ ჰყავდა. სიმთვრა-

ლეში და სიფხიზლეში ერთნაირი ხასიათი ჰქონდა. „მე ღვინო კი არ მათრობს, არამედ მღლისო“, ამბობდა ხოლმე. კაკოსთან თითქმის ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდათ გაბოს, ვანოს, იაკობს, რაჟდენს, გივის, ჯუმბერს, გოდოს, ვაჟას, მურმანს, შოთას, დავითს, ზურაბს და სხვას.

მაისის ბოლო რიცხვები იყო. სიცხიანი დღეები. ძმების —კაკოსა და გოგის ეზოში ხალხმრავლობა ჩანდა. ზოგი მეზობელ-ნათესავები ეზოდან გამოდიოდნენ, როცა გაბო რუსეთის ნომრიანი მანქანით, ახალი 24-10-ით მიუახლოვდა ჭიშკარს.

—რა მოხდა? — იკითხა მან.

—კაკოს ყაჩაღებმა მანქანა გასტაცეს!—უპასუხა ერთ- ერთმა და ჭიშკარი გაუღო. გაბომ მანქანა კაკოს სახლის კიბესთან შეაყენა. ყველას მიესალმა. კაკოს და გოგის უსიტყვოდ ხელი ჩამოართვა. კაკო და გაბო პატარა ოდა სახლში შევიდნენ. გოგიმ დარჩენილი მეზობელ—ნათესავები ჭიშკრამდე მიაცილა, ჭიშკარი მოხურა და ავადმყოფ მამასთან შევიდა. დედმისიც იქ იყო. გაბო და კაკო განუყრელი მეგობრები იყვნენ.

—„იონოვიჩ“, მომიყევი, როგორ მოხდა და ვინ იყვნენ? — ჰკითხა გაბომ და სიგარეტი გააბოლა.

—ოხ, იცი რას ვნანობ? შემეძლო, ის ერთი მათგანი უეცრად მომეთიშა და ავტომატიც წამეგლიჯა, მაგრამ... მეორეც იდგა ცოტა მოშორებით, ისიც ავტომატით დამიზნე-ბული ჩემსკენ.

—ნუ ღელავ, ისეთი წინაგრძნობა მაქვს, რომ მანქანა დაგიბრუნდება — დაამშვიდა გაბომ და თხოვა — მომიყევი თავიდან, საიდან მოდიოდი, რა ადგილას შეგემთხვა, რანაირები იყვნენ?

—როგორ იყო, ძმაო, იცი? დღისით — მზისით, ორი საათი იქნებოდა, ობიექტიდან მოვიდიოდი. დასახლება გავიარე. ინსპექციის ჯიხურს გავცილდი. არავინ ჩანდა. მარადმწვანე ხეები რომ იწყება, იქ ხომ იცი, თითქმის ორი კილომეტრი დასახლება არ არის. საუბედუროდ, არც უკან მომყვებოდა მანქანა და არც წინ ჩანდა. შორიდან, მარჯვნივ შევნიშნე

ხეებში ორი ადამიანის ფიგურა. არ მომეწონა. გავიფიქრე, შევჩერდები მანქანების გამოჩენამდე – მეთქი, მაგრამ ვერ გადავწყვიტე. ამასობაში ერთი ყაჩაღი ამოსკუპდა გზაზე ავტომატით. ნიღაბი ჰქონდა. „შეჩერდიო" მანიშნა ხელით. გზის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. მეორეც იგივე ფორმით გამოვიდა ოციოდე მეტრის დაშორებით. აუცილებლად მესროდნენ. მანქანა გავაჩერე, ჩავაქრე და საიდუმლოზე გადავრთე. არ ჩამოესულვარ. შემოიარა ჩემსკენ ერთ–ერთმა;

—არ ჩააქრო მანქანა! დაქოქე! ჩამობრძანდი და „ბაგაჟნიკი" შევამოწმოთო! – მიბრძანა. გასაღები გავუწოდე, გააღეთ და შეამოწმეთ – მეთქი.

—რაც გიბრძანეთ, შეასრულე სასწრაფოდ, თორემ ადგილზე მიგახვრიტავ! – დაიღრიალა მან. კარის გაღება და ჩამოსვლა დავაპირე. „დაქოქე–მეთქი!" საიდუმლო გამოვრთე და დავქოქე.

—ჩამოეთრიე!.. მეორემ ავტომატი დააჩხრიალა, ალბათ, ტყვია მისცა პირში. ჩამოვედი ისე ახლოს მედგა გვერდით, რომ სწრაფად შემეძლო გამეთიშა და ავტომატიც წამეგლიჯა. ფიზიკურად სუსტი და დაბალი ტანის იყო. მეორე უფრო მაღალი. ვერ გავრისკე. მხედრიონის თუ „ზვიადისტების" ფორმაში იყვნენ. წვერი მოშვებული ჰქონდათ, მარტო თვალები უჩანდათ. ჩამოსვლისთანავე ვიცოდი, რომ მანქანა დავკარგე.

—ნუ ნერვიულობ, მანქანა არ დაიკარგება – მიუგო გაბომ და კბილები გააკრაჭუნა...

—ჩაჯდა „ვაჟბატონი", მეორეც ჩაისვა და გააგრძელეს გზა წინ.

მე ფეხით გავყევი უკან. ორასიოდე მეტრი არ ვიქნებოდი გავლილი, რომ წინ მანქანა გამოჩნდა. სწრაფად მომიახლოვდა. ჩემი მანქანა იყო. ნომრები მოუხსნიათ. გამიქროლეს, ალბათ, 120–130 კმ/სთ სიჩქარით. არც მოუხედავთ ჩემსკენ. მალე მოტოციკლით ნაცნობი დამეწია. გამიჩერა და სახლში მომიყვანა. ეს არის და ეს– დაამთავრა კაკომ.

—როგორ ფიქრობ, ვინ იქნებოდნენ?

—რადგან ნიღაბი ჰქონდათ, შესაძლოა ადგილობრივები იყვნენ, მიცნობდნენ კიდეც.

—ვინმე ნაცნობის ხმას ხომ არ მიამსგავსე?

—მას, ვინც მელაპარაკებოდა, მგონი სვანის კილო ჰქონდა. მეორე შორს იდგა, ხმას არ იღებდა, უფრო მაღალი და ტანადი, მხოლოდ თვალები და ტუჩი უჩანდათ ოდნავ.

—შენ რომ დაგეწია მოტოციკლით, არ გიკითხავს, შეხვდა თუ არა უნომრო თეთრი ჟიგული?

—შეეკითხე, არ შემხვედრიაო. შენი მანქანის გავლიდან დაახლოებით რამდენი წუთის შემდეგ დაგეწია მოტოციკლი? ვინ იყო და საიდან მოვდივარო?

ერთი—ორი წუთის შემდეგ. თვითონ მითხრა: „ოცი კილომეტრი ისე გავიარე, რომ მანქანა არ შემხვედრიაო". უბრალო ნაცნობია, სახელი არ მახსოვს.

—გამომდინარე აქედან, მათ ცენტრალური გზა არ გაუგრძელებიათ. შეუხვევდნენ ან მარჯვენა ან მარცხენა სოფლისაკენ.

—ხშირი შემთხვევაა ბოლო დროს მანქანების დატაცება. არ უნდა იაროს კაცმა მანქანით, მით უმეტეს მარტო. შენ, ძმაო, გირჩევ, დროებით დააყენო მანქანა. შეიძლება მალე ბოლო მოელოს ამ ყაჩაღობას — უთხრა კაკომ გაბოს.

—ჩემს მანქანას ადვილად ვერ გაიტაცებენ!

—პირიქით, უფრო მოსალოდნელია, რუსეთის ნომრები ხომ აქვს? როდის გადაიფორმებ?

—როცა მინდა. რა მეჩქარება, გენერალური მინდობილობა მაქვს. ძვირი დამიჯდა, მაგრამ საუკეთესო მანქანაა. მარტო „სეკრეტი" მანქანის ფასის მეხუთედი ღირს.

—„სეკრეტი" რას გიშველის? ჩემსასაც კი ჰქონდა, მაგრამ დამაქოქინეს და ისე ჩავაბარე.

—ჩემი მანქანის „სეკრეტი" მართლა რომ საიდუმლოა. შენ ვერ დაგიმალავ, თორემ სხვას არ ვეტყოდი.

—კაკო, დამაგვიანდა, მაგრამ გთხოვ სადილი მიირთვათ — მიიწვია ისინი კაკოს მეუღლემ — ლელამ.

—ეხლავე გეახლებით, — მიუგო კაკომ და ფეხზე წამოდგა.

—მოკლედ გეტყვი, — გააგრძელა გაბომ — მანქანის ძრავაზე შიგ ისეთი იაპონური მიკროაპარატია დამონტაჟებული, რომ კაცი ვერ მიხვდება. მისი ჩართვა და გამორთვა ხდება მაღალი სიხშირის პატარა ღილაკიანი აპარატით, რომელიც შეიძლება

მიაკერო პიჯაკის იღლიაში ან სხვა ნებისმიერ საიდუმლო ადგილას, ოღონდ ხელთან ახლოს. მეორე მიკროაპარატი ბინაშია დამონტაჟებული. აპარატის მოქმედების რადიუსია ათი—თორმეტი კილომეტრი. მანქანის საბარგოში გაზის მიკრობალონებია ჩადგმული ისე, რომ უცხო კაცი თუ გააღებს კარს, ავტომატურად ონკანი გაიღება და ბალონები გაზს გაუშვებს, იმ წამსვე უცხო კაცი თუ ქურდი გაითიშება და საბარგოში ჩაიყვინთება. მოთიშული იქნება ათიოდე წუთი. არ მოკვდება, მაგრამ გონს რომ მოვა, მთვრალივით იქნება კიდევ ათი წუთი. ჩემს ხელში მყოფი პატარა აპარატის ღილაკს რომ დავაჭერ, დაქოქილი მანქანა ჩაქრება და ბინაშიც ზარი აწკრიალდება, საიდუმლო ზარი, მხოლოდ ნელი ხმით. ეს ქალისათვის ნიშანია, რომ ათ წუთში მოვალ სადილზე, ან რაღაცა მიჭირს, გაიგე? — დაამთავრა გაბომ და წამოდგა.

—ოოო, ეს მართლა ასე თუ არის, უცხო რამე გაგიკეთებია, ძმაო, შეამოწმე? — ჰკითხა კაკომ.

—აბა, როგორ? — უბრალოდ ხომ არ გადავიხდიდი იმდენ თანხას?

—კარგია, კარგი. წამობრძანდი, ვისადილოთ, თუმცა მალე ვახშამის დროც მოვა და თითო შუშაც შევსვათ. (კაკო შუშას ეძახდა ორლიტრიან ღვინის ჭურჭელს — გრაფინს).

მეორე დღეს დატრიალდნენ კაკოს მეგობარ—ამხანაგები. ორ—ორად დადიოდნენ ქალაქშიც და სოფლებშიც, რათა გაეგოთ კაკოს მანქანის ბედ—იღბალი. მეექვსე დღეს, რამდენიმე საფეხურის ავლით, ყაჩაღებმა შემოუთვალეს ფულითითქმის მანქანის ღირებულების ნახევარზე მეტი. კაკოს ამ თანხის გადახდის საშუალება არ ჰქონდა და საპასუხოდ შეუთვალა: „ფული არ მაქვს, მანქანა ჰყავდეთ და დარჩენილი ფასი გამომიგზავნონო“. მეგობარ—ამხანაგებმა მოილაპარაკეს, ჩვენ დავეხმაროთ, ფული მოვაგროვოთო. გაბომ ითხოვა, ერთი კვირაც მოვითმინოთ და მერე მოვილაპარაკოთო...

გაბო ძალიან დაინტერესდა იმ ყაჩაღებთან შეხვედრით. „თუ კაკოს ჩამოართვეს მანქანა, ისინი მეც ჩამომართმევენო“, და ყოველდღე დილით, შუადღეს და ნაშუადღევსაც მარტოდ მარტო დადიოდა თავისი შავი 24-10-ით იმ ადგილას, სადაც

კაკოს შეხვდნენ ყაჩაღები. მარჯვენა და მარცხენა სოფლებშიც შედიოდა დაახლოებით ორი—სამი კილომეტრის სიღრმეში. ენატრებოდა ცარიელი „ტრასა“, მყუდრო გზა და მათი შეხვედრა. ასეთი მიზნით და ჯავრით იარა ხუთი დღე უშედეგოდ.

მეექვსე დღეს ბინაში ისადილა. ორი საათი არ იქნებოდა, როცა მეუღლეს დაუბარა, კაკოს მივაკითხავო. მანქანის „ბაკში“ ყოველთვის ხუთი—ექვსი ლიტრი ბენზინი ესხა, მაგრამ ბენზინის მაჩვენებელი ნულზე იდგა. ხუთლიტრიანი პლასტმასის ჭურჭელი ბენზინით სავსე საბარგოში მოშორებით, მარჯვენა კუთხეში, ჰქონდა შენახულივით. მის ირგვლივ სპეციალური გაზის პატარა ბალონები ერთ კოლექტორზე მიერთებული, არ ჩანდა. ეს ყველაფერი საიდუმლოდ იყო მოწყობილი. გაბო ჩაჯდა მანქანაში. დაქოქა და გაემგზავრა კაკოსკენ კი არა, ისევ იმ ადგილისაკენ, სადაც ხუთი დღე ყაჩაღების გამოჩენაზე ოცნებობდა. უახლოვდებოდა საშიშ ზონას, სადაც კაკოს ყაჩაღები დაესხნენ და თან ნერვიულობდა. თითქმის ორი კილომეტრი „ტრასა“ სწორი და ცარიელი იყო. ვიღაც შავებში ჩაცმული ქალი მოჩანდა დაახლოებით ხუთასი მეტრის იქით. მიუახლოვდა თუ არა, ქალმა გაბოს მოფიქრებული ცქერა დაუწყო. მარჯვენა ხელი გულმკერდს მიუახლოვა და დაუქნია „არას“ ნიშნით, არ წახვიდეო. გაბო მიუხვდა, არ დაიბნა. თითქოს არ შეუმჩნევია, გზა გააგრძელა, თავში ათასი რამე დაატრიალა, ცოტა არ იყოს შიშმაც აიტაცა, გამაგრდა. ქალმა საწყალი თვალები გააყოლა და „ვაი დედასა!“ — მიაძახა. ექვსას მეტრამდე ექნებოდა დარჩენილი მარჯვენა და მარცხენა სოფლების შესახვევამდე, რომ უეცრად ხის ბუჩქებიდან მაღალი კაცი ამოსკუპდა ნიღბით და ავტომატით ხელში. გააჩერეო! ანიშნა გაბოს ხელით. „არის, არ დაიბნე, გაბო“, — უთხრა თავისთავს და გააჩერა. მანქანა არ ჩაუქრია. ნიღბიანი და ავტომატიანი მიუახლოვდა.

—გისმენთ, ბატონო! — უთხრა გაბომ თავაზიანად.

—მეგობარო! სასწრაფო ოპერაცია გვაქვს ჩასატარებელი. მანქანა უნდა გვათხოვოთ — უთხრა მაღალმა ყაჩაღმა. იგი

თითქმის გაბოს სიმაღლის იყო, მაგრამ გაბო უფრო ჯანსაღად გამოიყურებოდა. მეორე, სუსტი, დაბალი, ავტომატიანი და ნიღბიანი მანქანას აღუდგა წინ. ორივეს წვერი მოშვებული ჰქონდა.

—კაკოს „მეგობრებია“ — გაიფიქრა წამით გაბომ.

—გენაცვალოთ ჩემი თავი, თუ სასწაფოა, მობრძანდით დაბრძანდით და მოგემსახურებით! უთხრა ბოხი ხმით და ღიმილით გაბომ, თან უკანა კარები გააღო.

—თქვენ საჭირო არა ხართ! მანქანა დაგვითმეთ! — უბრძანა მაღალმა.

—კი ბატონო, ოღონდ ოპერაციის შემდეგ, რომელიც, ალბათ, მალე დამთავრდება, უკან დაგვიბრუნებთ! —უთხრა გაბომ ცოტა უხეშად და ჩამოვიდა მანქანიდან. მაღალი ყაჩაღი საჭეს მიუჯდა, დაბალი — გვერდით და გაბოს ღიმილით უთხრა: „დაგიბრუნებთო“. „ნამდვილად! ნამდვილად!“ — უთხრა გაბომ და დაამატა — ბიჭებო, თუ დაგჭირდათ ბენზინი „ბაგაჟნიკშია“, მგონი „ბაკში“ მალე დამთავრდება. მე ახლოს მიედივარ, ფეხით წავალ. ბოლომდე კი არ მოუსმენიათ, გააქროლეს. გაბო ფეხით გაპყვა უკან. „ზრდილობიანი კაცი ყოფილა“, — უთხრა დაბალმა მაღალს და უკან მოიხედა. გაბომ ხელი დაუქნია, „მალე დაგეწევითო“, — მიაძახა ხმა-მაღლა. თხუთმეტი — ოცი მეტრი ექნებოდა გაბოს გავლილი, რომ მისმა მანქანამ მარჯვენა სოფლისაკენ შეუხვია. მანქანა მიიმალა თუ არა, გაბომ აპარატის ღილაკს თითი დააჭირა. (ადრე იმიტომ არ დააჭირა, რომ მოსალოდნელი იყო, გაბოსთვის ებრძანებინათ ბენზინის ჩასხმა). მანქანა ჩაქრა. გაბოს ბინაში საიდუმლო ზარი აწკრიალდა. გაბომ სიჩქარეს მოუმატა. შესახვევამდე ხუთასამდე მეტრი იქნებოდა დარჩენილი.

—ბენზინი გამოილია, მაგისი დედა ვატირე! — თქვა მაღალმა.

—ვაიმე! სადილი ხომ ეხლა მიირთვა? რაღაცა სჭირს გაბოს!— მიაძახა გაბოს მეუღლემ — ნელიმ და ყურმილი აიტაცა.

—ბენზინი „ბაგაჟნიკშიაო“, ხომ გვითხრა იმ ჯიგარმა? — მიუგო პატარამ.

—ხო, მართლა, ჩქარა! მე ბენზინს ჩავასხამ, შენ წინა ნომრები მოხსენი, ქენი, სანამ ვინმე მოგვისწრებდეს! დაბალი წინ წავიდა, მაღალი — უკან. „ბაგაჟნიკის“ კარი გააღო, პლასტმასის ჭურჭელს თვალი მოჰკრა. ხელი და თავი რომ შეჰყო — ვაიმე! — მიაძახა და იქვე ჩაიყვინთა. „რა იყო, ბიჭო! ბენზინი არ ყოფილა?“ — თქვა დაბალმა და ნომერიც არ მოუხსნია, ისე გაექანა მისკენ.

—რა მოგვიდა? თავი ხომ არ მიარტყ...— ვერ დაამთავრა სიტყვა და ისიც ჩამოეკიდა საბარგოზე. ორივე გაითიშა. გაბო მოსახვევს მიადგა. ორმოციოდე მეტრში ხედავს, რომ ორივეს დიდსა და პატარას საბარგოდან ფეხები და უკანა ნაწილი მოუჩანს, თითქოს შიგ რაღაცას ეძებენო.

ცენტრალურ გზაზე, შორს, ორი ადამიანის ფიგურა მოჩანდა, სოფლის გზაზე — არავინ. სახლები მიყრუებული იყო. ალბათ, ეშინოდათ გარეთ გამოხედვის, ან არავინ იყო სახლებში.

—ოპერაცია დაამთავრეთ, ბიჭებო? — მიაძახა გაბომ ცოტა შორიდან. არ დაიბნა. სუნთქვა შეწყვიტა. წინა საჯდომიდან ბალონების კოლექტორი გადაკეტა. უკანა კარი გააღო. ავტომატებს ვაზნები მოხსნა და წინა საჯდომზე მიაყუდა. ვაზნები უჯრაში შეინახა. პატარა ყაჩაღი აიყვანა და უკანა საჯდომზე გადმოასვენა. ბენზინის ბალონი და მიკრობალონებიც წინ გადმოიტანა. ჩქარა მოქმედებდა. მაღალი ყაჩაღი ჩაკეცა საბარგოში და კარი ჩაკეტა. აპარატის ღილაკს თითი დააჭირა. ბინაში საიდუმლო ზარის ხმა შეწყდა. მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა და მოაბრუნა. „პახმელიაზე კაკოსთან გამოგიყვანთო“ — ჩაილაპარაკა და გზას გაუდგა. პიჯაკის ქვედა მარჯვენა ჯიბეზე მიკრობალონი მოისინჯა. გზაში დასჭირდებოდა, რადგან იცოდა რომ ყაჩაღები გზაში გამოიღვიძებდნენ...

ნელიმ კაკოს დაურეკა:

—ბატონო, კაკო გაბო თქვენთან არის?

—არ მოსულა, ქალბატონო ნელი, რაშია საქმე, აღელვებული რომ კითხულობ?

—საიდუმლოდან ზარი გამოვიდა, თხუთმეტიოდე წუთის

წინ ისადილა და გავიდა, კაკოს მივაკითხავო, რაღაც უბედურება შეემთხვა, ღმერთო რა ვქნა?

—დამშვიდდი, ეხლავე ბიჭებს დავურეკავ, შეიძლება ვანოსთან ან რაჟდენთან შეიარა და მათ უხსნის საიდუმლოს. გავიგებ და დაგირეკავ — უპასუხა კაკომ.

...გაბოს საბარგოში ხმაური მოესმა. „გამოეღვიძა“ — გაიფიქრა და მის მხარზე „ფორტოჩკა“ გამოაღო. მალე მის უკან მწოლარე პატარა „სტუმარმაც“ ამოიკვნესა.

—დილა მშვიდობისა, „მეგობარო“! — მიაძახა და პატარა დოზით გაზი შეაშხაპუნა — ტკბილი ძილიო — დაამატა.

მაღალი ტყვე „ბაგაჟნიკში“ ბრახუნობდა.

—მოითმინეთ, მოითმინეთ! ოპერაციას მოვრჩები და კარსაც გაგიღებო! — მიაძახა ხმამაღლა გაბომ.

პატარა ჯერ კიდევ გათიშული იყო, როცა გაბომ მანქანა კაკოს და გოგის ჭიშკარს მიაყენა. ლელა და გოგი ეზოში იყვნენ. შორიდან იცნეს გაბოს მანქანა. და ჭიშკარი გაუღეს. კაკომ ფანჯრიდან რომ შენიშნა გაბოს მანქანა, უცებ ნელის დაურეკა: „დამშვიდდი, ნელი, გაბო მანქანით ეზოში შემოვიდაო“.

—ოხ, მადლობა ღმერთს, ზარიც შეწყდა, მაგრამ საინტერესოა, რა შეემთხვა?

—ჯერ გავიგებთ და მერე დაგირეკავთ — მიუგო კაკომ და ყურმილი ჩამოკიდა.

ლელა შეკრთა, ავტომატები და უცნობი მწოლიარე კაცი ეუცხოვა.

—ნუ გეშინია, ალბათ, გაბოს ოპერატიული მუშაობის შედეგია — დაამშვიდა გოგიმ.

გაბომ მანქანა კაკოს სახლის უკანა კიბესთან შეაყენა. კაკო გარეთ გამოვიდა. გაბო ამაყად გაჭიმული ჩამოვიდა მანქანიდან და კაკოს ღიმილით შეხედა.

—რა გაცინებს, კაცს ძებნა გაქვს გამოცხადებული, რა მოგივიდა? ნელი გაგიჟებასაა— უთხრა კაკომ.

—აგერაა ძიების შედეგი — მიუგო გაბომ და ავტომატები და ვაზნები გადმოიღო. ვაზნები მოარგო. ერთი თვითონ

დაიკავა, მეორე გოგის გადასცა და კაკოს გასაღები მიაწოდა. ლელა შეშინებული სახლში შევიდა.

—საბარგო გააღე და ნახავ შენს „ძმაკაცს“ — უთხრა გაბომ კაკოს. კაკომ ნელა საბარგოს კარი გააღო. „ბაგაჟნიკიდან“ ნიღაბმოხსნილი, წვერმოშვებული მაღალი, ტანადი კაცი ძლივსძლიობით გადმობაჯბაჯდა. „მესროლეთ! ალალია ჩემთვის!“— ამოილუღლუღა მან.

—ტიფო ხარ, შე უბედურო!? — იცნო კაკომ.

—მოკვდი და ეს არის, „იონოვიჩ“, მესროლეთ!

—ავტომატები შიგ შეინახეთ! — მიუბრუნდა კაკო გაბოს და გოგის. გაბომ იარაღი გოგის გადასცა. გოგიმ ვაზნები მოხსნა და ყველა ერთად კაკოს ოთახში შეიტანა.

—მეორე გოჯი ვინ არის? — ჰკითხა გაბრაზებულმა გაბომ ტიფოს.

ტიფო „კლიჩკა“ იყო, ნამდვილი სახელი ტრიფონი, ყოფილი ფიზიკის მასწავლებელი.

—სად არის? — გაიოცა ტიფომ.

—ოპერაციას გადაჰყვა, შიგ აგდია მანქანაში.

—მოკვდა?

—მკვდრებს რითი სჯობნით, თქვე საცოდავებო!— უპასუხეს მას.

—მალე გამოცოცხლდება, როგორც შენ საბარგოში — მიახალა გაბომ.

—მეორეც აქ არის? — იკითხა კაკომ.

—აქ არის! — მიუგო გაბომ.

ლელა ფანჯრიდან იყურებოდა. მიხვდა, თუ რაში იყო საქმე, გარეთ გამოვიდა.

—მილიციას დავურეკო? — ჰკითხა კაკოს.

—არ გინდა, ჩვენ გავასამართლებთ — მიუგო კაკომ.

—ტიფო! მიდი გადმოათრიე შენი ძმაკაცი, უკვე დროა, გამოიღვიძოს. ოპერაციას ხომ მორჩით? მანქანა ხომ დამიბრუნეთ? სიტყვის პატრონი კი ყოფილხართ „ძმაო“ — უთხრა გაბომ ირონიულად... ტიფომ მანქანის უკანა მარჯვენა კარი გააღო, მეგობარი გამოათრია. ფეხზე დააყენა. მან დაამთქნარა. გაბო მივიდა, ნიღაბი ახადა და იცნო.

—დილა მშვიდობისა, „ბატონო“ ილიჩ! — მიესალმა.

—შენა ხარ, ილიჩ? ყოჩაღ, კარგი პროფესია აგირჩევია! —მიახალა კაკომ.

ლელა და გოგი გაკვირვებულნი იდგნენ. მათთვის აბსოლუტურად უცნობი იყვნენ ისინი. ილიჩი მათემატიკის მასწავლებელი იყო. ტიფო და ილიჩი სოფლის სკოლაში მუშაობდნენ. ზვიადისტები გახდნენ. ბავშვებს სკოლა არ უნდათო და თვითონაც მიატოვეს სკოლა. მიტინგების დიდი გულშემატკივრები გახდნენ, პრეზიდენტის ჩამოგდების მერე იარაღიც ჩაიგდეს ხელში, წვერი მოუშვეს და ყაჩაღობით გამდიდრებას შეუდგნენ. ამჟამად კი ორიეე თავდახრილი იდგა. ილიჩი ნასვამივით იყურებოდა.

—ლელა! — მიმართა კაკომ

—ბატონო;

—„ჩვენი“ ბიჭები ყოფილან, დაურეკე ნელის, ნუ ნერვიულობს, გაბოს ცოტა შეაგვიანდება და ყველაფერი რიგზეა — თქო. მერე დაურეკე ოთარს, ფოტოაპარატით და მაგნიტოფონით ხელში სასწრაფოდ მოვიდნენ, ზურიკელას, ვანოს, რაჟდენს და სხვა ბიჭებსაც, შენ იცი, ვინცაა საჭირო. გაიგე? ჰოდა, სანამ ჩვენ აქ ვიმსჯელებთ და საქმეს გავარჩევთ... ხომ იცი რა მინდა ვთქვა... და მოგვიმზადე... ლელა დიდ სახლში შევიდა. კაკომ გაბო, გოგი და ორი „სტუმარი“ პატარა სახლისაკენ მიიპატიჟა. ისინი მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ.

—ტიფო, ბატონო ილიჩ! ხომ ვართ ეხლა ჩვენ მრგვალი მაგიდის წევრები? — დაიწყო კაკომ.

—კი, ბატონო— ჩაერთო გაბო — ჩვენ ეხლა ვსხედვართ მრგვალ მაგიდასთან, ესენი — ჩვენი „სტუმრები“, ზვიადისტები, დიდი ხანია „მრგვალ მაგიდას — თავისუფალ საქართველოს მართავენ და სახელს უხვეჭენ მას!..“ — კარი გაიღო.

—გამარჯობა თქვენი! — მიესალმა ხმამაღლა ოთარი; ფოტოაპარატი და მაგნიტოფონი კარებთან, კუთხეში მდგარ პატარა მაგიდაზე დააწყო. ოთარი დაბალი და კოჭლი იყო, მაგრამ ცოცხალი და თავისი საქმის მცოდნე.

—მობრძანდით, ოთარ, მობრძანდით, — მიიწვია გაბომ.

ოთარი მრგვალ მაგიდას მიუჯდა. სტუმრებს შეხედა, ისინი თავჩაღუნულნი იყვნენ, ვერ იცნო. მალე ზურაბიც შემოვიდა, მიესალმა მათ.

—იცნობდეთ, კარგად შეხედეთ, ჩვენი „მეგობრებია“, ფიზიკის და მათემატიკის ყოფილი მასწავლებელი, ამჟამად ჩემი მანქანის მფლობელნი, გაბოს მახეში გაებნენ, — მიმართა კაკომ ოთარს და ზურის.

—კეთილი, — ჩაიცინეს მათ.

—თქვენ მართლა პედაგოგები ბრძანდებით?— იკითხა გოგიმ.

—ვიყავით, — მიუგო თავჩაღუნულმა ტიფომ.

—მერე, იცით თუ არა, რომ ადამიანობას, მის ღირსებას ვერც ფიზიკის კანონები გვასწავლის და ვერც მათემატიკური ფორმულები. არც მატერიალური სიმდიდრე გამოდგება მის საზომად, თუნდაც რომ პატიოსანი შრომით იყოს შეძენილი; ადამიანური ღირსება ადამიანშივეა და არა მის გარეთ — შეახსენა გოგიმ.

—ვიცოდით, ბატონო, ვიცოდით — ამოილუღლუღა ილიჩმა სვანური კილოთი და წყალი ითხოვა. ოთარი ადგა. სამზარეულოში შევიდა და ჭიქით წყალი ილიჩს მიაწოდა. ილიჩმა წყალი დალია და ლაპარაკის გაგრძელება დააპირა... მაგრამ...

—მოიცადეთ! — თქვა კაკომ, მერე ოთარს მიუბრუნდა, — ოთარ, მოიტანე და ჩაგვირთე მაგნიტოფონი! ჩავწეროთ ჩვენი გულღია საუბარი. მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე!...

—ნუ გვიზამთ მაგას. ხვალ თქვენს მანქანას დაგიბრუნებთ, ოღონდ ერთ-ერთი გაგვიშვეთ აქედან, — ითხოვა ტიფომ.

—მოითმინეთ, მოითმინეთ! მარტო ჩემს მანქანაზე როდია აქ საქმე!?— უბრძანა კაკომ.

—ეხლა ჩვენ მიგვყავს ოპერაცია, — ჩაერთო გაბო — თქვენ ხმის უფლება არა გაქვთ. მთავარი მსაჯული კაკოა; რა განაჩენსაც გამოიტანს, ის უნდა შესრულდეს, შეიძლება დასჯის უმაღლესი ზომა გამოიტანოს, შენ კიდევ გაშვებას თხოულობ!? — დაამთავრა გაბომ და ტიფოს სიბრაზით შეხედა. სიჩუმე ჩამოვარდა...

—შეიძლება? — შემოაღო კარი ვანომ. მიესალმა ყველას.

—იცნობდეთ ვანოს! მობრძანდით, — მიეგება გაბო: კაკო ფეხზე ადგა. ოთარმა, ზურაბმა და გოგიმ ხელი ჩამოართვეს. „სტუმრები“ თავჩაღუნულები ისხდნენ.

—ნელიმ დამირეკა, გაბო კაკოსთან არისო, მანამდე შენც დაგირეკია, მერე ლელას დაურეკია, ეხლა მოვედი და უცებ წამოვედი, ჩაამწკრივა ჩქარ-ჩქარა ვანომ და ცალკე სკამზე ჩამოჯდა.

—შემოგვიერთდით, — მიიწვია კაკომ.

—არა, მე მრგვალი მაგიდის წევრი არ ვარ. აქ რომ ვიყო, ხელს ხომ არ შეგიშლით?

—არა, ბატონო, პირიქით, საჭირო ხართ. გაიცანით, ეს „ვაუბატონები“ ისინი არიან, გაბოს მახეში გაებნენ. მობრძანდით, შეხედეთ, შეიძლება იცნობდეთ კიდეც — უთხრა კაკომ ვანოს. ვანო ადგა და დაიწყო ლაპარაკი: „ეხლა მოდაშია წვერის ჩამოშვება, ბევრი ნაცნობი ვერ მეცნობა. „ზვიადისტები“ იქნებიან, ალბათ, მიუახლოვდა მათ, თავი დასწია და შეხედა კარგად.

—ვახ, ეს ტიფოა! ეს კიდევ ილიჩი! როგორ ვერ ვიცანი? რამ გადაგრიათ, თქვე უბედურებო? პატიოსანი ადამიანები, პედაგოგები, ვის აყევით? გიჟებს?— გაიკვირვა ვანომ და მრგვალ მაგიდას მიუჯდა.

—გვეყოფა, საქმეს მივყვეთ! — თქვა კაკომ. ოთარმა მაგნიტოფონი ააწყო, მაგიდის ცენტრში დადო და ჩართო.

—ეხლა ეს იყოს პრეზიდენტი. უამბეთ ყველაფერი სიმართლე. მას ხომ უყვარს სიმართლის თქმა...

—„ბატონო“ ტრიფონ და ილიჩ, — დაიწყო კაკომ — ორივეს გეკითხებით, მიცნობდით თუ არა მე და თუ მიცნობდით როგორ?

—გიცნობდით, დიდი ხანია, — დაიწყო ტიფომ — ჩვენი სკოლა თქვენი აშენებულია. თქვენ ვინ არ გიცნობთ რაიონში?

—ბავშვმაც კი იცის ვინ არის კაკო — დაამატა ილიჩმა.

—მაშ, რატომ გამტაცეთ მანქანა?

—ჩვენს გვყავს უფროსი. ის გვაძლევს ყოველთვიურ გეგმას და მისი მიხედვით — ანაზღაურებას. თუ გეგმა ვერ შევასრულეთ, იარაღს წაგვართმევს და სამუშაოდან მოგვხსნის.

ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ, ხანდახან ნაცნობიც გავ-ძარცვოთ და ზოგჯერ – ნათესავიც. ამ ოხერ ნიღაბსაც იმიტომ დავათრევთ – თქვა ილიჩმა.

—ილიჩ, თქვენ უფრო ხანდაზმული მასწავლებელი ბრძანდებით. როგორ მიგაჩნიათ თქვენი მოქმედება?

ილიჩი ორმოცდახუთი წლის იყო, ტიფო – ოცდათვრამეტის.

—რა თქმა უნდა, ცუდია და დამღუპველი – მიუგო ილიჩმა.

—თქვენი უფროსიც, ალბათ, ლაპარაკობს ზვიადისტი ვარო. —ზვიადი ამგვარი საქციელის წინააღმდეგი ხომ იყო? რომ შეგეკითხო, ვინ არის თქვენი უფროსიო, ვიცი, რომ არ მიპასუხებ, მართალიც იქნები. ის ხომ იცით, რომ თქვენ და თქვენისთანები არცხვენენ და სახელს უტეხენ ზვიადს. სახელს უტეხთ მთელ საქართველოს ხალხს. იცით თუ არა, რა სასჯელს იმსახურებთ თქვენ დღეს?! – თქვა კაკომ ცოტა ბრაზიანი კილოთი.

—გთხოვთ, გვაპატიოთ, – დაიწყო ილიჩმა ფეხზე დგომით, – ჩვენს დანაშაულს და შეცდომებს ჩვენ გამოვასწორებთ და გთხოვთ, რომ გაიხსენოთ გულწრფელი მონანიების შემთხვევაში თვით უმძიმესი შეცოდებაც კი უნდა აპატიო ადამიანს. ამით შენ ორ დიდ საქმეს გააკეთებ: საკუთარ ადამიანობას დაადასტურებ და ოდესღაც ცოდვილს პატიოსან ადამიანთა შორის მიუჩნევ ადგილს – თქვა ილიჩმა. არ დაჯდა. ტიფო წამოდგა. თავი ასწია. გულზე ხელები დაიწყო...

—გთხოვთ, შეგვიცოდოთ, ჩვენი ბრალი არ არის, ღმერთო. თქვენ კარგად იცით, ვინ არია ეს აწყობილი ქვეყანა— მოისაწყლა თავი და სხვას გადააბრალა ტიფომ.

—იცით, რას გეტყვით, ბატონო ტრიფონ? – ჩაერია ზურაბი – შენი სახელის დასაცავად სხვას მსჯავრს ნუ დასდებთ, ეს იმას ემგვანება —ვითომც საკუთარი ღირსება არ გაქვთ და მისგან სესხულობთ... ტიფო გაჩუმდა. თავი ჩაღუნა.

—კაკო, – დაიწყო ვანომ – გაიხსენე ბრძნული სიტყვები: „მდგომარეობამ თუ მსაჯულის კვერთხი გიბოძა, კარგად ატარებ მას მხოლოდ მაშინ, როცა განსჯის დროს საკუთარ თავს განსასჯელის სკამზე წარმოიდგენ“.

—ერთი წუთით, — თქვა კაკომ. ადგა, სამზარეულოში შეევიდა. იქ ლელა საქმით იყო გართული. „ათ წუთში მოვრჩებითო.“ უთხრა მას კაკომ და გარეთ გავიდა. სიგარეტი გააბოლა. გაიხსენა ბრძენის ნათქვამი: „მსაჯულობა თუ დაგაკისრეს, არ გადიდგულდე, არც ის იფიქრო, სამუდამოდ მათ სკამს შერჩები. უნდა იცოდე, დღეს თუ მსაჯულობ, ხვალ იქნებ შენი განსჯის დღე დადგეს“. სიგარეტი მოქაჩა, გააბოლა, დააგდო, თავი დააქნია და ნელა უკან დაბრუნდა. ისევ სამზარეულო გაიარა. ლელას თავზე ხელი გადაუსვა, მალე მოვრჩებითო, — ოთახში შეევიდა. მრგვალ მაგიდას მიუჯდა. ოთარს ხელით ანიშნა მაგნიტოფონი არ ჩართოო, მერე დინჯად დაიწყო.

—გთხოვთ ყველას, სწორად გამიგოთ, დღევანდელი დღის დამადასტურებელი საბუთები მარტო მე მექნება საიდუმლოდ სეიფში შენახული. განაჩენი ასეთი მაქვს. გამოტანილი! — ყველამ თავი ჩაღუნა... — რა თქმა უნდა, არა უმკაცრესი, — ყველამ თავი ასწია — დადგებიან ყოფილი ყაჩაღები, (ყოფილს იმიტომ ვხმარობ, რომ იმედი მრჩება შემობრუნდებიან ისევ ჩვენსკენ) კუთხეში, სურათს გადაუღებენ. იტყვიან, ვინ ვინ არის, რას ეწეოდნენ, მომავალში რას ფიქრობენ; ჩაიწერენ ყველაფერს და მე ამით ვამთავრებ დღევანდელ სხდომას. ბოლოს, თუ გულწრფელად მოინანიებენ, თითო შუშასაც გადავკრავთ. დანარჩენი მათ სინდისზე იყოს.

—გავუშვათ? — იკითხა გაბომ

—ვნახოთ, როგორ მოიქცევიან და რა პირობას მოგვცემენ. სიტყვა—სიტყვა უნდა იყოს!— დაამთავრა კაკომ. ბრალდებულები ერთდროულად, უსიტყვოდ კუთხესთან მივიდნენ. სიმაღლის მიხედვით დადგნენ. ოთარმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა.

—მოითმინეთ! — მიაძახა გაბომ, გარეთ გავიდა, მანქანიდან ნიღბები გამოიტანა. შემოვიდა და პატრონებს ხელში დააკავებინა. ოთარს ეღიმებოდა. სურათი გადაუღო, ჯერ უნიღბოდ და შემდეგ ნიღბით. მაგნიტოფონი ჩართო და მიკროფონი ილიჩს გადასცა.

—დაიწყეთ! ვინ ხართ! და ა.შ., როგორც ვთქვით, — უბრძანა კაკომ.

—სურათზე მარჯვნივ მდგომი, — დაიწყო დაბალმა ყაჩაღმა, — მე — ილიჩ სვანიძე, სპეციალობით პედაგოგი, ყოფილი ზვიადისტი, მერე შეიარაღებული ყაჩაღი, ამჟამად ნაყაჩაღარი მანქანით გამოჭერილი, მრგვალ მაგიდასთან მსხდომი წევრების წინაშე, ყველა პატიოსანი ადამიანის წინაშე მოვინანიებ ჩემს ცოდვებს. და პირობას ვდებ: წერილი მოვიპარსო, ნაქურდალი და ნაყაჩაღევი ქონება, რაც მე მაქვს, პატრონს დავუბრუნო. შევუდგე ცხოვრებას პატიოსანი შრომით. მაპატიონ ჩემმა ყოფილმა მოსწავლეებმა. შევცდი არა ბავშვობით. არამედ ვერ გავუგე ახლანდელ დროს. ვერ შევეგუე გარდაქმნის პოლიტიკას. ბევრია ჩემსავით გზააბნეული. ვერ გავიგეთ დემოკრატიისა და თავისუფლების არსი. არასწორად აღვიქვით იგი. ერთმანეთში აგვერია თეთრი და შავი. აირია მსოფლიო. აირია საქართველოც; გახშირდა ბანდიტობა, ქურდობა, ყაჩაღობა, ნარკომანია, ძმათამკვლელობა, უნდობლობა, ღალატი, ტერორიზმი და სხვა უბედურება... არ მეგონა, ჩემზე უფრო პატიოსანი ადამიანი თუ დადიოდა ამ ქვეყნად... შეიშალა სამყარო, შევიშალე მეც. ვფიქრობ, „სამყარო ლოგიკის კანონებით ცხოვრობს და ამ შეშლილობას დიდხანს ვერ გაუძლებს. საქმე აქ მარტო პიროვნებებში როდია, არამედ რაღაც ზემიწიერ სისტემაში, რომელიც ადამიანებს თავისი შეუცნობელი კანონებით განაგებს“... აკაკის არ იყოს, სამი რამ მჩაგრავდა ჩემს ცხოვრებაში: „პირველს ვერ ვიტყვი, მეორეს არ მათქმევინებენ და მესამეს ვერ გავბედავო“. ეხლა კი, — განაგრძო ილიჩმა, — დემოკრატიაა. მხოლოდ საქმე ის არის, რომ ყველამ ვერ გაიგო, ყველამ რომ გაიგოს, დრო უნდა, იმედი მრჩება, დრო განკურნავს ყველა სენს. ყველაფერი თავის ჩარჩოში ჩადგება. ღმერთი არს ჩვენთან! — დაამთავრა ილიჩმა.

—ჩაგეთვალა, შეგიძლია დაბრძანდე! — უთხრა კაკომ.

—არა, ჯერ დავდგები ტრიფონის გვერდით, — მიუგო მან.

ტრიფონმაც თითქმის იგივე გაიმეორა. ოთარის მაგნიტოფონმა ყველაფერი ჩაიწერა. გამორთო.

—შეგიძლიათ მობრძანდეთ და დაბრძანდეთ — უთხრა კაკომ მოკრძალებით. ილიჩი და ტრიფონი უსიტყვოდ დასხდნენ.

—იცით, ბიჭებო, რას გეტყვით?—განაგრძო კაკომ, დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანური ღირსება აღსდგება თქვენში. სასჯელად დღევანდელი სხდომაც გეყოფათ. დანარჩენი თქვენს სინდისზე იყოს. ერთ რამეს გეტყვით; ეს არეული წლები „სატანის“ შხამით არის გაჟღენთილი, ე.ი. ჰაერი, რომელსაც ჩვენ ვყლაპავთ, „სატანისაა“. ყველა ადამიანს აქვს სხვადასხვა იმუნიტეტი და ტოლერანტობა. ზოგს ეს შხამი ჰკლავს, ზოგს აგიჟებს, ზოგს აბრუებს და ზოგს კიდევ ნაკლებად ან სულ არ ემჩნევა. აი მაგალითად, ერთ კაცს ერთი ბოთლი ღვინო ათრობს, მეორე კაცს სამი ბოთლი ღვინოც ვერ ათრობს. ხომ ასეა ზურიკელა? — ჩაიცინა კაკომ. ზურაბს შეხედა. ზურაბმა თავის ჩაქნევით დაუდასტურა... — სხდომას დახურულად ვაცხადებ! — დაამატა კაკომ.

—ოთარ, სურათებს და ჩანაწერს მხოლოდ მე გადმომცემ! — უთხრა კაკომ და ვანოს მიუბრუნდა— შენ მანქანით ხომ ხარ? — „დიახ„ — მიუგო ვანომ.

—ამ სტუმრებს ქალაქში გაიყვან! მერე, ალბათ, თვითონ იციან. ოღონდ მილიციაში ნუ მიიყვან — გაიღიმა კაკომ.

—ხო, გოგი, ის ნიღბები იარაღებთან ერთად შეინახე! — უთხრა კაკომ და მერე ყველას თხოვა: „ხუთი წუთი სუფთა ჰაერზე გავიდეთ, მანამ მალვინა და ლელა პატარა სუფრას გაგვიწყობენო. ყველაფერი მზად აქვთ, უცებ იქნება და თითო შუშაც დავლიოთ. ...ვანო მილიციის მაიორი იყო. სამმართველოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. პატარა ტანის იყო, მაგრამ დიდ საქმეებს აკეთებდა. მან გზაში ტრიფონს და ილიჩს დიდი აგიტაცია ჩაუტარა და გადაიბირა ისინი მილიციის თანამშრომლობაში, რა თქმა უნდა, ჩინებით...

სამი დღის განმავლობაში ილიჩმა და ტრიფონმა პირობა შეასრულეს...

რაც მოგივა დავითაო...

ხარკოვი. იანვრის თვე. თოვლით მოფენილი ძველი და განახლებული დიდი ქალაქი. ფართო ქუჩები და მრავალსართულიანი სახლები. ერთ—ერთი სახლის მესამე სართულზე სამოთახიან კეთილმოწყობილ ბინაში ცხოვრობს ქართული ოჯახი. გიორგის და ალინას ტყუპი გოგო—ბიჭი ჰყავთ — ლელა და გელა. დღეს მათ საქართველოდან გიორგის ბიძაშვილის შვილი — დათო ჰყავდათ სტუმრად. დათო პირველი კურსის სტუდენტი იყო და არდადეგების დროს პირველად ესტუმრა ხარკოვში გიორგის ოჯახს. გიორგი ორმოცდაათ წელს გადაცილებული იყო. მანქანების ტექნიკური მომსახურების სადგურის დირექტორად მუშაობდა. დიდი დრო იყო გასული, რაც გიორგი მშობლიურ კუთხეში არ ყოფილა. დათოს ჩამოსვლამ იგი დიდად გაახარა. წინ წარმოუდგა მათი საერთო ეზო, სახლკარი და ყველაფერი იქაურობა.

გიორგის საწოლი ოთახის ერთ—ერთ კუთხეში გამოკრული იყო ნათესავ—ახლობლების სურათები: ბაბუების, ბებიების, დედის, მამის, მამიდასი, ბიძიების, დეიდასი, დების, დისშვილების და მეგობარ—ამხანაგებისა. დათო ათვალიერებდა ამ სურათებს...

—გიორგი ბიძია, რომელია აქ ჩემი ბაბუა? — ჰკითხა დათომ.

—ესაა, შვილო. ტკბილი თავაზიანი კილოთი მიუგო გიორგიმ და თითი დაადო ბიძამისის სურათს, რომელიც დაახლოებით ორმოცდარვა წლის ასაკში იყო გადაღებული, ლამაზი, ვაჟკაცური გამოხედვით, შავი პიჯაკით, თეთრი პერანგით და ჰალსტუხით, საფეთქლებთან ჭაღარა თმებით დამშვენებული.

—ბრწყინვალე ადამიანის გამოხედვა და შეხედულება ჰქონია. რა დაემართა ისეთი, რომ ყველა მიუტოვებია: დედა, მამა, და, ძმა, შვილები და მეუღლე?

—ვერ გეტყვი, შვილო, ჩემი გაგებით, „უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი სიყვარულმა დაანგრია“. დიდი ხანია არც წერილი მიმიღია და არც დეპეშა. ადრე წელიწადში სამ—

ოთხჯერ მომდიოდა ცნობები ბიძაჩემიდან ხან კიევიდან, ხან მოსკოვიდან, ხან კიდევ ლენინგრადიდან. იწერებოდა, ვიცი რომ ყველა კარგად ხართ და მეც არა მიშავს რაო. თავის მისამართს არ წერდა, მხოლოდ მოკითხვამდეო. მიდი და ეძებე ეხლა ისეთ დიდ ქალაქებში, რომელ ქუჩაში და რომელ სახლში ჰქონდათ ბინა? ოჯახის წევრებმა არ იკადრეს საკავშირო ძებნის გამოცხადება და ასე დარჩა ეს საქმე. მგონი უკვე ოცდაათი წელი გადის. ალბათ, ორივე მხარე შეეჩვია მდგომარეობას.

—მაშ მე რა შემიძლია უცნობი ბაბუას მიმართ ვიღონო, თუ ბებიამ და მამაჩემმა არ იკადრეს? შეიძლება ცოცხალიც არ იყოს...

—შენ არაფერი, ისევ შვილმა, მამაშენმა უნდა ეძიოს მამამისი;

—გიორგი ბიძია, ერთი თხოვნა მაქვს, გელას და ლელას ჩემთვის არ ეცლებათ, ვიცი. დღეს დასვენებაა, თანაც მზიანი. თუ არ შეწუხდებით. ორი—სამი საათით გავისეირნოთ ამ თეთრ ქალაქში. ნაწილს მაინც გავეცნობი. გიორგი დათანხმდა. ორივემ თბილად ჩაიცვა და დაიხურა. გიორგიმ ალინას დაუბარა „სადილი დროზეო". გელა და ლელა ადრე იყვნენ გასულნი ქალაქში. დათო და გიორგი ქუჩაში გავიდნენ. თოვლის საფარი 30—40 სმ იქნებოდა. მზე აცხუნებდა, მაგრამ სითბო არ ჰქონდა. ჯერ ფეხით მიდიოდნენ.

ამ დილით ადგილობრივმა რადიომ გადმოსცა, გუშინწინ ლენინის პარკში ვიღაც მოხუცის გვამი უნახავთ. საბუთები არ აღმოაჩნდაო. ვარაუდობენ ღრმა მოხუცს და ქართველს, თუ ვინმეს აინტერესებს, დღეს თორმეტ საათამდე მიაკითხოს საავადმყოფოს მორგშიო — მოუთხრო გიორგიმ დათოს და ამასობაში მეტროს შესასვლელს მიუახლოვდნენ. თოვლით მოფენილ ქუჩებში მოძრაობა ინტენსიური იყო. ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი, ტაქსები და სხვა მანქანები— სხვადასხვა მიმართულებით მიქროდნენ ქუჩებს შორის, ბაღჩებში ბავშვები გუნდაობდნენ და თოვლის ბაბუას აწყობდნენ.

—მეტროთი წავიდეთ და ყველაზე დიდი რაიონის მოედანთან ან ბაღში მიმიყვანე, — სთხოვა დათომ გიორგის. მეტროში

შევიდნენ. ლენინის მოედანთან გამოვიდნენ.

—ეს არის ლენინის მოედანი, ეს ცენტრალური უნივერმაღი, ესეც ლენინის პარკი — აუხსნა გიორგიმ. სტუმარმა და მასპინძელმა უნივერმაღი დაათვალიერეს, მერე მოედანს გახედეს და ბოლოს პარკში შევიდნენ, სადაც დიდი თუ პატარა ერთობოდა.

—რა ლამაზია თოვლიანი ხეები, კარუსელები, რა კარგი სანახავია მზე, თოვლი და ბუნება, — ერთი დიდი ხის ქვეშ გაწმენდილ და მშრალ სკამზე ჩამომჯდარა თავჩაღუნული, წელში მოხრილი, თეთრ— წვერმოშვებული, ხელში ჯოხით, „შუბაში" და თბილი ქუდით გამოწყობილი მოხუცი კაცი. მიუახლოვდნენ მას. მოხუცს ესმოდა დათოსა და გიორგის შორის ქართული საბუარი.

—ქართველები ხართ, ბაბუ?

—კი, ბაბუა, — მიუგო დათომ.

—დაგლოცოთ ღმერთმა, სხვას არ ვეტყოდი და თქვენ კი გეტყვით; სამი მანეთი მასესხეთ და მეორე კვირას, ზუსტად ამ დროს, ამ ადგილზე მოგართმევთ— თხოვა მოხუცმა თავაუწევლად.

—ქართველი ხარ, ბაბუა? საიდან ბრძანდებით?

—კი, ბაბუა, საიდან? არ მახსოვს, სკლეროზი მაქვს, მგონი, აქაური ვარ.

—წამოდი, ბიჭო! ასეთ მათხოვრებს აქ ბევრს შეხვდები, თუ ყველას გამოკითხე ვინაობა, ერთი თვეც არ გეყოფა — უთხრა გიორგიმ დათოს და ხელით მოქაჩა...

—წადით, შვილო, წაბრძანდით, თქვენ ჩემისთანებისათვის არ გეცლებათ, მაგრამ იცოდეთ, მე მათხოვარი არ ვარ! — თქვა მოხუცმა მწარედ და თავი ასწია. თეთრი წვერი თხუთმეტიოდე სანტიმეტრით კი ჰქონდა მოშვებული, ტუჩები და თვალები გალურჯებოდა და ძლივს მოუჩანდა. ლაპარაკის დროს გამოუჩნდა წინა ქვედა ორი კბილი. გიორგიმ წასვლა დააპირა. მოხუცმა თავი ჩაღუნა.

—სახელი და გვარი თუ გახსოვს, ბაბუა?—შეეკითხა დათო.

—წაბრძანდი, ბაბუა, წაბრძანდი, მე ეხლა არაფერი არ მახსოვს, მარტო ბინისკენ გზა ვიცი საღამოს.

—ჰე, ბიჭო, დაანებე თავი, შენი ბაბუა ხომ არ გგონია, ასე რომ ეფერები? ეს აქაური დაბადებული და გაზრდილი მათხოვარია, — უთხრა გიორგიმ გაბრაზებული კილოთი.

—გიორგი ბიძია, ეტყობა ეს კულტურული, პატიოსანი და თავაზიანი მოხუცია. სადაურიც არ უნდა იყოს, ვაჩუქოთ ცოტა ფული, ან სიგარეტს იყიდის ან პურს.

—სად მაქვს, ბიჭო, დასაკარგი ფული? ყველა მათხოვარი თავაზიანია — თქვა და წავიდა. დათომ მოხუცს ხურდა ფული ჩაუყარა ჯიბეში და მეტის უქონლობის გამო ბოდიში მოუხადა. მოხუცმა იუკადრისა და უთხრა: „მე მართლა მათხოვარი ხომ არ გგონივარ? ორ—სამ დღეში პენსიას მივიღებ და დაგიბრუნებდით“.

—რამდენი გაქვს, ბაბუ, პენსია? — ჰკითხა დათომ.

—მე მყოფნის, ბაბუა!

—ბაბუ, რამე საბუთი გაქვთ ჯიბეში?

—თქვენ იმდენი დრო სად გაქვთ, რომ ჩემი საბუთები წაიკითხოთ?! წაბრძანდით, გიცდიან!.. დათო მიუჯდა მოხუცს და სთხოვა, საბუთი ეჩვენებინა.

—თქვენი სახელი? — იკითხა მოხუცმა.

—დათო,

—დათო, დავითი, დათო, დავითი, კარგი სახელია, ბაბუ;

—აკი გითხარით, დრო არ გაქვთ, წაბრძანდით, უფროსი ხომ წავიდა? მაგ საბუთის წაკითხვას ერთი და ორი საათი არ ეყოფა — თქვა მოხუცმა და მძიმედ ამოიოხრა. თან ხველება აუტყდა, გულზე ხელები დაიდო, ჯიბიდან „ნიტროგლიცერინის“ პატარა შუშა ამოიღო, ხელის გულზე ერთი ცალი დააგდო და ენის ძირში ჩაიდო, „ვაიმე“ ჩაიკვნესა.

—გიორგი ბიძია, გიორგი ბიძია! ცოტა მომითმინეთ, თორემ დამეკარგებით — მიაძახა დათომ. გიორგი გაჩერდა, ვიღაც ქალს გამოელაპარაკა.

—მე დრო მაქვს, ბაბუა, სტუმრად ვარ ჩამოსული ამ ქალაქში. მაჩვენეთ, რა საბუთია ისეთი?

—თქვენ საიდან ხართ, დათუნია?

—საქართველოდან.

—რომელი კუთხიდან?

—აფხაზეთიდან, გაგიგონიათ?

—კი გამიგონია, მაგრამ არ... შეჩერდა, ისევ ხველება აუტყდა მოხუცს.

—მაჩვენეთ რა, გთხოვთ — ევედრებოდა დათო. მოხუცმა უბის ჯიბიდან ამოიღო ქაღალდში მრგვალად გახვეული ქაღალდები, სქელი იყო. მარჯვენა ხელში დაიკავა, თითები მოუჭირა, აცახცახდა და უთხრა: „აქ ჩემი ბიოგრაფიაა, წასაკითხად შენთვის ძნელი იქნება და და დიდი დროც დაგჭირდება, მეც ვერ წაგიკითხავ, რადგან მხედველობამ მიმტყუნა, სახელი და გვარი, მგონი, იქ არ სწერია და არც ეხლა მახსოვს. თუ ხმამაღლა წაიკითხავ, რასაც ვერ გაიგებ, მე შემახსენდება და აგიხსნი. ზოგიერთი სტრიქონები, ალბათ, არც ამჩნევია იმდენი წლის ნათრევია! დათომ გამოართვა. გახსნა და ქართული ხელნაწერით კოხტად აკინძული ნაშრომი შერჩა ხელზე. „ჩემი ავტობიოგრაფია“ — იყო სათაური. ამასობაში გიორგიც დაბრუნდა უკან.

—რით მოგაჯადოვა ამ მათხოვარმა?! — ჰკითხა დათოს. მოხუცმა თავი ჩაღუნა.

—გიორგი ბიძია, ძალიან გთხოვთ, მე ცოტა ხანს ამ საბუთს წავიკითხავ და მერე ბინაში დავბრუნდები. გზა არ შემეშლება, თქვენ როგორც გსურდეთ, ან დარჩით ათიოდე წუთი, ან წაბრძანდით — თხოვა დათომ და საბუთი გადაფურცლა.

—მე დავიბადე 19.. წელს, საქართველოს ერთ—ერთ რაიონის დაბა სოფელში, ღარიბი გლეხის ოჯახში — დაიწყო დათომ ხმამაღლა კითხვა...

—აკი აქ დავიბადე და აქაური ვარო? — გაიოცა გიორგიმ. მოხუცი აკანკალდა. ციოდა. მზე არ ათბობდა. ხველება აუტყდა. „თქვენ გცივათ, ბაბუა, თუ მენდობით, თქვენი მისამართი მითხარით და საღამოს მოგიტანთ ბინაში“ — სთხოვა დათომ.

—ვერა, ბაბუა! ვერ გათხოვებთ! ეგაა ჩემი საბუთი, ვერ გენდობით. თუ ძალიან გაინტერესებთ, მეორე კვირა დღესაც აქ ვიქნები, თანაც პენსია მიღებული მექნება, თქვენს ფულს დაგიბრუნებთ, ჩვენი გაცნობისა თითო ას—ასი გადავკრათ და საბუთებსაც გაეცნობით.

—რამდენი მიეცი, ბიჭო, ფული?—შეეკითხა გიორგი დათოს.

—რა მივეცი, კაცო! ხურდა იყო, ალბათ, სიგარეტს უყიდის.

—ცოდვაა, საწყალი, თუ მართლა საქართველოდანაა? რომელი კუთხიდან ხართ, ბიძია? —ჰკითხა გიორგიმ.

—ქართლი, კახეთი, აფხაზეთი, გურია და სამეგრელო — ყველა ჩემი სამშ... — დაიწყო მოხუცმა ისევ ხველება.

—აქ, ბინაში, ვინმე გყავთ, ვინმე გივლით? — ჰკითხა დათომ.

—არა არავინ — ჩაილულღლულა მოხუცმა.

—გიორგი ბიძია, გთხოვთ წავიყვანოთ თქვენთან ბინაში, ცოტა ხანს გავთბებით, რაც შეგვიძლია გავუმასპინძლდეთ საქართველოდან ჩამოტანილი პურმარილით და თანაც საბუთსაც იქ გავეცნობით.

—ვინმე გყავთ? ცოლი, შვილი ან შვილიშვილი? — შეეკითხა გიორგი, მოხუცმა ხელი გააქნია „არას" ნიშნით და თან მიუთითა: იქ წერია ყველაფერიო.

—თქვენ ხომ არ იცით რამე იმის შესახებ, რომ გუშინწინ ღამით ვილაც მოხუცის გვამი უნახავთ ამ ბაღში, უსაბუთოდ, ქართველს ამსგავსებენო? — შეეკითხა გიორგი მოხუცს. მოხუცმა უარი უთხრა, არ გამიგონიაო და არც ისე გაკვირვებია. ისევ ხველება... გიორგის შეეცოდა. დათოს წინადადებას დაეთანხმა და მოხუცი ბინაში მიიპატიჟა. მოხუცი ცოტა ხანს სდუმდა...„დათო, დავითი, გიორგი; დათო, დავითი, გიორგი"... რამდენჯერმე ჩურჩულით გაიმეორა. მერე მარცხენა ხელით სკამს დაეყრდნო, მეორე ხელით ჯოხი მოიშველია, დათოც ცოტა დაეხმარა და ძლივს წამოდგა.

თბილი გრძელყელიანი უცხოური ფეხსაცმელი, უცხოური ძველი ქურქი, გრძელყელიანი სვიტრი, პიჯაკი, გაუთოებული შარვალი, თბილი ქუდი, ხელთათმანები, კოხტა მოღუნული ჯოხი — ასე გამოიყურებოდა უცნობი მოხუცი. ქუჩაში გავიდნენ. გიორგიმ ტაქსი შეაჩერა. დათომ და გიორგიმ დიდი გაჭირვებით შეაძვრინეს მოხუცი მანქანაში.

—ალინა, გაიცანი ჩვენი სტუმარი, ჩვენებურია საქართველოდან. ჯერჯერობით ჩვენც კარგად არ ვიცნობთ, მგონი მალე გავეცნობით ერთმანეთს. გელა და ლელა არ დაბრუნებულან? აბა, შენ იცი, სადილი გვინდა, დატრიალდი შენებურად — მიახალა ყველაფერი ერთდროულად გიორგიმ. დათომ

მოხუცს ქურქი გახადა. ქუდი ახადა, ჩამოსაკიდზე ჩამოკიდა. თვითონაც გაიხადეს. ფეხსაცმელები გაიმშრალეს. მოხუცმა მარჯვენა ხელიდან ხელთათმანი მოიხსნა, ქურქის ჯიბეში ჩადო, მარცხენა ხელი მტკივა და მქონდესო, ჩაილაპარაკა. გიორგის ოთახში შევიდნენ. პატარა მაგიდას შემოუსხდნენ.

—გიორგი კონსტანტინოვიჩ, სტუმარი ცოტა გათბეს, დაასვენეთ, გაართეთ და მალე სადილსაც მოგართმევთ — უთხრა ალინამ.

—ბაბუ, შეხედე, რამდენი სურათია კუთხეში, ყველანი ქართველებია, ნახეთ, ხომ არ იცნობთ იქიდან ვინმეს?— შეეკითხა დათო და თან ანიშნა სურათების კუთხე. მოხუცი პლუს ოთხ სათვალეს იყო მიჩვეული, ისიც დაჰკარგვია. ადგა, სურათების კუთხესთან მივიდა. დიდი ზომის სურათები იყო. შეავლო თვალი, დიდხანს ათვალიერებდა. ცრემლი ჩამოუცვივდა. პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ორი ცხვირსახოცი ამოჰყვა, ერთი, პატარა, ქვეშ დავარდა, მეორე დიდი. დიდით თვალები მოიწმინდა. „არა არაო“, ხელით ანიშნა და ისევ მაგიდას მიუჯდა. დათო გულმოდგინედ აკვირდებოდა მოხუცის ქცევას. მერე ადგა და აიღო ის პატარა ცხვირსახოცი. დააკვირდა, ძველთაძველი იყო, სულ პატარა, დაახლოებით 15 X 15 სმ—ის. აბრეშუმის ძაფით ეწერა „ნანა“. დათომ მოხუცს მიაწოდა და უთხრა: „ჯიბიდან ამოგივარდაო“.

—მადლობა, ბაბუ, ჩემი ბავშვობის ცხვირსახოცია. სამოც წელზე მეტია, რომ ვატარებ — უთხრა მოხუცმა, გამოართვა და პიჯაკის ზედა მარცხენა ჯიბეში ჩაიდო.

—სანამ დიასახლისი სუფრას გაშლიდეს, აბა, დათო, დაიწყე ჩვენი სტუმრის საბუთების შესწავლა, რა თქმა უნდა, თუ სტუმარი თანახმაა — წამოიწყო გიორგიმ.

—კი, ბაბუა, ოღონდ ცოტა ხმამაღლა, მე სმენას არ ვუჩივი, ოღონდ მხედველობამ, გულმა, ზურგმა და ხელ—ფეხმა მიმტყუნა თორემ — თქვა მოხუცმა. დათომ გაშალა მოხუცის საბუთი და დაიწყო.

მე დავიბადე 19.. წელს საქართველოს ერთ—ერთი რაიონის დაბა სოფელში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დედა—შუშანა, მამა ივანე, ძმა—კაკო, და—მიმოზა. ბავშვობაში ბევრი სიძნელე

გადაგვიტანია. სიცივე, შიმშილი, შიში, ავადმყოფობა და სხვა უსიამოვნება. მახსენდება ერთი ეპიზოდი: პატარა ვიყავი, მეორე კლასში ვსწავლობდი. სკოლიდან მოვედი, ძალიან მშიოდა. სამზარეულოში კარადა გავაღე, საჭმელი არაფერი იყო. დედაჩემმა მითხრა: „ახლავე იქნება ღომიც და ლობიოც". მე ვუპასუხე: „სანამ შენი ლობიო და ღომი მოიხარშება, მე ბოსტანში შევალ ვიძოვებ—მეთქი". დედაჩემმა იტირა. მე ვუთხარი: „ნუ სტირი და არც ლობიოს ვჭამ და არც ვიძოვებ—მეთქი", მაშინ სულ ქვითინი მორთო. ამასობაში მართლაც მოიხარშა ლობიოც, ღომიც და ტკბილადაც მივირთვით ყველამ.

—მოიცა, დათო, შეჩერდი! ბიძია, თქვენს მამას, დედას, ძმას და დას სხვა მეორე სახელები ხომ არ ერქვათ?— შეეკითხა გიორგი მოხუცს, (მსგავსი ეპიზოდები გაუგონია გიორგის ბებიასაგან).

—არა, შვილო — უპასუხა მოხუცმა.

—მაშ გააგრძელე, დათო, საინტერესო დამთხვევებია.

მიუხედავად გაჭირვებისა, სკოლაში კარგად ვსწავლობდით — ძმებს და დას ძლიერ გვიყვარდა ერთმანეთი. შეძლებისდაგვარად თავისუფალ დროს ვეხმარებოდით დედ—მამას საოჯახო საქმეებში... დათოს სულ სხვა აინტერესებდა. მიისწრაფოდა მოხუცის ბოლო ჩანაწერებისაკენ. მან ბევრი რამ იცოდა მამისაგან და ბებიასაგან უცნობი ბაბუას ბიოგრაფიიდან. ზოგიერთი რამეები ემსგავსებოდა ამ ნაწერს, მაგრამ ცოტაა განა ანალოგიური დამთხვევები სამყაროში? გიორგის გონებაში გაუელვა გუშინწინდელი მოხუცის გვამმა და მისმა ვინაობამ. საბუთები არ აღმოაჩნდაო — დაფიქრდა. დათო კი კითხულობდა ხმამაღლა და დაბეჯითებით.

—გიორგი კონსტანტინოვიჩ, სადილზე გვეახელით, გელა და ლელაც მობრძანდნენ — მიიპატიჟა ალინამ. გელა და ლელა ლამაზი, ტანადი, შავთმიანი, ქართველი გოგო—ბიჭის ტიპები იყვნენ. ორივენი უმაღლეს დამთავრებულნი. უცნობ მოხუცს მიესალმნენ და თავი გააცნეს.

II თავი

აფხაზეთი. გალის რაიონი. ოთხმოცი წლის წინ ღარიბი, მიეარდნილი სოფელი დღეს მდიდრულად გამოიყურება. ციტრუსების მეურნეობა, მარადმწვანე ქარსაცავი ზოლები და მოასფალტებული ვიწრო გზები. წინათ ამ სოფელში ღარიბულად მცხოვრებნი მეურნეობაში თუ წარმოებაში კარგი შრომით და შრომის ანაზღაურებით გამდიდრდნენ. კაპიტალური ერთსართულიანი და ორსართულიანი სახლებით დაამშვენეს ისედაც დამშვენებული ეზოები. ერთ— ერთ დიდ და ულამაზეს ეზოში იდგა დიდი ორსართულიანი სახლი, მამა-პაპისეული მამულით. ამ დიდ ეზოსა და სახლს ხელმძღვანელობდნენ ოთხმოცი წლის ქალი — დოდო და მისი შვილი მუნა.

იანვარი. თოვლი არ ჩანს, მაგრამ ყინავს და სიცივეა. კვირა დღე. ორსართულიანი სახლის პირველი სართულის ბუხართან ჩამომსხდარან დედა და შვილი, დოდო და ორმოცდარვა წლის მუნა.

—დედაჩემო, ალბათ კიდევ ასოთხმოცი წელი უნდა იცხოვრო — დაიწყო მუნამ — ისეთი გულის პატრონი ხარ; ოცდაათი წელი გავიდა და ერთი დღე არ გიხსენებია შენი მეუღლის სახელი. მეც გული დამწყდა პირველად, ეს რატომ გვიქნა — მეთქი, მაგრამ თანდათან, რომ დავფიქრდი, მამაა მაინც. შენ მამის სიყვარული არ გაგისინჯავს, რადგან ვერც მოესწარი მას. მეც, შენი ხათრით, არაფერი მითქვამს, ოცდაათი წელი ვითმინე. ცოტაა განა? ამ ხნის განმავლობაში რამდენი მწუხარება მოხდა ჩვენს ეზოში; ბაბუა გარდაიცვალა, ბებია გარდაიცვალა, კაკო ბიძია გარდაიცვალა, მამიდაშვილი გარდამეცვალა და კიდევ გარეშეს ვინ ჩამოთვლის. მოხდა სამხიარულო მოვლენებიც; მე უმაღლესი დავამთავრე, მაკამ უმაღლესი დაამთავრა, მე ცოლი შევირთე, მაკა გათხოვდა, ორივე და - ძმას შვილები გვყავს. მათ უმაღლესი დაამთავრეს. ჩვენ კარგი სამსახური გვაქვს. ოჯახში ნორმალურად ვცხოვრობთ. მანქანა გვყავს. მაკას მეუღლესაც მანქანა ჰყავს. ჩემს სიძესაც ახალი მანქანა ჰყავს და კარგადაც ცხოვრობენ.

ასე, რომ ჩვენ კმაყოფილი ვართ ასეთი ცხოვრებით; არ ვმალავ, რომ შენ პირადად დიდი ღვაწლი მიგიძღვის ასეთი ცხოვრების შექმნაში, მაგრამ მამაჩემის დამსახურებაც ბევრი მახსოვს. ამდენი ხანი მის შესახებ არაფერი რომ არ ვიცი, ეს ჩემთვის დიდი მინუსია და თავს შეურაცყოფილად ვგრძნობ. ყველაფერი შენი ზემოქმედების ბრალია, თორემ მე ხომ შემეძლო საკავშირო ძიება გამომეცხადებინა და მამის კოორდინატებს გავიგებდი. ის, ალბათ, მოინანიებდა და აქ გვეყოლებოდა. ისიც შენზე მეტი პრინციპის კაცი იყო. ხომ შეეძლო, წერილი მაინც მოეწერა და გაეგო ჩვენი მდგომარეობა? ეხლა ვინ იცის, ოთხმოცი წლის კაცი ცოცხალია თუ მკვდარი, თუ მკვდარია, ვინ უწყის, სადაა დასაფლავებული?..

—ნუ დარდობ, შვილო, ის ისეთი ტიპის კაცი იყო, ჩვენი ყველაფერი ეცოდინება. ცოცხალიც იქნება და კარგადაც. აქ რომ იყო, სულ იძახდა: „შენ ამიშალე ნერვებიო, შენ რომ არ მყავდე, ორას წელს გავძლებდიო“. ჯერ კიდევ ასოცი წელი დაურჩა სიცოცხლე. გუშინ ღამე ისეთი სიზმარი ვნახე, რომ მალე, სულ მალე გაიგებ მის ადგილსამყოფელსაც. — მიუგო დედამ შვილს.

—ის თითქმის ჩემი ხნის იყო, ჩვენგან რომ წავიდა. ეხლა მეც რომ გავებუტო ნინოს და დაგტოვოთ ყველა, კარგი იქნება? არ იყო მამაჩემი ურჩი კაცი. იყო პატიოსანი, თავისი სპეციალობის კარგი მცოდნე, ზრდილობიანი და გულმართალი, თავისი სიტყვის პატრონი, ტყუილს არასდროს იტყოდა და არც სხვას აპატიებდა. კოლექტივში და მეგობარ-ამხანაგებში სანიმუშო ავტორიტეტი ჰქონდა. ბოლო დროს ცოტა ნერვები აეშალა და იმასაც შენ გაბრალებდა, რადგან არ უჯერებდი მას. შენ შენი გეგმით მიდიოდი და მის აზრებს აბუჩად იგდებდი. მე მახსოვს ბევრი მომენტი, მამაჩემის გეგმები და აზრები ყოველთვის უკეთესი გამოსულა, ვიდრე შენი, შენც მერე ბოლოს ხვდებოდი მის სიმართლეს, მაგრამ არ ტყდებოდი. უპრინციპო პრინციპი ჰქონდა. ჯიუტი იყავი და ხარ კიდეც. ამიტომ გქონდათ თქვენ სულ უკმაყოფილება. მე პატარაობისას მიკვირდა, თუ ერთმანეთი უყვართ,

რატომ სულ ჩხუბობენ – მეთქი, თუ არ უყვართ, როგორ შეერთდნენ – მეთქი. მე რა უნდა მექნა? დედა ხარ ჩემი, დედა! ოხ, როგორ შევცდი, რომ დაგიჯერე და საკავშირო ძიება არ გამოვაცხადე?! რა მოხდა ისეთი? ვინც შეუყვარდა და ვისაც უყვარდა, ის წაიყვანა და წავიდა, შენ რამდენჯერ გითქვამს სიბრაზეში „არ მიყვარდი და არც მიყვარხარო“... ჩემი ბრალია, ჩემი, გიორგი რომ მწერდა, მამაშენისგან წერილს და დეპეშებს ვლებულობო, მაშინ რატომ არ გამოვეხმაურე? სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ვიზამ მაგას მე!..

—გიორგის სწერდა? – გაიკვირვა დოდომ...

მეორე სართულიდან მუნას მეუღლე, ნინო ჩამოვიდა.

—მუნა, მარიამმა დარეკა, თქვენსკენ მოვდივართო – უთხრა ნინომ მუნას, მარიამი მუნას უფროსი გოგო იყო, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული.

—სასიამოვნოა, ნინო, აბა შენ იცი, სტუმრებს როგორ შეხვდები, ხომ იცი, სიძეს რა უყვარს? დღეს ხომ დასვენებაა? ანა რას შვრება?

—კითხულობს – მიუგო ნინომ. ანა მუნას მეორე გოგო იყო, ისიც უმაღლეს დამთავრებული და უკვე სტარტზე იდგა გასათხოვებლად.

—ანა დაგეხმარება და შენებურად კარგი პურ–მარილი გაგვიშალეთ. ეხლავე შეუდექით საქმეს. მე და დედაჩემს სერიოზული მოლაპარაკება გვაქვს. ნინო ანასთან ავიდა...

—ჰო, დედაჩემო! დათო რომ ჩამოვა ხარკოვიდან, მე შევუდგები მამაჩემის ძებნას. დღეს ან ხვალ დავურეკავ გიორგის და ვთხოვ დათოს ხელით გამომიგზავნოს მამაჩემის უკანასკნელი წერილი... დათო მუნას მესამე შვილი იყო, უმცროსი, პირველი კურსის სტუდენტი...

—დავუშვათ და ვიპოვე ცოცხალი ან მკვდარი, შენ რას იტყვი, ჩამოვიყვანო?

—ჯანდაბას მისი თავი! როგორც გინდათ, ისე გააკეთეთ, აწი ჩემთვის სულერთია...

III თავი

აფხაზეთი. ტყვარჩელი. ოდესღაც ინდუსტრიული შავი ქალაქი. ეხლა გადათეთრებული და გათხელებული სუფთა ქალაქი. იანვარი. თოვლის საფარი ხუთი—ექვსი სანტიმეტრი... ხუთოთახიანი, ერთ სართულიანი თბილი ოდა სახლი პატარა ეზოთი. ბაბუას ხუთი წლის შვილიშვილი ხელზე აუყვანია და დაჰყავს ოთახიდან ოთახში.

—ეს ვისი სურათია?—იკითხა პატარა რუსუდანმა და ხელი მიაშვირა კედელზე ჩამოკიდებულ გადიდებულ სურათს.

—ის ბებიაშენის სურათია —უპასუხა ირიდიმ.

—სადაა, მერე, ბებია?— შეეკითხა რუსუდანი.

—ბებია გარდაიცვალა ოცდაათი წლის წინ და მის მერე, ხომ ხედავ, წვერი რომ მაქვს მოშვებული.

—კარგი ბებია ყოფილა, რატომ გარდაიცვალა?

—არ ვიცი, ბაბუ, ტვინის კიბო ჰქონდაო... რუსუდანი ახალ წელს სტუმრად იყო ჩამოყვანილი ქუთაისიდან. ირიდის გოგო ქუთაისში იყო გათხოვილი. ბებიას შესახებ სხვა შვილიშვილებმა უფრო დაწვრილებით იცოდნენ. ირიდის უფროსი შვილიდან — ზურიდან სამი შვილიშვილი ჰყავდა, ორი ბიჭი და ერთი გოგო. ისინი უკვე დიდები იყვნენ. ზური ოცდაცხრამეტი წლის იყო. უმაღლესი ცოდნით. იგი ელექტროსადგურში მუშაობდა ინჟინრად.

ირიდი, ზური და მისი ოჯახი ერთად ცხოვრობდნენ. ოცდაათი წელი ირიდიმ ისე გაატარა, რომ ცოლის შერთვაზე არ უფიქრია. მან იმ დღიდან წვერი მოუშვა. იგი შვილებს და შვილიშვილებს ტკბილად და შინაარსიანად უძღვებოდა. ირიდი ელექტროსადგურში მომარაგების განყოფილების უფროსი იყო. ხშირად უხდებოდა გამგზავრება მიელინებით მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, ნოვოსიბირსკში, თბილისში, ერევანში და სხვა ქალაქებში.

სამოცდახუთი წლის ირიდი ენერგიული და გამრჯე იყო. კოლექტივში და მეზობელ— ნათესაეებში კარგ სახელს იხვეჭდა. დიასახლისობა რძლისთვის ჰქონდა მინდობილი...

იანვარი. ორშაბათი დღე. ზურაბი სამსახურში, თავის სამუშაო ოთახში, იჯდა მარტოდ—მარტო ჩაფიქრებული, ის დედამისზე ფიქრობდა. იგი ცხრა წლის იყო, როცა დედამ დატოვა. გაიხსენა მამის სიტყვები: „ნუ გეშინიათ, შვილებო, მე მამობასაც გაგიწევთ და დედობასაც. არ მოგაკლებთ საჭმელს, სასმელს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და მამის სითბოს. ისწავლეთ და გასწავლით, სანამ ცოცხალი ვარ. მე ოცდათხუთმეტი წლის ვარ, ახალგაზრდა, მაგრამ დედინაცვლის ხელში მაინც არ ჩაგაგდებთ. მხოლოდ ძალიან გთხოვთ, დედის სახელს ნუ ახსენებთ!“

ირეოდის ყოფილ მეუღლეს როზა ერქვა. ოცდაცხრა წლის იყო, როცა მეორედ გათხოვდა. ძალიან შეუყვარდა კაცი, რომელიც მასზე ოცდაერთი წლით უფროსი იყო. იმ კაცსაც უყვარდა იგი. სიყვარულის ძალამ უკან მიხედვის საშუალება არ მისცა. გადაუკეტა ყველა სხვა გზა და შეუღლდნენ. ისინი გავიდნენ საქართველოდან და თავი შეაფარეს დიდ უკრაინას.

ზური ყოველწლიურად ორ—სამჯერ ცნობას ღებულობდა მეზობელი ქალისგან საიდუმლოდ დედამისის ადგილსამყოფელის შესახებ, მხოლოდ არაზუსტი მისამართით. მეზობელი ქალი — ნანული და ზურის დედა — როზა, დაქალები იყვნენ. როზას მეორე მეუღლე — დავითიც წერდა წერილს ნანულს როზას ხელით. ბოლო წერილი ნანულიმ მიიღო საახალწლოდ დავითის ხელნაწერი. იგი ულოცავდა ახალ წელს და თან თავის შესახებ წერდა: „დავრჩი მარტო, დავდივარ თითქმის ყოველდღე ხარკოვის ბაღში და პარკში, დილიდან საღამომდე ვზივარ და ვიხსენებ ჩემს წარსულს“...

მეტს არაფერს არ იწერებოდა. ეს ამბავი ნანულიმ ზურის აცნობა საიდუმლოდ... ზური კი იჯდა მარტო და ფიქრობდა: „მალე ორმოცი წლის ვიქნები. მაშინ ცხრა წლის ვიყავი, დედამ რომ დამტოვა, ჩემი და შვიდი წლის იყო. ძალიან გვეწყინა მეც, დასაც და მამაჩემსაც. ოცდაათი წელი გავიდა მას მერე, რაც ჩვენს სახლში დედაჩემის სახელი არ უხსენებიათ. ამ დღეებში პირველად ჩემმა დისშვილმა გამაგონა დედის სახელი. ნანულიმ რამდენჯერ შემახსენა

დედაჩემი და მისი სიტყვები, მაგრამ ის ხომ საიდუმლო იყო. მამაჩემს ხომ არ ვეუბნებოდი? მახსოვს... დედაჩემის ბოლო წერილი რომ წამაკითხა, მაშინ მე ოცდაათი წლის ვიყავი. „შვილების სურათები მენატრებაო, ჩუმად თუ გამომიგზავნი, კარგი იქნებაო". მერე დედაჩემის ნაწერზე არაფერი არ უთქვამს. ბოლოს საახალწლოდ მივიღე მარტო დავითის ხელნაწერიო. დედაჩემი რატომ არ სწერს? მოკვდა თუ ავად არის? ვინ იცის? როგორ გავიგო? დავითი მარტო დადისო ხარკოვშიო" — ასეთ ფიქრებში იყო ზური, რომ სამუშაო საათის დამთავრების ზარი აწკრიალდა დერეფანში...

ზური სახლში რომ მივიდა, ცოტა ხნის შემდეგ, მამამისი ცალკე ოთახში მიიწვია. ჩამოსხდნენ და დაიწყო ზურიმ:

—მამაჩემო, მე მალე ორმოცი წლის ვიქნები. მაქვს თუ არა უფლება, დამოუკიდებლად ვიმსჯელო?

—კი შვილი! — მიუგო ირიდიმ.

—ვიცი, რომ გული დაგწყდა. მეც დამწყდა გული. ეხლაც ვიცი, რომ არ გინდა დედაჩემი შენ, როგორც მეუღლე, მაგრამ მე როგორც ჩემი დედა, მენატრებოდა მთელი ოცდაათი წელი და მენატრება დღესაც. შენი რიდით და შიშით ხმას არ ვიღებდი. ნუ გეწყინება და მე მახსოვს, რომ თითქმის ყოველდღე ჩხუბობდით, უკმაყოფილონი იყავით. არ ვიცი ვინ იყო მართალი, შენ თუ ის, მაგრამ ეხლა რომ ვაანალიზებ თქვენს ქცევებს, რაც გადმოცემიდან ვიცი და დედაჩემის ნაწერებიდან, ვამტკიცებ, რომ თქვენ ერთმანეთი არ გიყვარდათ, ან თავიდან იყო ცალმხრივი სიყვარული, ე.ი. შენ გიყვარდა და იმიტომ მოიტაცე... შვილები გეყოლათ და დედ—მამის მოვალეობას იხდიდით... როგორც გავიგე, ის კაცი, რომელმაც დედაჩემი შეირთო, გიჟდებოდა სიყვარულით დედაჩემზე. დედაჩემსაც უყვარდა იგი თავდავიწყებით. ისიც ვიცი, რომ იმ კაცსაც უსიყვარულოდ შეურთავს ცოლი და ბავშვებიც უზრდია კარგად, მოვალეობის მოსახდელად, შვილები კი უყვართ, ალბათ, როგორც შენ და დედაჩემს... ასე რომ, მამაჩემო, მე ასე ვგებულობ: „უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი სიყვარულმა დაანგრია". ეხლა რა ექნა მე? შვილმა, რომელმაც იცის, რომ დედამისი ცოცხალია

და თანაც მძიმე ავად? ოცდაათი წელი ვითმინე და მეტი არ შემიძლია. რაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვიპოვო... ირ0ოდიმ თავი ასწია.

—სად იპოვი, შვილო, აწი მაგას? ვინ იცის, სად იქნება?

—მე ყველაფერი ვიცოდი ყოველ წელიწადს და ეხლაც ვიცი; მისი წერილიც წაუკითხავთ ჩემთვის, მეზობელს რომ სწერდა!

—რომელ მეზობელს?

—მაგას არა აქვს მნიშვნელობა! დედაა ჩემი და უნდა ვნახო ცოცხალი ან მკვდარი. უნდა მოვიყვანო ჩემთან.

—შენთან? ეს რა თქვი შვილო!?

—შენთან კი არა, ჩემთან. აქ კი არა, ჩემთან, სხვა ადგილას. ეს გარდაუვალია! ის კაცი აწი ცოცხალ—მკვდარივით იქნება, ან სულ არ იქნება. დედაჩემს რცხვენია, ალბათ, და თავს არ აჩენს.

—როგორც გსურდეს, შვილო! შენი თავი „შენ გეყუდნის". ჩემთვის სულერთია, ოღონდ ჩემმა თვალებმა არ იხილოს ის ქალი. თუ რამე იცი მათ შესახებ, მაინც მითხარი, სად გეგულება?

—როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, მათ ბევრი ქალაქი შემოუვლიათ, უკრაინაშიც და რუსეთშიც, მაგრამ დღეისათვის და ბოლომდეც, მათი აზრით, იქნებიან ხარკოვში. დღისით, მზისით, ბაღებში და პარკში, ღამე კი— გაუგებარია...

—ხარკოვში, ხარკოვში, ბაღში? პარკში? აჰა, ვიცი მე იქაურობა, კარგადაც ვიცი! — ჩაილაპარაკა ირ0ოდიმ მკვახედ და დასძინა — მიელინებით ვყოფილვარ და ვიქნები კიდეც!..

IV თავი

გიორგი გულდასმით უსმენდა დათოს და თან ფიქრობდა: „ვაი თუ ის გუშინწინდელი მკვდრის გვამი ბიძაჩემის იყო, შეიძლება ამ მაწანწალამ ამოუღო ეს ნაწერი და თვითონ მიითვისაო. ვინ იცის, ეხლა ის სად დაასაფლავეს? ამოვაგდებდი მიწიდან და ხომ ვიცნობდი? მას ხომ ცხვირზე და

მარცხენა თვალზე „შრამი“ ჰქონდა ოდნავ შესამჩნევი; მარცხენა ხელზეც სახელი უწერა ტუშით, ბავშვობისას რომ დაუწერია“ —ასეთი ფიქრებით გიორგი თან აკვირდებოდა მის წინ მჯდომ მოხუცს, მაგრამ მსგავი არაფერი იყო. მარცხენა ხელი დადამბლული მაქვსო და ხელთათმანი ეკეთა. გიორგის ისიც უკვირდა მოხუციც რომ გულდასმით უსმენდა წაკითხულს; თუ მისი ბიოგრაფიაა, რატომ ასე დაინტერესებით უსმენსო — ფიქრობდნენ.

„სკოლაში კარგად ვსწავლობდი — აგრძელებდა დათო — მეათე კლასში ვიყავი, როცა თანაკლასელი გოგო შემიყვარდა. ისიც ფრიადზე სწავლობდა. მიყვარდა და მასაც ვუყვარდი გაგიჟებით. ბევრი რაღაცის თქმა მინდოდა სიყვარულზე, მაგრამ ვერ ვახერხებდი ლაპარაკს. ხშირად წერილებით და ლექსებით ვუხსნიდი გულის აზრებს. ბევრჯერ გამიცილებია სახლამდე სკოლიდან და კინოთეატრიდან, მაგრამ თითიც არ მიმიკარებია, მეშინოდა, არ ეწყინოს და არ გამებუტოს — მეთქი. თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი. მინდოდა კოცნა, მაგრამ მერიდებოდა. არც ის იძლეოდა საამისო წყაროს. იყო შორიდან მიმზიდველი, ახლოს — მიუკარებელი. ჩემი სახლიდან ნანას სახლამდე სამი კილომეტრი იყო. ბევრჯერ ფეხით წავსულვარ საღამოობით იმ მიზნით, რომ მარტო შემეხედა მისთვის, უფრო ხშირად — კვირა დღეს. მათემატიკაში მე უფრო ძლიერი ვიყავი, ვიდრე, ნანა... ერთხელ მასწავლებელმა ძნელად ამოსახსნელი ამოცანები მოგვცა დავალებად. ღამის ორ საათამდე ვიტანჯე, ვატრიალე და ვერ ამოვხსენი; გადავიღალე და დავწექი. ძილში კიდევ ის ამოცანა მიტრიალებდა თავში. სიზმარში ის ამოცანა ამოვხსენი. დილით, ექვს საათზე, მაღვიძარამ გამაღვიძა. სიზმარს მივყევი და ათ წუთში ამოცანა ამოვხსენი. გავიფიქრე, ეს ამოცანა არავის არ ექნება ამოხსნილი და ჩემს სატრფოს — ნანას უნდა გადავაწერინო — მეთქი, მაგრამ როგორ? სკოლაში ვერ მოასწრებდა. შავად ამოხსნილი ამოცანა ჯიბეში ჩავიდე, გარეთ გავედი. სახლში ეძინათ. ბიძაჩემის, გვერდით ეზოში შევედი. ჩუმად, გარეთ, სახლთან მიყუდებული ველოსიპედი ზურგზე მოვიგდე. ღამე ნაწვიმარი იყო.

გზაზე გავედი, შემოვჯექი და გავკურცხლე ნანასაკენ. ცენტრალური გზა რომ დამთავრდა, გადავედი, მის ქუჩაზე, რომელიც აღმართით იწყებოდა. დაახლოებით სამასი მეტრი წითელი გრუნტის გზა იყო. ველოსიპედის ბორბლებმა წითელი მიწა მიტკეპნეს და ბორბლები გაიჩხირა. მოვიგდე ველოსიპედი ზურგზე და ვათრიე ის აღმართი. ეზოს კარამდე რომ მივედი, მივაყუდე, ველოსიპედის ზარი მივეცი. (პირველი არ იყო). ნანა უმალვე გამოვიდა. გადავეცი შავად ამოხსნილი ამოცანა და ვუთხარი: „წადი, ჩქარა, გადაიწერე—მეთქი". ის არ მიდიოდა. შენ გაგაცილებ და მერე წავალო. მე არ მინდოდა, ენახა ველოსიპედის გაჩხერილი ბორბლები. „წადი, ჩქარა, თორემ ვერ მოასწრებ—მეთქი!" დამიჯერა. სახლში შევიდა თუ არა, უცებ მოვიგდე ზურგზე ველოსიპედი და ვათრიე ოთხასიოდე მეტრი. მე უნდა წავეყვანე და ის გამიხდა სათრევი. იქ პატარა ღელე ჩამოდიოდა. ჩავაგდე შიგ და ფეხშიშველმა გავრეცხე. შვიდ საათზე და ათ წუთზე სახლში ვიყავი. ველოსიპედი ეზოში ისევ ზურგით შევათრიე, რათა ნაკვალევი არ შეემჩნიათ; მართლაც არავის არ გაუგია...

მიყვარდა, ძლიერ მიყვარდა ნანა. საშუალო კოხტა ტანის, შავი თმა და თეთრი სახე, ლამაზი გამოხედვა, ზრდილობიანი, წყნარი, კარგი სწავლით და ქცევით ყველა მასწავლებელს თავი შეაყვარა და მითუმეტეს მეც. ჩემთვის უკეთესი და ულამაზესი გოგო მეტი არ არსებობდა. მშობლებმაც გაიგეს ჩვენი სიყვარული. დედაჩემი და დედამისი წინააღმდეგნი იყვნენ ჩვენი სიყვარულისა. „ჯერ სიყვარული ნაადრევიაო" — ამბობდნენ მშობლები. თერთმეტი კლასი, საშუალო სკოლა ხუთებზე დავამთავრე. სკოლის დამთავრებისას ნანას ვთხოვე: უჩემოდ ნუ გათხოვდები და რამე სამახსოვრო მაჩუქე — მეთქი. ნანამ მისი ხელით გაკეთებული პატარა ცხვირსახოცი სუფთა და გაუთოვებული, ფორმის კაბის პატარა ჯიბიდან ამოიღო და მაჩუქა. მეც ავტოკალამი და პატარა უბის წიგნაკი ვაჩუქე... ოქროს მედლის კანდიდატი ვიყავი. ასეთი კანდიდატების გამოსაშვები გამოცდების ნაწერები ქართულში, მათემატიკაში და რუსულში, იგზავნებოდა რესპუბლიკის ცენტრში ხელმეორედ შესამოწმებლად. ქართულ წერაში

„ხუთი“ „ოთხიანად“ შემიცვალეს და რუსულ წერაში კი ხუთი — „სამად“. უმაღლესში შესვლის შანსები დავკარგე. რადგან იმ დროს უფრო დიდჯიბიანებს აფასებდნენ, ვიდრე ბევრ „ხუთიანებს“. ჩვენ კი ღარიბი ოჯახი გექონდა. გადავწყვიტე საშუალო ტექნიკური ცოდნა მაინც მიმეღო. საბუთები უახლოეს ტექნიკუმში, სოხუმში შევიტანე, მისაღები გამოცდები იყო შემდეგ საგნებში: მათემატიკა — წერა — ზეპირი, ქართული — წერა და რუსული — წერა კარნახით. პირველი — მათემატიკაში წერა. როგორც მაშინ გავიგე, იქაც უსამართლობა სუფევდა, თურმე... ჩემი გაგებით, ამოცანა სწორად ამოვხსენი და მაგალითებიც სამაგალითოდ. ჩავაბარე კომისიას ნაწერი და გარეთ გამოვედი კმაყოფილი. დერეფანში რომ მივდიოდი, თავში ისევ ის ამოცანა და მაგალითები მიტრიალებდა. რაღაცა საეჭვო გამიხდა, რომ თითქოს დაშვებული მქონდა მექანიკური შეცდომა. კონუსის მოცულობის გაგებისას. ფორმულაში ერთიმესამედის ჩასმა გამომრჩა. მისი მამრავლად ჩაწერა არ მახსოვს. ისე კი გამრავლების დროს ნაგულისხმევი მაქვს და პასუხიც სწორია. მხოლოდ უნდა მარტო ფორმულის წინ 1/3—ის ჩაწერა. რა უნდა მექნა? დავბრუნდი. შიგნით შესვლა ვთხოვე. არ შემიშვეს. ვუცადე გამოცდის დამთავრებას. კომისიის თავმჯდომარე იყო დაბალი ტანის სათვალებიანი კაცი. გამოცდა რომ დამთავრდა, მივედი მასთან. დიდი მორიდებითა და ბოდიშის მოხდით ვოვახსენე ჩემი მექანიკური შეცდომის შესახებ. ვთხოვე, რომ გასწორების დროს მხედველობაში მიეღოთ. ჩემი სახელი და გვარიც მოვახსენე. მან ყურადაც არ მიიღო ჩემი თხოვნა და მითხრა: „ჯერ შენ რა იცი, რომ ერთი მექანიკური შეცდომა გაქვს თუ უამრავი სხვაო“. მე ვუთხარი, ვიცი — მეთქი!.. მესამე დღეს დილით დიდი ინტერესით მივედი ტექნიკუმში. მივვარდი კედლის დაფას, სადაც მიკრული იყო სია და ნიშნები მათემატიკის წერაში. ჩემთვის ვფიქრობდი, „თუ ჩემი თხოვნა გაითვალისწინეს, მაშინ ნაწერი შეიძლება „ხუთიანზე“ შეფასდეს, თუ არა და „ოთხიანი“ მაინც გარანტირებულია მეთქი“ ამოვიკითხე ჩემი გვარი და გვერდით ეწერა ნიშანი „სამი“. ლამის ჭკუაზე შევიშალე. „ჩემს სიცოცხლეში მათემა-

ტიკაში ნიშანი „სამი“ არ მღირსებია და ამას რა ხედავს ჩემი თვალები – მეთქი. ბიჭი ხუთოსანი, ოქროს მედლის კანდიდატი, უმაღლესში არ გამოვცხადდი გამოცდების ჩასაბარებლად ფულის უქონლობის გამო. ტექნიკუმშიც ვერ ჩავირიცხო? სად გავახილო თვალები? ნანას როგორ შევხედო? რა ვუთხრა ჩემს ყოფილ მასწავლებლებს? რა ვუთხრა მშობლებს და ამხანაგებს?“ ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ზარის ხმა გაისმა, ნიშნად გამოცდის დაწყებისა, მათემატიკა ზეპირში. აუდიტორიაში არ შევედი. კარებთან დავდექი და ვუცდიდი იმ სათვალებიან კომისიის თავმჯდომარეს. როგორც იქნა, გამოჩნდა. ვთხოვე, ჩემი ნაწერი ეჩვენებინათ; გამეგო, სად მქონდა მეტი შეცდომები. ყურადაც არ მიიღო და „დაჯექითო“ – მიაძახა. მე ცოტა ხმამაღლა მივმართე კომისიას, ეჩვენებინათ ჩემი ნაწერი. კომისიის თავმჯდომარემ ბრაზიანი კილოთი მითხრა: „დაჯექი! თუ ისეთი ბიჭი ხარ, ზეპირი ჩააბარე „ხუთზე და საშუალოდ დაგიწერთ მათემატიკაში „ოთხიანსო“. მე ვუპასუხე: თუ თქვენ არ მაჩვენებთ ჩემს ნაწერს, ზეპირში არ გამოვალ და მივმართავ თქვენზე უფროსს – მეთქი. „ეისაც გინდათ იმას მიმართეთ!“ – იყო პასუხი. მე გავბრაზდი. გარეთ გამოვედი. ყველა მე მიყურებდა... დირექტორთან შევედი. ავუხსენი ყველაფერი და თან დავამატე: „თუ თქვენ ზომებს არ მიიღებთ, აგერ გვერდით განათლების სამინისტროა და იქ ვიჩივლებ“–მეთქი. დირექტორმა დიდი ყურადღება გამოიჩინა. ადგა, წამოდიო, – მითხრა. აუდიტორიაში შევედით. დიდი თუ პატარა ყველა ფეხზე ადგა. მე ვნერვიულობდი. სახე თურმე გათეთრებული მქონია. აბსოლუტური სიჩუმე ჩამოვარდა. დირექტორი ბ–ნი ალიოშა, ეტყობოდა. მკაცრი კაცი იყო. მათემატიკა ესმოდა.

–მაჩვენეთ ამ ბავშვის ნაწერი! – უბრძანა კომისიის თავმჯდომარეს. ბავშვები ჩამოსხდნენ... გამოათრიეს ჩემი ნაწერი. დავხედეთ, და იქ, სადაც ერთიმესამედი არ ეწერა, გაუსვამთ წითელი ხაზი, დაახლოებით ათი სანტიმეტრის სიგრძის. პასუხი კი–სწორი. შემდეგ ორ მაგალითზე ორი წითელი ხაზი იყო გასმული, თითქმის მთელი გვერდის სიგანეზე.

–ერთიმესამედის შესახებ წინასწარ ხომ მოგახსენეთ,

რომ გამომრჩა მექანიკურად თორემ გამრავლებულია — მეთქი, და კიდევ მაგალითებში რა შეცდომაა? ვერ ვხედავ შეცდომას, გთხოვთ განმიმარტოთ!—ვთხოვე და მივმართე კომისიის თავმჯდომარეს. დირექტორიც გულმოდგინედ დაპყურებდა.

—შეცდომა ის არის, რომ შეიძლებოდა სხვა უკეთესი გზით ამოხსნა — მიპასუხა კომისიის თავმჯდომარემ.

—მე როგორც სკოლაში მასწავლეს, ისეთი გზით ამოვხსენი, სხვანაირად არ უსწავლებიათ და არც არის, ალბათ. თქვენ ხელოვნურად ქმნით შეცდომებს, ბატონო კომისიის თავმჯდომარევ! მიუგე მე ცოტა უხეშად...

—დაანებეთ თავი! აიღე, შვილო, ბილეთი; თუ ზეპირში მიიღებ „ხუთიანს", მე ჩემი ხელით ჩაგიწერ მათემატიკაში „ხუთს"—თქვა დირექტორმა და ჩამოჯდა სკამზე. აუდიტორიაში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის გაფრენასაც გაიგებდა კაცი. ფანჯრებიდან და კარიდანაც ჩანდა თუ როგორი დაინტერესებით იყურებოდნენ მშობლები. ჩემი ახლო გულშემატკივარი არავინ იყო. ბილეთი ავიღე. № 5 ჩავაწერინე. საკითხებს ვკითხულობდი და მერხისკენ მივდიოდი. ყველა საკითხი ნათელი იყო. არ ჩამოვჯექი. დაფისკენ მივბრუნდი. გამოვალ—მეთქი, დირექტორს შევხედე. ეხლა ის მიმაჩნდა ჩემი გულშემატკივარი. „ჯერ დაფიქრდიო", — მითხრა მან.

—ყველა საკითხი ვიცი, ფიქრი არ მჭირდება, — მიუგე მე.

—მაშ გამოდი — მითხრა დირექტორმა ღიმილით. ცოტა არ იყოს ხასიათზე მოვედი. ნანა თვალწინ წარმომიდგა. „არ შეგარცხვენ" — გავიფიქრე და დაფასთან გავჩნდი. ყველა საკითხი ისე ჩავამწკრივე, რომ არც გავჩერებულვარ და არც შენიშვნები მოუციათ.

—ყოჩაღ, ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარ! — მითხრა დირექტორმა. კომისიის წევრები გაჩუმებულნი შემყურებდნენ — ეხლა მე მოგცემ ერთ დამატებით შეკითხვას — მაგალითს და ამით მოვრჩებით! დაამატა დირექტორმა. ადგა, დაფასთან მივიდა და თავისი ხელით მიაწერა მაჩვენებლიანი განტოლების მაგალითი... შევხედე, თითქოს არასდროს არ მინახავს ამისი მსგავსი...

—ორ-სამ წუთს თუ მაცლით, მოვიფიქრებ! — ვთხოვე მე.

—ათი იყოს, — მიპასუხა დირექტორმა. შეეხედე მაგალითს. თვალი დაეხუჭე წამით. ყველა წინ წარმომიდგა; მათემატიკის მასწავლებელი ბ—ნი შალვა, სკოლის ამხანაგები, ნანა და თითქმის ყველა ჩემს მიერ ამოხსნილი ამოცანა — მაგალითები. ისევ შეეხედე დაფაზე მიწერილ მაგალითს. ორი წუთიც არ გასულა, აზრზე მოვედი. თურმე ეს ისეთი მაგალითი ყოფილა, რომლის მსგავსი უამრავი ამომიხსნია სკოლაშიც და სახლშიც. დავიწყე და ბოლომდისაც ჩავედი, კინაღამ დაფაც არ მეყო.

—„ხუთი!"... მომეცი შენი ჩათვლის წიგნაკი! — მიაძახა დირექტორმა. მე ჩათვლის წიგნაკი მივაწოდე. მან თავისი ხელით ჩაწერა „5 (ფრიადი)" და კომისიის თავმჯდომარეს გადასცა, — ხელი მოაწერეთ! მან უყოყმანოდ მოაწერა ხელი. ბავშვები იცინოდნენ. მშობლები იღიმებოდნენ.

—წერაში გადაუსწორეთ ნიშანი „ოთხზე"! — დააბარა დირექტორმა კომისიას და გავიდა. მეც რა უნდა მექნა, გამოვედი გარეთ. უცნობი მშობლები მილოცავდნენ. ნაცნობი არავინ იყო... შემდეგი გამოცდები ჩავაბარე ოთხიანებზე და ასეთი ვაივაგლახით ჩავირიცხე ტექნიკუმის მესამე კურსზე. ტექნიკუმშიც სანიმუშოდ ვსწავლობდი. დამინიშნეს სტიპენდიაც. ეკონომიურად სუსტად ვიყავი. დედ—მამა არსად მუშაობდა. მამაჩემი სამუშაოდან განთავისუფლებული იყო. დროებით სახლში იჯდა. ჩემს უფროს ძმას და რძალს ახლად დამთავრებული ჰქონდათ ტექნიკუმი და თანაც პატარა ბავშვები ჰყავდათ. ორივენი მუშაობდნენ, მაგრამ მცირე ხელფასი ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ჩემი ძმა შეძლებისდაგვარად თითქმის ყოველთვის მაჩუქებდა ფულს, პლუს ამას, ჩემი სტიპენდია, ეს იყო და ეს ჩემი საზრდო; საჭმელი, სასმელი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და ბინის ქირა. საკმარისი როდი იყო, მაგრამ რა მექნა? ვითმენდი და ვსწავლობდი, ჯგუფში ყველაზე ახლოს ვიყავით მე, ზაური, ნოდარი, გურამი, მიხეილი და რომანი. ხშირი იყო შემთხვევა, დილით ჩაის დავლევდით და თითქმის მეორე დღემდე არაფერი გვქონდა საჭმელი... ასეთი ტანჯვით, სწავლით და შიმშილ-წყურვილით ბოლო კურსსაც მივაღწიეთ... ერთხელ ლექციების

მერე, ექვსივემ მოვიყარეთ თავი და შევკრიბეთ ხურდა ფულები. ამით რა ვჭამოთ? რას გვეყოფა ექვს კაცს? წამოდით შურასთან, ვისესხოთ და მერე, როცა გვექნება, დავუბრუნოთ, – თქვა გურამმა. შურა გურამის ნაცნობი დაქალი იყო. გაზეთის კიოსკში მუშაობდა. გურამის მეშვეობით ჩვენც კარგად ვიცნობდით მას. შურასთან ხშირად ვხედავდით პატარა გოგოს, მან მის დეიდაშვილად გაგვაცნო. გოგო საშუალო ტანის, ჩვიდმეტი წლის იყო. სახე ლამაზი ჰქონდა, ცხვირი მოგრძო, თმა თხელი და მოკლე, უკან ჩამოშვებული. ხშირად ბიჭებს უთქვამთ, სულ შენ გიყურებს, ბიჭო, ის გოგო, მგონი მოსწონხარ. შურასაც ჩაუკრავს ხოლმე გურამისათვის, ეს ჩემი გოგო კარგია და ის ბიჭიც უკეთესიო. „ის ბიჭიო“ – ჩემზე ამბობდა...შურასკენ მივდიოდით. გურამი უფრო სერიოზულად გამოიყურებოდა. იგი ორი წლით ჩვენზე უფროსი იყო. ცოლ–შვილიც ჰყავდა. ჩვენც ხომ ბოლო კურსზე ვიყავით, მალე დიპლომიც უნდა აგვეღო და სერიოზულობას ვიმშვენებდით. სამი საათი მალე იქნებოდა. გვშიოდა და საჭმელს ვეძებდით. წინა კურსზე გურამმა ორ-სამჯერ წაგვიყვანა თავის ბინაში პურ–მარილით გაგვიმასპინძლდა, მაგრამ ყოველთვის ხომ არ გვაჭმევდა?... სტიპენდია შორს იყო.

–ბიჭებო, ერთი კარგი აზრი მომივიდა – წამოიძახა ნოდარმა და მერე ნელა გააგრძელა, – დათო ხომ მოსწონს შურას დეიდაშვილს? ეს ხომ ვიცით ყველამ. დათოს მოსწონს თუ არ მოსწონს, დღეს ამას მნიშვნელობა არა აქვს. დღეს ხომ გვშია ყველას, ეს ჩვენი ფული არაფერს გვიკეთებს, შევინახოთ ტრანსპორტისათვის. მე ვეტყვი შურას, რომ ის გოგო დათოსაც მოსწონს, მაგრამ ეშინია, ოჯახში რომ არ გამომადგესო; ამიტომ საჭიროა, ვნახოთ ის გოგო თავის ოჯახში, შევხედავთ მის ტალანტს სუფრაზე და იქ გადავწყვეტთ ყველაფერს თქო. შურა უარს არ იტყვის. ის ოჯახი მდიდარია და ათი კაცის სუფრა რას დაემჩნევა. ჩვენ კიდევ შიმშილსაც მოვიკლავთ და წყურვილსაც, ხომ კარგი აზრია? – დაამთავრა ნოდარმა...

დათო კითხულობდა ამ ბიოგრაფიას და მისი სახელის ხსენებაზე ბაბუაც გაახსენდა... გიორგი რაც მეტად უსმენდა, მით უფრო ამტკიცებდაა, რომ ეს ბიოგრაფია ბიძამისისას ჰგავს. სულ ეჭვში შედიოდა. გაბრაზდა და მოხუცს მიუბრუნდა:

—„ბიძაჩემო, ეს ბიოგრაფია თქვენია თუ სხვისი?"— მოხუცმა უპასუხა:

„რადგან მე მაქვს, ჩემიც იქნება." დათომ გიორგის სთხოვა, დავამთავროთ წაკითხვა და ბოლოს ყველაფერს გავიგებთო. გააგრძელა დათომ კითხვა...

კარგი აზრია, კარგია, — დავეთანხმე მეც. ამასობაში შურას კიოსკსაც მივუახლოვდით. ის გოგო — სულიკოც იქ იყო. მას საშუალო სკოლა დაუმთავრებია და პირველ წელს ვერ ჩარიცხულა უმაღლეს სასწავლებელში. არ მუშაობდა. შურას ეხმარებოდა ხოლმე. შურა და სულიკო ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობდნენ.

—შურას და სულიკოს ჩვენგან სალამი! — მიაძახა მისვლისთანავე ნოდარმა. „გამარჯობა! გამარჯობა!" მივესალმეთ ჩვენც. პასუხიც მივიღეთ დაბალი ხმით. ჩვენ ცოტა მოვშორდით კიოსკს და ნოდარი მარტო დარჩა მათთან. ხუთიოდე წუთის მერე ნოდარი მოგვიახლოვდა. კიოსკი დაკეტეს და წავიდნენ.

—გაგვიმართლდა, ბიჭებო! — თქვა ნოდარიმ ჩუმად და გააგრძელა — კარგი მომენტიაო, მშობლები სახლში არ არიანო და ზეგამდე არ მოვლენო. ჩვენ წავალთ და კარგ ვახშამს გამოგიწყობთო. ექვსი საათის მერე მოდითო, ნუ დაიგვიანებთო. დავთქვით, სად უნდა შეეხვედრილიყავით და დავიშალეთ. მე და ზაური ერთ ბინაში ვცხოვრობდით... წვერი გავიპარსე, შარვალი ერთი მქონდა, გავაუთოვე, პერანგი გამოვიცვალე, ჰალსტუხი ჩამოვიკიდე და მეათე კლასიდან გამოყოლილი პიჯაკი ჩავიცვი. მოკლედ, „სასიძოდ" გამოვეწყვე, პიჯაკის ჯიბიდან ნანას გამოგზავნილი წერილი ამოვიღე და კიდევ გადავიკითხე. ზაურიმ შემომხედა და მითხრა: „ნანამ რომ იცოდეს სად მივდივართ, მეტს წერილს არ მოგწერდა".

—ზაურ! შენ კარგად იცი, მე ნანას არ გავცვლი სულიკოზე, მაგრამ ისიც იცი, თუ რატომ მიედივართ? მე თავის დროზე ამასაც ავუხსნი ნანას და გავაცინებ კიდეც —მიუგე მე. გამოვედით. დათქმულ ადგილას შევიკრიბეთ. ზუსტად შვიდის ნახევარზე მივადექით შურა დეიდას ორსართულიან სახლს. პატარა ეზოს კართან მეზობლის ახალგაზრდა კაცი შეგვეგება, მიგვიპატიჟა. სახლში შევედით, მდიდრულად მოწყობილი ოთახები. ეტყობოდა ოჯახის უფროსი დიდ სამსახურში იდგა.

—ვახ, ბიჭებო! რა კარგად ცხოვრობენ?! აქაური სიძეობა ნუ გონია ხუმრობაო — ჩაილაპარაკა ნოდარმა, თან სამზარეულოსკენ შეავლო თვალი. სულიკო და შურა შეგვეგებნენ, ზალაში მიგვიპატიჟეს და დაბრძანდითო — შემოგვთავაზეს. ჩვენც დაეემორჩილეთ, ზალაში მაგიდას შემოვუსხედით. შურა და სულიკო სამზარეულოსკენ წავიდნენ.

—მიდი, ბიჭო, ნახე, საპატარძლო როგორ ტრიალებს სამზარეულოში — მითხრა გაღიმებულმა ნოდარმა. მე მართლა ავდექი და სამზარეულოში წავედი. მივესალმე მეზობლის გოგო—ბიჭებს. „ჩემს გოგოს“ თეთრი წინსაფრით და თეთრი თავშალით მოერთო თავი... წამით ნანა წარმომიდგა თვალწინ. წარმოვიდგინე იგი ჩემი სახლის სამზარეულოში. მე რომ ვათვალიერებდი სულიკოს ყოველ ნაბიჯს, ცოტა არ იყოს, მასაც მორცხვად მოჰქონდა თავი... მალე სუფრაც გააწყვეს. შურამ და მეზობლის ბიჭმა სუფრასთან მიგვიპატიჟეს სასადილო ოთახში. ხელი დავიბანეთ. ნოდარი ჩქარობდა და თან ნერწყვი მოსდიოდა, ეტყობოდა, მაგრა შიოდა. ჩვენც ისე ვიყავით, მაგრამ უფრო ვიკავებდით თავს. სუფრას შემოვუსხედით. შებრაწული გოჭი, ქათმები, ხაჭაპური, საქონლის ხორცი, ღომი, ყველი, პური, ნამცხვარი, არაყი, ღვინო, ლიმონათი, ბორჯომი და რა გინდა, სულო და გულო... ვეცით, ხუთი—ექვსი წუთი სიტყვა არ ამოგვიღია. ორი ბიჭი და ორი გოგო წინ ისხდნენ ჩვენს· საპატივცემლოდ. მე და ნოდარი სუფრის შუაში ვისხედით. შურამ ნოდარი დანიშნა სუფრის ხელმძღვანელად, რადგან ის იყო უფრო ენამახვილი და თანაც მაჭანკლის როლს ასრულებდა. ნოდარი არ დაიბნა. ადგა. პირველით მშვიდობას გაუმარჯოსო. მეორე სადღეგრ-

ძელო ჩემი და სულიკოსი აიღო, როგორც მომავალი სიძე — პატარძლის. ბევრი მაქო მე, და სულიკოს მოუწონა ყველაფერი, კარგი დიასახლისი იქნებიო. ჩვენ ყველა კმაყოფილნი ვართ და აწი დანარჩენი მაგათზეა დამოკიდებულიო... მე ცოტა არ იყოს, შემრცხვა, ჩემს თავს ვუსაყვედურე „რად გინდოდა ასეთი თვალთმაქცობა — მეთქი“...

კარგი დრო გავატარეთ. ვჭამეთ, ვსვით, შევზარხოშდით, ვიმღერეთ, ვიცეკვეთ და ღამის თორმეტის ნახევარზე ავიშალეთ. დიდი ბოდიშით და მადლობით ოჯახს გამოვემშვიდობეთ... გზაში გურამი და მე უკან ცალკე მოვდიოდით, ზაური, მიხეილი, ნოდარი და რომანი ცოტ-ცოტა ღიღინებდნენ წინ.

—ბიჭო, მართლა არაა ის ცუდი გოგო, ოჯახიც კარგი ყოფილა, მამაც კარგ ადგილზე მუშაობს თურმე, წაიყვანე სულიკო და ერთ ცინცხალ მანქანასაც დაირტყამ! — მითხრა გურამმა.

—კარგი, გურამ, თუ ძმა ხარ! რა აქვს მაგას მოსაწონი? ჩემზე უფროსად გამოიყურება და კიდევ მისი ფიგურა? — მივუგე მე,

—როგორ თუ უფროსი? ოთხი წლითაა შენზე უმცროსი. აბა, მეტი რამდენით უმცროსი გინდა? მაშ, შენ მოუცადე, ეგერ ორი თვის წინ ჩემს მეზობელს დაებადა გოგო, ის იქნება შენზე უმცროსი ოცი წლით და კიდევ მეტი მგონია. შენ, როგორც ვატყობ, მანამდე ვერც შეირთავ ცოლს. მე, ხომ ხედავ, საშუალო სკოლა დავამთავრე და უცბად დავქორწინდი. ორი ბავშვიც მყავს, უფროსი სამი წლისაა. იცადე და უცადე იმ ჩემი მეზობლის ბავშვს. გამეხუმრა გურამი და ხელი ჩაიქნია. რა დაარქვეს მერე იმ შენი მეზობლის ბავშვს? ორი თვის უკან რომ დაიბადა? — გავეხუმრე მეც.

—რა დაარქვეს და როზა! მიდი და უცადე მას!

—მე ვიცი, ვის ვუცდი. მე მყავს ნანა, ნანა, იავნანა ვარდო... ჩავიბუტბუტე მე. გურამი არ იცნობდა ნანას და არც იცოდა ჩვენი სიყვარულის შესახებ. არც მითქვია არასდროს მასზე.

—შენ ხუმრობ, ჩემო გურამ, მაგრამ რა იცი, ცხოვრების ჩარხი როგორ დატრიალდება, რა დაარქვესო თქვი? —

გავალიზიანე გურამი, მაგისი სერიოზული გულმოსელა მიხა-
როდა.

—როზა დაარქვეს, როზა, გვარი არ მახსოვს, თორემ გე-
ტყოდი და ჩაიწერდი კიდეც. ისე ვიცი, რომ მეგრელია. მე
რომ ბინა მაქვს, იმ სახლის გვერდით ცხოვრობენ. პირველი
ბიჭი ყავდათ და მეორე გოგო სურდათ, იქიდან ვიცი ძალიან
უხაროდათ. იძახდნენ „როზა შეგვემატა, როზაო".

—მერე შენ როგორ გახსოვს ორი თვის უკან იყო თუ
ოთხი თვის? —შეეკითხე ირონიულად და თან დავამთქნარე.

—მახსოვს, როგორ არ მახსოვს, მახარობელი რომ მოვიდა
მამამისთან, ოცდაცხრა რიცხვი იყო. დღეს ხომ ოცდაცხრა
სექტემბერია? ზუსტად ორი თვე გავიდა. მამამისმა ასი
მანეთი აჩუქა და ოცდაცხრა ცალი შოკოლადის კანფეტიც
დაამატა; ჭიშკართან ვიდექი და მეც მიეულოცე ნასვამებმა
ასეთ უშინაარსო ლაპარაკში შევტოპეთ. ზაურს და მიშას
სიმღერა ეხერხებოდათ, ნოდარი და რომანიც ნელ—ნელა
აყვნენ მათ. ამასობაში ჩვენს შესახვევს მივუახლოვდით.
ერთმანეთი გადავკოცნეთ, მე და ზაური ბინისკენ წავედით...

მეორე დღეს, შესვენების დროს, ექვსიევემ თავი მოვიყარეთ
და ვაანალიზებდით წუხანდელ ჩვენს საქციელს.

—რაღაც მახსოვს, ვიღაც პატარა როზაო, ვლაპარაკობდით,
— შევახსენე მე გურამს.

—ჰო, ჩემს მეზობელს შეემატა გოგო ორი თვის წინ,
როზა დაარქვეს და მე გაგეხუმრე: შენ მაგას მოუცადე,
სანამ გაიზრდება, გასათხოვარი გახდება და მერე ის შეირთე-
თქო, რადგან სულიკო უფროსად მიგაჩნია და არ მოგწონს-
მეთქი.

—ჰო, გამახსენდა, როზა, გამახსენდა — ვუპასუხე მე და
დაფიქრდი: ხუთ—ექვს თვეში დავამთავრებთ ტექნიკუმს და
ჩემს ნანას შევირთავ. რაღაც წერილი იგვიანებს მისგან.
თვეში ორ—სამჯერ ვწერდით წერილებს. ეხლა რაშია საქმე?
— ჩავიბუტბუტე და ზარიც გაისმა...

ტექნიკუმი დავამთავრეთ. სამი ბიჭი და სამი გოგო ორი
წლით გაგვამგზავრეს სამუშაოდ ტყვარჩელის თბოელექტრო-
სადგურში. მე და ნოდარი — მეორე საერთო საცხოვრებელში

ერთ ბინაში მოვთავსდით. ნოდარი და მე ტექნიკუმში მაინც და მაინც დაახლოებული არ ვიყავით, მაგრამ ტყვარჩელში კარგად გავუგეთ ერთმანეთს. ის პირველი ნოდარი, რომელიც „მაჭანკლობდა“ სულიკოსთან, სამტრედიელი იყო და დავეთხოვეთ ერთმანეთს. ეს მეორე ნოდარი ოჩამჩირის მცხოვრები იყო...

ტყვარჩელის ხსენებაზე გიორგი შეკრთა, გაბრაზდა, ფეხზე ადგა.

გავგიჟდები ეხლა, ზუსტი ბიძაჩემის ბიოგრაფიაა, ის ხომ ტყვარჩელში მუშაობდა, ბაბუაშენი, ბიჭო, დათო! — ხმამაღლა მიაძახა გიორგიმ. მოხუცი დუმდა.

—გიორგი ბიძია, ხომ გთხოვეთ, ბოლომდე წავიკითხოთ, საღამომდე ხომ მოვრჩებით და ყველაფერს გავიგებთ, დამშვიდდით, ნუ ნერვიულობთ;

—არა, ერთი მაინც ვკითხო, თუ იცნობდა ბიძაჩემს, ისიც ხომ იქ მუშაობდა?.. მოხუცმა, არაო, არ მახსოვსო.

—გააგრძელე, გააგრძელე! სად წაგვივა, აგერ არ გვყავს მომწყვდეული? — უთხრა გიორგიმ დათოს. დათომ გააგრძელა...

ნანა მერე შევიდა ტექნიკუმში. იქ — სოხუმში მისი სწავლის დროს ერთხელ ვინახულე. მეორედაც და ბევრჯერაც მინდოდა, მაგრამ ეკონომიკა ხელს არ მიწყობდა. წერილებს კი ვწერდით ერთმანეთს. მალე ტექნიკუმიც დაამთავრა და დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს... ჩემი ტექნიკუმის ამხანაგებიდან იქვე სოხუმში დარჩნენ: ზაური, რომანი და გურამი, გურამს მამამისმა ის სახლკარი უყიდა, სადაც მას ბინა ჰქონდა სწავლის დროს. ოთხოთახიანი ოდა სახლი პატარა ეზოთი. ე.ი. გურამი იქაური მეზობლების მკვიდრი გახდა. პატარა როზას, რომ ნახავდა ჩემთან ხუმრობა ახსენდებოდა.

გიორგის მაინც არ ეყო მოთმინება და წამოდგა ფეხზე

—თქვენი სახელი მაინტერესებს, ბიძია? — შეეკითხა გიორგი მოხუცს.

—იქ არ ეწერა, შვილო?

—აქედან გამომდინარე თქვენ დავითი გქვიათ!

—ასე თუ გამოდის, ისე იქნება, შვილო.

—გამაგიჟებს ეს მოხუცი, მთლად ემთხვევა ბიძაჩემის ბიოგრაფიას, ნამდვილად ამას პყავს მოკლული იგი და ეს ნაწერიც მისაკუთრებული — თქვა გიორგიმ და დერეფანში გავიდა. სიგარეტს მოუკიდა. დათოს დაუძახა. დათომ მოხუცს ბოდიში მოუხადა და გიორგისთან მივიდა.

—იცი რას გეტყვი, შვილო! — დაიწყო გიორგიმ აღელვებით — ეს ნამდვილი ბაბუაშენის ბიოგრაფიაა... აბა, ასე აბსოლუტურად ერთნაირი ბიოგრაფია და სახელის დამთხვევა როგორ შეიძლება? მე ხვალ დილით მივალ ჩვენი რაიონის საბჭოში, გავიგებ, სად დაასაფლავეს ის მოხუცი. ამოვაგდებთ, შევამოწმებ და ყველაფერს დავაზუსტებ. ეს მოხუცი მივაცილოთ საღამოს ბინაში და გავიგოთ, სად ცხოვრობს, ან სულ არ გაეუშვათ აქ გვყავდეს — დაამთავრა გიორგიმ.

—მეც საეჭვო გამიხდა, მაგრამ იმის წაკითხვას მაინც მოვრჩეთ სჯობია, საინტერესოა, როგორ მთავრდება ბიოგრაფია — თქვა დათომ და ორივე მოხუცთან მივიდა. მოხუცი ცოტა არ იყოს ნერვიულობდა.

V თავი

—ნამდვილად ჩემი ბრალია, შენ რომ დაგიჯერე, დედაჩემო! აწი ძალიან გვიან თუ არ იქნება, მე შევუდგები ჩემი შეცდომების გასწორებას — გააგრძელა მუნამ.

—დღემდე არ უნდა მოგეცადა, დედაშენი, მგონი, არ იქნებოდა წინააღმდეგი, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ — ჩაერია ლაპარაკში ნინო.

—საინტერესოა, რამ შეაყვარა ის ქალი ბაბუას, ან ისიც რამ გაასულელა, ბავშვები რომ დაუტოვებია, მგონი ოცი წლით უმცროსი იყო ბაბუაზე. ჩაილაპარაკა დაბალი ხმით ანამ.

—მე როგორც გამეგება, ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი, — დაიწყო მუნამ — იქიდან ვიცი, რომ მამაჩემი ბოლოს სულ ლექსებს წერდა სიყვარულზე. ის ქალიც წერდა პასუხს. ალბათ, იმასაც არ უყვარდა თავისი ქმარი და იძულებული

გახდა, დაეტოვებინა ქმარ—შვილი. შენც, დედაჩემო, არ გიყვარდა და იმანაც შეგიძულა. ასეა ეს — დაამთავრა მუნამ.

—მითხარით, რა ერქვა იმ ქალს? — იკითხა ანამ.

—ეშმაკის ფეხი! — ჩაილაპარაკა დოდომ.

—რა ერქვა და როზა! — მიუგო მუნამ.

—ყველაფერი სიყვარულის და ხასიათის ბრალია — ჩაერია ნინო.

—საინტერესოა, ისინი ეხლა სად და როგორ ცხოვრობენ? ბაბუა თუ ცოცხალია, ოთხმოცი წლის ხომ იქნება, ის „ბებია" კი — სამოცამდე. თუ ბაბუა გარდაიცვალა, ის ქალი ხომ შეგვატყობინებდა, ან გიორგი ბიძიას ხომ აცნობებდა, მისი მისამართი ხომ ეცოდინებოდა? — თქვა ანამ.

—შენი ბაბუა ისეთი ხასიათის იყო, იმას ვინ გაუჩერდებოდა? ის ქალი დატოვებდა მას და დარჩებოდა უპატრონოდ. დამარხავდნენ ძაღლივით, ან თუ ცოცხალია, დადიოდეს იქნება მაწანწალასავით მარტოდმარტო — თქვა დოდომ ბოღმით.

—ასეა თუ ისე, ხვალ, ორშაბათს, მივდივარ რაიაღმასკომში და გავიგებ, როგორ უნდა საკავშირო ძებნის გაფორმება; სურათიც უნდა, ალბათ, არა? — იკითხა მუნამ.

—ოცდაათი წლის წინანდელი სურათი არც კი გამოდგება, ალბათ, საკმარისი იქნება სახელი, გვარი, მამის სახელი და დაბადების წელი, — მიუგო ნინომ.

—დავუშვათ და ორივე ერთად ვიპოვეთ, მაშინ როგორ მოვიქცეთ? ორივე ჩვენთან ხომ არ წამოვა? — თქვა მუნამ გაკვირვებით.

—რა თქმა უნდა, არ წამოვლენ, როგორც ბაბუა იტყვის, ისე უნდა მოიქცე, — დაამატა ანამ.

—ჯანდაბას მისი თავი, ოღონდ ცოცხალი იყოს და ვიცოდეთ სად აგდია! — ჩააცეცხლა დოდომ.

—დავუშვათ და გარდაცვლილია და დასაფლავებული, მაშინ რა ექნათ? ნეშთი ხომ უნდა ჩამოვასვენოთ მშობლიურ მიწაზე?

—აბა, რას იზამ, შვილო! მაგრამ მე მგონია, ის ჯერ არ იქნება გარდაცვლილი — თქვა დოდომ და თავი ასწია...

მანქანის ხმა მოესმათ. ანა გარეთ გავიდა. ჭიშკართან მარიამი და მისი მეუღლე მანქანით იდგნენ. ანამ ჭიშკარი

გააღო. მანქანა ეზოში შემოვიდა. ნინო და მუნაც გარეთ გამოვიდნენ. დოდო ჩაფიქრებული იჯდა ბუხრის წინ...

VI თავი

...გააგრძელე, გააგრძელე დათო! — უთხრა გიორგიმ ჩაკვნესით.

—რა დრო იქნება, ბაბუ? — იკითხა მოხუცმა.

—ჯერ ადრეა, ბიძია, სად გეჩქარებათ!? აქ დარჩით ღამე, — უთხრა გიორგიმ ცოტა მკვახედ.

—არა, ცუდი გრძნობა მაქვს, ღამე ჩემს ოთახში მინდა ვიყო, აუცილებელი საქმე მაქვს! — თქვა მოხუცმა და წინ წარმოუდგა გუშინწინდელი საღამო და ღამის შუქის გამორთვის მომენტი, მისი გადაწყვეტილება.

—კი, ბაბუა, როგორც გსურდეთ, ოღონდ გვაცალეთ ამის წაკითხვა და მერე ჩვენ გაგაცილებთ. მიუგო დათომ და შეუდგა გაგრძელებას...

...გურამი იქაური მეზობლების მკვიდრი გახდა. ნანას და მე მიწერ—მოწერა გვქონდა. ერთმანეთისაგან დაშორებული ვიყავით დაახლოებით სამოცი კილომეტრით... ნოდარი და მე ორივე ღარიბი ოჯახიდან ვიყავით. ხელფასი ცოტა დაგვინიშნეს. პურზე და ჩაიზე თუ გეყოფნიდა ხოლმე. ოჯახიდან ვერ გვეხმარებოდნენ. ნოდარი და მე ისე დავძმობილდით, რომ ერთი დედის ნამშობი ძმები არ იქნებოდნენ უკეთესად. თითოეულმა თითოეულის ნაბიჯი ვიცოდით. ყოველგვარ გადაწყვეტილებას ერთმანეთს ვუზიარებდით. ის ხშირად მეუბნებოდა: „ნანამ ტექნიკუმი ხომ დაამთავრა? შეირთე, აქ მოიყვანე, მე დროებით სხვასთან გადავალ. ჩვენი დირექტორი დაოჯახებულებს უფრო მეტ პატივს აგებს. ერთ ან ოროთახიან ბინას მოგცემენ. ნანას სამუშაოსაც გამოვუძებნით და იქნებით ტკბილად. შენ შედარებით ჩემზე უკეთესი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გაქვს. თანდათან კიდევ უკეთესსაც შეიძენთ“. მე კი ვპასუხობდი: „ვნახოთ, მოვითმინოთ, მეც ცოტა სულს მოვიდგამ, ხომ ხედავ, როგორ სუსტად ვარ

ფიზიკურადაც, კაცმა მაგრად რომ დამიბეროს სული, ლამის წავიქცე“...

სექტემბერი იყო. კვირა დღე. ნოდარი და მე ფეხბურთის საყურებლად წავედით. ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩემი რაიონის და ტყვარჩელის ფეხბურთელები. იქ შემთხვევით შევხვდი თანაკლასელ გულშემატკივრებს —ბორისს და რანოს. გადავკოცნეთ ერთმანეთი და ნოდარი გავაცანი. ნოდარი მაღალი ტანის, სუსტი მოყვანილობის, ფართო სახის და შავულვაშიანი იყო. თავზე თმა ჩამოცვენილი. ფეხბურთი ადრე დაიწყო და ადრე დამთავრდა ანგარიშით ორით ორი. სტუმრები ბინაში მივიპატიჟეთ. ოთხნი ვიყავით. ექვსი ბოთლი არაყი, ძეხვი და პური ავიღეთ მაღაზიიდან ნისიად. გამყიდველები კარგი ნაცნობნი იყვნენ. თამადობა მე დავიწყე. ბევრი რამე სკოლიდან გავიხსენეთ. რაც გვქონდა, ვჭამეთ და დავლიეთ. სტუმრები გავაცილეთ. მთვრალი ვიყავი, მაგრამ კაცი ვერ შემატყობდა, რადგან სიმთვრალეში და სიფხიზლეში ერთნაირად დინჯი ვიყავი. თერთმეტ საათზე ღამის ცვლაზე სამუშაოდ წავედი. ელექტროსადგურის მორიგე ინჟინერმა ბ—ნ სერგომ შემამჩნია. რომ შეუძლოდ ვიყავი. ელსადგურის მართვის ფარზე ვიყავით ოთხი კაცი. სერგომ ტკბილად მითხრა: „დათო,ჯერ დაისვენე და დილით ადრე წაიმუშავე ქაღალდზეო“. მეც დავუჯერე. მართვის ფარის უკან გავედი.რეზინის ხალიჩა დავაგე და დავწექი. სიცივემ ამიტაცა. ავკანკალდი. ავდექი და სამუშაო მაგიდასთან მივედი. სერგო უფროსმა შემამჩნია. რომ მციოდა და ელ.ქურასთან მიმიპატიჟა — მოდი, გათბი და მერე დაწერეო“. დასაწერი იყო ელექტროენერგიის გამომუშავება, საკუთარ მოხმარებაზე და სხვა ჩვენებები. ვერ გავთბი. წერა დავიწყე, არ გამომივიდა. სერგო მიხვდა და მითხრა: „წადი შენ სახლში და მე დავწერო“. ბოდიში მოვუხადე და წავედი. ბინაში რომ მივედი ნოდარს ეძინა. ელექტროქურა ჩავრთე და ჩაიდანი დავდგი. ნოდარსაც გაეღვიძა. „ასე ადრე რატომ მოხვედიო“, — მითხრა.

—ნოდარ, თავს ცუდად ვგრძნობ, მგონი სიცხე მაქვს — მივუგე მე, ნოდარი ადგა, ჩაიცვა, დერეფანში გავიდა. მეზობელი რუსის ქალი გააღვიძა და თერმომეტრი სთხოვა. სიცხე

გავიზომე, ნოდარმა თერმომეტრს გახედა და „ვახ„ — მიაძახა, ორმოცი იყო. შვიდი საათი. სიცხის წამალი მიმაღებინა და ისევ იმ ქალთან გავიდა. ტელეფონთან თხოვა. სასწაფოს დაურეკა და იმ ქალსაც გააგებინა ჩემი ავადმყო-ფობა. ორივე ერთად შემოვიდნენ. ეხლავე ექიმი მოვაო, — დამაიმედეს. ათ წუთში სასწრაფო დახმარების მანქანა მოადგა ჩვენს შესასვლელს. ნოდარი შეეგება. ექიმმა გამისინჯა გული, ფილტვები, ღვიძლი და სიცხეც გამიზომა, ორმოც გრადუსზე მეტი იყო. წამლები გამომიწერა და რენტგენზე მიმართულება მომცა.

ცხრა საათზე მე და ნოდარი რენტგენზე გასაშუქებლად წავედით. ძლიეს მიედიოდი, ძალა არ მყოფნიდა. ავტობუსით ვიმგზავრეთ, მერე ფეხით. ტაქსზე ფული არ გვყოფნიდა. როგორც იქნა, რენტგენის კაბინეტთან მივედით. რენტგენოლოგმა გამაშუქა და რაღაცა ქაღალდი მომცა. გარეთ რომ გამოვედი, ეს ქაღალდი ნოდარმა გამომართვა. დავხედეთ ორივემ. ქაღალდზე ეხატა მსხლის მაგვარი და ქვეშ ლათინურად ეწერა. ზემოთ ქაღალდზე რუსულად ეწერა „კაბინეტ № 10 ტუბდიხპანსერ“. „მეათე ოთახი“ — თქვა ნოდარმა და ძებნა დავიწყეთ. მეათე ოთახის კართან სამი კაცი იდგა. რიგში ჩავდექი. სკამზე ჩამოვჯექი. დროზე შევედი. ექიმი კაცი იყო თეთრ ხალათში. შემომხედა, გამიღიმა. რა გაწუხებს, ახალგაზრდაო? — მითხრა რუსულად. მე ქაღალდი მივაწოდე, დახედა, დაბრძანდიო, — მითხრა. ლოგინზე ჩამოვჯექი, მან კარგად გამსინჯა. ფილტვებს მოუსმინა. რენტგენის დასკვნას კიდევ დახედა და წერა დაიწყო. ბოლოს ისევ მე ღიმილით შემომხედა. მის მიერ დაწერილი ქაღალდები გადმომცა და მითხრა: „ნუ გეშინია, ცოტა ხანს ტუბსაავადმყოფოში უნდა დაწვე და ყველაფერი კარგად იქნება“. რუსულად მეუბნებოდა, მერე რომ ვიკითხე, სომეხი ყოფილა, სახელად — იშხან. ხელი ჩამომართვა; ექიმებს დაუჯერე და მალე გამოჯანმრთელდებიო, კარამდე მიმაცილა. დერეფანში რომ გავედი, ქაღალდები ნოდარს გადავეცი. ქაღალდზე რუსულად ეწერა „მიმართულება ტუბსაავადმყოფოში“. ნოდარმა გაიკვირვა, რა არის და სად არის! მეც არ ვიცოდი,

თუ სად იყო ტუბსაავადმყოფო. რეგისტრატორს რომ შეეკითხეთ, მან კარგად აგვიხსნა ყველაფერი. ტუბსაავადმყოფო ათი კილომეტრით ყოფილა დაშორებული ქალაქს. „ტუბერკულიოზი?! ეს ხომ ჭლექია? საშინელი, გადამდები და განუკურნებელი ავადმყოფობა“, — ვფიქრობდი მე გზაში. ნოდარიც ჩაფიქრებული იყო. ასე დუმილით მივედით ავტობუსების გაჩერებასთან. ნოდარს სამ საათზე ჰქონდა გამოსასელელი ცვლაზე სამუშაოდ.

—ნოდარ, იცი რას გეტყვი?— დავიწყე მე — ეხლა საავადმყოფოში კი არ წავალ, არამედ უმჯობესია, ჯერ წავიდე სოფელში, მშობლებთან. ვინახულებ დედას, მამას, დას, ძმას და ყველა ახლობელს, გამოვემშვიდობები მათ, ნანასაც უკანასკნელად შევხედავ, შეიძლება შემდეგში ვერც ვნახო ისინი; მაგრამ ფული? ფული უნდა ვისესხოთ ვინმესგან. მერე მოვალ და დავწვები საავადმყოფოში.

—არა, დათო, სამოცი კილომეტრის მგზავრობა ასეთი სიცხიანი კაცისათვის საშიშია. სჯობს, ჯერ დაწექი საავადმყოფოში და უმალვე დაიწყებენ სასწრაფო დახმარებას, მე კი ხვალ დილით ადრე წავალ შენს მშობლებთან და შევატყობინებ ყველაფერს — დამაძალა, დამაჯერა და მეც იძულებული გავხდი, ისე მოვქცეულიყავი. მივედით ტუბსაავადმყოფოში. გავიცანით მთავარი ექიმი. ისიც სომეხი, სახელად, ვაზგენ „რუბენოვიჩი“. მან თბილად მიგვიღო. გამსინჯა, მომისმინა. იშხან ექიმის ნაწერი ქაღალდები გამომართვა. დამაიმედა, — ნუ გეშინიაო, ყველაფერი კარგად იქნებაო, წამლები და ყურადღება არ მოგაკლდებათო, ზოგი საზღვარგარეთული წამალი საშოვნი გექნებათო და ნოდარს შეხედა... მორიგე ექიმი და მედიცინის და გამოიძახა. „ეს ახალგაზრდა მე—5 პალატაში მოაწყვეთ და სასწრაფო მკურნალობა დაუწყეთო“ — უბრძანა მათ. ნოდარი არ მცილდებოდა. მეორე სართულზე ავედით. იმ ოთახში ორი საწოლი იყო. ზოგში ოთხი და ექვსი. „აქ შენსავით ახალგაზრდა და, მსუბუქი ფორმის ავადმყოფი წევს, ეხლა გასულია, ალბათ, გარეთ“ — მითხრა მედიცინის დამ, ახალგაზრდა გოგომ, სახელად ნელი. მე

და ნოდარმა ნელის მადლობა ვუთხარით თავაზიანი მოპყრობისათვის.

„ოც წუთში ნემსი უნდა გაგიკეთო, სიცხის საწინააღმდეგო“ — თქვა ნელიმ და გავიდა. ნოდარმა საათს დახედა. ორი დაწყებული იყო. „სანიტარკამ“ სადილზე მიგვიპატიჟა. ნოდარსაც შეხედა და წამობრძანდითო, გვითხრა. ჩვენ მადლობა მოვახსენეთ, არ გვინდაო. პირველ სართულზე ჩამოვედით. ნოდარს სამუშაოზე ეჩქარებოდა. გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. ორივეს ცრემლი მოგვადგა თვალზე. გავმაგრდით. „ხვალ შუადღისას აქ ვიქნებიო“ — მითხრა და წავიდა... მეორე დღეს, ზუსტად თორმეტ საათზე ნოდარი და ჩემი უფროსი ძმა — კაკო მოვიდნენ...

„გამაგიჟებს ეს კაცი, მამაჩემზე ლაპარაკობს. ბიძაჩემის ბიოგრაფიაა. მოპარული აქვს, მოკლული ჰყავს“ — ფიქრობდა გიორგი და თან კბილებს აკრაჭუნებდა. ადგა და ოთახში აქეთ—იქით დაიწყო სიარული. უნდოდა, ხელებით ჩამოეხრჩო ეს მოხუცი, მაგრამ ისევ დათოსი ერიდებოდა, რადგან მან ბერჯერ თხოვა, ბოლომდის წაეკითხათ და მერე ხომ ყველაფერი ნათელი იქნებოდა. „მე რატომ უნდა ვუსმინო ამ ბიოგრაფიას, როცა ყველფერი გასაგებია ჩემთვის“ — გაიფიქრა გიორგიმ, დერეფანში გავიდა, პაპიროსი გააბოლა.

—რატომ ნერვიულობ, გიორგი? — შეეკითხა ალინა.

—მერე გაიგებ! — უპასუხა გიორგიმ და გარეთ გავიდა. დათო გაფაციცებით, გულდასმით და ხმამაღლა კითხულობდა. ბევრი ანალოგიური რამ გაუგონია მამისისაგან. ბოლო აინტერესებდა, ბოლო — გიორგი ბევრს ეწეოდა პაპიროსს და ფიქრობდა: „ნუთუ ეს ოხერი კაცი მოკლავდა ბიძაჩემს? თუ სხვამ მოკლა და ეს შემთხვევით შეხვდა მიგდებულ გვამს და ამოუღო ჯიბიდან?! ან შეიძლება თავისით მოკვდა და ამან ჩაიგდო ხელში მისი ბიოგრაფია? აბა, მეტი რა უნდა ვიფიქრო?“... დათო კითხულობდა და თან თვალზე ცრემლი მოსდგომოდა. მოხუციც დაბეჯითებით უსმენდა.

მეორე დღეს კაკომ ყველა საჭირო საზღვარგარეთული წამალი მიშოვა. გადამკოცნა, ნუ გეშინიაო, ყველაფერი კარგად ჩაივლისო. მთავარ ექიმთანაც თბილი, გულღია

საუბარი მქონდაო. ეხლა წავალ, ცოლ–შვილს და მშობლებს მივაკითხავ, ზეგ ისევ მოვალო – მითხრა ძმამ და გამომემშვიდობა...

ნოდარი თითქმის ყოველდღე მოდიოდა; ხან დილით და ხან საღამოს. მოჰქონდა ახალი გაზეთი, ჟურნალი, ხილი და სხვა. მოდიოდნენ თბოელექტროსადგურიდან უფროსები: შოთა, გიორგი, სერგო, ბიძინა, ვაჟა, ნოდარი და სხვა. სკოლის ამხანაგებსაც გაუგიათ და მოდიოდნენ ხელებდატვირთულები. ტექნიკუმის ამხანაგები, რომლებიც ტყვარჩელში იყვნენ ხშირად მოდიოდნენ: ნეირონი, ლია, ლეილა და, რა თქმაუნდა, მეზობლებიც გვაკითხავდნენ. ნანა არ ჩანდა. ვფიქრობდი, „ჩემი მომავალი ჩაქრა, ალბათ, გაიგეს ნანამ და მისმა მშობლემა, რომ ჭლექიანი ვარ. აწი მე ვის ვუნდივარ – მეთქი". მეც ფარ–ხმალი დავყარე... პირველ ათ დღეში ორი ადამიანი გარდაიცვალა საავადმყოფოში. ისინი მძმე ავადმყოფები იყვნენ. ხშირად, უფრო ღამის საათებში, ისეთი ხველება ატყდებოდა, რომ შორიდან კაცს ეგონებოდა სამხეცეში მხეცები ღრიალებენო. მეც ვახველებდი ხანდისხან, უფრო მსუბუქ ფორმებში. ბევრს ღია კოვერნა ჰქონდა, ხველებისას სისხლიც ამოჰყვებოდათ ხოლმე... ექიმები ყოველდღე მსინჯავდნენ და მისმენდნენ. ათ დღეში ერთხელ რენტგენში მაშუქებდნენ. „შენი ჯანმრთელობა ყოველდღე უმჯობესდებაო" – მეუბნებოდნენ. მე არ მჯეროდა. ნოდარის ყოველ მოსვლაზე თვალზე ცრემლი მომადგებოდა ხოლმე. მეთხუთმეტე დღეს ოცდახუთი წლის გოგო გარდაიცვალა. იმედი დავკარგე. ჩემი განკურნება საბოლოოდ მაინც არ იქნება– მეთქი. საავადმყოფოს მეორე სართულზე, უკანა ფასადზე, მთელ სიგრძეზე აივანი და მოაჯირი ჰქონდა. მზიანი დილა იყო. მე და ჩემთან ოთახში მწოლიარე ბიჭი – ტრიფო აივანზე გავედით. ცუდ გუნებაზე ვიყავი. გამახსენდა წარსული, გამახსენდა ნანა, სკოლა, ტექნიკუმი, დედა, მამა, და, ძმა, პატარა ძმისშვილები. მომავლის იმედი დავკარგე. ასეთი სიცოცხლე არ მომინდა. გადავწყვიტე. თავს მოვიკლავ – მეთქი, აივნიდან გადახტომა მოვიფიქრე. ქვევით ჩავიხედე, უფსკრულივით

მომეჩვენა ყველაფერი. ჩემს პირდაპირ, ქვემოთ, ვებერთელა ქვას მოვკარი თვალი...

დათოს ცრემლები გადმოუცვივდა და ნაწერი დაასველა; მოხუცს არ შეუმჩნევია, მასაც თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. გიორგი, რომელიც გარედან ხუთი წუთის წინ შემოუიდა, ნერვიულობდა...

—რაზე ჩაფიქრებულხარ, დათო? — შემეკითხა ტრიფო და მომიახლოვდა. მე არ ვუპასუხე. ხელი ჩავკარი მოაჯირს, ავსკუპდი და თაკით წავედი. ტრიფო ფეხზე ჩამომეკიდა, დაიყვირა, ხომ არ გაგიჟდიო. მე წელზე ჩამოკიდებული დავრჩი, ქვევით მიეიწეოდი, გამიშვი — მეთქი, ვიძახდი. ტრიფო „მიშველეთო" ყვიროდა. მიეშველნენ და ჩამომხსნეს.

—რას შვრები, რას ჩადიხარ! შენ კი არა, ჩვენ გვაქვს გადარჩენის იმედიო — მეუბნებოდნენ ისინი. ოთახში როგორ შემიყვანეს, არ მახსოვს. მორიგე ექიმი შემოვიდა. გაშეშებული ვიდექი. ხმას არ ვიღებდი. ექიმმა წამოწოლა მირჩია. წამოვწექი.

—დათო, შენი ჯანმრთელობა ყოველდღე უმჯობესდება, წამლები სამაგალითოდ მოქმედებენ, მალე ჯანმრთელს გაგწერენ, რამ შეგაშინა? ვაჟკაცი ხომ ხარ, ბიჭო!? შენი ფილტვების დაჩრდილვას კი არა, ორ—სამ სანტიმეტრიან კოვერნას ვარჩენთ. დღევანდელი მედიცინა ტუბერკულიოზს ასი პროცენტით კურნავს. ყველაფერი კარგად გექნება. აწმყოც და მომავალიც. მალე შენი მეგობარ—ამხანაგების რიგში ჩადგები სრულიად ჯანმრთელი — დამამშვიდა ექიმმა. მეც ვატყობდი, რომ ჯან-ღონე მემატებოდა. მადა კარგი მქონდა, წონაშიც ემატულობდი, მაგრამ მაწუხებდა ფიქრი ნანაზე; ნანა სადაა — მეთქი... ნანას და მის მშობლებსაც გაუგიათ ჩემი ავადმყოფობის შესახებ. ნანას ბეევრჯერ გადაუწყვეტია ჩემსკენ წამოსვლა, მაგრამ დედამისი კატეგორიულად წინააღმდეგი ყოფილა. „დათო, დათო, რა დაგიჩემებია!? ბიჭების მეტი რა არის ამ ქვეყნად? იმ ჭლექიანს რომ არ ჩაეკვდე!? არ გინდა მომავალი? არ გინდა ბავშვები?! — ეუბნებოდა თურმე. იტანჯებოდა ნანა. „ბიჭების მეტი რა არისო", მაგრამ სიყვარული? სიყვარული სად არის?— ფიქრობდა იგი. მე

საავადმყოფოში ვნერვიულობდი, ის კი — სახლში. ეს მონაცემები, აზრები და მოქმედებები მომდიოდა ნოდარისაგან და სკოლის ამხანაგებისაგან. თუ არა ნოდარი, მე, ალბათ, სიცოცხლეს ადრე გამოვესალმებოდი. ნოდარის ყოველი მოსვლა მახარებდა. მისი ნახვა მაიწყებდა ჩემს გასაჭირს. ვერთობოდი ჟურნალ—გაზეთებით, ხან მთავარ ექიმთან ჭადრაკს ვთამაშობდი, ხან მედიცინის დებთან დრო გამქონდა ბჭობა — ხუმრობით. ვატყობდი ჯანმრთელობის უკეთესობას. ოჯახის შექმნაზე ფარ—ხმალი დავყარე. გადავწყვიტე, სანამ ვარ, მეცხოვრა მარტოდ მარტო. „ნოდარი დაქორწინდება, მე კი არა. ნანა გათხოვდება ან გაათხოვებენ, ალბათ, უსიყვარულოდ, მე კი ვიქნები განდეგილი. სწავლას გავაგრძელებ, დავიწყებ რაღაც—რაღაცების ჯღაბნა—წერას“. ასეთ და ამგვარ ფიქრებში სამი თვე დავყავი საავადმყოფოში
გამოწერისას მთავარმა ექიმმა მითხრა: „ჩემს დარიგებას თუ შეასრულებ, გარწმუნებ, რომ ასპროცენტიანი ჯანმრთელი იქნები: ორი წელი სიგარეტს ნუ მოსწევ, მაგარ სასმელებს გაუფრთხილდი, დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში თუ წახვალ, ძალიან კარგი იქნება. ქალებთან სიარულს მოერიდე; უსაზღვრო წუხილი და სიხარულიც არ ვარგა; ასე თუ მოიქცევი, ორი წლის მერე, რაც ეხლა აგიკრძალე, ყველაფერზე ნებას დაგრთავს შენი ჯანმრთელობა. ოჯახსაც შექმნი და ჯანსაღი შვილებიც გეყოლება. აბა შენ იცი, დათოჯან, შენი მომავალი შენზეა დამოკიდებული“ — მითხრა და ხელი გამომიწოდა, გადამკოცნა. ნოდარმა ხელი ჩამოართვა. მადლობა ვუთხარით და დავემშვიდობეთ. გამოვედით მთავარი ექიმის კაბინეტიდან. გამოვემშვიდობეთ ყველას: ექიმებს, მედდებს, სამზარეულოს თანამშრომლებს და იქაურ ამხანაგებს... „ორ წელიწადში ასპროცენტიანი ჯანმრთელი იქნებიო; ჯანსაღი შვილები გეყოლებაო; ორ წელიწადში შვილები? ვისგან? ნანა სად იქნება? ნახევარი წელია არ მინახავს. წერილიც არ მიმიღია. შეიძლება გაათხოვეს კიდეც“ — ასეთი ფიქრებით ჩავსხედედით მე და ნოდარი სამარშრუტო ავტობუსში და ბინისკენ გამოვწიეთ...

დეკემბერი იწურებოდა. საახალწლოდ ნოდარი და მე მშობლიურ კუთხეს ვეწვიეთ. ჯერ ნოდარის სახლში გამოვიარეთ, დედამისი მოვინახულეთ და მერე – ჩემი მშობლები. ისინი სიხარულის ცრემლებით შეგვხვედნენ, გადამკოცნეს. დედაჩემი ტიროდა. ნოდარმა დაამშვიდა, ნუ გეშინიათ, სრული ჯანმრთელიაო. ძმისშვილები პატარები იყვნენ და მათ გადაკოცნას მოვერიდე. თავს უხერხულად ვგრძნობდი, ჭლექიანი რომ ვიყავი? გადამდებიაო..

...– გაჩერდი, დათო! – შეაწყვეტინა კითხვა გიორგიმ და მოხუცს მიუბრუნდა – რამდენი ძმისშვილი გყავდათ, ბიძია?! – შეეკითხა გიორგი ბრძანების კილოთი.

–იქ არ წერია, შვილო?

–არ წერია! შენ ხომ იცი! მიპასუხე! – მოხუცი ჩაფიქრდა.

–არ მახსოვს. წაიკითხეთ, იქ იქნება ნახსენები.

–არ წავიკითხავთ! თქვენ მითხარით! მე მეტის მოთმენა არ შემიძლია! თქვენ კაცის მკვლელი ხართ!.. მოხუცმა თავი ასწია. გიორგის საწყალი თვალებით შეხედა. ცრემლები გადმოუცვივდა, მარჯვენა ხელით პიჯაკის მარცხენა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გაიმშრალა თვალები და მარჯვენა ჯიბეში ჩადო.

–ნუ ნერვიულობ, შვილო. თუ ბოლომდე წაკითხვის უნარი და მოთმინება არ გაქვთ, გთხოვთ აქედან გამიშვათ – თქვა მოხუცმა და ფეხზე წამოდგა. ალინა შემოვიდა. ლელამ და გელამაც შემოიხედეს. გაბრაზებული გიორგი ფეხზე დგომით შეჰყურებდა მოხუცს.

–გიორგი! რა მოგივიდა? რაშია საქმე? რას ჩაციკვდი ამ მოხუცს?– ჩაერია ალინა;

–თქვენი საქმე არ არის გადით აქედან! – უბრძანა გიორგიმ. ალინა გავიდა.

–რა იყო, დედა? რატომ ბრაზობენ? – შეეკითხა ლელა.

–არ ვიცი, შენი საქმე არ არისო! რაღაცას კითხულობენ, არჩევენ და ბრაზობენ. მალე ვახშამიც უნდა გავშალო და, მგონი ჩაგვიმწარებენ... დათო გიორგისა და მოხუცის შუა იდგა.

—არა, ბაბუა, თქვენ ვერ წახვალთ, უკვე ღამდება. ივახშმებთ და ღამე აქ დარჩებით. უთხრა დათომ და გიორგის მიუბრუნდა,

—გიორგი ბიძია, ნუ ღელავთ ყველაფერს გავარკვევთ, ცოტა დაგვრჩა წასაკითხი. დავასვენოთ ეს მოხუცი და მე კითხვას გავაგრძელებ.

—დავასვენებ კი არა, გავასვენებ აქედან. მოვკლავ, მითხრას, სადაა ბიძაჩემი, ეს ბიძაჩემის ბიოგრაფიაა და არა მისი! — დაიღრიალა ხმამაღლა გიორგიმ.

—ნუ მომკლავ, შვილო! ჩემი სიკვდილი ისედაც კარზეა მომდგარი. მე დილამდე ვერ მივაღწევ. ერთი თხოვნა შემისრულეთ და სიკვდილამდე ყველაფერს გეტყვით ეს ნაწერი... წიგნაკში ცოტა ფული მაქვს და ის მოახმარეთ ჩემს დასაფლავებას. წიგნაკი ბინაშია. ჩემი ბოლო ადგილსამყოფელი იმ ბიოგრაფიაში სწერია ბოლოს... რაც შეეხება ქართველი კაცის ცხედარს, რომელიც გუშინწინ ნახეს იქ თუ არ სწერია, მე სიტყვიერად გეტყვით, რაც ვიცი. ეხლა გთხოვთ გააგრძელოთ წაკითხვა, მეც მაინტერესებს. ბევრ რამეს გავიხსენებ... წყალი, წამალი... ალინამ წყალი და წამალი მოარბენინა. ვახშამიც მალე იქნებაო.

—გავაგრძელო, გიორგი ბიძია? — იკითხა დათომ.

—ნახე ბოლო გვერდები, თუ სწერია იმ ცხედრის შესახებ?! დათომ ბოლომდე გადაამოწმა, თვალი გადაავლო, მაგრამ მსგავსი ვერ ნახა.

—გააგრძელე, გააგრძელე! სად წაგვივა ეს საწყალი, აგერ არ არის?

...სახლში სამი დღე—ღამე დავრჩი. ნოდარი მეორე დილით წავიდა. დედაჩემს მოვახსენე ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, იმის თაობაზე, რომ ოჯახის შექმნაზე ხელი მაქვს აღებული. ის დღეები დედაჩამი სულ ტიროდა. „ნანა ჯერ არ გათხოვილა, ალბათ, შენ გიცდისო“ — მითხრა მან.

—თუ შეგხვდა სადმე, გადაეცი, მე ნუ მიცდის. ცოლის შერთვა აკრძალული მაქვს — ვუპასუხე მე.

—მე ვერც შემხვდება და ვერც ვეტყვი ვერაფერს. თუ მას არ მოიყვან, უკეთესსაც შეხვდები და მას შეირთავ... მითხრა

დედამ. მეწყინა. უკეთესიო? ჩემთვის ნანაზე უკეთესი არ არსებობდა.

—დედაჩემო! ექიმმა მითხრა, ორი—სამი წელი ნუ დაქორწინდებიო, მერე ვნახოთ, გავსინჯოთ შენი ჯანმრთელობაო. ორი—სამი წლის შემდეეგ ვინ იცის, უკეთ ვიქნები თუ უარესად? ამიტომ გადავწყვიტე, რომ დაქორწინებაზე არ ვიფიქრო...

მეოთხე დღეს გამოვემშვიდობე ყველას. ცრემლი გვედგა თვალზე. შეიძლება დიდხანს ვერ გნახოთ — მეთქი... სამ საათში უკვე ბინაში ვიყავი. ნოდარი დამხვდა. ახალი წელი მომილოცა, მეც მივულოცე, ვუამბე ყველაფერი. დამამშვიდა. სამსახურში გამოსვლა შემთავაზა, ბიულეტენის დრო დამთავრდაო... ხუთ იანვარს სამსახურში გავედი. კოლექტივი სიხარულით შემხვდა, საუკეთესო კოლექტივი იყო. რუსი, ქართველი, აფხაზი, სომეხი, აზერბაიჯანელი და, ვინ მოთვლის, რამდენი ეროვნების ხალხი ცხოვრობდა მაშინ ტყვარჩელში და მუშაობდა თბოელექტროსადგურში. ყველა ერთმანეთს პატივსცემით ვეპყრობოდით. ახალგაზრდები ძმებივით ვიყავით... მალე ახალი ბინა მოგვცეს კაპიტალურ შენობაში. ნოდარი „ხაზეიკობდა“ და „პოვრობდა“. პურმარილს, ქორწილს, ქელეხს და ძმაბიჭებთან დროსტარებას მოწყვეტილი ვიყავი. დავდიოდი ნოდართან ერთად ან უფრო ხშირად მარტოდმარტო. ნანა სულ თვალწინ მედგა, მაგრამ... არც წერილს ვწერდი და არც ვაპირებდი მასთან შეხვედრას. ასეთი ყოფილა ჩემი ბედი—მეთქი და ვემორჩილებოდი მას... წარმოებიდან რამოდენიმეჯერ საგზური მივიღე, ხან სანატორიუმზე, ხან კიდევ დასასვენებელ სახლებზე. ყველაფერს ისე ვასრულებდი, როგორც ექიმებმა დამარიგეს. ყოველ ექვს თვეში ერთხელ ექიმ იშხანთან და ვაზგენთან ვისინჯავდი ჯანმრთელობას. ისინი კმაყოფილნი იყვნენ ჩემი ქცევით. მეც ვატყობდი უკეთესობას... სამი წელი ასე გავატარე. განდეგილივით. ამ ხნის განმავლობაში ინსტიტუტში ჩავირიცხე დაუსწრებლად — „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სპეციალობაზე. დავიწყე ჩემი დუხჭირი ბიოგრაფიის წერა. ჩემი საყვარელი ნანა გათხოვდა. ჩემი მეგობარი ნოდარი

ძაბვის ქვეშ მოპყვა და გარდაიცვალა... ნოდარის დედას მეტი შვილი არ პყავდა. მარტოხელა იყო, შვილობილობა შემომთავაზა. უარი ვერ ვუთხარი. ნოდარის დედა ჩემი ბინიდან და ჩემი მშობლების სახლიდან ოცდაათი კილომეტრით იყო დაშორებული. ხშირად ვაკითხავდი მას და ნოდარის საფლავს. ხელფასის აღებისას ფულს ვჩუქნიდი და, რაც შემეძლო ვეხმარებოდი...

სამი წლისთავზე იშხანმა და ვაზგენმა უფლება დამრთეს დაქორწინებაზე, სმა—ჯამაზე, სიმხიარულეზე. „ცოლიც შეირთე და შვილებიც გეყოლება ჯანმრთელიო". გამიხარდა, მაგრამ...ნანა? სად არის? არავინ არ მიყვარდა. ბიოგრაფიის წერას ვაგრძელებდი და ამით ვერთობოდი. სტატიებსა და ნოველებს ვაქვეყნებდი ადგილობრივ და რესპუბლიკურ გაზეთებში... სამსახური, ინსტიტუტი, სკოლა (სკოლაშიც მქონდა მათემატიკის და ხაზვის საათები), წერა, კითხვა, პურ-მარილი, ქეიფი, ქელეხი. მშობლებთან სიარული, ნოდარის დედის მიხედვა და სასაფლაოს კეთილმოწყობა, ასე და ამგვარად მიდიოდა დრო.

ერთხელ, დასვენების დღეს სტუმრად მეწვივნენ ტექნიკუმის ამხანაგები — გურამი და ზაური. ბევრი ვილაპარაკეთ. მომილოცეს ჯერ ინსტიტუტის დამთავრება. მერე სამსახურეობრივი დაწინაურება. სამშენებლო სამმართველოს უფროსი გავხდი. ზაურმა ნანას ვხედავდიო და ქმარ-შვილი ჰყოლიაო. ვიქეიფეთ ჩემს ოთახში. ოცდარვაწლისთავიც მომილოცეს. გავიხსენეთ ტექნიკუმის სტუდენტობა. ზაურს ინსტიტუტი დაუმთავრებია, ოჯახი შეუქმნია. გურამის ბიჭი და გოგო დიდები იყვნენ. ათი და რვა წლისა. ნანას გათხოვება რომ მოვახსენე, გურამს გაეცინა. გაიხსენა, მშივრებმა გოგო რომ ვინახულეთ. გურამი სოხუმის ელექტროქსელში მუშაობდა, ზაური — ელ.საამქროს უფროსი იყო.

—მართლა რას უცდი, ბიჭო! — დაიწყო გურამმა — ოჯახის შექმნა ეს ხომ სავალდებულოა, ის თუ გათხოვდა, სხვა უნდა მოიყვანო, აბა რას იზამ? თუ იმ ჩემს მეზობლის ბავშვს უცდი? — ჩაიცინა მან — იგი უკვე სკოლაში დადის. რვა წლისაა როზა, კარგი ბავშვია... ყველამ გადავიხარხარეთ.

ასეთი ხუმრობით და სიხარულით შეეზარხოშდით და კარგ ხასიათზე ავიშალეთ. სადგურამდე გავაცილე, ერთმანეთი გადავკოცნეთ და დავემშვიდობეთ...

სოფელში, მშობლების სახლში, თითქმის ყოველ კვირას დავდიოდი. მანქანა მყავდა. დედაჩემი სულ მეჩიჩინებოდა: „ოჯახი ხომ უნდა შექმნა, შვილო, აწი ბავშვი არა ხარ". მე კი ვეუბნებოდი, კი, მაგრამ ვინ? ვინც მიყვარდა, გამითხოვდა, ეხლა რაღა ვქნა— მეთქი".

—გოგოების მეტი რა არის ამ ქვეყნად, შვილო? — მითხრა დედაჩემმა.

—გოგონები ბევრია, მაგრამ სიყვარული? — ვუპასუხე მე.

—ერთი კარგი გოგო მეგულება, შვილო, რომ ნახო, მოგეწონება, თუ მას შეირთავ, არ წააგებ, იცოდე! ჩემი ხათრი და სიყვარული თუ გაქვს, ნახე, გაიცანი და შეირთე, შენც კმაყოფილი იქნები და მეცაო... დავუჯერე დედაჩემს; გავიცანი დოდო, თავიც გავაცანი. „მე შენ დაუსწრებლად გიცნობდიო". — მითხრა დოდომ. „გარეგნობით კარგი გოგო არის, მაგრამ სიყვარული?" — მოვახსენე დედაჩემს.

—თუ მოგწონს, შეირთე და სიყვარულიც მერე გაიღვივებსო.

მეც დავუჯერე დედაჩემს. დოდო დამეთანხმა, შევირთე, ქორწილი გადავიხადეთ. ბედს შევურიგდი...

ჩემი მშობლები სოფელში იყვნენ, მე და დოდო კი ქალაქ ტყვარჩელში, სამსახურს ვაგრძელებდით, ოროთახიანი ბინა გვქონდა. გათბობა, ცხელი წყალი, ცივი წყალი, ტელეფონი, განათება და სხვა კეთილმოწყობა არ გვაკლდა. დოდო პირველ თვეებში დიასახლისობდა. ტკბილად ვიყავით. თითქოს სიყვარულიც იღვივებდა. მეოთხე თვეს დოდოს სამსახური ვუშოვნე. ტექნიკუმი დამთავრებული ჰქონდა, სპეციალობით —„საქონელმცოდნე". ხელფასის აღება რომ დაიწყო, იძენდა საოჯახო ნივთებს. მეოჯახე ქალი გამოდგა. ერთმანეთს ვუგებდით და ვეგუებოდით. დოდოს დედა და ერთი ძმა ჰყავდა. მამა რომ გამოეცალა ოჯახს, მაშინ დოდო დაბადებული არ ყოფილა. მამის სიტკბო არ ღირსებია, დედამისს დედობაც გაუწევია და მამობაც. ვაი—ვაგლახის დროს შვილები კარგად გამოუზრდია. მამაკაცი — უფროსი რომ

არ ჰყავდათ ოჯახში, მათი გამოზრდის დროს, ცოტა არ იყოს, დოდოს ხასიათზე ემჩნეოდა. ქალი მაინც ქალია და მამაკაცის მოთხოვნა, სიმკაცრე, სითბო და დისციპლინა მაინც სულ სხვაა...დოდომ ცოტა ფული რომ ჩაიგდო ხელში, ჩემს დაუკითხავად იძენდა რაღაც—რაღაც ფასიანებს. მე გავაფრთხილე: „შემითანხმე მეც და ერთად გადავწყვიტოთ ერთი ოჯახის საქმე, თორემ, შეიძლება მე სულ არ მომწონდეს შენი გადაწყვეტილი საქმე—მეთქი“...

გოგო შეეძინა ჩვენს ოჯახს. გავიხარეთ. სიხარული უფრო დიდი მასშტაბით აღვნიშნეთ. ყველა გვეწვია, ბებიები, ბაბუა, ბიძიები, მამიდა და სხვა ნათესავ—ამხანაგები...

დრო გადიოდა. მე ერთმანეთს ვუთავსებდი სამსახურს, მოსწავლეების — აბიტურიენტების— მათემატიკაში მომზადებას, ოჯახს, მეგობარ—ამხანაგებთან ქეიფს, მშობლებთან მისვლა—მოსვლას. ეკონომიკურად კარგად ვიყავით. ხელფასის გარდა, ბავშვების მომზადებაზე კარგი ფული შემოდიოდა. გოგოს — მაკას მერე ბიჭი შეგვეძინა, მურთაზი დავარქვით. სათამაშოდ მუნას ვეძახდით. ცხოვრების მოწყობით კმაყოფილი ვიყავით. სამოთახიან ბინაში გადავედით. კარგი ავეჯით მოვაწყვეთ. ჯანმრთელობა გვქონდა, ფული გვქონდა, შვილები გვყავდა, მანქანა გვყავდა. მაგრამ... დოდო მაინც უკმაყოფილო იყო. ბავშვები ბაღში დადიოდნენ, დოდო — სამსახურში და ისევ ჩვეულებისამებრ თავის გემოზე წყვეტდა საოჯახო საქმეებს. მე ოჯახს გარეთ მტოვებდა. ხშირი იყო შემთხვევა, ჩემს შეუთანხმებლად ყიდულობდა ძვირფასიან საქონელს, ავეჯს ან ნივთს და გადამალავდა ხოლმე. ბოლოს მე ხომ მაინც მივხვდებოდი, ან გამოაჩენდა ხოლმე. ეტყობოდა, თავიდან არ იყვნენ მიჩვეულნი ის და დედამისი უფროს მამაკაცთან შეთანხმებას. „საოჯახო საქმე მე შენზე უკეთ ვიცი“, — მეტყოდა. ხანდახან სამაგალითოდ იქცეოდა, ხან კიდევ „იკბინებოდა“. ურთიერთგაუგებრობა ხმამაღალ ლაპარაკში გადაიზრდებოდა, ხან ეჩხუბობდით, ხან კიდევ-არა. ხანდახან გამებუტებოდა ორი—სამი დღით. ვერა და ვერ გაიღვიძა სიყვარულმა. სავალდებულო საქმეებს ვაკეთებდით. შვილებს

ვზრდიდით, სიყვარულს— არა. ბავშვები აღიქვამდნენ ჩვენს უკმაყოფილებას.

„ოჯახის დანგრევა ცუდი საქმეა, სირცხვილია, ბავშვები პატარები არიან და აერევათ გზა—კვალი—მეთქი“. ვფიქრობდი, ის კი არა, ნერვები მეშლებოდა, ის კი თავის გემოვნებაზე დადიოდა. ოჯახზე და ბავშვებზე კი ფიქრობდა, ჩემზე — არა. ჩემს რჩევა—დარიგებას ყურად არ იღებდა. მე ერთს ვეუბნებოდი, ის მეორეს აკეთებდა. დედაჩემი და დედამისიც ამჩნევდნენ ჩვენს უკმაყოფილებას. დედამისი ხშირად იმეორებდა:„შვილო, ჩემი გოგო უმამაკაცო ოჯახშია გაზრდილი, მაგრამ ურიგოს არაფერს არ აკეთებსო, უყვარს, შრომა და ოჯახში შეძენა — მატებაო“. მე კი ეპასუხობდი: „კი, ქალბატონო, მაგრამ სიტკბო, სიყვარული და ურთიერთგაგება სად არის და როდის იქნება—მეთქი“... ბევრი რამე ვიღონე, მორალი ვუკითხე, ვითმინე, მაგრამ ჩემს ჭკუაზე და აზრზე ვერ მოვიყვანე; რა მექნა? ასე გადიოდა დღეები, თვეები და წლები. ვმუშაობდი, ხალხისა და სამშობლოს სამსახურში ვიდექი. ხან ვაშენებდი, ხან ვანგრეევდი და ხან კიდევ შევაკეთებდი. მუშა—მოსამსახურეებს ვხელმძღვანელობდი. ზოგს სამუშაოზე ვაფორმებდი, ზოგს კი ვაცილებდი... ბავშვებმა საშუალო სკოლა დაამთავრეს. ინსტიტუტში ჩაირიცხნენ. სტუდენტ-ახალგაზრდობასაც, განურჩეველად ეროვნებისა და სქესისა, ვღებულობდი პრაქტიკაზე და სამუშაოზეც...

ერთ მშვენიერ ოქტომბრის დღეს კაბინეტში შემოვიდა ორი ახალგაზრდა გოგო და ბიჭი. სტუდენტებად ან ახლდამთავრებულებად ჩავთვალე. გავიცანი როზა და ირეოდი, ცოლ—ქმარი ვართო. ირეოდიმ ითხოვა როზას სამუშაოზე მოწყობა. „ტექნიკუმი დამთავრებული აქვს სოხუმში „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სპეციალობით. შევხედე როზას, ეტყობოდა ცოცხალი და ენერგიული სპეციალისტი იყო. ლამაზი, საშუალო, ჩაფსკვნილი ტანის, ეშხიანი თვალები და შავი მოკლე თმა ამშვენებდა. ოცდაცხრა წლის ვარო. მე მაშინ ორმოცდაათი წლის ვხდებოდი. ორმოცდაათი მარტის თვეში მიმთავრდებოდა. გამოვკითხე, სად დაიბადა, სად სწავლობდა და შევთავაზე განცხადება და ავტობიო-

გრაფია დაეწერა; ჩამოსხდნენ. ქალალდი და ავტოკალამი მივაწოდე. სიტყვიერად რომ მომახსენა დაბადების ადგილი და მისამართი, ერუანტელმა დამიარა. გურამის მეზობელი ბავშვი —როზა გამოდგა. გამახსენდა მის სიტყვები: „ორი თვის წინ რომ დაიბადა ჩემი მეზობლის გოგო, როზა დაარქვეს და იმას მოუცადეო“... როზა ბიოგრაფიას წერდა, მე კი გაოგნებული შეეცქეროდი ხან მას და ხან ირიდის. ირიდს სილამაზით როზა სჯობდა. შეეეკითხე, გურამს თუ იცნობთ — მეთქი? „ჩემი სახლის გვერდით ცხოვრობსო“ — მიპასუხა როზამ.

—კეთილი და პატიოსანი, ჩემი კარგი ამხანაგია მეთქი მიუგე მე. როზამ ჩაიცინა და გააგრძელა წერა. ირიდის ნათქვამიდან გავიგე, რომ ადრე დაუწყია მუშაობა ტყვარჩელის მაღარომშენის სამმართველოში და მალე თბოელექტროსადგურში გადავალო. პატარა ოდა სახლი ეზოთი უყიდია დასახლებაში და მას უვლიდა სამუშაო საათების მერე. შაბათ—კვირას ცოლ—შვილთან ჩადიოდა სოხუმში. ეხლა კი გადაუწყვეტია ცოლ—შვილის ჩამოყანა ტყვარჩელში... როზამ განცხადება და ავტობიოგრაფია გადმომცა. ბიოგრაფიიდან ჩანდა, რომ ის ერთი წელი სხვაგან მუშაობდა, მერე, ბავშვები რომ ეყოლა, მიუტოვებია სამსახური და რვა წელი დიასახლისად ყოფილა. განცხადებას ხელი მოვაწერე და კადრების განყოფილებასთან მივასწავლე. ტექნიკურ განყოფილებაში გავაფორმეთ. ის დღე პარასკევი იყო. წავიდნენ. ორშაბათს უნდა გამოსულიყო როზა პირველად ჩემთან სამუშაოზე... თითქმის ერთი საათი მარტო დავრჩი. „ეს როგორი დამთხვევაა? ან როგორი მოწონება და გულის ფეთქვა? გურამის სიტყვები, როზას თვალები, მისი სილამაზე. ცოლ-შვილი, ქმარ—შვილი; მე ორმოცდაათის, ის კი ოცდაცხრა წლის. ოც წელზე მეტი, ის რომ დაიბადა, მე „საცოლეს“ ვეძებდი — „სულიკოს“. ასეთ ფიქრებში ვიყავი, როცა ჩემი მოადგილე შემოვიდა.

—ბატონო დავით, ხომ არ გჭირდებით? ადრე მინდა წავიდე სოფელში;

—არა, წაბრძანდით, ბატონო გივი — ვუპასუხე მე. საღამოს ოთხი საათი იყო. რაღაც მქონდა გასარკვევი, მაგრამ გული არ მიმდიოდა, ორშაბათისათვის გადავდე.

შაბათ—კვირას დასვენება მქონდა. შაბათს დილით ადრე მანქანით სოფელში წასვლა გადავწყვიტეთ, წავედით. ოჩამჩირეს ისე მიეუახლოვდი, რომ ხმა არ ამომიღია. ფიქრებში ვიყავი გართული. სულ როზა მედგა თვალწინ. მეც მიკვირდა, რატომ იმოქმედა ამდენად — მეთქი. გამახსენდა „Любовь с первого взгляда".

—რას ჩაფიქრებულხარ დათო? — შემეკითხა დოდო.

—გეგმებზე ვფიქრობ, შგონი ამ თვეში გეგმას ვერ შევასრულებთ, — ვიცრუე მე.

ოჩამჩირე რომ გავიარეთ, ქალმა შენიშვნა მომცა, შენ ორჯერ დაარღვიე მოძრაობის წესიო.

„ნანა, დოდო, როზა, იროდი, გურამი და მისი სიტყვები" — ვფიქრობდი გზაში. როგორც იქნა ღმერთის წყალობით, სახლში — მშობლებთან მშვიდად ჩავედით.

დოდომ დედ—მამა გადაკოცნა.

—აჰა, ჩამოგიყვანე შენი რჩეული რძალი, კიდევ გადაკოცნე, მივახალე დედაჩემს.

—აბა რა, ცუდია, თუ? გენაცვალოთ დედათქვენი.

—კარგია კი, შრომა უყვარს, სხვა არაფერი და არავინ, — „ღიმილით გავეხუმრე" მე... ბევრი ვილაპარაკე დედასთან, მამასთან, ძმასთან, რძალთან, მეზობელ — ნათესავებთან, ვიქეიფეთ და კვირას დავბრუნდით უკან. ოჩამჩირეში შესვლამდე, ნოდარის სასაფლაოს მივაკითხეთ, ღვინო გადმოვასხით, სანთელი ავანთეთ, ცოტა ხანს იქ დავრჩით და მერე ნოდარის დედას სახლში მივაკითხეთ. ფული ვაჩუქე. საღამოს ექვს საათზე ტყვარჩელში ვიყავით.

ორშაბათი გათენდა. იმ დღეს მეტი სიხარულით წავედი სამსახურში, ვიდრე სხვა დღეებში. ჩემს სამუშაო ოთახში შევედი. ჩავფიქრდი. თითქმის ხუთი წუთი ისე ვიჯექი უმოქმედოდ. მერე ტექნიკური განყოფილების უფროსს ქ—ნ იზოს დავუკავშირდი. მივესალმე. მომესალმა.

—მოვიდა ის ახალი თანამშრომელი? — შეეკითხე.

—კი, ბატონო დავით — იყო პასუხი.

—გაატანე ცხრა თვის შესრულება და გამოაგზავნე ჩემთან! სამ წუთში როზა შემოვიდა ქაღალდით ხელში. მომესალმა, მეც მივესალმე და ხელი გავუწოდე, მან ქაღალდები გადმომცა.

—დაბრძანდით! როზა, ჩემს წინ ჩამოჯდა, სახე გაუწითლდა. მგონი მეც გავწითლდი ან გავლურჯდი. ვიგრძენი, რომ სხვა ელფერმა გადამკრა. ქაღალდში ჩავიხედე. თავი გავაქნიე და ისევ უკან მივაწოდე.

—თქვენ ჯერ ახალი ბრძანდებით, მაგრამ გთხოვთ, შემდეგში ღრმად გაერკვეთ ქაღალდებში. თუ რამე გაუგებარი შეგხვდათ, შეეკითხეთ განყოფილების უფროსს და მეც ნუ მომერიდებით; ეს საერთო საქმეა, სამსახურში ყველა ერთი ხნისანი ვართ — ავუხსენი მე. როზა ისევ გაწითლდა. ქაღალდები აიღო. გასაგებიაო თქვა და გავიდა. მე ისევ ჩავფიქრდი...

რაც დღეები გადიოდა, მით უფრო მიფორიაქდებოდა გული. ხშირად ვიბარებდი ჩემთან კაბინეტში. სამსახურეობრივ საქმეებზე ვსაუბრობდით. ქაღალდებში ვიქექებოდით. მე ხან ნორმალურად ვარჩევდი საქმეს, ხან კი ვცდებოდი და როზა შესწორებას მაძლევდა. მერეოდა, მირევდა მისი შეხედვა, მორცხვად შემხედვარე სახე, ტანი, თმა, თვალი და მისი ყველაფერი. როზაც ატყობდა ამას, მაგრამ რას იტყოდა და რას იზამდა? ჩემს გულს ხშირად ვუბრძანებდი: გაჩერდი! რას ფიქრობ — მეთქი, მაგრამ არ მიჯერებდა...

ერთხელ, მარტო რომ დავრჩი, დავიბარე როზა, ვითომც სამსახურის საქმეზე. მოვიდა, დაჯდა ჩემს წინ სკამზე, მაგიდასთან.

—შენ მართლა გურამის მეზობელი იყავი?—შევეკითხე მე.

—დიახ, ბატონო დავით, ხომ არ მოგატყუებდით?

—გურამი და მე ტექნიკუმელი მეგობრები ვართ, აქაც რამდენჯერმე ჩამოსულა ოჯახით. შენ რომ დაიბადე, ოცდაცხრაწლის წინათ, ოცდაცხრა რიცხვში, გურამმა მითხრა შენზე.

—რატომ? როგორ? რისთვის? საიდან? — გაიოცა როზამ და ისევ ფერი შეეცვალა.

—მაშინ მე „საცოლეს“ ვირჩევდი. კარგი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, მაგრამ არ მომეწონა და გურამს ვუთხარი: ხნიერი გოგოა – მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ ის ოთხი წლით ჩემზე უმცროსი იყო. გურამი, ცოტა არ იყოს, გაბრაზდა და მითხრა: „შენ თუ ეს გოგო ხნიერად მიგაჩნია, მაშინ მოუცადე იმას, ვინც ორი თვის წინ ოცდაცხრა რიცხვში დაიბადა, ჩემი მეზობლის გოგოს, რომელსაც როზა დაარქვესო“. ვიხუმრეთ და გავიცინეთ. დღეს კი ავერ მოხვედი ჩემთან სამსახურში; როგორი წინასწარმეტყველებაა? მაგრამ შენ ქმარშვილიანი ხარ და მეც ცოლშვილიანი?.. როზა გაწითლდა, მერე გაშავდა, აფორიაქდა, არ იცოდა, რა ეპასუხა ყოველნაირად უფროსი კაცისათვის. ადგა, შემომხედა, სულ სხვა ფერისა იყო. „შეიძლება წავიდე?“ – მთხოვა მან. მეც ვერაფერი ვუპასუხე. გავიდა. ჩემს თავს შევატყვე, რომ წნევამ ამიწია. ჭიქაში წყალი ჩავასხი, ჯიბიდან წნევის წამალი ამოვიღე, გადვყლაპე და წყალი დავაყოლე.

ტექნიკური განყოფილების უფროსმა – იზომ შეამჩნია როზას ფერმკთალობა და უხასიათობა. მან ხომ იცოდა, რომ ის უფროსთან იყო რამდენიმე წუთი.

—ხომ არ გაწყენინა უფროსმა? – შეეკითხა იზო როზას.

—არა, როგორ გეკადრებათ, ასე რატომ კითხულობთ?

—მაპატიეთ, ისე შეგეკითხეთ, უხასიათობა შეგატყვეთ.

—მგონი წნევამ ამიწია, თავი ამტკივდა – თქვა როზამ.

იზომ ჩანთიდან თავის ტკივილის წამალი ამოიღო და გადასცა, ჭიქა წყალზეც მიუთითა და დაიწყო უფროსის ქება.

ჩვენი უფროსი კეთილი და პატიოსანი კაცია. წარმოებაში თბილი, გამგებიანი, პუნქტუალური და მომთხოვნი. სიტყვის პატრონია. იტყვის და გააკეთებს. მისგან სიცრუეს არ მოელოდე. მაგრამ, როგორც სხვებისგან გავიგე, მგონი, ოჯახში უკმაყოფილება აქვს. მითხრეს, რომ მისი მეუღლე დიდი მშრომელია აქაც და სოფელშიც, მაგრამ ჯიუტიაო, დავითის გემოზე კი არ დადის და მუშაობს, არამედ თავისი გეგმით მუშაობსო, რაც ოჯახში იწვევს უკმაყოფილებას. ხშირად დაობენ და ჩხუბობენო, აქ კი ჩვენთან მისი ხმამაღალი ლაპარაკიც არ გაგვიგონია. საქმის კარგი მცოდნეა და

წარმოებასაც კარგად უძღვება. გეგმებს ვასრულებთ და პრემიებსაც გვაძლევს; ეს თვე ცოტა საეჭვოა, მაგრამ რამეფრად დაძლევენ ბიჭები. ჩვენი კოლექტივი კარგია, სანიმუშაოა, როზა! — დაამთავრა იზომ.

როზას ის ღამე არ უძინია. ღელავდა, ფიქრობდა, სულ დავითის ნათქვამი ახსენდებოდა, მერე იზოს სიტყვები: „ოჯახში უკმაყოფილება აქვსო". „ჩემი ოჯახიც ხომ ასეა? მე იროდიმ რომ მომიტაცა, მეზიზღებოდა და ეხლაც ხომ არ მიყვარს, მაგრამ ბავშვები? , ოჯახი?, მშობლები? გურამის წინასწარმეტყველობაო, შენ რომ დაიბადე, ოცდაცხრა წლის წინათ, ოცდაცხრა რიცხვშიო, ფერი როგორ ეცვლებოდა სახეზე? ბატონ დავითს? ოცზე მეტი წლით უფროსს? ვატყობდი, როგორ ერეოდა საწარმოო საქმეები. კეთილი და პატიოსანი კაციაო, ტყუილი არ იცისო. მერე რა? რა ჩემი საქმეა? რა მჭირს? რატომ არ მეძინება? მე ხომ ჩემი ოჯახი მაქვს. რა ვუყოთ, რომ იროდი არ მიყვარს? ბავშვები ხომ მიყვარს? განა ცოტა იქნება ჩემისთანები ამ ქვეყნად? აგერ დიდებული კაცი, დავითი ვეებერთელა წარმოებას მართავს, მაგრამ როგორც გადმომცეს, მეუღლეს ვერ მართავს. არიან ასეთებიც. ჩვენც ასე ვართ". ამ ფიქრებში ტრიალებდა როზა ლოგინში და არ ეძინებოდა...

დილით თვალებგაწითლებული როზა გამოცხადდა სამსახურში. ასე დაიწყო აკრძალულმა და მალულმა სიყვარულმა გაღვიძება. ვატყობდი რომ როზასაც ხათრი თუ სიყვარული ჰქონდა ჩემი. ხშირად ვხედებოდით მარტოდ—მარტო კაბინეტში. ხან სამსახურის საქმეებზე ვსაუბრობდით და ხან კიდევ — ოჯახის მდგომარეობაზე. ოჯახის შექმნის შესახებ რომ შევეკითხე, მიამბო მისი ბიოგრაფია. მოტაცებით რომ შეურთავს მის ქმარს. არ უნდოდა თურმე გაჩერება, მაგრამ მშობლები ჩარეულან და გაუჩერებიათ. მაშინაც არ მიყვარდა და არც ეხლა მიყვარს იროდიო — მას — კი ვუყვარვარ, მაგრამ რას იზამ ცალმხრივი სიყვარულიაო...

რაც დღეები გადიოდა, მით უფრო მეტად მიჯდებოდა გულში როზა. ვატყობდი, რომ ისიც ჩემსკენ იხრებოდა; მაგრამ ოჯახი? ჩემი და მისი შვილები? ჩვენი მალული

სიყვარული წარმოებაში არ დაიმალა. ვამჩნევდი, რომ თითქმის ყველა გრძნობდა ჩვენს შორის სითბოს, მაგრამ რას იტყოდნენ, პირში თქმას ვერ ბედავდნენ...

ერთხელ როზა მოულოდნელად შემოვიდა კაბინეტში. აღელვებული იყო.

—რაშია საქმე? ვინმემ ხომ არ გაწყენინა?—შევეკითხე მე.

—უნდა წავიდე აქედან!

—რატომ? რისთვის? — ფეხზე ავდექი და მივუახლოვდი.

—ასე სჯობია ჩემთვისაც და თქვენთვისაცო. მეწყინა. სკამზე დაჯდომა შევთავაზე. ჩამოჯდა. მე იმ გრძელ და ფართო კაბინეტში აქეთ—იქით დავდიოდი.

—ვერა, ვერ გაგიშვებ! ჩემთან რომ იყო, ის მინდა. გაჟეჟილს გატეხილი სჯობია. მართალი გითხრა შენი შეხედვა მიხარია. შენთან საუბარი ტკბილია. შენ რომ გხედავ, ჩემი გულისცემა დიდდება. შემიყვარდი, მაგრამ რა ვქნა არ ვიცი. ვერ გაგიბედე. შენც ოჯახი გაქვს და მეც. ვიცი რომ შენი ქმარი არ გიყვარს, მეც ასე ვარ, მაგრამ...როზა წამოდგა. სახე გაულურჯდა. საწყალი თვალებით შემომხედა. გასვლა დააპირა. გზა გადავუღობე. ხელებით შემოვეხვიე და მოულოდნელად ვაკოცე. ჯერ ისიც შემომეხვია და მერე უეცრად ხელებიდან დამისხლტა, შეშფოთებულს რომ შეგნიშნავენ, მიხვდებიან ჩვენს „გასაჭირს“ — მეთქი ვუთხარი. არ დამიჯერა, გავიდა...

როზა დერეფანში რომ გავიდა, ჩაფიქრდა და წითელ კუთხეში შევიდა. იქ მარტოხელა ფანჯრიდან დიდხანს იყურებოდა. ტიროდა. როცა ტირილით გული დაიმშვიდა, ცრემლები მოიწმინდა და სამუშაო ოთახში შევიდა. იზოს არ გამოპარვია როზას ამდენი ხნით არყოფნის მიზეზი, მაგრამ ვერაფერი ვერ უთხრა...

მეორე დღეს როზა სამსახურში არ გამოცხადდა.

„გამებუტა? ეწყინა? სულ არ მოვა?“ — ვფიქრობდი და ვნერვიულობდი. მესამე დღეს როზა ადრე მოვიდა სამსახურში. დამლაგებელს უფროსის ოთახი პირველად დაულაგებია და გასანიავებლად კარ—ფანჯრები გაუღია... მე დროზე მივედი. კაბინეტში შევედი. კარ—ფანჯრები მივხურე. მაგიდას

მივუჯექი, ერთხანს ჩავფიქრდი: „ნუთუ დღესაც არ მოვამეთქი". მაგიდის კალენდარი გადავფურცლე და შიგ პატარა, უბის წიგნაკიდან ამოხეული ფურცელი შევნიშნე. ავიღე და შიგ ეწერა: „რად დაიბადე შენ ეგრე ადრე, ანდა მე რატომ დავიგვიანე?!" მივხვდი, ვინ წერდა. ქაღალდი უბის წიგნაკში ჩავდე და შევინახე, დავრეკე და დავიბარე. დაგვიანებით შემოვიდა. მომესამლა. წინ განცხადება დამიდო. მთხოვა გამანთავისუფლეო, თან ცრემლები ედგა თვალებზე.

—როზა, შენ რომ განცხადებას წერ განთავისუფლებაზე, შენმა მეუღლემ იცის?

—არა, და არც ვეკითხები!

—როზა, ძალიან გთხოვ, მიპასუხო სიმართლე, ხომ იცი მე რომ სიცრუე არ მიყვარს? შენ გიყვარს თუ არა ირონი?

—არ მიყვარდა და არც მეყვარება არასდროს, მხოლოდ ზოგჯერ მეცოდება, იმიტომ რომ მას ვუყვარვარ გაგიჟებით, მაგრამ ეჭვიანია; რომ დათვრება, მეჩხუბება და მეუბნება, შენ ვიღაც სხვა გიყვარსო... უბის წიგნაკი ამოვიღე, მისი ნაწერი ვაჩვენე, ეს ხომ შენი ხელითაა ნაწერი? — შევეკითხე.

—არაო — მიპასუხა

—მითხარი სიმართლე, გიყვარვარ?! როზა დუმდა.

—დუმილი თანხმობის ნიშანია — ავდექი, მიუახლოვდი. შემოვეხვიე და ვაკოცე. ისიც შემომეხვია —სიტკბო და სითბო ვიგრძენი... ფეხის ხმა შემომესმა. გავშორდი, ჩამოჯექი — ვთხოვე მე, ჩამოჯდა. არავინ შემოსულა.

—როზა, უშენოდ მე ცხოვრების გაგრძელება არ შემიძლია. მეორედ უნდა მოგიტაცო. მანქანას გავყიდი, აქაურ დაჩას გავყიდი, ფულიც მაქვს და ოქროც. აქედან გავიქცეთ, საქართველოს გამოვემშვიდობოთ და დიდ რუსეთს ან უკრაინას შევაფაროთ თავი. სამსახურსაც ვიშოვით და ბინასაც, ვიცხოვრებთ ბედნიერად, ურთიერთგაგებით და სიყვარულით.

—ბავშვები? მშობლები? სირცხვილი? — მითხრა როზამ.

—ბავშვები გაიზრდებიან. სიყვარულმა სირცხვილი არ იცის, მშობლებიც შეეჩვევიან.

—სასიამოვნოა, მაგრამ მძიმე სურათია... როზა ადგა და გავიდა. მეც ჩავფიქრდი... ასეთი და ამგვარი მოქმედებით.

ფიქრებით და გეგმებით ექვსი თვე ვიტანჯეთ.

მარტის თვეში ორმოცდაათი წელი მისრულდებოდა. ვფიქრობდი, „ჩემს ნათესავ—ამხანაგებს თავს მოვუყრი, ყველას ცალ—ცალკე გამოვესაუბრები, ყველას ნახვით დავტკბები და მერე მე და როზა გადავიხიზნებით“ — მეთქი...

...—მარტის რომელ რიცხვში ხართ, ბიძია, დაბადებული? — გაბრაზებული კილოთი შეეკითხა გიორგი მოხუცს.

—იქ არ წერია, შვილო?

—არ წერია და იმიტომ გეკითხებით!

—არ მახსოვს, ცოტა მაცალეთ და გავიხსენებ; გიორგი გავიდა მეორე ოთახში, ალინასთან მივიდა. „ეს კაცი ან ბიძაჩემია, ან მისი მკვლელი. ასპროცენტიანი ბიძაჩემის ბიოგრაფიას კითხულობს დათო. ცოტათი საგანგებოდ აქვს მიხვეულ—მოხვეული, ძირითადად ყველაფერი ემთხვევა“. — უთხრა გიორგიმ ალინას.

—კარგი, დამშვიდდი, გიორგი, ბარემ ბოლომდე წაიკითხოს დათომ და ხომ გაიგებ ყველაფერს? კიდევ ბევრი ხომ არ დარჩა წასაკითხი? — შეეკითხა ალინა გიორგის.

—არა მალე მორჩება... მიუგო გიორგიმ და დივანზე წამოწვა.

დათო ხმამაღლა კითხულობდა...

...მოსკოვში ჩემი ინსტიტუტის თანაკურსელი ცხოვრობდა. ბიძაშვილიც იქ იყო მაგრამ მას როგორ გამოვეცხადებოდით მე და როზა? ლენინგრადშიც მყავდა კარგი ნაცნობი. კიევში სამშენებლო სამინისტროში მინისტრის მოადგილე ჩემი მეგობარი იყო. ხარკოვში ძმისშვილი მყავდა, მაგრამ მას თავს როგორ ვაჩვენებ — მეთქი; გაგრაში ტექნიკუმელი ამხანაგი ცხოვრობდა, ავთო, თავისი ოჯახით. ვფიქრობდი, პირველად, აქედან გასვლისას სად გვეპოვა თავშესაფერი მე და როზას, თანაც ორასკაციან სუფრაზე გეგმას ვადგენდი მარტისათვის. ამ გეგმების შესახებ ყველაფერს როზას ვუთანხმებდი. როგორც იქნა, როზა ყველაფერში დამეთანხმა, ღღონდ ჩქარა წავსულიყავით ტყვარჩელიდან. რაც დღეები გადიოდა, მით უფრო ხშირად ვიბარებდი როზას კაბინეტში. უკანა პატარა ოთახში შევიყვანდი და ხვევნა—კოცნით ვტკბებოდით. „ჩქარა წავიდეთ აქედან!“ —მეჩურჩულებოდა ხოლმე.

—წასელის წინ, ერთი კვირით ადრე, შენი პასპორტი უნდა მომცე, შიგ განცხადება ჩადე განქორწინებაზე, დანარჩენს ყველაფერს მე გავაკეთებ; ყველა ჩემს ხელის გულზე ტრიალებს — ვუპასუხე მე. როზა თანახმა იყო...

ორმოცდაათი წლის იუბილე დაჩაზე გადავიხადე. როზა და იროდიც გვესწრებოდნენ. იროდი ეჭვით ხედებოდა, რომ როზა ბოლო დროს გადასხვაფერებული იყო. არც დოდოს გამოპარვია ჩემი სხვაგვარი ყოფაქცევა, მაგრამ მისთვის სულერთი იყო, ოღონდ ბევრი ქონება მოეგროვებინა...

აპრილი დაიწყო. დოდოს შევუთანხმე, რომ გამეყიდა დაჩა, მანქანა და ოთახი. წავსულიყავით მშობლიურ რაიონში, მშობლებთთან და—ძმასთან ახლოს გვეყიდა კარგი სახლკარი და სამსახურშიც იქ გადავსულიყავით. დოდო დამთანხმდა. ეს პირველი იყო, რაზეც მან უყოყმანოდ თქვა თანხმობა.

—აბა, რამდენი ხანი ვიყოთ ამ მტვრიან ქალაქში? გვეყოფა, რაც შევიძინეთ აქ, მალე ბავშვებიც დაამთავრებენ უმაღლესს და დაბრუნდებიან მშობლიურ რაიონში. კარგი სახლკარი ხომ უნდა დავახვედროთ?—მიპასუხა დოდომ... დოდოს წინასწარ სამსახური გავუჩინე მშობლებთან ახლოს და იქ გავამგზავრე... ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც დაგეგმილი გვქონდა მე და როზას... გავყიდე დაჩა. ბინა, მანქანა. ავეჯი და ბინის ფასი დოდოს ჩავუტანე დედ—მამის სახლში. დედა-ჩემი და დოდო ერთმანეთს კარგად უგებდნენ, რადგან დოდო სოფელში დღედაღამე მუშაობდა. ეზოს ალამაზებდა, ასუფთავებდა. ეს სახლ-კარიც ხომ ჩვენიაო, ფიქრობდა ის და ასეც იყო. „დაჩის“ და მანქანის ფასი ცოტა მოგვიანებით იქნებამეთქი“ — ვიცრუე, დოდოსთან მეორეჯერ.

ტყვარჩელში რომ დავბრუნდი, აფორიაქებული ვიყავი. ოცდაათ აპრილამდე მქონდა დრო, მერე უნდა ჩამებარებინა პატრონისათვის მანქანა, დაჩა და ბინა. ჩემი წარმოების მთავარი ინჟინერი — გივი გაფრთხილებული მყავდა, რომ ოცდაათი აპრილიდან ვაპირებდი სხვა სამუშაოზე გადასვლას. როზას შრომის წიგნაკი გამოვატანინე. ორივეზე ბეჭედი დავსვი.

ოცდახუთი აპრილიდან ოცდაათ აპრილამდე იროდი ერევანში მივლინებით იყო წასული. ოცდაექვს და ოცდაშვიდ აპრილს როზას განქორწინება გავაფორმეთ, ჩემი და მისი პასპორტი ამოვწერეთ. „ჩემი“ მანქანის – „გაზ 24–ის“ ავზი ბენზინით გავავსე. საბარგოში ორი დიდი ჩემოდანი ჩავდე. მანქანის პატრონი, ყოფილი ჩემი წარმოების მძღოლი, გავაფრთხილე რომ ოცდაცხრა აპრილს სოხმუში წავეყვანე და იქ მანქანასაც გადავულოცავდი. ოცდარვა აპრილს დილით სამსახურში გამოვცხადდი. უხასიათოდ ვიყავი. მბეჭდავს ბრძანება დავაბეჭდინე: „ჩემი სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით უფროსის მოვალეობა ეკისრება მთავარ ინჟინერს ბ–ნ გივის“. ხელი მოვაწერე და ბეჭედი დავსვი. ათ საათზე ყველა დავიბარე და ბოლო თათბირი ჩავატარე.

–მეგობრებო, მე ხვალ მივდივარ ტრესტში და ვაფორმებ ანგარიშსწორებას სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით. ჩემს მოვალეობას შეასრულეებს ბ–ნი გივი. აბა, თქვენ იცით, სირცხვილი არ ანახოთ. გემშვიდობებით ყველას. გისურვებთ წარმატებებს და ჯანმრთელობას. თვალზე ცრემლი მომადგა. გავწითლდი, ალბათ, იმიტომ, რომ ეს იყო ჩემგან პირველი სიცრუე წარმოების თანამშრომლების წინაშე, რა მექნა? „სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს...“ იზომ და კადრების უფროსმა ერთმანეთს შეხედეს. გივისთან მივედი, ხელი ჩამოვართვი, ბეჭედი გადავეცი და გადავკოცნეთ ერთმანეთი...

ოცდაცხრა აპრილს როზამ ბავშვები სკოლაში გააცილა. სახლში რომ შევიდა, ორ დიდ ჩემოდანს, ბარგით სავსეს, შეხედა. ტირილი მორთო. თითქმის ათი წუთი იტირა. იროდის და ბავშვებს წერილი დაუტოვა: „გემშვიდობებით ყველას, ვერასდროს ვერ გნახავთ“. ათ საათზე როზას სახლს „ჩემი“ გაზ–24 მიადგა. როზამ ჩუმად და შეუმჩნეველად, გამოიტანა ჩემოდნები და მანქანაში შეალაგა. გასაღები დათქმულ ადგილზე დადო. ერთხელ კიდევ შეხედა თავის სახლ–კარს და მანქანაში ჩაჯდა ჩემოდნების გვერდით. რკინიგზის სადგურს ასიოდე მეტრით რომ გასცდნენ, გზაში დავხვდი მე.

—აბა, შენ იცი, გურამ, სოხუმი და მერე — გაგრა. ავზი სავსეა. არ გაწყენ და არც მოგაწყენ — ვუთხარი ჩემი მანქანის პატრონს. გურამი მიხვდა, რაშიც იყო საქმე. დუმილი ჩამოვარდა. ოჩამჩირე ისე გავიარეთ, რომ ხმა არ ამოგვიღია... „ნანა, დედა, მამა, და, ძმა, შვილები, დოდო, როზა, ნათესავები, მეგობრები, კოლექტივი, მეზობლები", ამ ფიქრებში ვიყავი, რომ გურამმა დაამუხრუჭა. „კატამ გადაგვირბინა". — თქვა მან.

—მოგეკლა! — ვუპასუხე მე. „შემეცოდაო" — თქვა გურამმა.

—არა უშავს, გურამ, ჩართე მაგნიტოფონი, მუსიკას მოვუსმინოთ.

გურამმა ჩართო მაგნიტოფონი, თუმცა მეც ხომ შემეძლო, წინ ვიჯექი, მაგრამ გათიშულივით ვიყავი. სოხუმს რომ გავცილდით, მანქანა შევაჩერეთ. როზას ერთი ჩემოდანი საბარგოში შევტენეთ, მეორე კი წინა საჯდომზე დავდეთ. მე კი როზას შემოვუჯექი გვერდით... დღის პირველ საათზე გაგრაში, ჩემი ტექნიკუმის თანაკურსელის — ავთანდილის ბინას მივადექით. ავთო ოც წელზე მეტი იყო, რაც არ მენახა. მისამართი გურამმა და ზაურმა რომ მინახულეს ტყვარჩელში, მაშინ მქონდა ჩაწერილი. ავთო ბინაში დაგვხვდა. შემომხედა და ვერ მიცნო.

—ვერ მიცანი, ავთო?

—დათო ხარ, ბიჭო? მართლა რომ ვერ გიცანი, გადამეხვია შემობრძანდი შინ ოთახში — მიმიპატიჟა.

—არა ქვემოთ მანქანა მიცდის.

—ვინ არის?

—მძღოლი და მეუღლე.

—შემოვიყვანოთ — თქვა ავთომ და ჩასვლა დააპირა.

—მოიცადე, შენ ტელეფონი და მანქანა ხომ გაქვს?

—კი, დათო.

—მინდა გავიგო, ადლერიდან კიევში ფრენა როდის და რომელ საათზეა.

—ეხლავე გავიგებ, შემობრძანდი. შეეედით. ავთოს სამოთახიანი ბინა ჰქონდა მესამე სართულზე. იგი გაგრის ელექტროქსელში მუშაობდა. დარეკა ცნობათა ბიუროში. „ხვალ

თორმეტ საათზე, მოსკოვის დროით" – იყო პასუხი.

–კარგია, გვაწყობს, – ვუპასუხე მე.

–ღამე ჩემთან დარჩით! – მითხრა ავთომ ღიმილით.

–აბა, რას ვიზამთ, სასტუმროში ხომ არ წავალ?

–შემოიყვანე სტუმრები და მერე ბილეთიც ავიღოთ.

–არა, ეხლა ჩვენ წავალთ, ბილეთებს ავიღებთ ქალაქის ცენტრალური სალაროში, დეპეშას გავაგზავნი კიევში, აეროპორტში რომ დამხვდნენ და მერე დავბრუნდებით. მანამდე შენ თუ რამე გაქვს, სადილი მოგვიწყვე, თუ არა გაქვს, მე მოვიტან და მაინც აქ, შენთან მივირთვათ – გავეხუმრე, ავთოს ხელი მხარზე დავკარი და დავეშვი ქვემოთ.

–კეთილი და პატიოსანი, ჩვენ ყველაფერი გვაქვს, ეს–ეს არის მეუღლეც უნდა მოვიდეს, მიპასუხა ავთომ... ბილეთები ავიღე. დეპეშა გავაგზავნე, დავბრუნდით და ავთოსთან ვისადილეთ. გურამს მანქანა გადავულოცე და გავაცილეთ. ავთოს და მის მეუღლეს როზა მეუღლედ გავაცანი.

ის ღამე ავთოსთან დავრჩით... მეორე დღეს ავთომ თავისი მანქანით აეროპორტში მიგვიყვანა. გზაში ავთოს შეეკითხე, ჩვენი ტექნიკუმის ამხანაგებიდან ვინმეს თუ ხვდები – მეთქი. მან მიპასუხა, რომ გურამს ხშირად ვხედავ ხან აქ, გაგრაში, და ხან სოხუმშიო. მე ვთხოვე, რომ თუ გურამი შეგხვდება, ახლო ხანებში, გადაეცი, რომ შენი წინასწარმეტყველება გამართლდა და დათომ როზა შეირთო – თქო. ოღონდ არ უთხრა ეხლა სად მივდივართ. ეს საიდუმლოა. ორი–სამი დღე დავრჩებით კიევში, ნათესავი უნდა ვინახულოთ და მერე არ ვიცი, სად წავალთ – მეთქი. ავთოს აეროპორტში გამოვემშვიდობეთ...

ოცდაათ აპრილს, მოსკოვის დროით 14 საათსა და 30 წუთზე, კიევში ჩავფრინდით. იქ დამხვდა ჩემი უკრაინელი მეგობარი, მინისტრის მოადგილე ბატონი ლონია. გადავკოცნეთ ერთმანეთი, როზა გავაცანი. მან თავისი მანქანით ბინაში წაგვიყვანა. თავისი ოჯახი გაგვაცნო და დიდი პატივით მიგვიღო.

ოცი მაისისათვის ლონიამ სამსახურიც გვიშოვა და ერთოთახიანი ბინაც გვაყიდია; პასპორტებიც მივაწერეთ. დავი-

წყეთ ახალი ცხოვრება ტკბილად, თბილად და ურთიერთ-გაგებით; ოთახი მოვაწყვეთ ჩვენი ურთიერთშეთანხმებით და გემოვნებით. როზა სულ თვალებში შემყურებდა. ცდილობდა, რომ მე ყოველთვის კარგ ხასიათზე ვყოფილიყავი. მეც ვუგებდი მას. მე სამინისტროში ვმუშაობდი მომარაგების განყოფილებაში, როზაც იქვე – კადრების განყოფილებაში ინსპექტორად. ბავშვი არ ვიყოლიეთ. სამუშაოს დამთავრების მერე და დასვენების დღეებში ვსეირნობდით ბაღებში, კინოთეატრებში, მაღაზიებში, ქალაქში და მეზობელ-ამხანაგებში. ყოველ წელიწადში ორ–სამჯერ წერილს ვაგზავნიდი ჩემი ძმისშვილის სახელზე და იქიდან ვგებულობდი ჩემი დატოვებული ოჯახის მდგომარეობას. ჩემს მისამართს არ ვამჟღავნებდი. როზაც საიდუმლო წერილებით უკავშირდებოდა თავის დაქალს ტყვარჩელში და მისგან იგებდა ბავშვების მდგომარეობას. ჩვენ თავს კმაყოფილად ვგრძნობდით. კარგად ვიცვამდით, ვჭამდით, ვსვამდით და ბავშვების კარგი ამბავიც გვესმოდა. ათი წელი ვიმუშავეთ და კიდევაც ვისიამოვნეთ. სამოცი წლისამ პენსიაც გავაფორმე. მაინც ვმუშაობდი...

—გიორგი ბიძია, მობრძანდით, მობრძანდით, მალე ვამთავრებ – დაუძახა დათომ გიორგის. გიორგი წამოდგა დივანიდან და მიუჯდა დათოს. მოხუცი დიდი ყურადღებით უსმენდა დათოს და თან სულ უარესად ხდებოდა; მარჯვენა ხელი გულზე მიეყრდნო.

სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი – ალექსეი ორმოცდახუთი წლის კაცი იყო. ერთხელ შევამჩნიე, რომ იგი როზას რაღაც ალმაცერად უყურებდა. როზაც ცოტა არ იყოს, შეცვლილად მომეჩვენა. იგი თითქოს არ აჩენდა ხასიათის შეცვლას. გადამეტებულ ყურადღებას ამჟღავნებდა ჩემს მიმართ. მეფერებოდა, სულ მკოცნიდა და სამაგალითო სიყვარულს მიმტკიცებდა. მე უკვე ეჭვიანობა დავიწყე, მაგრამ საიდუმლოდ. გავიფიქრე, „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“ – მეთქი. გადავწყვიტე კიევიდან გასვლა. მოსკოვში ინსტიტუტის ამხანაგთან მიწერ–მოწერა მქონდა ხოლმე, ისიც საიდუმლოდ. სულ ფრთხილად ვიყავი, რათა ჩემი მისამართი

ჩემს შვილებს არ გაეგოთ, დოდოს კი არც აინტერესებდა. არ ნერვიულობდა: რად მინდა ქმარი, შვილები, შვილიშვილები მყავს და სახლ—კარი მაქვსო.

გავყიდეთ კიევში ბინა—ავეჯი და გადავედით მოსკოვში. იქაც ჩემი ინსტიტუტელი ამხანაგი დაგვეხმარა. ერთ ოთახიანი ბინა გვაყიდინა და პატარა სამსახურიც გვიშოვა. ახალი მეზობლები, ახალი კოლექტივი, ახალი ცხოვრების დაწყება და მოწყობა. მოვაწყვეთ ერთოთახიანი ბინა. ტელეფონი, ცხელი წყალი, აბანო, ცივი წყალი, გათბობა და სითბოსიყვარული. ტელეფონით მე ვუკავშირდებოდი კიევს, ხარკოვს, ლენინგრადს, თბილისს, სოხუმს და სხვაგან. ჩემს მისამართს და ტელეფონის ნომერს არავის ვუმხელდი. როზაც გაფრთხილებული მყავდა, არავისთვის ეთქვა. მეც მას არ ვუმხელდი, რომელ ნომრებზე ვრეკავდი... მოსკოვში სამოცდაათი წელი შემისრულდა. ავღნიშნეთ. დავპატიჟეთ მეზობლები და კოლექტივიდან ამხანაგები. ოცდახუთ კაცამდე მოვიყარეთ თავი. სუფრასთან ვისხედით ცოტა შეზარხოშებულნი, როდესაც ტელეფონის ზარი გაისმა. როზა წამოვარდა, „გისმენთო“ უთხრა რუსულად. „სპასიბა ბალშოე, ალექსეი, კაკ ვი ჟივიოტე? პრივეტ პერედაი ვსემ. სეიჩას უნას გოსტი სიდიატ ზა სტალომ, დოსვიდანია, ზვანიტე ეშიო“— დაამთავრა როზამ და ყურმილი დადო თუ არა ჩემს გვერდით დაჯდა. სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა. „კიევიდან იყო ალექსეი, მოგვილოცა... დაბადების დღე“— მითხრა და მაკოცა. „გორკა, გორკაო“ — შემოსძახეს სუფრის წევრებმა... მე ბევრი არ დამილევია. როზა ცოტა შეზარხოშდა. ავიშალეთ. სუფრა ავალაგეთ და ღამის თორმეტ საათზე დავწექით. მე ეჭვმა შემიპყრო.

— როზა, ალექსეიმ რომ დარეკა, საიდან იცოდა ჩვენი ტელეფონის ნომერი? — შევეკითხე დაძინებამდე როზას.

—როგორ თუ საიდან?! შენ ხომ რეკავდი ხშირად კიევში? ალბათ, გაიგო ან უთხრეს! მე გავჩუმდი. მე ხომ ვიყავი დარწმუნებული, რომ არავისთვის არ გამიმხელია ჩემი ბინის ტელეფონის ნომერი? ჩავფიქრდი; ბევრჯერ მომისწვრია როზასთვის ტელეფონით საუბარში; რომ ვეკითხებოდი, მეზო-

ბელიაო — მეტყოდა ხოლმე. მე კი ფულს ვიხდიდი „კიევთან“ ლაპარაკისათვის...

ერთხელ, მარტო რომ დავრჩი ბინაში, დავრეკე კიევში ალექსეისთან. ვკითხე ჯანმრთელობა, კარგად ვარო; ვკითხე ოჯახის მდგომარეობა, ცოლი დავითხოვე და მარტო ვცხოვრობო; ვკითხე, ჩვენი ტელეფონის ნომერი თუ იცი და საიდან მეთქი? როზამ მითხრაო. დავემშვიდობეთ ერთმანეთს. გავბრაზდი. რა უნდა მექნა? უკვე მოხუცი ვიყავი. სქესობრივი ცხოვრება შეწყვეტილი მქონდა. ვატყობდი, რომ როზას ჩემზე გული აუცრუვდა, თითქოს არ მაგებინებდა, მაგრამ მე ხომ ვხვდებოდი?..

ერთ უბედურ დღეს როზამ თავი მოიავადმყოფა, სამსახურში ვერ წავალო, მე კი გამაცილა; დილით ადრე წავედი. პროფკავშირის თავმჯდომარის თანაშემწე ვიყავი. პენსია და ცოტა ხელფასიც მქონდა. საღამოს ხუთ საათზე რომ დაებრუნდი, როზა ბინაში არ დამხვდა. მაგიდაზე წერილი იყო. „მშვიდობით, არ მეძებო, ვერასდროს ვერ შეეხვდებით ერთმანეთს!“ თავისი ჩემოდნები და ტანსაცმლები წაულია. ის ღამე ვერ დავიძინე. „ეს მეორე შეცდომის შედეგია, რომელიც პირველი შეცდომიდან გამომდინარეობს“—მეთქი; ნანა, დოდო, შვილები, შვილიშვილები, ნათესავები, როზა და მე, სად ვარ?— ვფიქრობდი დილამდე. თავმოყვარეობა მრჩებოდა. კიევში არ დავრეკე. ვიცოდი თუ სად იქნებოდა როზა, მაგრამ ხელი ჩავიქნიე: „ჯანდაბას მისი თავი — მეთქი“.

გავყიდე ოთახ—ავეჯი და გადავედი ლენინგრადში. იქ კარგი ნაცნობი მყავდა. საერთო საცხოვრებელში ერთი ოთახი მიშოვა უფასოდ. მუშაობა არ შემეძლო. ძალა შემომელია. ხუთი წელი ვიჯახირე ლენინგრადში. ნესტიანი ქალაქის კლიმატი არ მომიხდა. ალბათ, ძველი ავადმყოფობა გამიღვივდა. გულის ტკივილიც დამეწყო, წნევაც მერყეობდა, ხან მაღალი და ხან — დაბალი წნევა მქონდა. პატრონი არავინ მყავდა. ხანდისხან ის ნაცნობი მაკითხავდა ხოლმე, მაგრამ ისიც ჩემსავით ხანდაზმული და ავადმყოფი იყო. დამრჩა პენსიის ფული და ცოტაც მოსკოვში გაყიდული ოთახის თანხა, სხვა არაფერი — შემოსავალი არ მქონდა. სამოცდა

თოთხმეტი წლის რომ გავხდი ინფარქტი გადავიტანე. პაერის უკმარისობაც დამემატა. ექიმებმა ლენინგრადის დატოვება მირჩიეს. გადავწყვიტე ხარკოვში ჩამოსვლა. ოთხმოცი წელი მარტში მისრულდება, მაგრამ ვიცი რომ ვერ მივაღწევ მას. ვარ მოკალათებული ერთ პატარა ოთახში; ექვსი კვადრატული მეტრია. მაქვს პენსია და წიგნაკში ცოტა ფული შავი დღისთვის... ვარ განდეგილი, ავადმყოფი, გული, ფილტვები, თვალი, ფეხი და მეხსიერება არ მივარგა. ვიცი, რომ ჩემი შვილები და შვილიშვილები კარგად არიან; ვიცი, რომ დოდო ცოცხალია, ვიცი, რომ მშობლები და—ძმა ადრე გარდამეცვალა; ვიცი, რომ სულ ახალგაზრდა დისშვილი გარდამეცვალა, ვიცი, რომ ჩემი ძმისშვილი აქ არის, ხარკოვში და მას თითქმის ყოველ კვირას ვხედავ, ის კი ვერ მხედავს... გიორგი ღელავდა, იბერებოდა... ჩემი მისამართი არავინ იცის ახლობლებიდან. მისამართი ასეთია: ხარკოვი, ლერმონტოვის 30, ბინა № 3“...

—გამაგიჟებს ეს მოხუცი, ხომ ვთქვი, ან ბიძაჩემია, ან მისი მკვლელი. თქვენ მე მიცნობთ ბიძია თუ არა?! — შეეკითხა გულზე გამსკდარი გიორგი. მოხუცმა შეხედა გიორგის, თვალზე ცრემლი მოადგა, შეხედა დათოს და თავი გააქნია „არას“ ნიშნად.

—გიორგი ბიძია, გთხოვთ მოვითმინოთ, აბა თვითონ რას დაამატებს ხომ დაგვპირდა, ბოლოს ჩემი პირით გეტყვითო? თუ შენი ბიძია გამოდგა, ჩემი ბაბუა ხომ იქნება? ან მისი მკვლელი? — ითხოვა დათომ.

—ხო, გიორგი, შვილო, აქ ვაგრძელებ სუნთქვას დღემდე დაიწყო მოხუცმა — გუშინწინ, იმ პარკში, სადაც თქვენ დღეს შემხვდით, საღამო ჟამს, თითქმის ხალხი რომ არ იყო და მეც ვაპირებდი წასვლას, მომიახლოვდა ვიღაც ჩემსავით წვერმოშვებული მოხუცი. ეტყობოდა, ჯანსაღი კაცი იყო. მედგრად მოდიოდა. მოვიდა და მომესალმა... გული, წყალი, წამალი და ხველება დაიწყო მოხუცმა. დათომ წყალი და წამალი მოარბენინა. მოხუცმა წამალი გადაყლაპა, წყალი დააყოლა. გიორგი და დათო მოუთმენლად ელოდნენ გაგრძელებას...

—მომესალმა რუსულად, — გააგრძელა მოხუცმა, რომელი საათია, მკითხა მან. მეც რუსულად ვუპასუხე, არ ვიცი მეთქი. ორივეს აქცენტში გვეტყობოდა, რომ რუსები და უკრაინელები არ ვიყავით.

—ქართველი ხარ? — შემეკითხა.

—დიახ, ვუპასუხე მე.

—ვინ ბრძანდებით? საიდან და აქ როგორ? ამ ხნის კაცი? — მითხრა და გვერდით მომიჯდა. სკამს მოაჯირი არ ჰქონდა. ისე წელმოხრილი დაჯდა ჩემსავით და თვალებში მიყურებდა. მეც დავინტერესდი მისი ვინაობით. გავიფიქრე „აწი დიდი ხნის სიცოცხლე არა მაქვს და ამ ერთ ქართველს მაინც გავიცნობ და გავაცნობ ჩემს თავს და მისამართს — მეთქი. რაც შეიძლება მოკლედ, ვუამბე ჩემი ჩაოხრებული ისტორია. ფეხზე ადგა. ჩემს წინ აიტუზა. მე კი ვიჯექი.

—შენ დავითი ხარ?—შემეკითხა.

—დიახ — ვუპასუხე და შევხედე.

—მე იროდი ვარ... შენი დედა ვატირეო და ისე მაგრად მომარტყა ფეხი ცხვირ—პირში, რომ გრძნობა დავკარგე და სკამიდან გადავყირავდი... სად არის როზა?— მომესმა გარკვეული შუალედის შემდეგ. წამოდგომა დავაპირე. ხელები მიწას დავაბჯინე, ქვა ამომყვა ხელზე. წამოვდექი, ცხვირ-პირიდან სისხლი მომდიოდა.

—იროდი, იცი რას გეტყვი? — ვუთხარი და მივუახლოვდი.

ის გაჩუმებული იყო. უკან მიიხედა, ალბათ, იმიტომ, რომ დაენახა, ვინმე ხომ არ გვიყურებსო. ჩემგან წინააღმდეგობას არ ელოდა.

—მესამედ გათხოვდა! — მივუგე და თავის უკანა ნაწილში მაგრად ჩავარტყი ქვა. წაიქცა და მერე ვერც ამდგარა. უკვე ღამდებოდა. გავიხედ—გამოვიხედე, არავინ ჩანდა. რა მექნა, არ ვიცოდი. უბის ჯიბიდან საბუთები ამოვუღე. არ მახსოვს როგორ, რანაირად და რა გზით მოვხვედი ბინაში. ღამის თერთმეტი საათი იყო. გულისტკივილი დამეწყო. ვგრძნობდი, რომ წნევამ ამიწია. ხველებამ კინაღამ დამახრჩო. გავიფიქრე, „კარს ღიად დავტოვებ, დენს ხელს ჩავკიდებ და ასე ჩავძაღლდები; ეს რა მომივიდა? მესამე უდიდესი და გამოუსწორებელი

შეცდომა, რომელიც პირველი და მეორე შეცდომის შედეგია – მეთქი“. მართლაც ისე მოვიქეცი: „როზეტკა“ ქვით შევამტვრიე, იმ ქვით, რომელიც შერე ჯიბეში ჩამიდვია, სახრახნისით ორივე წვერი ამოვაგდე, ორივეს ორივე ხელი მოკიდე; სინათლე ჩაქრა, მე კი ცოცხალი დავრჩი. ვერ გავიგე რა მოხდა. ეხლა რომ ვხსნი, ალბათ, მოკლე ჩართვა გამოშვიდა. გამელვიძა დილის ათ საათზე, მახსოვს ღამის ხუთ საათამდე არ მეძინა. ოთახში შუქი არ იყო. ისევ იმ ბაღში ვაკედი, იმ სკმათან, მისი გვამი არ იყო. ვერ დაეჯექი, ვერ ვჭამე და ვერც ვიძინებ, ასე ვარ დღემდე; სწორია ნათქვამი: „რაც მოგივა დავითაო“... – ვერ დაამთავრა მოხუცმა და ხველება აუტყდა...

–ხომ გეუბნებოდი, ეს არის ბიძაჩემის და ბაბუაშენის მკვლელი – მეთქი, უნდა ჩამოვახრჩო! – თქვა გიორგიმ და ყელზე ხელი წააკლო.

–მოიცა, გიორგი ბიძია, მოიცა, თქვენ ვერ გაიგეთ? იგი სხვაა, ეს კიდევ სხვა. ალინა შემოვიდა, ხმამაღალ ყვირილზე. გელა და ლელაც წამოდგნენ.

–რა ვერ გავიგე? რა მოვითმინო!? ამისი დედა ვატარე! – თქვა გიორგიმ და ამასობაში მოხუცი წაიქცა, პირიდან სისხლი გადმოანთხია, „ვაიმე დედაო“ – ამოიკვნესა.

გიორგიმ წვერზე ხელი წააკლო და მოქაჩა. წვერებიანი ნიღაბი ხელზე შერჩა და ხედავს ბიძამისის გაპარსულ ნაიარევ სახეს. მარცხენა ხელზე ჩელთათმანი გახადა და შეხედა ტუშით წარწერას – „დათო“.

–დავით ბიძია, დავით ბიძია, შენა ხარ? – დაიყვირა გიორგიმ და გულში ჩაიხუტა.

–ბაბუა! ჩემო უცნობო დათო ბაბუა! – ტიროდა დათო. ალინა, ლელა და გელაც ატირდნენ. მოხუცმა თვალი გაახილა. დათომ, გიორგიმ და გელამ ლოგინზე წამოაწვინეს იგი. დათო ჩაეხუტა.

–დათო ბაბუა, დათო ბაბუა, ნუ მოკვდები! ნუ გეშინია სახლში წაგიყვან მამაჩემთან, შენს შვილთან – ემუდარებოდა იგი.

–დათო, დათუნია, ჩემო უცნობო შვილიშვილო, რამხელა გაზრდილხარ? – ამოილუღლუღა დავითმა, ხელები მოხვია

დათოს, ოდნავ მოუჭირა და საბოლოოდ ამოიკვნესა. ალინამ თავიდანვე სასწრაფოს დაურეკა, მაგრამ ისინი რომ მოვიდნენ, დავითი მიცვალებული იყო. საღამოს შვიდი საათი იქნებოდა. ტელეფონის ზარი აწკრიალდა. გელამ ყურმილი აიღო. აფხაზეთიდან მუნა რეკავდა. დათოს დალაპარაკება ითხოვა, მერე გიორგი მინდაო.

—ალო, ალო, დათო ვარ.

—როგორ ხარ, დათო, წამოსვლისას გიორგის გამოართვი მამაჩემის უკანასკნელი წერილი და წამოიღე.

—მამა, შენ უნდა ჩამოხვიდე სასწრაფოდ!

—რატომ? რაშია საქმე?

—ბაბუაჩემი, მამაშენი ვიპოვეთ!

—როგორ? რანაირად? სად არის?

—აქ არის გიორგი ბიძიასთან, ეხლახან გარდაიცვალა, — ქვითინებდა დათო.

—მოვდივარ — უთხრა მუნამ და ყურმილი დადო.

გიორგიმ მიცვალებულს წესი აუგო. სანთელი აანთო. პიჯაკიდან ირიდის პასპორტი, უბის წიგნაკი და პატარა ცხვირსახოცი ამოიღო. ცხვირსახოცი, რომელზედაც ეწერა „ნანა“ და სახეზე დააფარა...

უსულო მოწმეები

ნიკოლაის ოცდახუთი წლისთავზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ სანიმუშო ოპერატიული მოქმედებისათვის ქების სიგელი და მაიორის წოდება მიანიჭა. იგი მოსკოვში ლენინის რაიონის ერთ—ერთი უბნის უფროსი იყო. ჰყავდა მეუღლე, ნატაშა და შვილი — სამი თვის საშკა. ცხოვრობდნენ იმავე რაიონში მრავალსართულიანი სახლის მერვე სართულზე, ოროთახიან ბინაში. ნატაშა ცხრამეტი წლის იყო, ლამაზი, ტანადი, საშუალოზე უფრო მაღალი. მოკლე თმა, ოქროს

საყურეები და ჯვარი ამშვენებდა ნატაშას. ქუჩაში „კალიასკით“ საშკას რომ გაასეირნებდა, ახალგაზრდა ბიჭების დიდ ყურადღებას იპყრობდა. ბევრჯერ გამოკიდებიან თხოვნით — გავიცნოთ ერთმანეთიო, მაგრამ იგი უხეშად და მკაცრი უარით ისტუმრებდა მათ. მას უყვარდა ნიკოლაი, დიდი ხათრი ჰქონდა და თანაც ეშინოდა მისი.

ნიკოლაი მაღალი ტანის, ლამაზი და მოქნილი კაცი იყო. კოხტად იცვამდა და იხურავდა. არც სუსტი ტანის იყო და არც მსუქანი. კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა რაიონისა და სამინისტროს კოლექტივებში. ნიკოლაის და ნატაშას მშობლები სხვა რაიონში ცხოვრობდნენ ისინი ორთვეში ერთხელ თუ აკითხავდნენ მათ. უფრო ხშირად ტელეფონით სარგებლობდნენ. ნიკოლაი სამსახურის ერთგული და თავდადებული იყო. დილის რვა—ცხრა საათზე გადიოდა ბინიდან და გვიან — საღამოს ბრუნდებოდა. შესვენებაზე არ დადიოდა. ხშირად რეკავდა და იკითხავდა ნატაშას და პატარა საშკას მდგომარეობას, ხასიათს თუ ვითარებას. საღამოს, ბინაში მოსვლის წინ, დაურეკავდა ნატაშას, რაიმე ხომ არ წავიმძღვანიოო.

იმავე სახლის მეშვიდე სართულზე ნატაშას ბინის ქვეშ, ცხოვრობდა მარტოხელა ქვრივი ქალი, ოლია. იგი ოცდაოთხი წლის იყო. დაბალი და ეშხიანი სახის. ოლია სიგარეტს და მაგარ სასმელებს ეტანებოდა. ის დაბალი ტანის კი იყო, მაგრამ სილამაზე და წონა არ აკლდა. ოლია სასწორზე რომ დადგებოდა, ას კილოგრამს აჩვენებდა. ნატაშა, ოლია და საშკა ხანდისხან პარკში ერთად დასეირნობდნენ. ოლია სასტუმროში დამლაგებლად მუშაობდა. თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა. დღეღამე რომ იმორიგებდა, ოთხი დღე ისვენებდა. მასთან დადიოდა ოცდაშვიდი წლის ულვაშებიანი სომეხი ბიჭი, არუთი. იგი ოლიასთან ხელცარიელი არ მოდიოდა. ღამე რჩებოდა, ქეიფობდნენ და დროს ატარებდნენ. არუთი ვაჭრობით იყო დასაქმებული. ყავდა მისი მორჩილი ბიჭები.

ოლია და ნატაშა რომ ცხოვრობდნენ, იმ სახლის გვერდით, მეორე სახლის პირველ სართულზე, მოწყობილი იყო დიდი

სასურსათო მაღაზია. ამ მაღაზიიდან მოშორებით, მეოთხე სახლის მეოთხე სართულზე ცხოვრობდა ლენინის რაიონის პროკურორის მოადგილე, პოლკოვნიკი, დავით „კონსტანტინოვიჩი" იგი მოსკოვში გაზრდილი და ნასწავლი იყო. დავითს სტუმრად ბინაში ჰყავდა მისი დისშვილი, ავთანდილი. იგი იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო. ოცდაერთი წლის ავთოს მაღალი ტანი, შავი თმა და ულვაშები ამშვენებდა. არც გამხდარი იყო და არც მსუქანი. იგი ოთხი წლის წინათ ჩამოვიდა საქართველოდან. უნივერსიტეტში გამოცდები ფრიადზე ჩააბარა და ჩაირიცხა კიდეც...

კვირა დღე იყო. ავთანდილი ზემოთ ნახსენებ სასურსათო მაღაზიაში შევიდა. სიგარეტი იყიდა. იქვე ის შეხვდა ოლიას და ნატაშას. ნატაშას სილამაზემ და ტანადობამ მოხიბლა ავთო. გამოესაუბრა მათ. მაგრამ უპასუხოდ დარჩა. ნატაშა და ოლია მაღაზიიდან რომ გამოვიდნენ, ავთო ნელი ნაბიჯით უკან გაჰყვა. მერე შეჩერდა. თვალი გააყოლა და დაიმახსოვრა, რომელი სახლის რომელ შესასვლელში შევიდნენ. „ასეთი გოგო ჯერ არ მინახავს მოსკოვში, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გავეცნო". ფიქრობდა იგი. დაიმახსოვრა ოლიას სახე და ფიგურაც. მან უფრო ხშირად დაიწყო მაღაზიასთან გამოსვლა. მეორე კვირა დღეს ადრე გაჩნდა მაღაზიის წინ. ცხრა საათი იქნებოდა, ავთო იმ შესასვლელისკენ იყურებოდა. ნახა, რომ ოლია და ვიღაც უცნობი ბიჭი გამოვიდნენ. არუთი იყო. ერთმანეთს რომ დაემშვიდობნენ, ოლია მაღაზიისკენ წამოვიდა. მაღაზიაში შესვლამდე ავთო წინ გადაეღობა. მიესალმა. ოლია შეჩერდა. უკან მოიხედა. არუთი არ ჩანდა. სიგარეტი ამოიღო, გააბოლა და ავთოს მიმართა.

—რა გნებავთ? გისმენთ!

—მე ავთო მქვია, გავიცნოთ ერთმანეთი — ავთომ ხელი გაუწოდა.

—ოლია — უთხრა მან და ხელი ჩამოართვა.

—ერთი წუთით, თუ ძალიან არ გეჩქარებათ, სათქმელი მაქვს სერიოზული — უთხრა ავთომ და გვერდით გაიხმო ხელჩაკიდებული. ოლიასთვის ასეთი შეთავაზება არ იყო პირველი და გასაკვირი. უყოყმანოდ გააყოლა ტანი.

—შენთან თხოვნა მაქვს, თუ შემისრულებთ, კარგი მაღარიჩი გელით — უთხრა ავთომ.

—გისმენთ, რაც შემიძლია, გავაკეთებ — მიუგო ოლიამ, გაიღიმა და თვალი გაუსწორა. იგი თავისთავზე ფიქრობდა, ავთო კი — ნატაშაზე.

—ოლია, გასულ კვირას, თუ გახსოვთ, ამ მაღაზიაში შეგხვდით. თქვენ გახლდათ ვიღაც გოგო. მოგესალმეთ, გამოგესაუბრეთ, თქვენ კი პასუხი არ გამეცით.

—მახსოვს, მახსოვს, მერე, მერე? მაშინ ხასიათზე არ ვიყავი. ბოდიშს გიხდით. გაიღიმა ოლიამ.

—რა ჰქვია იმ გოგოს?— ოლია მოიღუშა.

—ნატაშა — მიუგო მოწყენილი სახით.

—ვინ არის და როგორ გავიცნო? თუ ამ საქმეს ჩამიწყობ, ნაწყენს არ დაგტოვებ.

—ავთო, ნატაშას ქმარი ჰყავს, ნიკოლაი მილიციის მაიორია. პატარა ბავშვიც ჰყავთ, საშკა. ამ საქმეში ვერ გამოგადგები. ვიცი, რომ ნატაშას ნიკოლაი უყვარს და არ უღალატებს მას. მე კი მარტოხელა ვარ...

—თქვენთან ერთად რომ გამოვიდა შესასვლელიდან, ის ულვაშებიანი ბიჭი ვინ იყო?

—ჰო, ის ნაცნობი ბიჭია, არუთი.

—დაუფიქრდი, ოლია, ჩემს თხოვნას, თქვენ დიდი საჩუქარი გელით.

—არა, არა, ავთო. ამის შესახებ ნატაშას ვერ ვეტყვი. ვიცი, რომ არაფერი არ გამოგვივა. მეშინია, ნიკოლაი მკაცრი და უხეში კაცია.

—მაშ ასე თუ არის, ნახვამდის. მაპატიეთ, რომ დაგაკავეთ. უთხრა ავთომ და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

„ქმარი და ბავშვი ჰყავსო. მე კი გოგო მეგონა. რა კარგია ნატაშა? გოგოს მეტი რა მინახავს მოსკოვში, მაგრამ ნატაშა სულ სხვაა“ — ფიქრობდა ავთო. მაღაზიის წინ, მოშორებით იდგა და სიგარეტს აბოლებდა. ოლიამ პური აიღო და დაბრუნდა ბინისკენ.

ავთომ თვალი გააყოლა. ოლია შესასვლელში რომ შევიდა, იქვე ნატაშას შეხვდა. მიესალმენ ერთმანეთს. „ნატაშ, ტამ

ტებია ჟდიოტ სიურპრიზ!“—უთხრა ოლიამ და კიბეებს აჰყვა.. ნატაშა მიხვდა, ვინ იქნებოდა. გასულ კვირას რომ გამოესაუბრა, ის ბიჭი მასაც, მოეწონა, მაგრამ ოლიასთან ერთად პასუხი ვერ გასცა. ეხლა კი უახლოვდება მაღაზიას და იმ ბიჭზე ფიქრობდა... ავთომ შეამჩნია მაღაზიისკენ მომავალი ნატაშა და მისკენ დაიძრა. ოთხი—ხუთი მეტრით რომ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ავთომ ლაპარაკი დაიწყო: „ნატაშა, მე ავთო მქვია, მსურს თქვენი გაცნობა. გთხოვთ ერთი წუთით მომისმინოთ“.

—ქმარი მიყურებს ფანჯრიდან. გაიარე! არ შეჩერდე! ხვალ გეტყვი პასუხს — მიუგო ნატაშამ. არ შეჩერებულან, ისე გაუარეს ერთმანეთს... „ხვალ გეტყვიო? როდის რომელ საათზე? ლექციები რომ მაქვს? მერე რა? გავაცდენ. ნატაშას გავეცნობი. ალბათ, თანახმაა, თორემ ხომ შეეძლო პასუხი არ გაეცა?“— ფიქრობდა ავთო და ბინისკენ მიდიოდა...

მეორე დილით, ჩვეულებისამებრ, ავთო გამოეწყო უნივერსიტეტში წასასვლელად. ტროლეიბუსში ჩაჯდა. მეორე გაჩერებაზე ჩამოვიდა და ზუსტად ცხრა საათზე მაღაზიის წინ აღმოჩნდა. მაღაზიაც გააღეს, შევიდა და სიგარეტი იყიდა. გამოსვლისას იმ სახლის შესასვლელისკენ გაიხედა. ნატაშა არ ჩანდა. არ იცოდა რომელ სართულზე ცხოვრობდა ნატაშა, მაგრამ თითქმის ყველა სართულის ფანჯრებს შეავლო თვალი. შემთხვევით დაინახა, რომ მერვე სართულის ფანჯარა გაიღო. ნატაშამ ქაღალდი ჩამოაგდო. ავთო არ დაიბნა. ფანჯარა რომ დაიკეტა, ნელა წავიდა ქაღალდისკენ. მიუახლოვდა, აქეთ—იქით გაიხედა და აიღო. გახსნა ქაღალდი, მძიმე ქაღალდებში გახვეული, და შიგ ეწერა „2332546“ — მეტი არაფერი. „ტელეფონის ნომერია, ალბათ“, — გაიფიქრა და სატელეფონო ჯიხურისკენ გასწია. ჯიხური მაღაზიის გვერდით იდგა. სიხარულით ნომერი აკრიფა.

—ნატაშა გისმენთ — მოესმა პასუხი.

—დილა მშვიდობისა, ნატაშა, ავთო ვარ, როგორ ბრძანდებით?

—მშვიდობიანი დილა, ავთო, კარგად ვარ.

—ნატაშა, რა ვქნათ? შენთან შეხვედრა მსურს. შენზე ფიქრით წუხელ არ დამიძინია. ვიცი, რომ ქმარშვილიანი ხარ, მაგრამ ერთი ნახვით შემიყვარდი. დღეს ლექციებზე არ წავედი.

—ავთო, შენ ოლიას იცნობ? რამე ხომ არ გითქვამს ჩემს შესახებ?

—კი, გავიცანი და ვთხოვე, შენს გაცნობაში დამხმარებოდა, მაგრამ ცივი უარით გამისტუმრა.

—გთხოვთ, სხვა არაფერი უთხრა, მასთან რომ დადის, ის ბიჭი ჩემი მეუღლის ამხანაგია. ჩემი მეუღლე, ნიკოლაი, მკაცრია.

—ყველაფერს ისე ვიზამ, როგორც შენ მეტყვი, ოღონდ მითხარი, როგორ და სად მოვახერხოთ ჩვენი შეხვედრა?

—არავის არ უთხრა, ეს საიდუმლოა. მე შენ მომაჯადოვე. ეხლა კი მოდი, ლიფტით ამოდი, მერვე სართულზე ბინა №32—ში. მარტო ვარ; პატარა საშკას სძინავს. ქმარი საღამომდე არ მოვა. თუ შესასვლელში ან ლიფტში ვინმემ გკითხოს, ვისთან მიდიხარო, ოლია იასტრებოვა მოიმიზეზე, იგი ჩემს ქვემოთ ცხოვრობს მეშვიდეზე — უთხრა ნატაშამ და ყურმილი დადო... ავთო დაიბნა. ცოტა ჩაფიქრდა: „ასე მალე? რაიმე ეშმაკობას ხომ არ მიწყობს? თუ ასეა, ოლიას ვიკითხავ, თუ მართლა ისეა, ხომ დავტკბები?“

ავთო ლიფტით ავიდა. არავინ შეხვედრია 32-ე ბინის კარი გაღებული დახვდა. ნატაშა კარებთან შეხვდა. შემობრძანდიო, ჩურჩულით მიიწვია და კარები ჩაკეტა. ავთომ ფეხზე გაიძრო, მას ეუცხოვა იქაურობა. ზალაში შევიდნენ. დაბრძანდით, უთხრა ნატაშამ. ავთო არ დაჯდა. აქეთ—იქით იხედებოდა. დასაძინებელ ოთახში შევიდა.. საშკას „კალიასკას“ თავსაფარი ახადა. ბავშვს ეძინა. ისევ გადაეფარა. ტანსაცმელის კარადის კარები გააღო. შეიხედა ეშინოდა ვინმე ხომ არ იმალებაო. საწოლების ქვეშ დაათვალიერა, მერე სამზარეულოში შევიდა. ნატაშა უსიტყვოდ დაჰყვებოდა. მიხვდა ავთოს სიფრთხილეს აბანო და საპირფარეშოც დაათვალიერა. ბოლოს აივანზე ჩაიხედეს. ავთო დარწმუნდა, რომ ბინაში სხვა ვინმე არ იყო. ნატაშას მიუახლოვდა. ხელები წელზე შემოხვია. გულ-მკერდზე მიიკრა და აკოცა. ნატაშამ იგივე

უპასუხა. თითქმის ერთი—ორი წუთი ფეხზე დგომით კოცნიდნენ ერთმანეთს. მერე ავთომ მანტო და პიჯაკი გაიხადა, სკამზე ჩამოკიდა, დივანზე ჩამოსხდნენ.

—მომწონხარ ნატაშა, ძალიან მომწონხარ!

—მეც, ავთო, მაგრამ მეშინია. ჩემი ქმარი უხეშია, მკაცრია, რომ გაიგოს, მომკლავს რევოლვერით.

—რევოლვერი აქვს?

—კი, ავთო, მილიციის თანამშრომელია, უბნის უფროსია, მაიორის წოდება ეხლახან მიანიჭეს.

—მეც მეშინია, ნატაშა. ჩვენი აქ შეხვედრა სახიფათოა, სარისკოა. ეხლა რომ შემოგვისწროს, ხომ ორივეს დაგვხოცავს?

—არა, არ მოვა საღამომდე. მოსვლის წინ დარეკავს ხოლმე, — მიუგო ნატაშამ. ავთომ ნატაშა გულში ჩაიკრა, აკოცა და კალთაში ჩაიწვინა. თვითონაც მოუნდა ჩამოწოლა, მაგრამ დივანი ვიწრო აღმოჩნდა. ნატაშა ადგა. ავთო წამოაყენა. კისერზე ჩამოეკიდა და აკოცა. „კარგი, დღეს გვეყოფა“, უთხრა მან. ხელები მოაშორა. ავთომ ისევ გულზე მიიკრა და კოცნა დაუწყო. ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ავთომ უცებ ხელები მოაშორა. ნატაშამ ყურმილი აიღო.

—დიახ, გისმენთ... კარგად ვართ... სძინავს... ნახვამდის, უპასუხა და ყურმილი ჩამოკიდა. ნიკოლაი იყოო, — უთხრა ავთოს.

—კარგი, ნატაშა, წავალ. აწი როგორ ვქნათ? როდის და სად შევხვდეთ ერთმანეთს?

—მხოლოდ და მხოლოდ აქ. მეტი სხვაგან გამორიცხულია! შაბათ—კვირას ნიკოლაი ხშირად სახლშია. დანარჩენი დღეები დილის რვა—ცხრა საათიდან საღამოს ექვს საათამდე არ არის შინ. შენ წინასწარ დამირეკე. ვინცობაა, თუ ვინმე იქნა ბინაში ჩემს გარდა, მე გიპასუხებ: „ალო, ალო“... თუ მარტო ვიქნები, გიპასუხებ: „ნატაშა გისმენთ“. დაიმახსოვრე ეს პაროლი, გაიგე?

—გავიგე, ნატაშა, გავიგე, მაგრამ მეშინია. თან უნივერსიტეტში ლექციები სამ საათამდე მაქვს.

—თუ მგლის გეშინია, ტყეში ნუ იელი! შენ როგორც გაწყობდეს. როცა გეცლება დამირეეკე. მიუგო ნატაშამ. ამ სიტყვებმა ავთო უფრო გაათამამა ნატაშა მიიზიდა და კიდევ აკოცა.

—კარგი, დღეს ასე დავამთავროთ! — თქვა ორივემ.

ტელეფონით ვისარგებლოთო — სხვამ არაფერი გაიგოსო. ავთომ პიჯაკი და მანტო ჩაიცვა. ნატაშა წინ გაუძღვა. კარი გააღო. გაიხედ—გამოიხედა. ლიფტის ხმაური არ ისმოდა. ავთომ ფეხზე ჩაიცვა და ფრთხილად გამოვიდა. ლიფტი გამოიძახა. ნატაშამ კარები ჩაკეტა. ავთო ლიფტში შევიდა. დაეშვა. ლიფტი მე—7 სართულზე შეჩერდა. კარი გაიღო და ოლია შემოვიდა. მან ავთო იცნო. მიესალმა. ავთო მოწყენით შეეხმიანა. „უხასიათოდ რომ ხარ, არაფერი არ გამოგივიდა? ხომ გითხარი, არ გამოგივა — მეთქი"— უთხრა ოლიამ.

—მე თქვენსკენ ვეშვებოდი. ზემოთ შემთხვევით აღმოვჩნდი, თქვენთან მოვდიოდი.

—როგორ თუ ჩემთან? თქვენ ნატაშასთან ხომ იყავით? როგორ გაიგეთ მისი ბინა?... დაეშვნენ პირველ სართულზე და იქვე, შესასვლელ კარებთან შეჩერდნენ.

შემთხვევით ნატაშას კარებთან აღმოვჩნდი. ზარი რომ მივეცი, კარი შემოაღო. არ შემიშვა. ვინ ხარო? არ გიცნობო, რა გინდაო, გაეთრიე აქედანო და კარი მიმიხურა. მივხვდი, რომ არაფერი არ გამოვიდოდა და ვკითხე, ოლია სად ცხოვრობს — მეთქი. „ჩემს ქვემოთ, მე—7 სართულზეო!" — მომესმა შიგნიდან. ოლიას ცოტა არ იყოს ესიამოვნა.

—მე ხომ ზუსტი გითხარი?

—მართალი ყოფილხართ, ოლია, მართალი, თქვენ სად მიდიხართ?

—მე მაღაზიაში, მერე სამუშაოზე. ზუსტად იმ ბინის ქვეშ ვცხოვრობ. შემოიარე, მარტო ვარ.

—როდის?

—ეხლა სამუშაოზე მეჩქარება, მერე, როცა გინდოდეს.

—მერე? ის ბიჭი? არუთი?

—მაგისი ნუ გერიდება. ის იშვიათად თუ შემოდის, დამირეკე 2332545, ჩაიწერე!

—მე უნიჭო არ ვარ. დავიმახსოვრე, მერე ჩავიწერ. დაგირეკავ ხვალ ან ზეგ.

—აბა ნახვამდის, წავედი — თქვა ოლიამ და გავიდა.

ოლია მაღაზიისკენ გაეშურა, ავთო კი — სატელეფონო ჯიხურისკენ. ნატაშას დაურეკა.

—ნატაშა გისმენთ!

—ავთო ვარ.

—ხო, ავთო, მე ფანჯრიდან გიყურებდი, რატომ დაგაგვიანდა გამოსვლა?

—ლიფტში ოლია შემოვიდა, სამუშაოზე მიედიეარო. ავთომ ყველაფერი უამბო მათი დიალოგის შესახებ.

—ყოჩაღ, რომ არ დაბნეულხარ. ფრთხილად იყავი. მას არ გაეკარო, არ ენდო, საშკამ გაიღვიძა, ნახვამდის...

ოლია სამუშაოზე კი არ მიდიოდა, ის არუთს ელოდა ბინაში. არაყი იყიდა. შუადღისას არუთიც ესტუმრა. არაყი დალიეს. ოლიამ სიმთვრალეში არუთს ყველაფერი უამბო ნატაშასა და ავთოს შესახებ.

—ოო, ნატაშა კარგი ქალია, მეც მომწონს, მიზანში მყავს აყვანილი, მაგრამ ნიკოლაის მერიდება და მეშინია თანაც. — უთხრა არუთმა...

ავთანდილისა და ნატაშას მორიგი შეხვედრა მესამე დღეს შედგა. ისევ იქ, ბინაში. ავთო, როგორც პირველ დღეს, ყველა კუთხეს ათვალიერებდა. ეშინოდა, ვინმე დამალული არ იყოსო სადმე. მეორე შეხვედრა მშვიდად დამთავრდა. ორივემ ისიამოვნა. ავთომ სურვილი შეისრულა... ასე გრძელდებოდა სამი თვე. ავთო შეეჩვია ნატაშას და სიყვარულის გრძნობაც აღეძრა. ნატაშასაც ანალოგიური სჭირდა. ავთო ნატაშას ბინაში უკვე თავისუფლად დადიოდა, როგორც საკუთარ სახლში. ზეპირად იცოდა, რომელი ოთახის რომელ კუთხეში თუ კარადაში რა იდო და რა იდგა...

დილის თორმეტი საათი იყო. ალბათ, ოცდამეხუთეზე მეტი შეხვედრა. ავთო და ნატაშა შიშველ—ტიტველნი ლოგინში ტრიალებდნენ, როცა კარებთან ზარის ხმა გაისმა. უცებ

ორივე წამოხტა. სწრაფად ჩაიცვეს. ნატაშამ ავთოს სამზარეულო ოთახისაკენ მიუთითა. თვითონ ხალათგადაცმული კარისკენ წავიდა. ავთომ სამზარეულოს კარადის ზედა თაროზე ძველი, გამტვერიანებული, კერამიკისგან დამზადებული შავი ფინჯანი შენიშნა. ძლივს მისწვდა. უბის ჯიბიდან რაღაც ქაღალდის ნაფლეთში გახვეული ამოიღო, ფინჯანში ჩადო და ადგილზევე დადო.

ნატაშამ ლუპიდან გარეთ რომ გაიხედა, დედამისი იცნო. კარი გაუღო.

—ჩამძინებია, დედა. შემობრძანდით — აკოცა, კარი არ მიუხურავს და ზალაში მიიწვია. სკამი ისე მიაწოდა, რომ ზურგი ავთოს გასასვლელისკენ ექნებოდა. ჩანთა ჩამოართვა და სამზარეულოში წაიღო. ავთოს ხელით ანიშნა, ჩუმად გადიო, ჩასჩურჩულა ყურში, დედაჩემიაო. ნატაშა დედას დაუბრუნდა. დაიწყეს ლაპარაკი. ავთო ფრთხილად კარებთან მივიდა, ფეხსაცმელში ფეხი ჩაჰყო და ჩუმად გავიდა... კარის გაღება და მიხურვა იგრძნო ნატაშას დედამ—ნადიამ.

—ვინ არის?—იკითხა მან და უკან მოიხედა. არავინ ჩანდა.

—არავინ, ალბათ, კარი დამრჩა დაუკეტავი და ნიავი აბრახუნებსო — იცრუა ნატაშამ ადგა და კარები ჩაკეტა. საშკასაც გაეღვიძა. ბებია გაეთამაშა...

„როგორ შემეშინდა? ნიკოლაი რომ ყოფილიყო, რა მექნა? დამიჭერდა და ციხეში ჩამსვამდა. გამლახავდნენ კიდეც“. — ფიქრობდა ავთო ლიფტში. ლიფტიდან რომ ჩამოდიოდა, კარებთან ოლია და არუთი შეხვდნენ. ხმა არ გაუცია. ოლია და არუთი ლიფტში შევიდნენ. ოლიამ ვერ მოითმინა და არუთს უთხრა: „ესაა ის ბიჭი, ნატაშა რომ მოსწონსო“.. თან თავისთვის ფიქრობდა: ალბათ, ჩემთან მოვიდა, მაგრამ მე რომ ვერ დავხვდი? არუთი რომ ნახა, ვერაფერი მითხრაო.

—კარგი ბიჭი ყოფილა. ნატაშასთან იყო ვითომ?— ჰკითხა არუთმა.

—არა მგონია. ნატაშა ახლოს არ მიიკარებდა...

ბინაში რომ შევიდნენ, ოლია საპირფარეშოში შევიდა. არუთიმ ყურმილი აიღო და ნიკოლაის დაურეკა.

—ნიკოლაი, არუთი ვარ. ოლიასთან რომ ავდიოდი, შემთხვევით თქვენს სართულზე აღმოვჩნდი. თქვენი ოთახიდან ნატაშას ხმა ისმოდა. არ ვიცი ვის ელაპარაკებოდა. მერე ფეხით რომ დავეშვი, კარის ხმა მომესმა. შევჩერდი და მალულად კიბეებიდან უკან მოვიხედე, უცნობი, ლამაზი, მაღალი, ახალგაზრდა, შავულვაშებიანი ბიჭი ლიფტში შევი-და. ვინ იქნებოდა?

—არ ვიცი არუთ, ეხლავე გავიგებ! — უპასუხა ნიკოლაიმ და დააგდო ყურმილი. უმალვე ნატაშას დაურეკა.

—ალო, ალო — ნატაშა, ავთოზე ფიქრობდა.

—ნატაშა, ვინ იყო ბინაში? — ნატაშამ იცნო ნიკოლაის აღელვებული ხმა.

—დედაჩემი, ეხლაც აქ არის, როგორ გაიგე?

—ისე ვიკითხე, თხოვე ყურმილთან! ნატაშამ ნადია მიიხმო. ნიკოლაის უნდა თქვენთან ლაპარაკიო. ლაპარაკში ნიკოლაი დარწმუნდა, რომ ნამდვილი ნადია იყო. უცნობზე არაფერი უკითხავს, დაემშვიდობა და ყურმილი დადო. ჩაფიქრდა: „ის ლამაზი, შავულვაშებიანი უცნობი ბიჭი ვინ იქნებოდა?“ ეს თავისთვის დაიტოვა საიდუმლოდ.

არუთი თავისთვის ფიქრობდა: „თუ ის ბიჭი ნატაშასთან იყო, დღეს თუ ხვალ მახეში გაებმება. ნიკოლაი კი ისეთი კაცია, რომ ნატაშას არ აპატიებს, გაეყრება. ბინა ნატაშასია. ის ხომ აქ დარჩება. მერე მე სად წამივა?“

ნიკოლაი ნერვიულობდა. სამუშაოს ადრე მორჩა. უხასიათოდ წამოვიდა ბინისკენ. ნატაშასთან არ დაურეკავს. ნიკოლაი ჯერ მე—7 სართულზე შეჩერდა. ოლიას ბინაში შევიდა. არუთიც იქ იყო. ქეიფში იყვნენ. შეზარხოშებულებმა ნიკოლაი მიიპატიჟეს. არაყი უმთავრდებოდათ. არუთმა ოლიას ფული გადასცა და უთხრა: „მიდი ჩქარა, სანამ მაღაზია დაიკეტებოდეს, ორი მოიტანე!“— ოლიამ პალტო გადაიხურა და მოკურცხლა...

—არუთ, ეხლა მითხარი ზუსტად, როგორ იყო — დაიწყო ნიკოლაიმ.

—როგორც ტელეფონით გითხარი... ოლიასაც უნახავს ის ბიჭი ორ—სამჯერ. სად და ვისთან იყავიო, რომ უკითხავს,

იმ ბიჭს უთქვამს: ნატაშასთან, მაგრამ კარი არ გამიღოო, არ შემიშვაო, გამლანძღაო. ეხლა კი ჩემი თვალით ვნახე; მართლა კარგი ბიჭია, ლამაზი, შავულვაშებიანი, მაღალი, არც მსუქანია და არც გამხდარი, მანტოს ატარებს, ქუდი არ ეხურა, შავთმიანია, მგონი, ქართველია, ოცი—ოცდაორი წლის თუ იქნება.

—ოლია იცნობს?

—კი, ჯერ ოლია გაუცვნია. მერე უთქვამს, ნატაშა გამაცანიო. ოლიას ცივი უარით გაუსტუმრებია. არაფერი არ გამოგივაო. მაგრამ ხომ იცი, ქართველები პრინციპული ხალხია და, ალბათ, თვითონ შეეცადა. ნატაშა ლამაზი ქალია, ახალგაზრდა, ვის არ მოეწონება?

—მე იმ წუთშივე დავურეკე ნატაშას. დედამისი იყო — ნადია, მეც დაველაპარაკე მას, თქვა ნიკოლაიმ.

—ალბათ, ლაპარაკის ხმა რომ მოესმა, კარზე ზარი არ მისცა და დაბრუნდა უკან.

—ეს უფრო მოსალოდნელია.

—ჩემო ნიკოლაი, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ ის არ მოეშვება, სანამ მიზანს არ მიაღწევს. ქალის ნებისყოფაც სუსტია.

—არუთ, ამ საკითხის შესახებ ოლიას არაფერი უთხრა. მე მაგას გამოვიჭერ! — თქვა ნიკოლაიმ და ჩაფიქრდა: „რატომ ნატაშამ არაფერი მითხრაო“...

ოლია არყით ხელში შემოვიდა. დალიეს და ილაპარაკეს სულ სხვა თემაზე. „ხვალ საშკას დაბადების დღეა, შემოდით არუთ!“— თქვა ნიკოლაიმ. არაყი გამოცალეს. შეზარხოშებული ნიკოლაი 19 საათზე ბინაში მივიდა. ნატაშა კარებთან დახვდა. პალტო გახადა, აკოცა და ჰკითხა: „ნასვამი ხარ?“

—კი ნატაშა. ცოტა დავლიეთ, კოლეგას დაბადების დღე აღნიშნეთ — იცრუა ნიკოლაიმ.

—ვახშამი ხომ გინდა?

—კი, ცოტას შევჭამ. ნატაშამ ვახშამი მიართვა და თვითონაც მიუჯდა მაგიდას.

—ხვალ საშკას ექვსი თვე უსრულდება — თქვა ნატაშამ.

—ხო, ნატაშა, უნდა აღნიშნოთ. რაო, რა გითხრა დედაშენმა?

—შემცდარა, დღეს მეგონაო საშკას დაბადების დღე, სათამაშოები და ნამცხვრები მოიტანა. შენ როგორ გაიგე მისი მოსვლა?

—უცბად აზრად მომივიდა, ვიღაც მოვიდა — მეთქი და დავრეკე. წინათგრძნობა მაქვს...

ის ღამე ნიკოლაის თითქმის არ უძინია. ფიქრობდა: „ვინ იყო ის ბიჭი? ნუთუ ნატაშა მღალატობს? მეც ვეჭვობ, ბოლო დროს ნატაშა რაღაც შეცვლილად მეჩვენება. მგონი რაღაცას მიმალავს". ნატაშაც მთელი ღამე ფიქრობდა: „როგორ გაიგო, ვინ იყო ბინაში? შეიძლება ავთოს შესახებაც იცოდეს? რატომ ავთომ არ დარეკა წასვლის მერე? რაღაცა არის გაუგებარი. ავთო უნდა გავაფრთხილო, ცოტა მოითმინოს, არ მოვიდეს". ასეთ ფიქრებში გათენდა კიდეც...

ნატაშამ და ნიკოლაიმ ერთმანეთს მიულოცეს საშკას დაბადების დღე. ნატაშამ აკოცა, ასაუზმა და გააცილა სამსახურში.

—ნატაშ, შუადღისას მოვალ, საჩუქრებს მოვიტან. შენ სადილი დაგვახვედრე — დაბარა ნიკოლაიმ და ლიფტში შევიდა. ნატაშამ კარები მიხურა. დასაძინებელ ოთახში შედიოდა, როდესაც ზალაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ყურმილი აიღო.

—ნატაშა გისმენთ.

—ავთო ვარ, დილა მშვიდობისა, დღეს მოვიდე?

—არა, ავთო, დღეს საშკას დაბადების დღეა, ნიკოლაი სახლში იქნება. რაღაცა ხიფათი გველის. გუშინ შენ რომ წახვედი, ხომ არ შეგხვდა ვინმე ჩვენი მეზობელი?

—კი, ნატაშა, ოლია და ის სომეხი — არუთი.

—მერე, რა გითხრეს?

—არაფერი არ გვითქვამს. არც მივესალმე.

—კარგი, ავთო, ერთი კვირა არ მოხვიდე, არც დარეკო. მერე დამირეკე.

—რატომ? რა მოხდა? იმათ ხომ არ უთქვამთ რამე?

—მე გავიგებ ყველაფერს და ერთ კვირაში გეტყვი. ეხლა ნახვამდის. ყურმილი ჩამოკიდეს...

ნატაშა სადილის სამზადისს შეუდგა და თან ფიქრობდა: „ოლიამ უთხრა არუთს და მან კი ნიკოლაის დაურეკა, სხვა აზრი არ არსებობს“...

შუადღისას ნიკოლაიმ თავისი თანამშრომელი ვასია მოიყვანა. სამი ბოთლი არაყი და ბავშვის სათამაშოები მოიტანა.

—ათ წუთში სუფრა გაშლილი იქნება. ნუ მოიწყენთ — უთხრა მათ ნატაშამ.

ნიკოლაიმ ყურმილი აიღო და ოლიას დაურეკა.

—ოლია, გამარჯობა ნიკოლაი ვარ, არუთი არ არის?

—ველოდები, ნიკოლაი, ჯერ არ ჩანს.

—თუ მოვიდა ათ წუთში, ორივე ამოდით, საშკას დაბადების დღე მივულოცოთ! — უთხრა ნიკოლაიმ.

—თუ არ მოვიდა?

—შენ ამოდი!

—კარგი, ნიკოლაი, გმადლობთ, — იყო პასუხი.

ოლიამ არუთს წერილი დაუტოვა მაგიდაზე. თვითონ ჩაიცვა და მაღაზიაში ჩავიდა. ერთი ბოთლი არაყი და შოკოლადი იყიდა. დაბრუნდა და პირდაპირ სუფრასთან აღმოჩნდა. მიულოცა ნატაშას, ნიკოლაის, გადაკოცნა ისინი, ვასია გაიცნო და საშკასკენ წავიდა. საშკას ეძინა...

სუფრა ზალაში გაეშალათ... არუთი არ მოვიდა. მან გუშინაც იცოდა, რომ საშკას დაბადების დღეს აღნიშნავდნენ, მაგრამ თავი აარიდა; სიმთვრალეში რამე წამომცდებაო და სპეციალურად არ მოვიდა...

ოთხი ბოთლი არაყი დალიეს. ნატაშა არ სვამდა, ოლიამ კაცების დოზა დალია აიშალნენ.

—ჩვენ გარეთ გავალთ, ქუჩაში. თქვენ როგორც გენებოთ — თქვა ნიკოლაიმ და ვასიას ხელი გაუყარა.

—კეთილი და პატიოსანი, მე ნატაშას მოვეხმარები სუფრის ალაგებაში — მიუგო ოლიამ. ნიკოლაიმ და ვასიამ პალტო ჩაიცვეს, ქუდი დაიხურეს და გავიდნენ. მარტის სუსხიანი დღე იყო. მოღრუბლული. ორ გრადუსამდე ყინვა. თოვლის საფარი ოც სანტიმეტრამდე იქნებოდა... ნატაშა დივანზე ჩამოჯდა, ოლიასაც თხოვა ცოტა ხანს ჩამოჯდომა. ოლია

სკამზე ჩამოჯდა. ნატაშას ხელსაყრელი დრო დაუდგა. ოლია სიმთვრალეში სიმართლეს იტყვისო და დაიწყო:

—ოლია, გახსოვს, სამიოდე თვის წინ მაღაზიაში ვიღაც ულვაშებიანი ბიჭი, რომ გამოგვესაუბრა და ჩვენ პასუხი არ გავეცით!?

—მახსოვს, ნატაშა, მახსოვს. რა კარგი ბიჭია? იგი მე ორჯერ შევნიშნე ჩვენს შესასვლელში. პირველად მაშინ, იმ დღიდან ერთი კვირის შემდეგ და მეორედ გუშინ ვნახეთ მე და არუთმა.

—მერე რა გითხრათ?

—პირველად მე გამიცნო. ნატაშასთან საქმე ჩამიწყეო. მე მოვიშორე ციცი უარით. არაფერი არ გამოგივა — მეთქი. მერე არ ვიცი თუ როგორ მოხვდა შენი ბინის კარებთან. მობრუნებისას მე შევხვდი, რომ გავესაუბრეთ ერთმანეთს, მითხრა: არაფერი არ გამომივიდა, შინ არ შემიშვა, გამლანძღაო. გუშინ კი არაფერი მიკითხავს, არუთი მახლდა. ისე მივესალმე თავის ჩაქნევით.

—არუთიმ იცის ეს ყველაფერი?

—კი, მე ავუხსენი, რომ იმ ბიჭს უნდა ნატაშას გაცნობა, მასთან დაახლოება, მაგრამ არაფერი არ გამოუვა — მეთქი.

—მერე, არუთმა რა გიპასუხა?

—რა თქმა უნდა, არ გამოუვაო. ნატაშა კარგი ქალია, მეც მომწონს, მაგრამ ნიკოლაის მეხათრება და მეშინიაო.

—მართალია, ოლია, პირველად რომ მოვიდა, შინ არ შევუშვი, არ ვიცი, როგორ მოაგნო ჩემს ბინას. შენ ხომ არ გითქვამს? ვინ ხარ შენ, არ გიცნობ — მეთქი, ქურდი ხარ თუ ხულიგანი — მეთქი; გაეთრიე აქედან — მეთქი. მან შენ გიკითხა, სად ცხოვრობსო. მეც ავუხსენი, ჩემს ქვემოთ, მეშვიდეზე ცხოვრობს — მეთქი და კარი მივხურე. გუშინ დედაჩემი მახლდა ბინაში. ზარის ხმა რომ გავიგონე, მიველი. ლუპიდან რომ შევხედე, ვიცანი, ის იყო. პასუხი არ გამიცია. კარიც არ გამიღია. ვიფიქრე „შვაბრას" ჩავარტყამ — მეთქი, მაგრამ დედაჩემის მომერიდა. ალბათ, მერე შეგხვდათ თქვენ. ოლია, გთხოვ, თუ კიდევ შეგხვდა სადმე, აუხსენი, თავი

დაძანებოს, თორემ ნიკოლაის დავაჭერინებ და ციხეში ამოყოფს თავს. გაიგე!?

—გავიგე, ნატაშა, გავიგე. მე შენი ბინის შესახებ არაფერი მითქვამს, პირიქით, ვარწმუნებდი, რომ არ გამოგივა და თავი დაანებე — მეთქი... ოლია არ იყო დარწმუნებული ნატაშას სიტყვებში, მაგრამ რას ეტყოდა. ვერ დაუმტკიცებდა, ან რა მისი საქმე იყო?

—ისე კი სჯობდა, არუთისათვის არ გეთქვა.

—კი, სჯობდა, ნატაშა, მაგრამ სიმთვრალეში წამომცდა. გთხოვ მაპატიო.

—შენ როგორ ფიქრობ? ეტყოდა არუთი ნიკოლაის?

—არა მგონია, მან იცის რომ შენ ნიკოლაის არ უღალატებ. კარგი, გვეყოფა ეხლა, დროა სუფრა ავალაგოთ — თქვა ოლიამ და ადგნენ...

ნიკოლაი და ვასია კარგ ხასიათზე იყვნენ. ნელა მიდიოდნენ. უცებ ნიკოლაის სერიოზულობა დაეტყო. მოიღუშა. შეჩერდა.

—რა მოხდა? — ჰკითხა ვასიამ.

—ვასია, იცი რას გეტყვი?

—გისმენთ, ამხანაგო მაიორო!

—ერთ სერიოზულ და ოპერატიულ საქმეს გავალებ, ოღონდ, იცოდე, საიდუმლოა! ახალგაზრდა კაცი ხარ, ახალი თანამშრომელი. თუ ოპერაციას კარგად ჩაატარებ, დაწინაურება გელის. მარტო შენ უნდა იმოქმედო, სხვა არ ჩავრიოთ, საიდუმლოა, გაიგე?

—გავიგე, ბატონო მაიორო, მარტო ჩვენ გვეცოდინება. რა იყო ასეთი?

—რა იყო, ჩემო ვასია, იცი? ჩვენს შესასვლელში დადის ვიღაც უცნობი ახალგაზრდა ბიჭი. ლამაზი, მაღალი, შავულვაშიანი, არც გამხდარი და არც მსუქანი, მანტოს ატარებს, ქუდს—არა, შავთმიანი, დაახლოებით ოცდაორი წლისაა, ვარაუდობენ, რომ ქართველია. ქურდია ან ხულიგანი. ორსამჯერ შეეუმჩნევიათ მეზობლებს. ალბათ, რაღაც მომენტს უცდის. უნდა დავიჭიროთ. გავიგოთ ვინ არის, რაზე დადის ან ვისთან დადის. საეჭვო პირია. შენ კი ხვალიდან სამოქა-

ლაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უნდა ჩაუსაფრდე ჩვენი შესასვლელის კარებთან დილის ცხრა საათიდან ჩემს მოსვლამდე. არავინ გაიგოს შენი მიზანი. როდესაც შეამჩნევ, უმალვე დამირეკავ! იქვე გავჩნდები მანქანით. ვინიცობაა, თუ ჩემს მოსვლამდე გამოვიდა შესასვლელიდან, დააკავე. შენი წიგნაკი წარუდგინე. საბუთები მოსთხოვე, გამოესაუბრე: ვინ არის, რა საქმიანობას ეწევა მოსკოვში. მანამდე მეც მოგისწრებ. თუ არ დაგემორჩილა, რევოლვერი იხმარე ინსტრუქციის თანახმად. გასაგებია!?

—არის, უფროსო, მაიორო, ყველაფერს ისე შევასრულებ, როგორც გიბრძანებიათ! — იყო პასუხი...

ავთო ნერვიულობდა. ნატაშას ისე შეეჩვია, რომ დაშორება არ უნდოდა. ისე კი ფიქრობდა: „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“. ხუთი დღე ხუთ თვედ მოეჩვენა. ნატაშაც ასე იყო, მაგრამ ხიფათში ჩავარდნის ეშინოდა. მეექვსე დღეს ავთომ ვერ მოითმინა და დილით ათ საათზე, უნივერსიტეტიდან დაურეკა.

—ნატაშა გისმენთ, — ორივეს ესიამოვნა პაროლი და ნაცნობი ხმა.

—ავთო ვარ;

—გიცანი ხმით. საიდან რეკავ?

—უნივერსიტეტიდან;

—დღეს ლექციები არ გააცდინო. ხვალ ამ დროს დამირეკე. მგონი კარგად მიდის საქმე, ეხლა კარგად, ნახვამდის...

ავთომ ნატაშას გაცნობის მერე ბევრი ლექცია გამოტოვა. ეს დავით ბიძიას არ გამოპპარვია. ის აკითხავდა უნივერსიტეტში და გებულობდა ავთოს მოსწრებისა და დასწრების საკითხს. ლექტორებიც დავითს ასე უხსნიდნენ: „ხანდისხან აცდენს, მაგრამ მაინც კარგი ბიჭია. საუკეთესო მოსწრება აქვს. ნიჭიერია და ენერგიული, ბრწყინვალე იურისტი გამოვა“. დავითმაც ბევრჯერ მისცა გაფრთხილება ავთოს გაცდენების გამო, მაგრამ გულში ფიქრობდა: „ახალგაზრდაა და ცოტა უნდა აპატიოო“.

ნატაშაც შეეჩვია ავთოს. ძლიერი განცდები ჰქონდა, მაგრამ ნიკოლაის ეშინოდა. „თუ გაიგო ეს საქმე, ან თუ გამოგვიჭირა,

მომკლავს ან დამეთხოვება; თუ გაყრაზე წავიდა საქმე, ავთო მაინც ჩემთან იქნება, ოთახი და ბავშვი ხომ ჩემია? ასე სჯობია ვითომ? არა, ნიკოლაი კარგი კაცია, არ მინდა მას დავშორდე. ავთოც რომ შემიყვარდა? ის ცოლად არ შემირთავს. ქართველია, მათ სხვა ადათ—წესი აქვთ. ერთ ოჯახში სხვადასხვა წესის ადამიანები ვერ იცხოვრებენ. როგორ მოვიქცე? ნიკოლაი გავწირო თუ ავთო?"— ასეთი ფიქრებით იყო გართული ნატაშას ჭკუა—გონება...

ნიკოლაის არ გამოჰპარვია ნატაშას სხვანაირი და გადამეტებული ქცევები. ეჭვიანობდა, მომენტს უცდიდა, ფაქტი უნდოდა. ვასიას იმედი ჰქონდა. ექვსი დღე უშედეგო რომ გამოდგა, ისიც აწუხებდა...„ერთი დღეც, აჰა, ორი იყოს და მოვიხსნი და დაძაბულობას. გაგრძელება თუ არ მიბრძანა!"— ფიქრობდა ვასია.

მეშვიდე დღეს ავთო ლექციებზე არ წავიდა. ათ საათზე ნაჩვევი მაღაზიის წინ აღმოჩნდა. გაიხედ—გამოიხედა ნაცნობი არავინ ჩანდა. სატელეფონო ჯიხურში შევიდა. ნატაშას დაურეკა ნომერი დაკავებული აღმოჩნდა. გარეთ გამოვიდა. ნერვიულობდა. სიგარეტი გააბოლა. მზიანი და ცივი დილა იყო, მარტის ბოლო რიცხვი. ავთოს თბილი სვიტერი, პიჯაკი და მანტო ეცვა. ქუდი არ ეხურა. მანტოს საბნევები გაიხსნა. თითქოს დაცხა, ისევ ჯიხურში შევიდა. დარეკა.

—ნატაშა გისმენთ — იყო პასუხი.

—ავთო ვარ, დილა მშვიდობისა, როგორაა საქმე? ვინ გირეკავდა?

—ხო, ავთო, ნიკოლაის დედა იყო. საშკას დაბადების დღე შეშლია. მე რომ ავუხსენი, მითხრა, ხვალ ან ზეგ შემოვალო. ამ დღეებში სიმშვიდეა. ნიკოლაი ძველებურად გვიან მოდის. მოსვლის წინ მირეკავს. შემოდი, ოღონდ იცოდე, ფრთხილად. თუ ვინმე ნაცნობი ან უცნობიც რომ შეგხვდეს შესასვლელში და ლიფტში, დაბრუნდი და დამირეკე.

—გავიგე, ნატაშა, მოვდივარ, — უპასუხა ავთომ. ყურმილი ჩამოკიდა, მანტოს საბნევები შეიბნია და გამოვიდა... ვასია ტროლეიბუსის გაჩერებიდან ზვერავდა. იქიდან ჩანდა მაღაზია, სატელეფონო ჯიხური და იმ სახლის შესასვლელიც.

ავთო ჯიხურში რომ შევიდა, ვასია, მაღაზიაში შებრძანდა, იქიდან უთვალთვალებდა შემდეგ მოქმედებას. ავთო უცბად რომ გამოვიდა, ვასია მიხვდა, რომ ნომერი დაკავებული იყო. მან რა იცოდა, ვისთან რეკავდა. ავთო მეორეჯერ რომ შევიდა, ვასია მაღაზიიდან გამოვიდა და დადგა ჯიხურის წინ ზურგით. სიგარეტი გააბოლა. თითქოს რიგში დგას ჯიხურთან. ფიქრობდა სხვამ არ მომასწროს შესვლაო. მას ავთოს ლაპარაკის შინაარსი არ ესმოდა. კარის ხმა არ გაუგია, შემობრუნდა და უცბად შევიდა. ნიკოლაის ტელეფონის ნომრის ექვსი ციფრი აკრიფა, მეშვიდე დაიტოვა და ავთოს მიმართულებას თავდაწეული — თვალაწეული უცქერდა... ნატაშა მოლოდინში იყო. ტანსაცმელი გაიხადა და საშინაო ხალათი გადაიცვა. ხალათზე ზედა ღილი ავარდნილი იყო. თოვლივით თეთრი გულმკერდი მოუჩანდა...

ავთომ გაიხედ—გამოიხედა. ოლიას და ნატაშას ფანჯრებს თვალი შემოავლო. ნაცნობი არავინ ჩანდა. კურსი შესასვლელისკენ აიღო. რომ შევიდა, ვასიამ მეშვიდე ციფრიც აკრიფა.

—გისმენთ!

—ნიკოლაი „ნიკოლაევიჩ“ თქვენ ხართ?

—დიახ!

—ვასია ვარ, ჩიტი მახეში შევიდა!

—ეხლავე, ვასია, მე მანქანით მოვალ, შენ შესასვლელთან დადექი, შიგ კარებთან. ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგე. თუ წინააღმდეგობა გაგიწია, რევოლვერი იხმარე, არ დაგავიწყდეს, ინსტრუქციის მიხედვით. მე ლიფტით ავალ, ის თუ კიბეებით დაეშვა, შენ შეხვდები, არ დაიბნე. მოვდივარ. ყურმილი ჩამოკიდეს. ნიკოლაის სამსახურიდან ბინამდე დაახლოებით სამი კილომეტრი იქნებოდა... ავთანდილი ისე მივიდა, რომ არავინ შეხვედრია. კარებთან ნატაშა შეეგება. კარი ჩაკეტა. ავთო ისე გაპყვა, რომ არც ფეხზე გაუძვრია და არც მანტო გაუხდია. „მასტიკაწასმულ“ პარკეტს ავთოს ნაკვალევი დაემჩნიე. ნატაშას არ მოეწონა, მაგრამ არაფერი უთხრა. ავთომ მანტო გაიხადა და დივანზე მიაგდო. ძველებურად არ იქცეოდა. ცულ ხასიათზე დადგა, ფეხსაცმელი გაიძრო, ნატაშა დასაძინებელ ოთახში შევიდა, საწოლს ამზადებდა,

ავთომ კარადიდან წიგნი გამოიღო. ლერმონტოვის ლექსების კრებული აღმოჩნდა. პიჯაკიდან „პასტა“ ამოაძრო. წიგნის ბოლოდან მეოთხე გვერდზე, ქვემოთ, დავითის ბინის ტელეფონის ნომერი დააწერა და ნატაშას მიაძახა:

—ნატაშ, ვინიცობაა თუ რამე უსიამოვნება მოხდეს, დაურეკე ბინაში 4535555. ნატაშა ოთახიდან გამოვიდა. ავთომ წიგნი თავის ადგილას დადო.

—ავთო, რა გჭირს? რას ფიქრობ? რა უსიამოვნება უნდა მოხდეს? ნიკოლაი საღამომდე არ მოვა. სხვა ყველას არ შევაფურთხე? ნუ გეშინია, შევიდეთ! – უთხრა და აკოცა ნატაშამ; ავთომ მიიხუტა. მერე ძუძუები დაუკოცნა; ამასობაში პიჯაკიც გაიხადა, ოთახში შესვლა დააპირეს, როდესაც ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ავთოს კარის ზარი ეგონა. უცბად პიჯაკი აიღო ფეხზე ჩაიცვა და მანტო აიტაცა. ნატაშა ყურმილს ეცა.

—ალო, ალო, გისმენთ!

—ნატაშა, ოლია ვარ. არუთის მოლოდინში ფანჯრიდან რომ გადავიხედე, შევნიშნე, ნიკოლაი მილიციის მანქანით ჩამოდგა. ჩამოვიდა და სწრაფად მოდის შესასვლელისკენ, რამე ხომ არ ჭირს?..

ლაპარაკი არ დაუმთავრებია ოლიას, ნატაშამ ყურმილი დააგდო და ავთოს მიუბრუნდა. ნიკოლაი მოდისო, ჩაიცვი მანტო! ის ალბათ ლიფტით ამოვა, შენ კიბეებს ჩაყევი, ჩქარა! უთხრა ნატაშამ, თვითონ „შვაბრას“ ჩაავლო ხელი და ავთოს ნაკვალევს წმენდა დაუწყო. ავთომ კარი ფრთხილად გააღო და ნატაშამ უკვე ლიფტის კარის გაღებაც იგრძნო. მიხვდა, რომ ნიკოლაი ავთოს პირისპირ შეხვდებოდა. უკან დასახევი გზა არ იყო. უცბად აზრად მოუვიდა, დაეწყო ხმამაღლა ყვირილი;

—გაეთრიე აქედან, შე ქურდო, შე ხულიგანო, გამოვუძახებ ეხლა მილიციას, – ზურგზე „შვაბრაც“ ჩაარტყა რბილად. ავთო გაშეშებული იდგა. წინ ნიკოლაი ედგა რევოლვერით ხელში. მან გაიგონა ნატაშას სიტყვები და ნახა თუ როგორ ჩასცა „შვაბრა“ ზურგში.. ავთო ხმას არ იღებდა. ხმაურზე და ყვირილზე სართულის სამი მეზობელი გამოვიდა.

—მე ქურდი არა ვარ, არც ხულიგანი, სტუდენტი ვარ. შემთხვევით მოვხვედი ამ სართულზე. შემეშალა. გთხოვთ გამიშვათ — ითხოვა ავთომ.

—ქურდი ხარ, ხულიგანი, ბანდიტი თუ სტუდენტი, მაგას გამომძიებელი და მოწმეები დააზუსტებენ! — უთხრა ნიკოლაიმ და ნატაშას მიუბრუნდა.

—როგორ შემოიჭრა?

—ნაგავი გავიტანე. შემოვბრუნდი. სანაგვე ვედროს თავის ადგილას, რომ ვდებდი, კარების ჩაკეტვა დამვიწყებია. უკან რომ მოვბრუნდი, კარებთან ატუზული ვნახე.

—ოთახში არ შესულა? რამე ხომ არ აუღია? შენთვის ხელი ხომ არ უხლია? ხალათი? გულმკერდი?!

—ოთახში არ შევუშვი. წინ რომ გადავუდექი, ხელი ჩამკიდა, კოცნა უნდოდა, არ მივიკარე. ხელი მკერდში ჩამიყო ძალით რომ მოვიშორე, ხალათს ღილი აძვრა. უცბად მოვბრუნდი „შვაბრას" ვეცი, ხმამაღლა დავიწყე ლანძღვა — გინება. გასვლა დაიწყო და „შვაბრაც" ჩავარტყი. კარგია, რომ შენც მომისწარი. როგორ გაიგე? ყოჩაღ ნიკოლაი, წაიყვანე და ჩასვი ციხეში!

—ესე იგი, ოთახში არ შესულა? არაფერი არ მოუპარავს? შესვლისას ზარი არ მიუცია?

—არა, ოთახში არ შესულა, არც ზარის ხმა გამიგონია.

—ესე იგი, ქურდობისა და გაუპატიურების მცდელობაა. გამყევი წინ! კიბეებით ჩადი! მეზობლებმა შეგხედონ, შე ქურდო და ხულიგანო! — უბრძანა ნიკოლაიმ ავთოს და უკან გაპყვა რევოლვერით ხელში. მე—8 სართულის მეზობლები და ნატაშა თავთავიანთ ბინაში შევიდნენ. ავთო თავჩაღუნული მიდიოდა. „მომიწყვეს საგანგებოდ, მაგრამ არ მესმის, ნატაშას რაში გამოადგება? ხომ შეეძლო, სხვანაირად მოქცეულიყო? ეთქვა, ვილაცის ბინას ეძებდა, არ ჯობდა?" — ფიქრობდა იგი. მე—7 სართულზე რომ ჩავიდნენ, სხვა მეზობლებთან ერთად ოლიაც იდგა დერეფანში.

—ხომ იცნობთ ამ ხულიგანს? — მიმართა მათ ნიკოლაიმ და ოლიას შეხედა. ოლიამ თავი გააქნია „არას" ნიშნით.

შემდეგ სართულებზე არავინ შეხვედრიათ. პირველზე რომ ჩავიდნენ, შესასვლელის კარებთან ვასია დახვდათ.

—გაება ჩიტი მახეში? — თქვა ვასიამ.

ავთო მიხვდა, რომ ვასია ჩასაფრებული იყო. იცნო ტელეფონის ჯიხურთან რომ იდგა „რიგში“.

—ხო, ვასია, წამოდი, ჩავსვათ მანქანაში და წავიყვანოთ ეს ქურდი და ხულიგანი ჩვენთან, განყოფილებაში.

—მე ქურდი და ხულიგანი არა ვარ. იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ. მალე თქვენი კოლეგა გავხდები, — მიუგო ავთომ.

—ვინ ხარ და რა გახდები, მაგას გამომძიებელი დაადგენს. ჩაჯექი! — უბრძანა ნიკოლაიმ და მანქანის უკანა კარი გააღო. ავთო ჩაჯდა. გვერდით ვასია მიუჯდა. ნიკოლაი საჭესთან დაჯდა და მილიციის განყოფილებისაკენ გაემგზავრნენ... მანქანა რომ დაიძრა, ოლია ნატაშასთან ავიდა.

—როგორ მოხდა ნატაშა? ვინ ყოფილა ის ბიჭი, დაუჯერებელი? ვეუბნებოდი, თავი დაანებე, არ გაამოგივა — მეთქი. რა კარგი ბიჭია და როგორ დაიღუპა თავი?

—ხო, ოლია, მეც მეცოდება, მაგრამ რა მექნა? ხომ გითხარი ორჯერ არ შემოვუშვი და მესამეჯერ შემოპარულა. ნაგავი რომ გავიტანე, კარი ღია დამრჩენია, მოვასწარი კარებთან და გავაგდე გარეთ. ნიკოლაიც კარგ დროს მოვიდა. მხოლოდ არ ვიცი როგორ გაიგო?

—ნატაშა, ფანჯრიდან რომ გავიხედე, იმ ბიჭს კიდევ მეორე ბიჭი მოუჯდა გვერდით სამოქალაქო ტანსაცმელში. თუ არ ვცდები, ვასია იყო. აქ რომ გყავდათ სუფრასთან.

—ხო, ოლია, მეც შევამჩნიე, ის ვასია იყო, სამოქალაქო ფორმა ალბათ იმიტომ ეცვა, რომ უნდა ჩასაფრებოდა. აქ არუთის ხელი ურევია. ხომ გითხარი, არ უნდა გეთქვა — მეთქი. მესამეჯერ რომ გავაგდებდი ბოლო—ბოლო, ხომ მიხვდებოდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა, მეტი არ მოვიდოდა. ეხლა მეცოდება, ქურდიო, ხულიგანიო და მიუსჯიან, ალბათ. ისე, ეტყობა, ქურდი და ხულიგანი არ უნდა იყოს. ალბათ, მოვეწონე და არ მშორდებოდა. არ გამოუვიდა და ტყუილად

ჩაიგდო თავი... ოლია თავს აქნევდა. არ სჯეროდა, რომ არ გამოუვიდაო. მაგრამ ვერ ამტკიცებდა და ხმას არ იღებდა.

—წავალ, ნატაშა, არუთი უნდა მოვიდეს.

—ხო, ჯერ შენ არაფერი უთხრა არუთის ამ ამბის შესახებ. მერე თვითონ გაიგებს, ალბათ; ოლია გავიდა...

ნატაშა აღელვებული იყო. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. „ბიძამისი პროკურორის მოადგილეა. დაეხმარება, მაგრამ ვინ შეატყობინებს? ტელეფონის ნომერი ხომ მითხრა? ბოლო ოთხი ხუთიანი მახსოვს, მაგრამ წინა სამი, რომ არ მახსოვს? როგორ გრძნობდა, უსიამოვნება თუ მოხდაო? რა ვქნა? აბა როგორ უნდა მოვქცეულიყავი? დავიბენი; რომ მეთქვა, ოლიას კითხულობდაო, არუთი გაბრაზდებოდა. სამივეჯერ ოლიას რატომ იკითხავდაო? არუთმა ხომ უთხრა ნიკოლაის? მეტი სხვა ვინ ეტყოდა? ნიკოლაიც ხომ მეტყვის, რატომ დროზე არ მითხარიო? მე ვეტყვი, იმიტომ რომ არ მინდოდა არუთსა და ოლიას შორის უკმაყოფილების ჩამოგდებაო. გაუპატიურების ცდა; არ იყო, მაგრამ ნიკოლაიმ ხომ ნახა ღილავარდნილი ხალათი და გულმკერდი რომ მიჩანდა, არ დაიჯერებდა მაინც. მეტყოდა, მიმალავო. ის ხომ ეჭვიანია? როგორ გაგვცა იმ უსინდისო არუთმა? მას ხომ ჩემზე არწივივით უჭირავს თვალი? ფიქრობს, ალბათ, ავთოს მოვაშორებ და მერე მე ჩავიგდებ ხელშიო. სიმართლე რომ ვთქვა, ავთოსთან ვმეგობრობდიო, ნიკოლაი წამიეა ხელიდან. მერე არუთი არ მომეშვება. ავთოსაც არ მომაკარებს. ის გავიმეორო. ავთოს ბიძამისი დაეხმარება. გაუშვებენ. დამირეკავს. სადმე შეეხვდებით ერთმანეთს და ავუხსნი ყველაფერს“.

ასეთ ფიქრებში გართული ნატაშა, მაგიდასთან იჯდა თავჩაღუნული, როდესაც საშკამ ტირილი მორთო. დედამ შვილს ძუძუ აწოვა...

ავთო ლენინის რაიონის მილიციის მეხუთე განყოფილებაში მიიყვანეს. ნიკოლაიმ გამომძიებელს, მილიციის მაიორ იაგორს ჩააბარა და თან დააბარა: „ქურდობაში და გაუპატიურების მცდელობაში ედება ბრალი. მოწმეებია: ჩემი მეუღლე, მეზობლები და პირადად მე. გაფრთხილებ, ჩემს

დაუკითხავად არსად გაუშვა! საშიში პიროვნებაა. ბევრჯერაა შემჩნეული". ნიკოლაი გავიდა. ვასია გააფრთხილა, შენ გარეთ იყავი სანამ დაკითხვას მორჩებიან, არ გაგვექცესო. ავთო და იაგორი მარტო დარჩნენ. ჩამოსხდნენ. იაგორი საშუალო ტანის, ქერათმიანი ახალგაზრდა კაცი იყო. ოცდარვა წლის იქნებოდა. დაკითხვის დაწყებამდე ავთომ აუხსნა, ვისი დისშვილი იყო. სთხოვა დაერეკა დავითისათვის. იაგორი დავითს კარგად იცნობდა. ყურმილი აიღო და დავითს სამსახურში დაურეკა.

—ალო, დავითი გისმენთ!

—დავით „კონსტანტინოვიჩ", თქვენ ბრძანდებით?

—დიახ, გისმენთ!

იაგორი ვარ, მეხუთე განყოფილების მილიციის გამომძიებელი.

—გისმენთ, იაგორ!

—ავთანდილი თქვენი დისშვილია?

—კი, იაგორ, რა მოხდა? რატომ მეკითხები?

—ჩემთან მოიყვანეს. ქურდობა და გაუპატიურების მცდელობა ედება ბრალად. ჩვენი უბნის უფროსი, მილიციის მაიორი ნიკოლაი „ნიკოლაევიჩი" ამტკიცებს, რომ თვითონ მიუსწრო მას დანაშაულის ადგილზე.

—რას მეუბნები, იაგორ? ეს არ მოხდებოდა ავთოსგან. ეხლავე მოვალ თქვენთან... „დილაადრიან? უნივერსიტეტი? რამ გააგიჟა? როგორ დავიჯერო? იმიტომ აცდენდა ლექციებს?" — ფიქრობდა გზაში დავითი.

—სანამ დავითი მოვიდოდეს, ჩვენ დავიწყოთ დაკითხვა, თქვა იაგორმა, და გააგრძელა, რა საქმიანობას ეწევით მოსკოვში?

—იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ. მალე თქვენი კოლეგა გავხდები.

—საიდან ხარ, რა ეროვნების?

—საქართველოდან, ქართველი.

—სად ცხოვრობთ?

—ბიძიასთან, ბინაში.

—მერე შენ, ჩემო კოლეგავ, არა გრცხვენია? ასეთი კარგი ბიჭი, ლამაზი, ტანადი, ქართველი, ყოვლად პატიოსან ადამი-

ანს, დავით „კონსტანტინოვიჩს“ რომ არცხვენ და ქართველებს ჩირქსა სცხებ? ქურდობას, ხულიგნობას და გაუპატიურების მცდელობას რომ გიმტკიცებენ?

—მე ქურდი არ ვარ, არც ხულიგანი და არც გაუპატიურება მიცდია.

—აბა როგორ მოხვდი აქ, ჩემთან?

—უბრალოდ შემეშალა, უფრო დაწერილებით და ზუსტად ბოლოს ვიტყვი, თუ საჭიროებამ მოითხოვა.

—ნიკოლაი იძახის მოწმეებიც არიანო და თავისთავსაც მოწმედ თვლის? იცი რა სასჯელი გელის?

—ვიცი, მაგრამ დანაშაული არ ჩამიდენია და ვერ დამიმტკიცებენ.

—რით გაიმართლებ თავს? მოწმეები თუ გყავს? ნიკოლაი მკაცრი კაცია, პრინციპული, არ მოგეშვება, მით უმეტეს, მას ქართველები არ მოსწონს. დავითიც ვერ გიშველის. მიუხედავად იმისა, რომ მე მას დიდ პატივს ვცემ, მეც ვერ დაგეხმარები. შენ უნდა დაიცვა შენი თავი, სასამართლოს პროცესში დამცველი უნდა დაიქირაო, ასეა წესი!

—არ მჭირდება მე დამცველის დაქირავება. ჩემს თავს მე თვითონ დავიცავ, მხოლოდ თქვენ და დავით ბიძიამ მხარი დამიჭირეთ ჩემი სიმართლის დროს. მართალ ადამიანს ნუ დააჩაგვრინებთ დიდი ჩინის კაცს.

—შენ თუ მართალი გამოხვალ და თუ დაგვარწმუნებ შენს სიმართლეში, ვინ დაგჩაგრავს? ჩვენი სამართალი თუ არ მოგეწონა, შეგიძლია გაასაჩივრო და სხვა სასამართლო მოითხოვო, სხვა რაიონის, ან სხვა რესპუბლიკის. თუ მათ კიდევ ვერ დაგაკმაყოფილეს, შეგიძლია მსოფლიოსაც გააგებინო შენი სიმართლე და სამართალი — ღიმილით თქვა იაგორმა. სწორედ ამ დროს გაიღო კარი და დავითიც შემოვიდა.

—შეიძლება? ხელს ხომ არ გიშლით? ავთო ადგა.

—მობრძანდით, ბატონო დავით, მობრძანდით — ადგა, შეეგება და ხელი ჩამოართვა იაგორმა — პირიქით, თქვენ გვჭირდებით. მე რაღაცები დავკითხე. თქვენს მოსვლას ყოველ წუთს ველოდი. ავთო თავს დამნაშავედ არ გრძნობს. ნიკოლაი კი დაჟინებით ითხოვს დასჯას. მოწმეები მყავსო. ჩემი ცოლის გაუპატიუ-

რების მცდელობას წავასწარიო. არ ვაპატიებო! — მოახსენა იაგორმა და სამივე ჩამოჯდა.

—რა მოგვიდა, ავთო? — ავთო ისევ ადგა — შენგან არ მოველოდი მსგავს რამეს. მითხარი, სად და როგორ?

—თუ იქამდე მივიდა საქმე, სასამართლოში ვიტყვი სიმართლეს.

—არა, არა, სასამართლოს მე არ დავესწრები! შემარცხვენ კოლეგების წინაშე! დღეს უნდა მოვრჩეთ საქმეს ბოლომდე თუ დაგიმტკიცდება დანაშაული, მე და იაგორი გამოგიტანთ განაჩენს. იგივე იქნება სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელიც. თუ გაუპატიურების მცდელობა დაგიმტკიცდა, ხომ იცი, რამდენი წელი გელის? შენ ხომ ხვალინდელი იურისტი ხარ?

—ვიცი, ბიძია, ვიცი, მაგრამ დღეს, მგონია, ვერ გადავწყვეტთ ამ საქმეს, მალე თორმეტი საათი გახდება. როდის მოუყრის ის ნიკოლაი თავის მოწმეებს თავს?

—მოვასწრებთ, ყველაფერს მოვასწრებთ, ოღონდ ნიკოლაი იყოს ეხლა ადგილზე, — თქვა იაგორმა და ყურმილი აიღო. ნიკოლაის ტელეფონის ნომერი აკრიფა. იგი „ადგილზე“ აღმოჩნდა.

—„ნიკოლაი „ნიკოლაევიჩ“, თუ ძალიან დაკავებული არ ხართ, გთხოვთ ჩემთან შემობრძანდეთ“. ნიკოლაი უმალვე შემოვიდა. დავითს მიესალმა, თუმცა ვერ იცნო.

—გაიცანით. დამნაშავე ბიჭის ბიძია, ჩვენი რაიონის პროკურორის მოადგილე, პოლკოვნიკი დავით „კონსტანტინოვიჩი“. გააცნო იაგორმა. დავითს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. საშუალო ტანის, მსუქანი, ორმოცდათხუთმეტი წლის, ლამაზი და კოხტად ჩაცმული.

—მაიორი ნიკოლაი „ნიკოლაევიჩი“, — მიუგო ნიკოლაიმ და ხელი ჩამოართვა, თან დაამატა — დამნაშავეს პოლკოვნიკი ვერ უშველისო! ჩამოჯდა. ავთოც დაჯდა.

—ნიკოლაი „ნიკოლაევიჩ“ — დაიწყო იაგორმა — ეს ბიჭი თავს დამნაშავედ არ თვლის...

—როგორ თუ არ თვლის!? — შეაწყვეტინა ნიკოლაიმ— მე თვითონ წავასწარი ადგილზე. მოწმეებია: ჩემი მეუღლე და

მეზობლები. თუ გინდათ, ეხლავე გამოვიძახებ მათ და დაგიმტკიცებენ!

—ძალიან კარგი იქნება თუ მათ მოვიყვანთ. აქვე გავასამართლებთ ჩემს დისშვილს და მე თვითონ მოვითხოვ ციხეში ჩასმას, თუ იმსახურებს! — ჩაერია დავითი ცოტა გაბრაზებით. მას იმედი ჰქონდა ავთოსი. ისე კი ეშინოდა, როგორ გაიმართლებს თავსო? თუ ქალი პირისპირ უდგასო?

—კი, ბატონო, ეხლავე, — თქვა ნიკოლაიმ, ყურმილი აიღო, ოლიას ტელეფონის ნომერი აკრიფა.

—ალო, ოლია გისმენთ;

—ოლია, ნიკოლაი ვარ, არუთი იქ არის?

—კი, ეხლახან მოვიდა.

—მაშ, გთხოვ, ადი ნატაშასთან, ერთი საათით ბავშვს მიხედე, ნატაშა და არუთი ჩემთან მოვიდნენ. საქმე ითხოვს. ეხლა არუთს გადაეცი ყურმილი!.. ოლიამ ლოგინზე წამოწოლილ არუთს დაუძახა, ნიკოლაი გიხმობსო. არუთი ნახევრად შიშველი მივიდა ყურმილთან. ოლიამ ჩაცმა დაიწყო.

—ალო, არუთი გისმენთ;

—არუთ, ეხლა თქვენთან მანქანა მოვა, შენ და ნატაშა უნდა მოხვიდეთ ჩემთან, განყოფილებაში. მოწმეები იქნებით. ის ხულიგანი აქ გვყავს გალიაში. დაკითხვა მიმდინარეობს, გაიგე?

—კი, ბატონო ნიკოლაიჯან, ეხლავე ჩამოვალ ქვემოთ. ყურმილი დადეს. ნიკოლაიმ ნატაშას დაურეკა.

—ნატაშა გისმენთ, პაროლი — ავთო ეგონა, გაუხარდა, მაგრამ ნიკოლაის ხმა რომ იცნო, მოიღუშა.

—ნატაშა, ეხლა შენთან ოლია ამოვა. ერთი საათით ბავშვს მიხედავს, შენ ჩქარა ჩაიცვი. მანქანა მოვა. შენ და არუთი მოხვალ ჩემთან, დაკითხვა მიმდინარეობს, გაიგე?

—კი, გავიგე — უპასუხა ნატაშამ მოწყენით და ყურმილი დაკიდა. ოლიამ კარის ზარი ააწკრიალა. ნატაშამ კარი გაუღო. ცივად შეხედეს ერთმანეთს. ნატაშამ ჩაცმა დაიწყო. ნერვიულობდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ორ ცეცხლს შუა იწვოდა. როგორ გამოეყვანა ავთო და მისი თავი ამ უხერხული მდგომარეობიდან? „საზიზღარი არუთი რა ჭირად

უნდა? რაც ვთქვი ის უნდა გაივმეორო? აბა, რა ვქნა?“ — ფიქრობდა იგი. არუთი სიხარულით ჩავიდა. ორასი გრამი დალეული ჰქონდა. მას ოლიამ ამ დილის ამბავი ჩაურაკრაკა. მალე ნატაშაც დაეშვა ძირს. გარეთ რომ გამოვიდა, მანქანა და არუთი დახვდა. უსიტყვოდ წინა საჯდომზე დაჯდა. არუთი — უკან...

—თქვენ, მაიორო, ამტკიცებთ, რომ თქვენი თვალით ნახეთ დანაშაული? თუ მონათხრობს იმეორებთ?! — შეეკითხა დავითი ნიკოლაის.

—ეხლავე შემოვლენ მოწმეები და თქვენ თვითონ მიხვდებით ყველაფერს — მიუგო ნიკოლაიმ ცოტა უხეშად. დუმილი ჩამოვარდა.

—ნატაშა და არუთი ისე მოვიდნენ განყოფილებაში, რომ კრინტი არ დაუძრავთ. გარეთ ვასია შეხვდა მათ, იაგორისკენ მიიხმო. კარი გააღეს. იაგორმა ნატაშა იცნო.

—მობრძანდით, — მიიპატიჟა იაგორმა.

—ეს ჩემი მეუღლეა, ნატაშა. ესეც მეზობელი, არუთი, — გააცნო ნიკოლაიმ. ავთო თავჩაღუნული იჯდა კუთხეში. დავითმა და იაგორმა მოწმეები დაათვალიერეს თავით ფეხებამდე. მერე იაგორმა უთხრა დაბრძანდითო და ისინი ჩამოსხდნენ იაგორის წინ გრძელ მაგიდასთან. ნიკოლაიც იქვე ჩამოჯდა. დავითი იაგორის გვერდით იჯდა.

—ეს უფროსი მეგობარი, ჩვენი რაიონის პროკურორის მოადგილეა, პოლკოვნიკი დავით „კონსტანტინოვიჩი“, — დაიწყო იაგორმა — ამ დამნაშავე ბიჭის ბიძა, ობიექტური კაცია, ითხოვს მისი დისშვილის ადგილზე გასამართლებას; თუ ბრალი მიუძღვის არავითარი დახმარებას და შელავათს არ საჭიროებს. ამიტომ გთხოვთ მხოლოდ სიმართლე ვაღიაროთ ყველამ! — გააფრთხილა ისინი იაგორმა, მერე არუთს მიუბრუნდა; ნატაშას ფერი ეცვლებოდა.

—თქვენ, ბატონო არუთ, იცნობთ ამ ახალგაზრდას?

—ისე რა, მინახავს ჩვენს შესასვლელში და სართულებში ორ—სამჯერ. არ ვიცი რას და ვის ეძებდა.

—მეტი რა იცით მის შესახებ? დღეს თუ გინახავთ და სად? როგორ?

—ის ვიცი, რომ ამ დილით ნატაშას ბინის კარი დარჩენია შემთხვევით ღია, დაახლოებით ათ საათზე. შესულა ეს ბიჭი საქურდავად, მაგრამ ნატაშას მოუსწრია და შიგ ოთახში არ შეუშვია. ნატაშა, კარგი ლამაზი ქალი, მოსწონებია და გაუპატიურება უცდია. ამ მომენტში ნიკოლაის მოუსწრია და მეც შემთხვევით გადავეყარე ასეთ ალიაქოთს. მეტი არაფერი ვიცი. ავთომ თავი ასწია. დავითმა შეხედა ნატაშას, არუთს და ავთოს. „მართლა რა ლამაზი და ტანადი ქალია? ავთო კი არა ვინ იტყვის მაგაზე უარს? ალბათ, გაიცნო, ნატაშაც არ იქნებოდა წინააღმდეგი ასეთ ლამაზ ბიჭზე, მაგრამ ჩავარდნენ". ფიქრობდა დავითი თავისთვის.

—აბა, ნატაშა, შენ რას იტყვი? მოგვიყევი მხოლოდ სიმართლე. ისიც იცოდე, შენი ჩვენება გადამწყვეტი იქნება. ცრუ ჩვენებაზე პასუხს აგებ. ილაპარაკე ნელა და მშვიდად. ავთომ თავი ჩაღუნა. ნატაშა ადგა, გაწითლდა.

—დილით, ნიკოლაის წასვლის მერე, დერეფანში ნაგავი გავიტანე, ბუნკერში ჩავყარე, დავბრუნდი, სანაგვე ვედრო სამზარეულოში შევიტანე. იქ, ალბათ, ორიოდე წუთი დავრჩი. უკან რომ დავბრუნდი ეს ბიჭი კარებთან იდგა. კარი ღია დამრჩენია. შემეშინდა. ვინ ხარ? ქურდი თუ ხულიგანი? გაეთრიე აქედან —მეთქი. ყვირილი დაიწყე. აქეთ მომვარდა, მომეხვია, კოცნა უნდოდა. წინააღმდეგობა რომ გავუწიე, მკერდში ხელი ჩამიყო. გავუსხლტი ხელიდან, ხალათზე ფოლაქი ამაძრო. „შვაბრა" მოვიმარჯვე, ჩავარტყი კიდეც და გარეთ დერეფანში გავარდა. ამასობაში ნიკოლაიც მოვიდა და დერეფანში მეზობლებიც გამოვიდნენ. არუთი მე არ მინახავს. ეს არის და ეს — დაამთავრა ნატაშამ და ჩამოჯდა.

—დღემდე გინახავს ეს ახალგაზრდა? — შეეკითხა იაგორი ნატაშას. იგი ისევ ადგა.

—ნაცნობი სახეა, ალბათ, ქუჩაში ან მაღაზიაში შემხვედრია.

—დღეს დილით, ან საერთოდ არასდროს, შიგ ოთახში არ შესულა? — ჰკითხა დავითმა.

—არა.

—მაშ, შენ ადასტურებ, რომ ახლოს არ იცნობდი, არც

საუბარი გქონია მასთან და არც ოთახში შესულა არასდროს? — ჰკითხა იაგორმა.

ასეა ზუსტად... ავთო ნერვიულობდა — „ხომ შეეძლო, სხვანაირად ეთქვა? სხვაგვარად მოქცეულიყო ნიკოლაის შემოსწრების დროს? ეთქვა, კარი მე გაეღე, ვიღაცას ეძებდა, შესასვლელი და სართული შეეშალაო, ან კიდევ რაღაც სხვა, მხოლოდ არ ეთქვა გაუპატიურების მცდელობა, სხვას ვერაფერს ხომ ვერ დამიმტკიცებდნენ? ალბათ, დროს ტარება უნდოდა. როცა მოისურვებდა, მომიშორებდა, ან დამჩაგრავედა და სხვას მიეკედლებოდა. მე თუ ციხეში ჩამსვამენ, ის რას დაკარგავს? მოსკოვი დიდია და ფიქრობს, ჩემისთანებს კიდევაც იპოვნის. არა, მე უნდა ვთქვა სიმართლე. იმ მოღალატის და მიმზიდველის შესაწირი თავი მე არა მაქვს. თავი რომ გავიმართლო, მოწმეებია საჭირო. ნიკოლაის სულიერ მოწმეებს ჩემი უსულო მოწმეები აჯობებენ!“— ასეთ ფიქრებში იყო თავჩაღუნული ავთო... ნატაშა დაჯდა. დუმილი ჩამოვარდა...

ავთომ თავი ამაყად ასწია. ადგა. დავითიც წამოდგა.

—ავთო, შვილო, ეს თუ ასეა, შენ საპყრობილეში ჩაჯდები. დაგეკარგება უნივერსიტეტი და ჩემი ოჯახი. თუ რაიმე გაქვს გამამართლებელი საბუთი, ეხლავე, აქვე გამოიყენე ამ ხალხის წინაშე. აქ წყდება შენი ბედი. დრო ნუ გაგყავს. ხომ ხედავ, არავის ეცოდები!? თქვა დავითმა და დაჯდა. ყველა ავთოს შეჰყურებდა. ნატაშას გული გამალებით ფეთქავდა.

—მე საცოდავი არა ვარ! ჩემს საქმეს მე თავს გავართმევ! მაშ, მომისმინეთ და დაგარწმუნებთ ჩემს სიმართლეში, — დაიწყო ავთომ ცოტა ხმამაღლა, — ოღონდ, უკეთესი იქნებოდა, რომ ამ ხალხისათვის აგეხსნათ, ცრუ ჩვენებისათვის და ცილისწამებისათვის არსებობს სასჯელის მუხლი...

—როგორ იმართლებ თავს, როცა ფაქტი სახეზეა!? —შეაწყვეტინა ნიკოლაიმ სიბრაზით...

—გთხოვთ მომისმინოთ! როცა თქვენ ლაპარაკობდით, მე თავდახრილი გისმენდით. ეს მარტო ზრდილობის და შეწყალების მაჩვენებელი კი არ იყო, არამედ პატივსაც ვცემდი თქვენს „დიდ“ ოჯახს. მეგონა გამოსავალს მიაგნებდა, მაგრამ რადგან არ ჰქონია მისი უნარი, მე თავს უბრალოდ არ

გავწირავ! მეც მელოდება ჩემი მომავალი დამოუკიდებელი ოჯახი. დიდი იქნება თუ პატარა, მე უნდა ვმართო იგი სწორ გზაზე!

დაიწყო მომავალმა იურისტმა თამამად, დავითსაც თვალები გაუბრწყინდა. სახეზე სიხარული დაეტყო. ნატაშა მორიდებით თვალებში შეპყურებდა ავთოს. ავთო კი ნიკოლაის და არუთის — უხეშად — ამ დილით, — გააგრძელა ავთომ — არუთი არ მინახავს და არც მას ვუნახივარ. ამას ნატაშაც ადასტურებს. არუთის ჩვენება სიცრუეა. რაც შეეხება ნიკოლაის ჩვენებას, ეს ცილისწამებაა, სიცრუეა. ქურდობა და გაუპატიურება მე არ მიცდია. ეს ნატაშამ იმიტომ თქვა, რომ უცებ ვერ გამონახა უკან დასახევი გზა. დაიბნა და სხვა ლმობიერი წინადადება ვერ მოისაზრა... ნატაშა და მე სამ თვეზე მეტია ვმეგობრობთ, რა თქმა უნდა ურთიერთშეთანხმებით... ნიკოლაი გაფითრდა. გაბრაზდა. გაიბერა. ნატაშას და არუთს შეხედა მგლური თვალებით.

—სიცრუეა, ტყუის! — წამოვარდა ნატაშა. იაგორი და დავითი ყურადღებით უსმენდნენ ავთოს. არუთი დუმდა.

—ამას დამტკიცება უნდა და დამადასტურებელი მოწმეები. — ჩაერია იაგორი და დავითმაც დაუდასტურა.

—დავადასტურებ! მოწმეებიც არის, უსულო მოწმეები...

—როგორ თუ უსულო? მკვდრებს როგორ დავუჯერებთ, როცა ცოცხალი მოწმეები გიმტკიცებენ დანაშაულს!?—უთხრა იაგორმა ცოტა ხმამაღლა.

—მათ ცოცხალ მოწმეებს ჩემი მკვდარი მოწმეები სჯობია...

—ნატაშა მიხვდა, რომ ავთოს მხედველობაში ჰქონდა ოთახში განლაგებული საგნები და ნიკოლაის მიუბრუნდა,

—ნიკოლაი, მგონი მან გააფრინა, ან მანამდეც აფრენდა, ალბათ, მე წავალ, საშკა ცოდვაა, ტირის ალბათ.

—ნუ ჩქარობ, ნატაშა! მე არც ვაფრენდი და არც გამიფრენია! ეხლავე წავალთ შენ და ჩვენც ყველანი — მიუგო ავთომ. დავითსაც არ გამოპარვია არც ნატაშას ჩანაფიქრი და არც ის თუ რა ჰქონდა მხედველობაში ავთოს

—ბატონო მაიორო იაგორ, — გააგრძელა ავთომ — მომეცი სუფთა ქაღალდის ფურცელი და ჩამოგიწერთ, ნატაშას ორ-

ოთახიან ბინაში თუ სად რა დგას: ზალაში, საძინებელ ოთახში, სამზარეულოში, ლოჯში და ნებისმიერ კუთხეში. საშკას „კალიასკას“ როგორი გადასახური აქვს და კარადაში რა ჰკიდია, რა დევს. მერე შევამოწმოთ ადგილზე. ხომ ლაპარაკობს, რომ ოთახში არასდროს არ შევსულვარ? თუ ზუსტი დამთხვევა არ იქნა, მაშინ მე ვიქნები დამნაშავე, გამიგეთ? — ავთო მივიდა მაგიდასთან. იაგორმა ქაღალდის ფურცელი მისცა. ავთომ პიჯაკიდან პასტა ამოაძრო და ფეხზე დგომით მაგიდასთან დაიწყო წერა. ნიკოლაიმ ნატაშას შეხედა. ნატაშამაც ნიკოლაის გაკვირვებით, საიდან ეცოდინებაო? ნიკოლაი წამოხტა და არუთს შეხედა, მერე იაგორს მიუბრუნდა — ეს არ არის გამამართლებელი და დამადასტურებელი საბუთი. შესაძლებელია, ვიღაც მეზობლის ქალმა აუხსნა ავეჯის განლაგება! ნატაშას სახეზე ფერი ეცვლებოდა, ხან წითლდებოდა, ხან ლურჯდებოდა და ხან კიდევ თეთრდებოდა. იგრძნო, რომ ავთოც დაკარგა და ნიკოლაიც. არუთს გულში სიმხიარულე ჰქონდა, ფიქრობდა: „ოლიამ აუხსნა ავთოს თუ მან თვითონ იცის, ეს ჩემთვის სულერთია, ნატაშას ხომ ჩავიგდებ ხელშიო?“— ავთომ ჩამოწერა ყველაფერი და გადასცა იაგორს.

—გთხოვთ წავიდეთ ყველანი ერთი მანქანით — დაიწყო ავთომ, — დავით ბიძია, თქვენს მანქანაში ხომ ჩაეტევით? დავითს გაზ 24—10 ჰყავდა.

—კი ჩაეტევით. წავიდეთ, იაგორ!

—წავიდეთ, წავიდეთ, მაგრამ ეს უსულო საგნები ასპროცენტიან მოწმეებად არ ჩაითვლება... თქვა იაგორმა.

—წამობრძანდით და იქ ადგილზე კიდევ აღმოვაჩენ დამატებით მოწმეებს — დაამატა ავთომ და ნატაშას შეხედა. ნატაშამ თავი ჩალუნა. ნიკოლაიმ არუთს შეხედა ბრაზმორეულმა.

—ნუთუ ოლიას აქვს ჩამწკრიეებული? — ჰკითხა ნიკოლაიმ არუთს.

—არა მგონია — მიუგო არუთიმ, ყველანი წამოდგნენ. გარეთ გავიდნენ. იაგორს ავთოს ჩამონაწერი ხელში ეკავა.

—მე ნიკოლაის მანქანით წავალ, ერთ მანქანაში მაინც

ვერ ჩავეტევით — თქვა ნატაშამ და მანქანისკენ წასვლა დააპირა.

—არა, ჩავეტევით! კარგადაც ჩავეტევით! მობრძანდით, წინ დაბრძანდით! — უთხრა დავითმა ბრძანების კილოთი. მიხვდა, თუ რას ფიქრობდა ნატაშა.

—მოდი, ნატაშა, მოდი, ჩავეტევით, — დაამატა ნიკოლაიმ და იქვე მდგომ ვასიას მიუბრუნდა, „დღეს თავისუფალი ხარო". დავითი და ნატაშა წინ დასხდნენ. ნიკოლაი, არუთი, იაგორი და ავთო — უკან... მალე ნატაშას და ნიკოლაის საცხოვრებელი სახლის შესასვლელს მიადგნენ. ნიკოლაი, ნატაშა, დავითი და იაგორი ლიფტში შეეიდნენ. „ჩვენ ფეხით დაგეწევითო", — მიაძახა ავთომ. არუთი და ავთო ფეხით აყვნენ კიბეებს.

—ყოჩაღ ავთო, შენ კარგი ბიჭი ყოფილხარ, მამაცი და ჭკვიანი. ისინი დაშორდებიან თუ არა, რა შენი საქმეა, ოღონდ ციხეში არ ამოჰყო თავი, არ დაუთმო არაფერი!— უთხრა არუთმა ავთოს.

—ჩემი საქმე მე ბრწყინვალედ ვიცი, ოღონდ იკითხე, შენ რა გეშველება?! შე საცოდავო! ქამელეონივით რომ ხარ, ხან ოლია გინდა, ხან ნატაშა, ხან ნიკოლაი და ხან კიდევ ვინ იცის, ვინ. იცოდე! ნატაშას ნუ გაეკარები, თორემ ინანებ, მერე გვიანი იქნება. დამიჯერე, ჭკუით იყავი — ეუბნებოდა ავთო არუთის და თან ჩქარი ნაბიჯით ადიოდნენ კიბეებზე. არუთი დუმდა...

ნატაშა, ნიკოლაი, დავითი და იაგორი ოთახში შეეიდნენ, მალე ავთო და არუთიც შეემატათ. ოლია და საშკა არ ჩანდნენ. საშკას „კალიასკა" ცარიელი იყო. „ალბათ, ოლიამ ბინაში წაიყვანა", — უთხრა ნიკოლაიმ ნატაშას. ოთახები დაიარეს, კარადაში შეიხედეს, სამზარეულოში, ლოჯში და ყველა კუთხეში. იაგორი ავთოს ჩამონაწერს დაჰყურებდა და ხმამაღლა კითხულობდა. ზუსტი დამთხვევა იყო. ნატაშა ცოცხალ—მკვდარი დაჰყვებოდა.

—ხედავთ, ჩემო ნიკოლაი?— უთხრა იაგორმა. დავითი ხმას არ იღებდა. სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა. ოლია საშკათი შემოვიდა.

—ეს ყველაფერი ოლიას ჩაწყობილი საქმეა. მან ჩაუხატა ოთახები და აეეჯის განლაგება! — თქვა ნატაშამ ხმამაღლა. ოლია გაოცდა. მე რა შუაში ვარო.

—მეც მაგას ვფიქრობ! — დაამატა ნიკოლაიმ და ოლიას შეხედა ცოფიანი ძაღლივით.

—მოიცადეთ, ეს თქვენთვის ბოლო ვარიანტია, რომელზეც დაყრდნობით ფიქრობთ ნატაშას გამართლებას და ჩემს ციხეში ჩაგდებას! — თქვა ავთომ და გააგრძელა, — ეხლა, ბატონო იაგორ, ნახეთ კარადაში, აი ის ლერმონტოვის წიგნი, — თითით ანიშნა ავთომ, ბოლოდან მეოთხე გვერდზე ქვემოთ რა ციფრები აწერია, წაიკითხეთ ხმამაღლა! ოლიამ თუ იცის? იაგორმა გამოიტანა ის ნაჩვენები წიგნი. გადაფურცლა, ბოლოდან მეოთხე გვერდის ქვემოთ ეწერა: 4535555.

—ეს რა არის? — იკითხა იაგორმა.

—ჩემი ბინის ტელეფონის ნომერია, — უპასუხა დავითმა.

—ხომ, გახსოვს, ნატაშა, ამ დილით მე რომ გითხარი, ცუდ გუნებაზე ვარ და თუ რამე უსიამოვნება მოხდა, ამ ნომერზე დარეკე და შეატყობინე — მეთქი. ეს მაშინ ჩავწერე მე, შენ კი საწოლ ოთახში ემზადებოდი! ნატაშა დუმდა.

—ეხლა კიდევ, — გააგრძელა ავთომ, — რაც მთავარი და დიდი განუზომელი განძია ჩემთვის, საიდუმლოდ ჩადებული ოქროს გასაღები. ყველა გაოცებით შეპყურებდა ავთოს — გთხოვთ, ყველას შემობრძანდეთ, სამზარეულოში, — თქვა ავთომ და წინ იაგორი გაატარა — დავით ბიძია, გთხოვთ მითხრათ ამათ გასაგონად, რა ერქვა მამაშენს ჩვენებურად?

—კოტე, — უპასუხა დავითმა.

—ჰოდა, ეხლა, ბატონო იაგორ, აი ამ კარადის ზედა თაროზე, მარჯვენა კუთხეში, შავი, მტვრიანი,— კერამიკის პატარა კათხა დევს. იქ მაქვს საიდუმლოდ ჩადებული ბაბუას მიერ დატოვებული პატარა ოქროს გასაღები. სამი გრამი იქნება. — უთხრა ავთომ იაგორს და თითით აჩვენა. იაგორმა ზედა თაროდან ჩამოიღო ნაჩვენები კათხა. ჩახედა და ამოიღო ქაღალდის ნაფლეთში გახვეული. პატარა ოქროს გასაღები, ქართული წარწერით „კოტე“. ყველამ ერთმანეთს შეხედა.

—ნატაშა, — დაიწყო ავთომ — ეს მაშინ ჩავდე, გახსოვს? ერთი კვირის წინ, დედაშენი რომ მოვიდა? ჩვენ მაშინ ლოგინში ვიწექით. ნიკოლაი გავიდა სამზარეულოდან; დავითი მას გაპყვა, არუთი და ოლიაც გავიდნენ. იაგორი ყურადღებით უსმენდა ავთოს — სწრაფად ჩავიცვით, სამზარეულოში დამმალე და მითხარი, ნიკოლაი თუ იქნა, დაგიჭერს — თქო. ეს ოქროს გასაღები მაშინ ჩავდე აქ საიდუმლოდ... ეხლა ხომ დავიბრუნე?! — თქვა და იგორს გამოართვა ოქროს გასაღები, უბის ჯიბეში ჩაიდო.

—მე ბოლომდე გისმინე, — გააგრძელა ავთომ — შეიძლება ჩვენება შეცვალოს — თქო. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს, როცა აივსო მოთმინების ფიალა, მივმართე ყველას წინაშე თავის გამართლებას და სიმართლის დამტკიცებას. როგორ ფიქრობთ, ბატონო იაგორ? ნიკოლაის ცოცხალ—მკვდარი მოწმეები უფრო სწორია თუ ჩემი უსულო მოწმეები? იაგორი გავიდა სამზარეულოდან, ავთო მას მიჰყვებოდა, მაგრამ ნატაშა ჩამოეკიდა კისერზე და ტირილი მორთო. ავთომ მოიშორა და მიახალა: „ორი კურდღლის მდევარი ერთსაც ვერ დაიჭერსო". ავთო ზალაში ყველას შეუერთდა. ნიკოლაი დივანზე იჯდა ჩაფიქრებული. დავითი — სკამზე მაგიდასთან. არუთი და ოლია ფეხზე იდგნენ. საშკას „კალიასკაში" ეძინა. ნატაშა სამზარეულოში კედელზე მიყრდნობილი ტიროდა. იაგორიც ჩამოჯდა მაგიდასთან, დავითის გვერდით.

—მე, — დაიწყო ისევ ავთომ — გაუპატიურების მცდელობა და ქურდობა მედება ბრალად, თუ მათ ცილისწამება?... ნატაშა ტირილით შემოვიდა ზალაში და ყველას წინაშე დაიჩოქა.

—ჩემი ბრალია, ჩემი, ნიკოლაი, გთხოვ, მაპატიო, მეტი არ განმეორდება...

„პოლნი რაზვოდ!"— უბრძანა ნიკოლაიმ. ადგა და ყველას ბოდიში მოუხადა.

—კიდევ კარგი, რომ სასამართლომდე არ მისულა საქმე, თორემ ცილისწამებისათვის სასჯელს არ ასცდებოდით — დაამთავრა იაგორმა. ისინი ხმაგაკმენდილები გავიდნენ. ოლია, ნატაშა და საშკა მარტო დარჩნენ. ნატაშა ტიროდა, ოლია

ამშვიდებდა. არუთს გულში უხაროდა, მაგრამ ავთოს სიტყვები ამუხრუჭებდა მის მიზნებს. ნიკოლაი და არუთი ოლიას ბინაში შეეიდნენ. დავითი, იაგორი და ავთო მილიციის განყოფილებისაკენ გაემგზავნენ.

—ბატონო იაგორ, გთხოვთ, ნუ გაამზეურებ ამ საქმეს. თვითონ ხომ ხვდებიან თავიანთ უსამართლობას. დღეს თუ ვერ ხვდებიან, ხვალ ხომ მიხვდებიან? — სთხოვა ავთომ.

—ხო, იაგორ, ასე სჯობია — დაამატა დავითმა. იაგორი დუმდა. იგი განყოფილებასთან ჩამოსვეს. დავითმა და ავთომ გზა შინისაკენ გააგრძელეს. შენგან კარგი იურისტი გამოვა, — უთხრა დავითმა ავთოს და დასძინა — ისე კი სჯობდა, ასეთ ხათაბალაში თავი არ ჩაგეგდო.

—ვინც მუშაობს შეცდომებიც იმას მოსდის. შეცდომების შესაძლო გასწორებაც აუცილებელია და სავალდებულოც. დიდ კაცს დიდი შეცდომა მოსდის; პატარას—პატარა. მე ჯერ პატარა ვარ და პატარა შეცდომებზე ვიწრთობი. უკან დასახევი ადგილი ყოველთვის უნდა დაიტოვოს ჭკვიანმა კაცმა. თავის და ერის დახსნის შანსიც უნდა ჰქონდეს კაცს.

„არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა, არსებობენ უუნარო ადამიანები, რომლებიც გამოსავალს ვერ პოულობენ“ — თქვა ბრძენმა. თავიდან არ უნდა დავკავშირებოდი მას, შეიძლება სჯობდა, მაგრამ ხომ გაგვიგონია, „ხოგი ჭირი მარგებელიაო“. ბევრი რამე ვისწავლე ოჯახის გარშემო. „სხვისი ოჯახი უღრანი ტყეაო“. სწორი ყოფილა. დიდი პრაქტიკა მივიღე ამ დიდ ქალაქში. გავიგე ვინ ვინ არის. გავიგე, ვის ვენდო და ვის არა. აწი უფრო შევძლებ ჩემი დამოუკიდებელი ოჯახის შექმნას და მის მართვას სწორი გზით. კიდევ ბევრს შევიძენ — დაამთავრა ავთომ და ბინასაც მიუახლოვდნენ...

ნიკოლაი ნატაშას გაშორდა. არუთი ოლიამ მოიშორა. იგი პირველ ხანებში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. დავითი და მისი ოჯახი მოსკოვს არ სცილდებოდნენ. ავთომაც დატოვა ნატაშა. უნივერსიტეტი დაამთავრა, თავის მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა. მტკიცე, თავისუფალი, ბედნიერი და ბრწყინვალე ოჯახი შექმნა.

—დილა მშვიდობისა, სოგრატე ბიძია!.. ასე დილაადრიან, ამ სიცივეში რას და რატომ თხრი?

—მიესალმა და ჰკითხა კობამ სოგრატეს.

—ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, შვილო, უსაქმური კაცის ამბავი ხომ იცი? წყლის დასაწრეტი არხი მინდა გავიყვანო...

—მერე ამხელა სიგანის და სიღრმის რა საჭიროა? სოგრატემ ბარი მიწაში ჩაარჭო, მავთულბადესთან მივიდა. ორივე ხელი დაადო. მსუბუქად დაეყრდნო და გაღმა მდგომ კობას თვალებში შეხედა. ღობის გასწვრივ, გარეთ, ერთ მეტრომდე დიამეტრის წყალსაწრეტი არხი გაჰყვებოდა და მერე ღელეს უერთდებოდა. კობამაც სოგრატესთან ახლოს მიიწია.

—კობა, იცი რას გეტყვი? ხომ გაგიგონია, მეთევზემ ანკესით თევზი დაიჭირა. გაზომა. მტკაველზე მეტი რომ აღმოჩნდა, ტაფაზე არ დამეტევაო და ისევ წყალში ჩააგდოო. მეც ისე რომ არ მომივიდეს, იმიტომ ვთხრი ასე. სამოცი სანტიმეტრი დიამეტრის რკინის მილი დარჩენილა, მამაჩემის დატოვებული. მძიმეა და დაჟანგული, აგერ რომ აგდია,—თავი მოაბრუნა და აჩვენა, – ალბათ, იმიტომ დარჩა. ორი ცალია, ხუთმეტროიანები. ზუსტად მეყოფა ამ არხიდან სახლის საძირკელამდე. სახლის ქვეშ წყალი ამოდის. წინა ოთახში სინესტეა. ზაფხულში კედლებზე წყლისწვეთები ჩამოდის, გამიგე? შენ ასე ადრე რამ აგაყენა ან სად მიდიხარ?

ოცი დეკემბერი იყო. გარიჟრაჟი. არც ყინვა და არც თოვლი, დილით და ღამით ცოტა კი ციოდა...

—სოგრატე ბიძია, ხომ ხედავ, ამ მკვდარ და მიყრუებულ რაიონში როგორ მომრავლდა ყვავ– ყორანი, ტურა, მელა, კატა, მგელი და კურდღელი? დაღამდება თუ არა, ტურასა და მელას ჩხავილი როგორ ისმის? გუშინ საღამოს იქ, ზემოთ, დიდი და მძლავრი ხაფანგი დავაგეთ. ვნახავ, ამ დილით რა იქნება გაბმული... გუშინ მგლის და ტურას ნაკვალევი ვნახეთ. კურდღლის განავალიც ბევრი იყო. აქეთობას გამოგივლი [illegible] დაგეხმარები.

—მადლობა შვილი, სიტყვაზედაც კმაყოფილი ვარ. კობა წავიდა. სოგრატემ საქმე გააგრძელა. გათხრა ღობიდან პქონდა დაწყებული. რბილი გრუნტი იყო. დახრილობა სახლიდან ღობისკენ მიდიოდა. სოგრატეს ზუსტად გაზომილი პქონდა, იქ დადებული ორი მილი ღობეს გარეთ არხს შეუერთდებოდა და სახლის საძირკველსაც გაივლიდა. სახლი ერთსართულიანი იყო. ფუძე—საძირკველი ორ სართულზე იყო გაანგარიშებული, მაგრამ მეორე სართულის დაშენება ვერ მოასწრო. ისე გადახურა თუნუქის ფურცლებით. სართულებს შორის რკინა—ბეტონის კონსტრუქცია იყო. წინა ოთახების იატაკი მიწიდან ოთხმოცი სანტიმეტრით მაღლა მდებარეობდა. უკანა ოთახის — ოცი სანტიმეტრით. სახლი ოთხ—ოთახიანი იყო. შიგ აბანო და საპირფარეშოც პქონდა მოწყობილი. ორი დასაძინებელი ოთახი და ზალა ხის იატაკით იყო, სხვა მეტალის ფილებით.

—ხსენებულ ეზო—სახლში სოგრატე და მისი მეუღლე, თეკლე ცხოვრობდნენ. შვილები და შვილიშვილები ენგურს გაღმა, ზუგდიდში და თბილისში იყვნენ იძულებით გადაადგილებულნი... კობა და მისი ძმა, ოცდაორი წლის კახა, გამოირჩეოდნენ სოფელში. რაიონში ახალგაზრდები იშვიათი იყო. რაიონის მოსახლეობის სამოც პროცენტამდე დევნილები იყვნენ. უპატრონო და გადამწვარი სახლ — კარი ქალაქში და სოფელში ბევრი იყო. ვინც დარჩა ადგილზე და ვინც დაბრუნდა ომის დამთავრების მერე, ისინიც შიშის ქვეშ ცხოვრობდნენ. დღისით შედარებით სიმშვიდე იყო, მაგრამ საღამოს და ღამით ხშირი იყო ყაჩაღობა, ძარცვა, ქურდობა, მკვლელება, ცემა—დასახიჩრება, ჩაგვრა და გაუპატიურება. იარაღით და ნიღბით დადიოდნენ. ოქრო, ფული, ვერცხლი და ფასიანი ნივთი ვისაც არ აღმოაჩნდებოდა, სცემდნენ უზომოდ, ხშირად შემოაკვდებოდათ ხოლმე. ვერ გაიგებდი, ვინ იყო, რა ეროვნების და რა წლოვანების... ხალხი მაინც აგრძელებდა შრომას და ცხოვრებას, ლოზუნგით — „მე განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი!“ ვინც გაძლებს, იცოცხლებს, ვინც არა და — არა... სოგრატე და თეკლე სამოც წელს გადაცილებულნი იყვნენ. ისინი რვა

თვის მერე დაუბრუნდნენ თავიანთ კერას. თითქმის არაფერი დახვდათ. ხელახლა მოამრავლეს შინაური ფრინველები, ძროხა, ღორი და სხვა...

დილის ათი საათი ხდებოდა. კობა არ ჩანდა. სოგრატეს თითქმის ორი გრძივი მეტრი არხი ამოთხრილი ჰქონდა. თეკლე საქონელს უვლიდა საძროხეში და საღორეში.

—გამარჯობა, ლუკა ბატონო! (სოგრატეს მეტსახელად ლუკასაც ეძახდნენ) სოგრატემ მუშაობას თავი გაანება და უკან მოიხედა.

—ღმერთმა მოგცეს გამარჯვება, კახა ხარ?

—კი, დილით ადრე კობა ხომ არ გინახავს?

—კი, შვილო. საათზე მეტი იქნება, რაც ზემოთ წავიდა.

—ამდენი ხანი რას შვრება? მინდა ვნახო; ვეფხვებთან ხომ არ ომობს?

—ნახე, შვილო, ნახე. კობა ისეთი ვაჟკაცია, ვეფხებსაც მოერევა. აქეთობას ხომ გამომიელით? ას—ასი გადავკრათ, დილით კარგია.

—გამოგიელით და დაგეხმარებით კიდეც. კახა წავიდა. მივიდა იმ ადგილას, სადაც გუშინ ხაფანგი დააგეს. ხაფანგში ტურა გაბმულა. კობა ჯოხს ურტყამდა ეკალ—ბარდებში ჩამალულ ტურას. ხაფანგზე მიბმული ჯაჭვი გრძელი ყოფილა და ტურა ხაფანგიანად ეკალ— ბარდებში შემძვრალა. წინა ფეხებით მიწა ამოუთხრია და მარტო უკანა ნაწილი და ხაფანგი მოჩანდა. კობა მოკლე ჯოხს ურტყამდა ეკალ—ბარდს, მაგრამ ტურა არ გამოდიოდა.

—რას შვრები, ბიჭო! რომ გამოძვრეს, ხომ გიკბენს? გამოიწიე უკან!

—აბა, რა ვუყოთ? თოფი ჩვენ არ გვაქვს და ხიშტი! როგორ მოვკლათ? ასე დავტოვოთ?

—მოიცადე! მე ჩავალ გელასთან. ექვსიან ან რვიან მავთულს ვიშოვით. ბარსაც წამოვიღებთ და ფიწალსაც. მერე ვნახოთ როგორ დაიმალება. შენ იყავი აქ ნუ გააღიზიანებ. იყოს ასე — კახა გელასთან მივიდა. გრძელი ოცმილიმეტრიანი პერიოდული არმატურაც წამოიღეს. ექვსმილიმეტრიანი მავთული მოღუნეს. ხაფანგს ჩაკიდეს და გამოათრიეს. კობამ

არმატურა მოიმარჯვა. სოროდან თავი, რომ გამოპყო არმატურა ჩაარტყა სამ—ოთხჯერ და ფეხებიც გაფშიკა ტურამ...

—ოხ, „შაკალ!“ — მიაძახა კობამ და დახედა ტურას.

—სოგრატე ბიძიასთან მიეათრიოთ, ვნახოთ რას იტყვის?

—მერე, სად წავათრიოთ? — კითხა კახამ.

—ის ხომ არხს თხრის? ჩვენც დავეხმაროთ და იქვე ჩავმარხოთ! — თქვა კობამ. ხაფანგი მოხსნა და ღამისთვის ხელახლა დააგო. შეიძლება კურდღელი გაებასო. გელა სახლში შევიდა. კობამ და კახამ მავთულჩაბმული ტურა სოგრატესთან მოათრიეს.

—აი, ნადირი, როგორ მოგწონს, ბატონო ლუკა? — უთხრა სოგრატეს კობამ.

—ოო, ყოჩაღ, ბიჭებო! მტაცებელი ცხოველი გამოგიჭერიათ, მაგრამ მისი არც ხორცი ვარგა და არც ტყავი. რას უზამთ?

—აი, იმ შენს არხში ჩავაგდოთ, მერე „ტრუბაც“ ჩავმარხოთ და გვექნება ტურა—„ტრუბას“ არხი—უთხრა კობამ და გაიცინა.

—სოგრატე ბიძია, დღეს ჩვენ დასვენება გვაქვს და ორივე დაგეხმარებით, მოვრჩებით კიდეც — უთხრა კახამ.

—ძალიან კარგი იქნება, მაგრამ ჯერ ჯაბადას ჰკითხეთ, შეიძლება სასწრაფო საქმე ჰქონდეს.

—დღეს სასწაფო არაფერია. დედაჩემმა იცის. ხვალ შეშა გვაქვს დასახერხი და არ გვეცლება. დაამატა კობამ. ტურა გარეთ ხეზე ჩამოკიდეს და ორივე სოგრატესთან შემოვიდა, ეზოს პატარა უკანა კარიდან.

—კიდევ ბარი უნდა მოიტანო. ისიც საჭიროა, „ბენზინს“ რომ ეძახი — უთხრა კობამ და სოგრატეს ბარი ჩამოართვა.

—ოო, ამ დილით „ბენზინის“ ჩასხმა აუცილებელია —თქვა სოგრატემ და წავიდა. სოგრატე არაყს და ღვინოს ბენზინს ეძახდა. წავიდა და ხუთ წუთში ხელებდატვირთული დაბრუნდა. არაყით, ჭიქით, ყველით, პურით და კეთილი გულით მოდიოდა. საძროხედან მომავალი თეკლეს შეხვდა და უთხრა...

—თეკლე, აბა, შენ იცი, კარგი სადილი დროზე! ხომ ხედავ, ბიჭები მეხმარებიან. დღესვე მოვრჩეთო.

—გასავებია ლუკა ბატონო! — უპასუხა თეკლემ და ფაცხაში შევიდა. იქიდან დაბალი და გრძელი სკამი გამოიტანა. ბიჭებს მიესალმა და წინ დაუდგა. უკან დაბრუნდა.

—აბა, ბიჭებო! ას—ასი გადავკრათ. საჭიროა დილით დეზინფექციისათვის, — თქვა სოგრატემ და პირველი დაისხა; „ღმერთმა მშვიდობა მოგვცესო" და დალია.

—დილის მადლი შეგვეწიოს, ხვალ კურდღელი შეგვეწიროს! — თქვა კობამ და გადაკრა.

—ამინ, — დაამატა კახამ და გამოწრუპა. მერე ბარს ხელი მოკიდეს და მუშაობას შეუდგნენ. სოგრატემ კიდევ ბარი მოიტანა. სამივე მუშაობდნენ. „ბენზინიც" მოქმედებდა.

—გუშინ საღამოს — დაიწყო კახამ—კივილი გვესმოდა. ამ დილით გავიგეთ, რომ ბანდიტები იარაღით და ნიღბებით შესულან ქვედა ზონაში ერთ—ერთ სახლში. თქვეს სახელი და გვარი მაგრამ ეხლა არ მახსოვს. დედ—მამა ფეხზე დაუყენებიათ. გოგო გაუუპატიურებიათ. რაც ჰქონდათ ფული, წაურთმევიათ. კარგი ნივთები და ტანსაცმელები უნომრო მანქანაში ჩაუტვირთავთ, მამას წინააღმდეგობა რომ გაუწევია, ცემით მოუკლავთ. ახლო მეზობლები ისმენდნენ კივილს. მაგრამ ხელი არ გაუნძრევიათ. ეს ყოფილა საღამოს ექვსშვიდ საათზე.

—რა საშინელებაა? მეზობლები აბა რას იზამდნენ?— დაიწყო სოგრატემ — ყველა თავისთავს უფრთხილდება. მეც ყოველდღე ვაფრთხილებ თეკლეს, შელამებისას შიგნით ვიყოთ და კარები ჩავკეტოთ —მეთქი. ეხლა აქ ისეთი განუკითხაობაა, რომ ვერ გაიგებ, ვინ ვინ არის. ვინ როდის დაგეცემა თავზე და რატომ? თუ რამე მოსაწონი გაქვს, წაგართმევენ ისე, რომ მადლობასაც არ გეტყვიან. თუ არ გაქვს, რატომ არ გაქვსო და გაგლახავენ კიდეც. ოდნავ წინააღმდეგობას თუ გაუწევ, მოგკლავენ და წავლენ. სად და ვისთან იჩივლებ?

—აბა რას გვიზამენ? თოფი ჩვენ არ გვაქვს და ავტომატი! მარტო ძალ—ღონე რომ გქონდეს, რას გახდები? ავტომატიანი ბავშვიც კი დაგაჩოქებს. — დაამატა კობამ.

—ჩემი იარაღია კარების ჩაკეტვა — გააგრძელა სოგრატემ — ფანჯრებზე რკინის სხივები მაქვს გაკეთებული. კარებზეც

— ლოდები. დაღამდება და შიგ ჩავიკეტებით, უცნობს კარს არ გავუღებთ. თუ ქურდი და ბანდიტი კარებს მტვრევას დაუწყებს, ჩავუსაფრდებით ნაჯახით და დენით ხელში. ცოცხალს შიგ არ შევუშვებთ —ნაჯახი გასაგებია, მაგრამ დენით ხელშიო, ვერ გავიგე — პკითხა კახამ.

—ხო, ის თქვენ არ იცით? შეგიძლიათ თქვენც გააკეთოთ, გაჩვენებთ სადილის დროს.

—იმას არ სჯობია, ყუმბარა გქონდეს და ააფეთქო?— ჩაერია კობა.

—ყუმბარას და ავტომატს დიდი ხმა აქვს, შვილო. დენს არც ხმა, არც სუნი და არც ფერი. იგი უხილავი ძალაა. აი, შეხედეთ, რკინის სარებზე მავთულები ხომ გადის? მათ შორის დაახლოებით ორმოც—ორმოცი სანტიმეტრია. მეორე მავთულზე როცა მინდა, დენს გავატარებ, უფრო სწორად, ძაბვის ქვეშ დავაყენებ. კაცი თუ შეეხო, მას დენი დაარტყამს... დაღამდება და ეზოს კარებზე კლიტეს ჩამოვკიდებ. თუ ვინმე დამიძახებს ნაცნობი, მივეგებები და კარს გავუღებ.. თუ ღამე ქურდი თუ ბანდიტი ღობეზე გადმოხტომას მოინდომებს, იმ მეორე მავთულს ხელით, ფეხით ან თავით შეეხება. დენი რომ დაარტყამს, არხში ჩავარდება. ჩემი ბრალი ხომ არ იქნება?

—მავთულბადე ძაბვის ქვეშ იქნება? დენი გაიელის? თუ მთვრალი კაცი ან ძაღლი შეეხო, ხომ მოპკლავს? — შეეკითხა კახა.

—არა! მეორე მავთულს გააყოლე თვალი?! მიწიდან კაცი ვერ მისწვდება. რკინის სარებთან დააკვირდი! იზოლირებულია. მარტო იმ მავთულზე გაიელის დენი. ის იქნება მარტო ძაბვის ქვეშ. დანარჩენი მავთულები: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე — ალუმინისაა. მეორე კი — ფოლადის. ფოლადის იმიტომ, რომ ადვილად არ გაჭრან. ასე მაქვს გაკეთებული მთელი ღობის სიგრძეზე, ეზოს ირგვლივ. ეს საიდუმლოა. არავის არ უთხრათ!.. სოგრატე დაფიქრდა: „ეს ტურა — „ტრუბას“ არხიც შეიძლება საიდუმლოდ გამომადგესო“...

—ჩემი ეშმაკი ყოფილხარ, ბატონო ლუკა. რამდენჯერ გამიელია შენი ეზოს შიგნით და გარეთ, მაგრამ არც კი შემიმჩნევია შენი საიდუმლო მავთული. ვფიქრობდი, ალბათ, ვენახის მისაბმელად უნდა – თქო – უთხრა კობამ და გაიცინა.

—კიდევ მეორე დამცველი, – დაიწყო სოგრატემ – ღამე რომ დავწვებით, ხშირი იყო შემთხვევა, სიმთვრალეში დამ-ვიწყებია ეზოს კარების ჩაკეტვა და მავთულზე ძაბვის ჩართვა. მაგრამ სახლის წინა კარების რკინის სახელურზე შიგნიდან მივაერთებ ფაზას და სახელურები ძაბვის ქვეშ დადგება. თუ ვინმე ნაცნობი დამიძახებს ეზოს კარებიდან ან შიგნით ეზოდან, პასუხს გავცემ და ის მომიცდის. თუ ქურდი ან ბანდიტი ჩუმად მიეპარება კარებს და სახელურს ხელს მოჰ კიდებს, დაეცემა ან იქვე ჩაიკეცება. ღენი დაარტყამს. მერე ეს ჩემი ბრალი ხომ არ იქნება? უკანა კარი საიმედოდაა მოწყობილი. ძაღლიც იქ არის და რკინის ლოდებიც, თანაც იმ კარს ხის სახელური აქვს და იქ იატაკიც ბეტონისაა. ამიტომ ძაბვის ქვეშ დაყენება არ შეიძლება; რადგან შიგ მყოფთათვისაც საშიშია. ზეპირად ვიცი, რომელ ოთახში „როზეტკის“ რომელ მხარეზეა ფაზა. ნული რომ მივაერთო, არაფერი არ იქნება... ესეც საიდუმლოა. საეჭვო კაცთან არ წამოგცდეთ. ისე, ჩვენში დარჩეს და ზოგიერთები, „ჩვენებს“ რომ ვეძახით, ხომ არიან ეჭვმიტანილები?

—კი, არიან, სოგრატე ბიძია, არიან და მგონი მათ მალე მოელებათ ბოლო! დაამატა კახამ.

—ბევრს მე თვითონ ჩამოვკიდებ ფეხებით; ბევრი ვიცი მაგისთანები, მაგრამ ჯერ ვითმენ. მოვა მაგათი აღსასრულიც, – თქვა კობამ ბოღმით.

—მესამე საიდუმლო იარაღი, – დაიწყო ისევ სოგრატემ, – ის ჩემი ელექტროხიშტია; სადილის დროს გააჩვენებთო, რომ გითხარით. მე მაგისი იმედით ვარ. ღამე სულ ხელთა მაქვს... მეოთხეზე ეხლა ვფიქრობ. ვერ გადამიწყვეტია და ვერც გეტყვით... ასეთი საინტერესო მოთხრობით კობა და კახა ამუშავებდნენ არხის გრუნტს. სოგრატეს კი ამოჰქონდა ნარჩენი გრუნტი და გვერდით ყრიდა.

—სოგრატე ბიძია, ჩუმად, ფრთხილად და საიდუმლოდ ამდენი დამცველები რომ შეგიქმნია, რისი გეშინია? რა გაქვს ისეთი და იმდენი, რომ თქვენ, მოხუცებს, თავს დაგესხან? — შეეკითხა კახა.

—რა დაგვრჩა, შვილო, შენ ხომ იცი? რვა თვე მიტვებულ ოჯახში რა დარჩებოდა? თუ რამე მოსაწონი იყო, ყველაფერი წაიღეს. პირუტყვი და ფრინველი არავის დაუტოვეს. ზოგი მათ, ზოგი კიდევ ადგილობრივებმა. რაც უბრალოები დაგვრჩა, ისიც რომ წაიღონ, ჩვენც წაგვიღონ არ ჯობია? გუშინწინ გავყიდეთ ცოტა მანდარინი და თხილი. ის ფული უკვე გუშინ შვილებს გადავუგზავნეთ ნათესავის ხელით, ვინ იცის, ვინ როგორ ფიქრობს? შეიძლება იმ ოხრებმა იფიქრონ, ფული ექნებათო და დაგვეცნენ. რომ მომთხოვონ ფული? რა მაქვს და რას მივცემ? არ მისცემ და გაგლახავენ. მეც შეიძლება ვერ მოვითმინო და ხომ მომკლავენ. განა ცოტაა მსგავსი შემთხვევა? რამდენი მოკლეს თავის სახლში ცემით? რამდენი ტყვიით? რამდენი კიდევ სახლიანად გადაწვეს? გუშინ საღამოს მოხდაო, ხომ გვითხარი?.. ამიტომ შევქმენი თავდასაცავები და დასაღწევი. აბა, მეტი ჩვენ ავტომატი და ყუმბარა არა გვაქვს, რომ გვქონდეს, უფრო უარესი იქნება?

—მართალი ბრძანდებით, ბატონო ლუკა. თქვენი სახლი დაცულია. ფანჯრებზე მაგარი რკინის სხიეები, კარებზე ლოდები და დენი. ზემოდან რკინაბეტონის კონსტრუქცია. ჩვენს სახლში ქურდი და ბანდიტი, კარიდანაც შემოვა და ფანჯრიდანაც. ეხლა სადაა იმდენი საშუალება, რომ ფანჯრებს სხიეები გავაკრათ და კარებს ლოდები? ჩვენი დაცვაა მეორე სართულიდან გადახტომა და გაქცევა ტყეში. თუ ცოცხალი დავრჩით — დაამატა კობამ...

თორმეტი საათი შესრულდა. რვა გრძივი მეტრი გათხარეს თეკლე სადილს ამზადებდა. ეზოში ელენე შემოვიდა და არხის მთხრელებს მიუახლოვდა.

—გამარჯობათ! აქ ყოფილხართ, შვილებო? ვიფიქრე, მგელს და ტურას ერკინებიან—მეთქი. თქვა ელენემ ტკბილად.

—ტურაც დავიჭირეთ და ეხლა ლუკას ვეხმარებით ტურა — „ტრუბას“ არხთან ჭიდილში. შეხედე, ტურა სად და როგორ

ჰკიდია?— უპასუხა კობამ და აჩვენა ხეზე ჩამოკიდებული ტურა.

—ყოჩაღ, ბიჭებო; ვახ, ტურა როგორი ყოფილა? ახლოდან არც კი მინახავს. ისე რომ ვთქვათ, კურდღელი კი სჯობდა.

—ხვალ კურდღელიც იქნება და ხორციც — უპასუხა კახამ.

—კარგი ბიჭები გყავს ელენე. მართლაც რომ ვაჟკაცებია. თავს უვლიან, ოჯახს ეხმარებიან და აგერ მეც მეხმარებიან. — უთხრა სოგრატემ.

—დაგეხმარონ, აბა როგორ? მაგრამ ეს ვერ გავიგე, რატომ თხრით?

—ეს იქნება „შაკალ—ტრუბას“ არხი! — მიუგო ღიმილით კობამ. მერე სოგრატემ აუხსნა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა არხს.

—სოგრატე ბიძია, არ ჯობია, აწი ის ერთი ხუთმეტრიანი მილი ჩავდოთ და ტურაც ჩავმარხოთ? ზედ მიწაც დავაყაროთ. — უთხრა კობამ.

—კი, შვილო, მაგრამ ცოტა დაისვენეთ. მალე სადილის დროც მოვა. ელენე ფაცხაში შევიდა თეკლესთან.

—არა, ეხლა სადილამდე მოვრჩეთ ერთი „ტრუბის“ და ტურას ჩამარხვას! — დაამატა კახამ. ელენე რაღაცას ესაუბრებოდა თეკლეს და თან ეხმარებოდა ფაცხაში სუფრის გაწყობაში. კობამ, კახამ და სოგრატემ ლომით, ბარით და ჯოხით მიაგორეს ერთი მილი და ჩააგორეს არხში. მერე ლომის და ბარის დახმარებით გაასრიალეს ღობის საძირკვლის ქვეშ და მიუერთეს გარეთა არხს. კობამ ჩამოხსნა ტურა და მილის გვერდით ჩაასვენა. „აბა, დავმარხოთ ტურა „ტრუბა“, მიაძახა ღიმილით და ბარები აიღეს. ერთ საათში დამარხეს ტურა და „ტრუბა“.

—გარეთა თავს რა ვუყოთ? იქიდან შეიძლება შემოძვრეს ცოცხალი ტურა, ღორი, ძაღლი, მელა და სხვა — თქვა კახამ; სოგრატეს შეხედა და სიგარეტიც გააბოლა.

—დღეს დროებით მავთულბადეს მივაფარებ, რამეთი მივამაგრებ და მერე მივადუღებ — უპასუხა სოგრატემ.

—ხალხნო, მოდით, მობრძანდით! სადილი მზად არის. მიირთვით, დაისვენეთ, გეყოთ ამდენი მუშაობა! — დაუძახა თეკლემ.

—წავიდეთ, ბიჭებო, წავიდეთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! თქვენ თუ არა, მარტო ერთ კვირას ვერ მოვრჩებოდი ამ საქმეს. სამივე ფაცხაში შევიდა. ონკანთან ხელი დაიბანეს და იქვე მიუსხდნენ სუფრას. ფაცხის შუაგულში ცეცხლი გიზგიზებდა.

—დღეს უნდა მოვრჩეთ ბოლომდე, თორემ ხვალ არ გვეცლება — თქვა კახამ და ღვინო ჩამოასხა.

—თითო ბოთლზე მეტი არ დავლიოთ, თუ გვინდა, რომ მოვრჩეთ იმ საქმეს — თქვა კობამ. სოგრატემ ჭიქა აიღო და კობას თამადობა დაავალა. „შენ უმცროსი ხარ და როგორც ჯობდეს ისე თქვიო, საღამოს კიდევ გავაგრძელოთო." კარგად ისადილეს. მართლაც, კობამ ისე გამოზომა, რომ თითო ბოთლი შეხვდათ. ელენემ და თეკლემ თითო ჭიქა შესვეს. კახამ სიგარეტი გააბოლა. კობა არ ეწეოდა. მალე აიშალნენ სუფრიდან. მივიდნენ სამუშაო ადგილზე. სოგრატე ჩაფიქრებული დაჰყურებდა არხს. „ეს მართლა საიდუმლო თავდასაღწევად გამომადგებაო. კარგად უნდა მოვიფიქრო ჩემთვისო."

—რაზე ფიქრობ, ბატონო ლუკა? ხომ არ გგონიათ, რომ ვერ დავამთავრებთ? —შეეკითხა კობა;

—დავამთავრებთ, დავამთავრებთ! — თქვა კახამ და ბარი აიღო.

—გათხრა შეიძლება დავამთავროთ, მაგრამ მილის ჩადებას ვერ მოვასწრებთ, რადგან სახლის საძირკველიც ამოსანგრევია ისე, რომ მილი შეძვრეს შიგ.

—მერე რა? — ყველაფერს უნდა მოვრჩეთ! მე გათხრას გავაგრძელებ, შენ და კობა შეუდექით საძირკველთან მუშაობას. სამი საათი რჩება შელამებამდე. „ბენზინიც" არის და მანქანებიც გამართულია —წამოიძახა შეზარხოშებულმა კახამ.

—სწორია, სწორი, დავიწყოთ — დაამატა კობამ და საძირკველთან დაიწყო გათხრა. სოგრატემ ლომი აიღო და არხის გასწვრივ საძირკველთან ჩაარჭო; მერე წავიდა, წერაქვი, ბეტონ—გასარღვევი მოკლე, მსხვილი ფოლადის ხიშტი და ეროკ მოიტანა. დაიწყეს გულმოდგინედ მუშაობა., მალე კობამ საძირკველიდან ერთი გრძივი მეტრი გათხარა. საძირკველს დაუწყო ამონგრევა კახაც შეუერთდა კობას. სოგრატე გაკვირვებით დაჰყურებდა მათ. „მართლაც რომ ღონიერი

ბიჭები არიანო.“ ელენე თეკლეს სუფრის ალაგებაში დაეხმარა და სახლში წავიდა. თეკლე ვახშამის სამზადის შეუდგა. შეღამებული არ იყო, რომ კობამ და კახამ სახლის საძირკველი შეამტვრიეს. მილი მოაგორეს, ერთი თავი შეუყვეს იატაკქვეშ. ისე გამოზომეს, რომ მეორე თავი ზუსტად პირველის ბოლოს მოერგო; ცოტა შუალედი რომ დარჩა, სოგრატემ რუბეროიდის ნაფლეთებით და თუნუქის ფურცლით გადაფარა ყველა ძისაწვდომ ადგილას. შეღამდა და მიწის ჩაყრაც მოასწრეს.

—ყოჩაღ, ბიჭებო, ამის დამთავრებას არ მოველოდი დღეს. სამაგიეროდ თქვენს ქორწილში ღვინოს შევსვამ ყანწით. ეხლა თქვენ ხელები დაიბანეთ, გასუფთავდით და მე გარეთ გავალ, ამ მავთულბადეს დროებით მივადებ; პატარა სარებს ჩავარჭობ და მივამაგრებ ხვალამდე. ვახშამიც, მგონი, მალე იქნება; სამზარეულოდან სასიამოვნო სურნელი მოდის. აწი არ გვეჩქარება, მშვიდად დავსხდეთ, ვჭამოთ და დავლიოთ-თქვა სოგრატემ და მავთულბადის ნაჭრით გავიდა ეზოს უკანა პატარა კარიდან. ბიჭებმა გარეთ, ონკანთან ხელ—პირი დაიბანეს, ტანსახმელი გაიბერტყეს. ამასობაში ჯაბადაც მოვიდა. მამამ შვილებს შეხედა, გაუღიმა და უთხრა: „თქვენ, ჯიგრებო, არ გაქვთ სახლ—კარი?“

—რად გვინდა შენი სახლ—კარი, როცა აგერ, ბატონ ლუკას სახლ—კარიც აქვს, საჭმელიც, „ბენზინიც“ და ტურა „ტრუბას“ არხიც — იხუმრა კახამ. სოგრატე შემოვიდა. მიესალმნენ ერთმანეთს. თეკლემ ვახშამი სახლის სასადილო ოთახში გაშალა. ყველი, პური, ხაჭაპური, ღომი, შებოლილი ღორის ხორცი. მწვადით, წითელი ღვინით და არყით იყო დამშვენებული სუფრა. ჯაბადა მიიპატიჟეს. მიუსხდნენ ვახშამს. დაიწყეს ჭამა და უცებ კობას გაახსენდა სოგრატეს დაპირება.

—იმ შენს ელექტროიარაღს არ გვაჩვენებ?

—ხო, მართლა, დამვიწყებია, ეხლავე, — თქვა სოგრატემ და ადგა. თავის საძინებელ ოთახში შევიდა და მოიტანა მეტროზე მეტი სიგრძის ათიმილიმეტრიანი დიამეტრის რკინის თავმოღუნული ხიშტი, რომელზედაც მიერთებული იყო

დაახლოებით რვა მეტრი სიგრძის ელექტრომავთული თავისი ჩასართავით.

—ჯაბადა, თქვენ არ დაგიმალავთ, მაგრამ სხვებთან არ წამოგცდეს! ეს არის ჩემი ელექტროხიშტი. ჩემი დამცველი იარაღი, — გაშალა და დაამატა, — სქემა ასეთია: მოღუნულ რკინაზე დასაწყისში შიშველი მავთულია დახვეული. მასზე ზედ საიზოლაციო ლენტაა დახვეული ოთხ—ხუთ ფენად, რათა ხელზე დენი არ გადავიდეს. დახვევის მერე გამოდის იზოლირებული მავთული. ერთძარღვიანი იყოს თუ გინდ ორძარღვიანი, მაინც ბოლოები უერთდებიან ჩამრთველის ("შტეფსელის") ერთ წვეროზე, მეორე წვერო მოხსნილია. როცა იმ ერთ წვეროს ჩავრთავ „როზეტკას" ფაზაში, ხიშტი ძაბვის ქვეშ დადგება. მასზე ხელის მოკიდება სასიკვდილოა! თუ მიწაზე ან ბეტონზე დგეხარ, არ მოკლავს, მაგრამ იგრძნობ, რომ ძაბვის ქვეშ იმყოფები. მე ყოველ ოთახში ვიცი, ფაზა რომელ მხარესაა.

—თუ ვინმე გაბედავს თავდასხმას და კარების ჩამტვრევევას, შევაერთებ ამ ხიშტს ფაზასთან. აი იმ კარს შეხედეთ? სახელურის ზემოთ, მარცხენა მხარეზე, ნახვრეტი რომ აქვს; იქ გავუყრი ხიშტის წვერს. ეგერ მიყუდებული რომ არის ხუთი მილიმეტრი სისქის რკინის ფურცელი, ზუსტად კარის სიგანეა და სიმაღლე კი იმ ხვრელს მთლად არ მისწვდება; დაახლოებით სამ—ოთხ სანტიმეტრამდე დააკლდება. იმ ხვრელის დაშორება იატაკიდან ერთი მეტრი და ოცდაათი სანტიმეტრია. ე.ი. იქიდან გაყრილი ხიშტი გარეთ, კარებთან მდგომ ნორმალური სიმაღლის კაცს გულ—მკერდში გაეყრება და დენიც დაარტყამს. რკინის ფურცელი იმიტომ მაქვს, რომ მას უნდა მივეფარო და თუ მესროლეს, ტყვია ხის კარზე გავა, მაგრამ რკინის ფურცელზე — არა. კარებს თუ არ მოშორდებიან, ხიშტს გაუყრი, ხელიც რომ მოჰკიდონ, დენი დაარტყამს და მოჰკლავს. მერე ხომ მომეშვებიან?

—მოგშორდებიან კი არა, სახლთან ერთად დაგწვავენ! — უთხრა ჯაბადამ.

—ღმერთმა მაშოროს, მაგრამ არ ვიცი, მერე როგორ

იქნება საქმე. ასე რომ, ჯერ—ჯერობით მეტი იარაღი მე არ გამაჩნია.

—კარგი რამეა, ჩვენც გავაკეთოთ!? — თქვა კობამ და ჭამა გააგრძელეს. სოგრატემ ელექტროხიშტი თავის ოთახში შეინახა... თამადობა კი კახას დაავალა... ბიჭებმა ორ—ორი ლიტრა დალიეს. სოგრატემ და ჯაბადამ — თითო—თითო. თეკლე საქონელს უვლიდა. მერე მოგვიანებით იავახშმა. შეზარხოშებულებმა საღამოს ცხრა საათამდე გააგრძელეეს ლაპარაკი. მერე აიშალნენ... სოგრატე დაღლილ—დაქანცული და ცოტა ნასვამი ადრე დაწყვა ლოგინში. კახა და კობა დაღლილნიც იყვნენ და მთვრალებიც. ისინი კი უფრო გვიან დაწვნენ...

სოგრატეეს სახლს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ორი საძინებელი ოთახი, ზალა, სასადილო, სამზარეულო, იზოლირებული აბანო და საპირფარეშო ჰქონდა. პირველი საძინებელი ოთახი მოწყობილი იყო. მეორე — წინა, რომლის ქვეშ წყალი გროვდებოდა დიდი წვიმების დროს, ნახევრად მოწყობილი იყო, იატაკის ფიცრები დაწყობილი, მაგრამ დაუჭედავი იყო. დამთავრება ვერ მოასწრეს. ისე მოუხდათ გაქცევა.„ხვალ ან ზეგ, იატაკსაც დავჭედავ და საიდუმლო იატაკქვეშა ჩასასვლელსაც გავაკეთებო“ — ფიქრობდა სოგრატე და ამ ფიქრებშივე ჩაეძინა... თეკლემ სახლის კარები ჩაკეტა. რაზა გაუყარა. სამზარეულოში და სასადილოში საქმეებს რომ მორჩა, ხელპირი დაიბანა, ცხელ წყალში ფეხები ჩადგა. საათს რომ დახედა, ორი დამთავრებულიყო. შიგნით ყველგან სინათლე ჩააქრო და დასაწოლად წავიდა. გარეთ, სახლის უკან და წინ ნათურები ენთო, რომელთა რომელთა ჩართვა-გამორთვა მხოლოდ სახლის შიგნიდან ხდებოდა. უკანა ნათურა ღია გადახურულ ფარდულზე იყო ჩამოკიდებული, დაახლოებით ორ — ნახევარი მეტრის ზემოთ. წინა კი მაღლა იყო ბოძზე ჩამოკიდებული... თეკლე რომ დაწვა ფიქრებმა გაიტაცა: „როდის გვეღირსება ნორმალური ცხოვრება? როდის დაბრუნდებიან ჩემი შვილები და შვილიშვილები? როდის შერიგდება ეს ორი თუ სამი მხარე? სანამდე ვიყოთ ასე მოხუცები? ორივე ავად რომ გავხდეთ, ვინ მოგვიელის?

სამი წელი გავიდა. კიდევ რამდენი უნდა ვიტანჯოთ? რამდენი ხანი ვიყოთ შიშის ქვეშ?“ – ასეთ ფიქრებში იტრიალა თითქმის ერთი საათი თეკლემ. ძილი ეპარებოდა, როცა ძაღლის უსაშველო გაბმული ყეფა მოესმა. ძაღლი პატარა იყო, მაგრამ დიდად მგრძნობიარე და ყურადღებიანი. თეკლე უცებ ადგა და პერანგის ამარა უკანა ფანჯარასთან მივიდა. ფრთხილად რომ შეხედა, ეზოს უკანა კართან სინათლის ქვეშ სამი ავტომატიანი და ნიღბიანი კაცი შენიშნა. ძაღლს ავტომატი რომ დაუმიზნეს, შორს გაიქცა და იქიდან ყეფდა ახლა. თეკლეე სწრაფად შევიდა სოგრატესთან და ჩურჩულით გააღვიძა. „სამი ავტომატიანი და ნიღბიანი კაცი მოდის უკანა კარებთანო“ – ჩასჩურჩულა. „ეზოს კარები ჩაკეტილი არ გქონდა?“ – შეეკითხა სოგრატე დაბალი ხმით და ჩაცმა დაიწყო, თეკლემაც ჩაიცვა. „არა, დამვიწყებია“ – უპასუხა თეკლემ. „სტუმრებმა“ ნათურას შეხედეს, აქეთ–იქით გაიხედეს, მაგრამ გამომრთველი ვერ ნახეს. უხმაუროდ წამოვიდნენ სახლის უკანა კარისკენ. სოგრატემ წინა კარები შეამოწმა, ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდოდა. ფაზა ჩართო და ხიშტით უკანა კარებთან მივიდა. ლაბახა* გაუყარა კარებს, ელექტროხიშტი წყნარად დადო მაგიდაზე. შიგნით სიბნელე იყო, მაგრამ გარეთა სი-ნათლე, სოგრატეს ხელს უწყობდა, „სტუმრებს“– არა. უკანა კარი გარეთ იღებოდა. სოგრატემ ჩუმად მიაყუდა კარზე რკინის ფურცელი. უცებ მოულოდნელად პირველმა „სტუმარმა“ კარი სახელურით მაგრად მოქაჩა. კარი არ გაიღო. მას ეგონა უცებ გააღებდა კარებს, შემოიჭრებოდა და მძინარეებს თავზე დაადგებოდათ. მეორეჯერაც უფრო მაგრად მოქაჩა, მაგრამ ამაოდ. შემდეგ ნელა დააკაკუნა. სოგრატემ ხმა არ გასცა. მერე ბანდიტმა ავტომატის „კონდახით“ დააბრახუნა. სოგრატე ნელა დაბრუნდა უკან, ზალის კარი გააღო, მიხურა თითქოს ეხლა გამოვიდაო, კარებთან მივიდა და შეეკითხა, ვინ ბრძანდებიო. თეკლე გვერდით ედგა სოგრატეს.

---

* ლაბახა – კარის ერთგვარი საკეტია მეგრულად.

—არ შეშინდეთ, კარი გაგვიღეთ, პოლიციიდან ვართ, იყო პასუხი.

—ნუ გეწყინებათ და ასეთ დროს კარს არ გაგიღებთ. გვეშინია. არ გენდობით. არ ვიცი, პოლიციელი ხარ თუ ბანდიტი და პარტიზანი.

—პირიქით, ჩვენ პარტიზანებს ვეძებთ, გვითხრეს, რომ თქვენთან იმალებიანო!

—ჩვენთან პარტიზანები არ არიან და არც თქვენ ხართ პოლიციელები, თუ ხართ, ნიღაბი რატომ გაქვთ? — უთხრა სოგრატემ და მაგიდიდან ელექტროხიშტი აიღო, თან თეკლეს ჩასჩურჩულა, ნაჯახი აიღეო. თეკლემ ნაჯახი აიღო და კართან ახლოს კედელს ზურგით მიეყრდნო.

—გიბრძანებთ, კარი გაგვიღეთ! თუ არ გაგვიღებთ, ჩავამტვრევთ და თქვენც კარგ დღეს არ დაგაყენებთ! რუსულად ლაპარაკობდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ რუსი არ იყო. მეორე ავტომატიანი წინა კარებისკენ წავიდა, ხმაურით შეიგრძნო თეკლემ და ფანჯარასთან ჩრდილმაც გაიარა. მესამეც მეორეს უკან გაჰყვა. ნათურა ჩამოკიდებულ მეორე ბოძთან მივიდა, მაგრამ გამომრთველი ვერ ნახა. მერე სახლის წინა კარებს მიუახლოვდა. ოთხსაფეხურიან ბეტონის კიბეებზე ავიდა. „კარი გაგვიღეთო!“ მიაძახა. ირკინის სახელურს ხელი მოჰკიდა და უკან წაბარბაცდა, ძირს დაეცა. ძლივს ადგა. რეზინის ჩექმები ეცვა. „დენია, დენი, არ მიეკარო! მაგისი დედაო,“ შეიგინა რუსულად და ორივე უკან დაბრუნდა. სოგრატე დუმდა. „ყვირილი დავიწყო?“ ჩასჩურჩულა თეკლემ. „არა, არ გვიშველის“ — უპასუხა სოგრატემ და ელექტროხიშტის წვერი ოდნავ გაუყარა კარის ხვრელს, საიდანაც სინათლის სხივი შემოდიოდა.

—კარს ნუ დაამტვრევთ! მეც მოვკვდები და თქვენც! — დაიწყო სოგრატემ ცოტა ხმამაღლა. პირველმა ხის სახელურს ჩაავლო ხელი და კარს ჩააფრინდა. ლოდიც ჰქონდა და ხიშტიც გაყრილი. ლოდი შიგნით სახელურზე იყო მორგებული და ბეტონის კედლებს ებჯინებოდა. მეორე „სტუმარმა“ პირველს უთხრა, რომ წინა კარებიდან“ არაფერი გამოვიდაო.

—გაგვიღეთ, თორემ გესვრით! — დაიყვირა პირველმა,

—ჩვენ არავინ არ გვყავს, — დაიწყო თეკლემ — მე და ჩემი მეუღლე ვართ მარტო. ორივე მოხუცები. დაგვიჯერეთ, არც კაცია მეტი და არც რამე გვაქვს თქვენი მოსაწონი. ფული, ოქრო, და უცხო ნივთი არ გაგვაჩნია. გთხოვთ დაგვიჯეროთ. ნუ ჩაგვიმწარებთ სიბერეს. ისედაც გვეყოფა ჩვენი გაჭირვება. ამ კაცმა ერთი ინფარქტი გადაიტანა და მეორეს გადაჰყვება — ითხოვ თეკლე.

—გუშინწინ ოთხი მილიონი მანეთი რომ ჩაგაბარეს, გადმოგვიგდეთ ფანჯრიდან! — მიაძახა მეორემ და „კონდახით" ფანჯრის მინა ჩაამტვრია. „გაცლით ორ წუთს, ჩქარა! თორემ დაგცხრილავთ და დაგწვავთ კიდევ!" სოგრატე რკინის ფურცელს ამოეფარა. თეკლეც მას მიემხო. „წადი ჩოჩვით ნაჯახიანად. წინა ოთახში დაუჭედავი ფიცრები ნელ—ნელა აყარე ნაჯახის წვერით. მერე მეც მოგისწრებ და შიგ ჩავძვრეთ" —ჩასჩურჩულა სოგრატემ თეკლეს... გარეთ ისმოდა მათი ჩურჩული და ფიქრობდნენ, ეხლა ფულს გამოიტანენო. თეკლე ჩოჩვით წავიდა. გარეთ დუმდნენ. თეკლემ ნაჯახის წვერით ხუთი თუ ექვსი ფიცარი აყარა. ფანჯარა ნელა—ნელა გააღო. ოთხ-ხუთჯერ მიაყვირა „გვიშველეთო," მერე ჩაძვრა იატაკქვეშ.

—კივილი არ გიშველით, ფული ჩქარა! — მიაძახა მეორემ და ორ—სამჯერ ისროლა ფანჯრიდან შიგ.

—ფული არ გვაქვს, შვილებს გადავუგზავნეთ, დამიჯერეთ! მომშორდით! ეხლა მილიციას დავურეკავ! კარებიდან და ფანჯრიდან ცოცხალი ვერ შემოხვალთ!

სოგრატეს ტელეფონი კი ედგა, მაგრამ არ მუშაობდა. ისე, შესაშინებლად უთხრა მათ... კივილი და ავტომატის სროლის ხმა ელენემ გაიგონა. ჯაბადა გააღვიძა. კობა და კახაც ააყენა. ჩაიცვეს და გასაქცევად მოემზადნენ. „სროლის ხმა და კივილი საიდან ისმოდა?" — იკითხა კობამ.

—მგონი სოგრატეს ეზოდან იყო. თეკლეს ხმას გავდა. „მიშველეთო" — იძახდა. კობამ გასვლა დააპირა. არ გაუშვეს. „ავტომატის ტყვიას წინ ვერ დაუდგებიო." უთხრა ელენამ.

—ჩვენ მილიციის არ გვეშინია და არც შენი დამპალი ტელეფონის! ჩქარა გააღეთ კარი! ეს გასაფრთხილებელი

იქნება! — ბრძანა პირველმა ისევ დამტვრეული რუსულით და კარის ქვეშ, სოგრატეს ფეხების მიმართულებით, ორჯერ ისროლა. ტყვია ხის კარში გავიდა, მაგრამ რკინის ფურცელში — ვერა.

—ფეხი, ფეხი, ვაიმე, დედა, მოიცადეთ, გაგიღებთ, — მიაყვირა სოგრატემ განხრახ. წამოდგა. ელექტროხიშტს ხელი მაგრად მოუჭირა და ბოლომდე ჩაარჭო კარში.

—ვაიმე დედა, — მიაძახა პირველმა მეგრულად და უკან გადაიკეცა, თურმე ხიშტი გულ—მკერდში ჩარჭობია დენიანად. სოგრატემ ხიშტი უკანვე მოსწია, მაგრამ ვერ გამოზომა და ორმოციოდე სანტიმეტრი გარეთ ჩანდა.

—რა მოგივიდა? ეს რა არის? — თქვა მეორემ და ხიშტს ხელი ჩაავლო. ისიც პირველს დაეცა ზედ. სოგრატეს ხმამაღალ ყვირილზე, თეკლემ ისევ ამოპყო თავი ფანჯარასთან და ორ—სამჯერ დაიყვირა „მიშველეთ, მიშველეთო!.."

—ჯაბადა, ელენე, კობა და კახა გარეთ გამოვიდნენ და მანდა-რინის ბუჩქებში დაიმალნენ. „თეკლეა, თეკლე, ალბათ, სოგრატე მოკლეს" — ფიქრობდა კობა და თან წასვლა უნდოდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. სხვა მეზობლებმაც გაიგონეს სროლისა და კივილის ხმა, მაგრამ გარეთ არ გამოდიოდნენ...

სოგრატემ ხიშტი ბოლომდე მოსწია, ... მეორეს მეორეჯერ დაარტყა დენმა, მაგრამ სასიკვდილო არ იყო. ადგა. პირველს რომ დახედეს სინათლეზე, გულ—მკერდიდან სისხლი ჩქეფდა. ხმას არ იღებდა. ხიშტმა და დენმა უცებ მოუღო ბოლო. სოგრატე რკინის ფურცელს მიფარებული უსმენდა მათ.

—მოკვდა? — თქვა მესამემ რუსულად.

—მოკვდა! — უპასუხა მეორემ, რუსულად, მაგრამ აქცენტით. ამდენი სროლა და კივილი რომ გაიგონა, მეოთხემ, რომელიც უნომრო მანქანაში იჯდა, გამოვიდა და მათ დასახმარებლად წამოვიდა. ეზოს უკანა კარს რომ მიადგა, სინათლეზე მისი ამხანაგები შენიშნა. ნათურა რატომ არ ჩააქრესო, არ მოეწონა. ძაღლის ხმა არ ისმოდა. სროლის ხმით შეშინებული საცხა მიმალულიყო... მეოთხე მივიდა სწრაფად ნათურის ქვეშ, გამომრთველი რომ ვერ ნახა, ავტომატის ლულით

ნათურა ჩაამტვრია. მერე მათ მიუახლოვდა და ჰკითხა რუსულად: „რა მოგვიდათო?“

—ერთი მოგვიკლა, მაგისი დედა... შეიგინა მეორემ.

—წადი ჩქარა! ბენზინი მოიტანე, კარებს შეასხი და ცეცხლი მოუკიდე. შენ კარებთან იყავი, ფანჯრებიდან ვერ გამოელენ! დაიწვან ცოცხლად! ჩვენ ამას გავასვენებთ შენი დაბრუნების მერე. იყავი აქ, სანამ სახლი არ დაიწვება! ჩქარა! შენ რომ მოხვალ ჩვენ წავალთ და მანქანაში მოგი-ცდით! უბრძანა მესამემ მეოთხეს. სოგრატეს ყველაფერი ესმოდა. მან ხიშტი მგიდაზე დადო. ჩოჩვით თავის ოთახში შეეიდა. ელექტრო-ხიშტის ჩამრთველი გამორთო. მერე წინა ოთახში თეკლესთან მივიდა. თეკლეს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ ათქმევინა. ცოტა ხანს დუმდნენ.

—ერთი მოვკალი, — დაიწყო სოგრატემ ჩურჩულით, — მეოთხე მოვიდა. მანქანით ყოფილან. მალე სახლს ცეცხლს მოუკიდებენ. კარებიდან ვერ გავალთ, მეოთხე იქნება ჩასაფრებული, სანამ არ დავიწვებით.

—შენ ფეხი გაქვს დაჭრილი? მაჩვენე, სისხლი მოდის? — ჰკითხა თეკლემ ჩურჩულით.

—არა, ის ისე ვიყვირე მათ მოსატყუებლად.

—კარებიდან და ფანჯრებიდან ვერ გავძვრებით, ზევით რკინა—ბეტონია და ქვევით მიწა. სად წავიდეთ? დავიწვებით ცოცხლად? — თქვა თეკლემ. „ქვევით მიწაო“, რომ თქვა თეკლემ, სოგრატეს უცებ გაახსენდა მის ფეხქვეშ „ტურა—ტრუბას“ არხი. „ნუ გეშინია სადაც მე იქ შენ! გამომყევიო“ და თავი შეპყო სოგრატემ სამოცსანტიმეტრიანი დიამეტრის მილში. თავისუფლად შეძვრა. თეკლე უკან მიჰყვა...

მკვდარი მეორემ და მესამემ სიბნელეში ეზოს უკანა კარიდან გაასვენეს. მეოთხემ რეზინის ვედროთი ბენზინი მოიტანა. კარებს შეასხა. ცოტა რომ გადარჩა, უკანა ფანჯარას შეაშხაპუნა. ასანთი ამოიღო და ჯერ უკანა კარს მოუკიდა, მერე წინა ორივე კარებს. თვითონ ჩუმად გავიდა ეზოს უკანა კარიდან. სოგრატე მილის ბოლომდე მიჩოჩდა. მის მიერ დროებით მიდებული მავთულბადე ახსნა. „კიდევ კარგი რომ შედუღებული არ იყოო“ და გაეღიმა. თავი გამოყო

გარეთ და იქაურობას მოუსმინა. მანქანა რომ დაქოქეს, ხმა მოესმა... მანქანასთან სამივემ თავი მოიყარა. მკვდარი ცელოფანში გაახვიეს და საბარგოში მოათავსეს... სოგრატე გარეთ გამოძვრა. არხზე ჩამოჯდა და ცენტრალური გზისკენ გაიხედა. მანქანის შუქი და წასვლა დაინახა. თეკლეს ხელი გაუწოდა და გამოიყვანა. „აბა ჩქარა, სახლისკენ, ცეცხლი ჩავაქროთ! ისინი წავიდნენ, ნუ გეშინია, წამოდი!“ — უთხრა სოგრატემ და ჩქარა ეზოს უკანა კარისკენ გაირბინეს.

—ვაიმე, სახლს ცეცხლი მოუკიდეს, სოგრატეს სახლს — იყვირეს ჯაბადამ და ელენემ

—სოგრატე ბიძია და თეკლეც დაიწვებიან, დავეხმაროთ წამოდით! — დაიძახა კობამ და წასვლა დააპირა.

—შენც მოგკლავენ და ცეცხლში ჩაგაგდებენ! — უთხრა ჯაბადამ და ხელი ჩავლეს კობას, არ გაუშვა.

—ისინი წავიდნენ! მანქანის ხმა არ გესმოდათ? — მიუგო კახამ და ორივემ წასვლა დააპირა.

—მოიცადეთ, ეს—ეს არის გათენდება და ერთად მივიდეთ ყველა, ეხლა მაინც რას ვუშველით? თუ მკვდრები არიან, ვერ გავაცოცხლებთ! — თქვა ელენემ და ორივე შვილს ხელი ჩაკიდა, ჯაბადაც შეუერთდა მათ...

სოგრატე და თეკლე როგორც კი ეზოში შევიდნენ უცბად ონკანი გააღეს, სოგრატემ იქ მიგდებული რეზინის მილი მოარგო და წინა კარებისაკენ წასვლა დააპირა, მაგრამ გაახსენდა, რომ წინა კარებზე ფაზა იყო მიერთებული და წყალი უკანა კარს მიუშვირა; თეკლე ვედროთი ასხამდა წყალს. უკანა მხარე მალე ჩააქრეს. კარი სანახევროდ დამწვარი იყო. ქუსლით შეამტვრია კარის დარჩენილი ნაწილი. სოგრატე, შიგ შეძვრა. უკანა ნარჩენი კარი გააღო, წინ გაირბინა, ფაზა გამორთო და ორივემ ჩაქრობა დაიწყო. თეკლეს ვედროთი ფაცხიდან მოჰქონდა წყალი და ასხამდა ცეცხლს. სოგრატე რეზინის მილით უშვერდა წყალს კარებს გარედან. ჩააქრეს და გათენდა კიდეც. „კარები არ ივარგებს, მაგრამ იატაკი და ავეჯ—ნივთები გადავარჩინეთ. მეხანძრე და კაცის მკვლელი ვარ?“— ფიქრობდა სოგრატე და თავჩაღუნული იდგა. მერე თეკლეს მიუბრუნდა: „აქ, ალბათ, აწი არ გვეცხო-

ვრება“ — გუშინ ის ბიჭები რომ არ დაგვხმარებოდნენ, შიგ ხომ დავიწვებოდით? — მიუგო თეკლემ.

—აბა რა? იმ ბიჭების სული გვიდგას...

პირველად კობამ და კახამ მოირბინეს. უკან ჯაბადა და ელენე მოჰყვებოდნენ მათ. გაშავებულ კარებს ოხვრით შეხედეს. სოგრატე და თეკლე ცოცხლები რომ ნახეს, გაუხარდათ, შემოეხვივნენ და კოცნა დაუწყეს. სოგრატე და თეკლე დაჟანგულნი, დასველებულნი და ტალახში ამოსვრილნი იყვნენ. სციოდათ... სხვა მეზობლებიც მოვიდნენ.

—ცოცხლები თუ ხართ, მადლობა ღმერთს. ვინ ოხრები იყვნენ? რა ჭირი უნდოდათ? კითხულობდნენ ისინი.

—არ ვიცი, ვინ იყვნენ და რამდენი, — დაიწყო სოგრატემ — გვიან ღამე, ალბათ, გათენების წინ, ოთხი საათი იქნებოდა დაწყებული, კარის გაღება მიბრძანეს. არ გავუღე. ვერც თვითონ გააღეს. ფული და ოქრო გადმოგვიგდეთ ფანჯრიდანო; რა გვქონდა და რას მივართმევდით. კარის გატეხვა და სროლა, რომ დაიწყეს, მილიციას დავურეკავ — მეთქი. ხმამაღლა დავიწყე ყურმილთან: ალო, ალო, მილიცია — მეთქი. ალბათ, შეეშინდათ, კარებს ცეცხლი წაუკიდეს და წავიდნენ. მანქანის წასვლის ხმა რომ გავიგონეთ, აბანოში შევედით, წყალი გადავისხით, თავზე სველი ტილო გადავიხვიეთ და ალმოდებული კარებიდან გამოვირბინეთ. მერე ვიმუშავეთ და ცეცხლიც ჩავაქრეთ. კარები დაიწვა, მაგრამ იატაკი და ავეჯ—ნივთები გადავარჩინეთ... უხსნიდა სოგრატე მეზობელ— ნათესავებს.

—ცოცხალი რომ გადარჩით, კარებს ნუ დარდობთ. ალბათ ბანდიტები — მძარცველები იქნებოდნენ. კარი რომ არ გაუღეთ კარგი გიქნიათ, თორემ ვინ იცის რას გიზამდნენ? ტანსაცმელი გამოიცვალეთ! ჩვენთან წამოდით! ცეცხლს დავანთებთ და გათბებით — ამშვიდებდნენ ელენე და ჯაბადა. თეკლე შიშისაგან და სიცივისაგან კანკალებდა. გარეთ სიცივე იყო. მეზობლები დაიშალნენ. კობა და კახა ადრე წავიდნენ, ცეცხლს დავანთებთო. ჯაბადა და ელენე დარჩნენ. თეკლე და სოგრატე ტანზე იხდიდნენ და სხვა თბილ ტანსაცმელს იცვამდნენ. სოგრატე ფიქრებით იყო გართული: „ჩვენ

ცოცხალი კი დავრჩით, მაგრამ ის? ვინ იყო, ვინ იცის? აწი რას გვიზამენ ვინ იცის? გავიქცეთ აქედან? სად წაავიდეთ? ყველაფერი დავტოვოთ კიდეე? „იმათი“ წარმომადგენელი იყო თუ „ჩვენებური?“ როგორ გაიგებ? რა უნდა მექნა? მე მკლავდნენ და თავს ვიცავდი“. ასეთ ფიქრებში მიდიოდა სოგრატე ოავჩაღუნული ჯაბადას სახლისკენ; თეკლეც თან მიჰყვებოდა...

დილის ცხრა საათი იქნებოდა. სოგრატე, თეკლე, ჯაბადა, კახა და კობა ბუხართან თბებოდნენ, ელენე გარეთ იყო, საუზმისაოვის ემზადებოდა და სხვა საოჯახო საქმეებით იყო გართული.

—საიდანღაც საშინელი კივილი ისმის! — თქვა ელენემ და ყველანი გარეთ გამოვიდნენ. ეზოს შუაგულში დადგნენ და ყურადღებით მოუსმინეს. სოგრატემ უცებ გაიფიქრა: „ჩემი მსხვერპლი ხომ არ არის?“...

—ცოტა შორს კი არის, მგონი, მაგრამ მაინც წავიდეთ კახა? საინტერესოა, რა მოხდა? — თქვა კობამ და წავიდნენ.

—შორსაა, ბიჭო! შორს! დაბრუნდით! — მიაძახა ჯაბადამ, მაგრამ ბიჭებმა გზა მაინც გააგრძელეს. ჯაბადა სახლში შეეიდა.

—შენი იარაღი ხომ არ გიზმარია?— შეეკითხა ჯაბადა სოგრატეს და ოდნავ გაიღიმა.

—არა, არ მიხმარია, რადგან კარი ვერ გამიტეხეს. ისე ფანჯარაში მინა ჩაამტვრიეს და სროლით მაშინებდნენ; კარი გამიღეთო. მერე მე ზალაში შეეედი და ტელეფონით შევაშინე. ბოლოს კარებს ცეცხლი წაუკიდეს და წავიდნენ. — უპასუხა თავჩაღუნულმა სოგრატემ. ელენე ისევ გარეთ მუშაობდა გადახურულში... კახა და კობა ორმოც წუთში დაბრუნდნენ — ჩვენ ერთ კილომეტრში გვეგონა და თითქმის სამი კილომეტრი გავიარეთ ჩქარი ნაბიჯით, — დაიწყო კობამ, კუოხეში ჩამოჯდა, ცხელოდა.

—მერე რა გაიგეთ? — შეეკითხა ჯაბადა; ელენეც შემოვიდა. — ახლოს რომ მივედით, — გააგრძელა კახამ — იქიდან მობრუნებული მეზობლები შემხვდნენ. შეეკითხეთ და აგვიხსნეს, რომ დედამ თავისი შვილი, ოცდაორი წლის, დილით ეზოს ჭიშკართან ნახა მკვდარი ცელოფანში გახვეულიო. გულ-

მკერდში პქონდა ჭრილობაო. საღამოს გასულა და მერე არ დაბრუნებულაო. ჩვენთვის უცნობი სახელი და გვარი გვითხრეს. არც დავიმახსოვრეთ. იმ ქუჩაში არავინ გვყავდა ნაცნობი, დავბრუნდით უკან — დაამთავრა კახამ

—ვაიმე, საწყალი დედამისი, რა დღეში იქნება? რა ვვარია, ნეტავი? — შეიწყალა ელენემ.

—არ გვაინტერესებდა გვარი, რადგან იმ კუთხიდან არავის ვიცნობდით! — უპასუხა კობამ.

—ხედავთ? რამდენჯერ მითქვამს, — დაიწყო ჯაბადამ — ეხლანდელ დროში ღამე არ უნდა იაროს კაცმა, მით უმეტეს ახალგაზრდამ, ვიცით, რომ საღამოს რვა საათიდან, დილის შვიდ საათამდე, კომენდანტის საათია გამოცხადებული. ვინ იცის სად იყო ის საწყალი და როგორ შეემთხვა? აწი რას გაიგებენ მშობლები? ან რომ გაიგონ, მკვდარი ხომ არ გაცოცხლდება? მკვდარიც და მშობლებიც ხომ ცოდოა? — დაამთავრა ჯაბადამ და ამოიოხრა.

—აბა რა, მართლაც რომ ცოდვაა მკვდარიც და ცოცხლებიც. — დაამატა თეკლემ. სოგრატე დუმდა. მიხვდა, რომ ის წუხანდელი მსხვერპლი იყო. ადგა და თეკლეს მიუბრუნდა!

—წავიდეთ! ხომ გავთბით? მივხედოთ საქონელს და დამწყარ სახლს!

—მოიცადეთ, ისაუზმეთ და მერე წადით, რატომ ჩქარობთ? — თხოვა ელენემ.

—არა, ჯერ ვერ შევჭამთ, მადლობა, ჩემო ელენე, ყურადღებისთვის. კიდევ მოგვაკითხეთ. უთხრა თეკლემ და გავიდნენ...

—შენ არავისთან სხვანაირად არ წამოგცდეს! ვინც შეგეკითხება, ისე უპასუხე, როგორც მე ამ ამ დილით ავუხსენი მეზობელ—ნათესავებს. გაიგე? — უთხრა ჩუმად გზაში სოგრატემ თეკლეს. თვითონ კი ჩაფიქრდა: „ჩვენ თუ არ გავამჟღავნეთ, „ისინიც“ არ იტყვიან, მაგრამ მე რომ კაცის მკვლელი ვარ? როგორ გადავიტანო? რა ვქნა? ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო! აქეთ მკლავდნენ და თავდაცვის საშუალებას მივმართე. ელექტროხიშტი და ტურა — „ტრუბას“ არხი რომ არ ყოფილიყო, ხომ დაგვხოცავდნენ? ეს უკანასკნელი

გამოსასვლელი მარტო ჩვენთვის უნდა დავიტოვოთ საიდუმ-
ლოდ". ასეთ ფიქრებში ტრიალებდა სოგრატე და თან ძველ
ფიცრებს და რუბერიოდის ნაჭრებს აგროვებდა დროებით
კარების შესაკეთებლად. კობა და კახაც მოვიდნენ. სოგრატეს
დაეხმარნენ და წინა ორივე კარი ამოჭედეს ისე რომ არ
იღებოდა, არც წვიმის წყალი შევიდოდა. უკანა კარი ისე
შეაკეთეს, რომ ფრთხილად იღებოდა და იხურებოდა... სოგ-
რატე და თეკლე ღამეს ჯაბადას სახლში ათევდნენ. დღისით
ეზო—კარს და საქონელს უვლიდნენ... დაახლოებით ორმოც-
დახუთი ღამე სოგრატე და თეკლე ბეზობელ—ნათესავების
სახლში წვებოდნენ. სოგრატემ იმ დღიდანვე ყველა გააფრ-
თხილა, რომ თუ ვინმე შეხვდებოდა შვილებს ან ნათე-
სავებს, ენგურს გაღმა და საერთოდ აქაც, მათთვის არ ეთ-
ქვათ ეს ამბავი...

დრო გადიოდა. განმკითხავი არავინ იყო. იმ ახალგაზრდის
ჭირისუფალმა ვერაფერი ვერ გამოიძია. დანარჩენი სამი
დუმდა. მათ ეგონათ, სოგრატე და თეკლე სახლთან ერთად
დაიწვნენ. „ისინი" არც სოგრატეს და არც იმ ახალგაზრდის
მხარეში არ დაიოდნენ...

დრო ყველა ჭირის მკურნალია, ხუთ წელიწადში თითქმის
ყველას დაავიწყდა წარსულის გასაჭირი. სოგრატეს შვილები
და შვილიშვილები ჩამოვიდნენ. კარები კი არა, მეორე სართუ-
ლიც დააშენეს. რაიონში ყველა დევნილი დაბრუნდა. ბევრი
ხომ ენგურს გაღმა გარდაიცვალა. მტერი და მოყვარე შერიგ-
დნენ. ცხოვრება გრძელდებოდა. სოგრატე და თეკლეც ბერდე-
ბოდნენ. იმ მკვდრის ამბავი იქაც და აქაც საიდუმლოდ დარჩა.
სოგრატემ თავის შვილს ტურა — „ტრუბას" არხი და ელექტრო-
ხიშტის მოვალეობა გააცნო. მილის გარეთა ბოლოზე პატარა
კარი და კლიტე ჩამოკიდა, ისე, რომ არავის გაუგია და
არც ჩანდა გარედან. „ეს გასაღები, სადაც არ უნდა იყო,
შინ თუ გარეთ, ყოველთვის თან გქონდესო" — დაბარა შვილს
სოგრატემ. გვიან, სოგრატეს არ ყოფნის დროს, შვილმა
გაიგო ელექტროხიშტისა და ტურა — „ტრუბას" მოქმედების
ისტორია. ისტორია ყველაფერს იწერს, იმახსოვრებს. იგი
ცვალებადი და დაუნდობელი მსაჯულია.

ბრძნული აზრების საჭყაროში

(ჟურნალ—გაზეთებიდან და პრესის სხვა ორგანოებიდან სხვადასხვა დროს ამოკრეფილი საინტერესო აზრები და ცნობები)

*„ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელსონოა, სადაც უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს.“ — ილია

*„შენი ცხოვრება ისეთ პირობებში უნდა ჩააყენო, რომ შრომა აუცილებელი იყოს. უშრომლად შეუძლებელია წმინდა და მხიარული ცხოვრება.“ — ჩეხოვი

*„ვინც არ შრომობს პატიოსნად და შეგნებით, ის ვერც სჭამს სუფთად.“ — იდენი

*„მოახმარე შრომა სამართლიან საქმეს.“ — ბიასი

*„ცხოვრება ჭკვიანისათვის რთულია, უჭკუოსათვის მეტად მარტივი, რამეთუ პირველი მის ყოველ წვრილმანს ანგარიშს უწევს, ხოლო მეორე მთელ ცხოვრებას უანგაროდ ატარებს.“

*„დაიფასე თავი იმდენად, რამდენადაც ღირხარ, თორემ ოდნავადაც რომ გადააჭარბო, სულ მთლად გაუფასურდები.“

*„ადამიანობას, მის ღირსებას ვერც ფიზიკის კანონები გვასწავლის და ვერც მათემატიკური ფორმულები. არც მატერიალური სიმდიდრე გამოდგება მის საზომად, თუნდაც რომ პატიოსანი შრომით იყოს შეძენილი. ადამიანური ღირსება ადამიანშივეა და არა მის გარეთ.“

*„თავი მოიკლა არ არის ძნელი, ცხოვრების შექმნა უფრო ძნელია.“

*„სული გასუქდეს ბევრად სჯობია, ვიდრე გასუქდეს ლეშია.“

*„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.“ — რუსთაველი

*„თუ სულ ნაკლს ეძებ, ეს ყველაზე დიდი ნაკლია, საქმე ის არის, ადამიანში სიკეთე აღმოაჩინო.“

*„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია, საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.“

*„მტერთან მებრძოლი ხშირად გამარჯვებული გამოდის, მოყვარესთან მოჩხუბარი კი— დამარცხებულია.“

*„შენი სხეულის დასაცავად სხვას მსჯავრს ნუ დასდებ, ეს იმას ემგვანება – ვითომ საკუთარი ღირსება არ გაქვს და მისგან სესხულობ.“

*„დამსახურებულ სასჯელს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის, ვიდრე დაუმსახურებელ ჯილდოს.“

*„გულწრფელი მონანიების შემთხვევაში თვით უმძიმესი შეცდომაც უნდა აპატიო ადამიანს. ამით შენ ორ დიდ საქმეს გააკეთებ: საკუთარ ადამიანობას დააადასტურებ და ოდესღაც ცოდვილს პატიოსან ადამიანთა შორის მიუჩნევ ადგილს.“

*„მდგომარეობამ თუ მსაჯულის კვერთხი გიბოძა, კარგად ატარებ მას მხოლოდ მაშინ, როცა განსჯის დროს საკუთარ თავს განსასჯელის სკამზე წარმოიდგენ.“

*„მსაჯულობა თუ დაგაკისრეს, არ გადიდგულდე, არც ის იფიქრო, სამუდამოდ მაგ სკამს შერჩები. უნდა იცოდე: დღეს თუ მსაჯულობ, ხვალ იქნებ შენი განსჯის დღე დადგეს.“

*„ის თუ იცი, რომ ცოტა იცი, მაშინ მიაღწევ იმას, რომ მეტი იცოდე.“

*„შეცდომების შესაძლო გასწორება სავალდებულოა და აუცილებელი.“ – იდენი

*„ცხოვრებაში სიძნელეთა გადალახვისათვის ცოდნა არის საჭირო, თვით ცოდნის შეძენა კი მხოლოდ სიძნელეთა გადალახვით არის შესაძლებელი.“

*„ვისაც სურს რამე გააკეთოს – ეძებს საშუალებებს, ვისაც არ უნდა რამე გააკეთოს – ეძებს მიზეზებს.“

*„ფუტკარმა გაიკვირვა – საქმის დროულად და წესიერად შესრულებისათვის რა საჭიროა ამდენი აურზაურიო?!“

*„მდიხარემ შენიშნა დისციპლინას – ჩემი არ იყოს, შენც ზევიდან ქვევით უნდა მიედინებოდეო.“

*„კარგი ქენი: ქვა დადევი, გაიარე, წინ დაგხვდება.“

*„ჯანმრთელ სხეულში, ჯანმრთელი სულია.“

*„კარგად მყოფი რომ ისე უფრთხილდებოდეს თავს, როგორც ავადმყოფი ზრუნავს დაკარგულ ჯანმრთელობის

აღდგენაზე, ადამიანის სიცოცხლე საგრძნობლად გახანგრძლივდებოდა.“

*„ადამიანის ყველაზე დიდი უცნაურობა ის არის, რომ ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის ჭეშმარიტ ფასს მხოლოდ მაშინ შეიტყობს, როდესაც მათ გამოეთხოვება.“

ამერიკული გაზეთის „ჰონოლულუ სტარ ბულეტინის“ რედაქტორს მარკ უოტერს, რომელიც ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თავისი უკანასკნელი მასალა რომ დაწერა უთქვამს: „ეს შეგიძლიათ ჩემს ნეკროლოგად ჩათვალოთ. იქნებ ვინმეს რამეში გამოადგესო“, აი ეს სტრიქონები.

*„მე სიგარეტმა მომიღო ბოლო. დაახლოებით თოთხმეტი წლის ვიყავი, ჩემი მკვლელი რომ გავიცანი. კიბომ დაიბუდა ჩემს ფილტვებში, ღვიძლში და არ ვიცი, კიდევ სად. გადარჩენის არავითარი შანსი არა მაქვს. ჩემთვის უკვე ყველაფერი გვიანღაა. ვინ იცის, იქნებ, თქვენთვის ჯერ კიდევ არ იყოს გვიანი.“

*„თამბაქომ თქვა: — ვინც დიდხანს გამიმასპინძლდება, მას ადრე გავისტუმრებო.“ „ბუზრის კერად პირი მაქვს, კვამლსადენად — ცხვირიო“

*„არ ველოდის — მოელოდე!“

*„საიდუმლო შენი პატიმარია, სანამ იცავ, ხოლო თუ ვერ შეინახე, შენ გახდები მისი პატიმარი.“

*„დაუწერელ ქაღალდზე უნდა დაიწეროს ლამაზად და აზრიანად, ე.ი. ფრიადზე.“

*„მშობლების მიერ გაკეთილი გზა ხიდია (ძლიერი ან სუსტი) შვილებისათვის.“

*„ყველას რომ შეეძლოს ქაღალდზე გადაიტანოს ის, რასაც შეიგრძნობს და განიცდის, მაშინ კაცობრიობას იმდენი მწერალი ეყოლებოდა, რამდენი ადამიანიც არის.“

*„ყველაზე დიდი პოეზია ადამიანად ყოფნაა. „ადამიანად ყოფნა კი გულისხმობს არსებობის უფლება გქონდეს მაშინაც კი, როცა სხვა არაფერი ხარ, გარდა ადამიანისა“, მაგრამ თუ ამას, პოეზიის სიყვარულის, სიკეთეც ზედ ერთვის, მაშინ ადამიანი ორმაგად ბედნიერია.“

*„სამი რამ ამშვენებს კაცს: მარილიანი სიცილი, ტკბილი ხმა და მოხდენილი სიარული; სამი რამ ამხიარულებს კაცს; საიდუმლო ტრფიალი, მოვალეობის გასტუმრება და მონობიდან თავის გამოხსნა; სამი რამ ჩაგრავს კაცს; პირველს ვერ ვიტყვი, მეორეს არ მათქმევინებენ და მესამეს ვერ გაებედავო.“

*„ადამიანი თავისუფალი იბადება და ხომ არც არავის წაურთმევია მისთვის უფლება, თავისი ცხოვრება ისე წარმართოს, როგორც მას სურს.“

*„პოლიტიკისათვის უცხოა კატეგორიული ზომები, ეს სიყვარული არ არის, როცა შესაძლებელია სრული განხეთქილება—პოლიტიკა ისე მესახება, როგორც ორი დაუძინებელი მტრის ქორწინება.“

*„სამყარო ლოგიკის კანონებით ცხოვრობს და ამ შეშლილობას დიდხანს ვერ გაუძლებს. საქმე აქ მარტო პიროვნებებში როდია, არამედ რაღაც ზემიწიერ სისტემაში, რომელიც ადამიანებს თავისი შეუცნობელი კანონებით განაგებს.“

ეს საინტერესოა:

*პლანეტა, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ, იწონის 5,955 7 10 18 ტონას. ხოლო მზე 330 ათასჯერ მძიმეა დედამიწაზე. დედამიწის განივი კვეთი 12750 კილომეტრია, გარეშემოწერილობა 40000 კმ. მზის განივი კვეთი 109 ჯერ მეტია დედამიწაზე. მზის მოცულობა ერთი მილიონჯერ მეტია დედამიწის მოცულობაზე. სწორედ ამდენჯერ მეტია სამი ლიტრი წყლის მოცულობა ერთი წვეთის მოცულობაზე. მზის ზედაპირის ტემპერატურაა 6000 გრადუსი. მთვარის განივი კვეთი 4—ჯერ ნაკლებია დედამიწის განივ. კვეთზე. მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტაა იუპიტერი, რომლის განივი კვეთი 11—ჯერ მეტია დედამიწის განივ. კვეთზე. იუპიტერის მოცულობა კი 1000 ჯერ მეტია დედამიწის მოცულობაზე. დედამიწიდან ყველაზე ახლოს მდებარე ვარსკვლავი ჩვენგან 270 000—ჯერ უფრო შორს არის, ვიდრე მზე. მანძილი უახლოეს ვარსკვლავამდე 40 000 000 000 000 კმ—ია.

*დედამიწის ქერქის ზედა ფხვიერი ფენა—ნიადაგი (მიწა) მისთვის დამახასიათებელი ნაყოფიერების უნიკალური თვისებით, — არის ბუნების მეტად რთული ქმნილება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დაახლოებით 300—400 მილიონი წლის წინ ცოცხალი ორგანიზმები გამოვიდნენ წყლიდან ხმელეთზე და სწორედ მაშინვე მათივე აქტიური მონაწილეობით დაიწყო ნიადაგის წარმოქმნის პროცესიც. იმ დროიდან დაწყებული ხმელეთმა ბევრჯერ იცვალა თავისი იერი. იქმნებოდა და იშლებოდა მატერიკები და კუნძულები. იზრდებოდა, იღუპებოდა და კვლავ ჩნდებოდა ტყეები და ყოველ გეოლოგიურ ეპოქაში, ყოველ დროს, ბუნება თავიდან ქმნიდა ნიადაგებს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ხმელეთის მცენარეების და არა მარტო მცენარეების, საერთოდ ცოცხალი ორგანიზმების არსებობა.

ადამიანის თვალთახედვით ნიადაგის ფორმირება უკიდურესად ნელა ხდება. 250—300 წლის განმავლობაში ბუნებას შესწევს უნარი დააგროვოს მხოლოდ ერთი სანტიმეტრი ჰუმენის (ნეშომპალის, ნიადაგის ძვირფასი ორგანული ნაწილის) ფენა. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება გამოიზარდოს ყველაზე ნელი განვითარების მქონე ფიჭვის ტყე, გაიჩეხოს იგი, როდესაც მიაღწევს იგი სრულ სიმწიფეს და ხელახლა გაიზარდოს.

ერთი სანტიმეტრი 250—300 წლის განმავლობაში! ხოლო შავმიწა ნიადაგებში უნაყოფიერესი ჰუმენის ფენა ზოგჯერ 1 — 1,5 მეტრსაც აღწევს. რამდენი ათასი წელი დასჭირდებოდა ბუნებას ნიადაგში ნეშომპალის ამ რაოდენობით დაგროვებისათვის? ტყუილად კი არ ამბობდა დიდი რუსი მეცნიერი — ნგიადაგმცოდნე კ.დოკუჩაევი, „ჩვენი შავმიწები უფრო ძვირია, ვიდრე ქვანახშირი, ნავთობი და ოქრო. მასში არის სამარადისო, გამოულეველი სიმდიდრე, რომელსაც ფაქიზი მოპყრობა სჭირდებაო.“

ჟურ.განთიადი №6 1976 წ.

*რამდენი ვიქნებოდით 2000 წელს? — ყოველ წუთს პლანეტის მოსახლეობა 156 კაცით იზრდებოდა; ერთ

წელიწადში 80 მილიონით. 2000 წელს 6,12 მილიარდამდე (1986 წლის ბოლოსათვის 5 მილიარდზე მეტი) 2100 წელს — 10,5 მილიარდამდე... მაგრამ? ომი?

კომუნისტი 12.04.86 წ.

*რამდენი ომი იყო? — უკანასკნელი 5500 წლის განმაელობაში (1979 წლის მონაცემებით) კაცობრიობამ გადაიტანა 19513 ომი. დაიღუპა 5 მილიარდ 640 მილიონი კაცი. ამ ომების შედეგად განადგურდა 5000 მილიარდი შვეიცარიული ფრანკის ღირებულების სხვადასხვა ძვირფაესეულობა. ოქროდ ქცეული ეს თანხა დედამიწის ეკვატორზე რომ შემოიკრას, მივიღებდით ათი მეტრი სისქის და 8 კმ—ი სიგანის სარტყელს.

1979 წ. კედლის კალეენდარის 11 მაისის ფურცელი.

*დიდი სამამულო ომის დროს (1941—45 წ.წ.) საქართველომ ფრონტზე გაგზავნა 700 ათასი მეომარი. ეს იყო საქართთველოში მცხოვრებთა თითქმის ერთი მეხუთედი. მათ შორის დაახლოებით 22 ათასი ოფიცერი, 16 ათასი ქალი, 36 გენერალი, 6 ადმირალი; აქედან დაახლოებით 188 ათასი მეომარი შინ არ დაბრუნებულა; გაწვეულთა შორის ბრძოლაში მამაცობისათვის 320 ათასი მეომარი დაჯილდოვდა ორდენებით და მედლებით, 138—ს კი მიენიჭა გმირის წოდება.

*მე—18 საუკუნის მეორე ნახევარში შუისკის მაზრაში ცხოვრობდა გლეხი თედორე ვასილიევი. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მან ორჯერ იქორწინა. ვასილიევს პირველი ცოლიდან ჰყავდა 69 შვილი, მეორედან — 18. პირველმა ცოლმა იმშობიარა 27—ჯერ. 4—ჯერ — 4—4 ბავშვი, 7 ჯერ — 3—3 ბავშვი, 16—ჯერ — 2—2 ბავშვი. მეორე ცოლმა იმშობიარა 8—ჯერ. 2—ჯერ 3—3 ბავშვი, 6—ჯერ — 2—2 ბავშვი.

როცა თედორეს შეუსრულდა 75 წელი (1782 წ.) მას უკვე ჰყავდა 83 ბავშვი.

ჟურნალი „სოვეტსკი კრასნი კრესტ“
გაზეთი საბჭოთა აფხ. № 60. 23.03.79 წ.

*გეოლოგების დახმარებით არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათ სპარსეთის ყურეში დიდი მიწისძვრა მომხდარა. მას ძლიერი წყალდიდობა მოჰყოლია და მესოპოტამიის დაბლობის დიდი ნაწილი დაუტბორავს. 426 წელს ჩვენს ერამდე მიწისძვრებმა დაანგრია საბერძნეთის ქალაქები კორინთა და სპარტა. ერთ დღეს იქ 20 ათასამდე კაცი დაიღუპა 115 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით მიწისძვრამ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე 200 ათასი კაცი იმსხვერპლა. 1556 წელს ჩინეთში დაიღუპა ასიათასობით ადამიანი.

1707 წელს იაპონიაში მიწისძვრებმა 200 ათასი კაცი იმსხვერპლა, 150 ათასი კაცი ზღვის აბობოქრებულმა ტალღამ შთანთქა. 1979 წელს რიობამბაში (სამხრ.ამერიკა) მიწისძვრას მიცვალებულები საფლავებიდან ამოუყრია, ცოცხალ ადამიანებს კი ჰაერში ისროდა, დაიღუპა 40 ათასი კაცი. 1755 წელს საშინელი მიწისძვრა მოხდა ქალიზაბანოში (პორტუგალია), რომელმაც ათასობით ადამიანი შეიწირა. ჩვენს საუკუნეში ძლიერი მიწისძვრები აღინიშნა: 1906 წ. კალიფორნიაში, 1908 წ. მესინაში (იტალია), 1923 წ. იაპონიაში რამდენიმე წამში დაინგრა 128 ათასი სახლი. ტოკიოში 140 ათასი კაცი, იოკაპამაში 27 ათასი კაცი დაიღუპა. 1960 წელს ჩილეში მიწისძვრამ დაანგრია 58 ათასი სახლი, დაიღუპა 1123 კაცი, 258 ათასი მძიმე დაშავდა და 588 უგზო—უკელოდ დაიკარგა. 1963 წელს იუგოსლავიაში ქ.სკოპლეში დაინგრა შენობათა 80 პროცენტი, დაიღუპა 2 ათასზე მეტი კაცი. 1970 წელს პერუში მიწისძვრამ დაანგრია ქალაქები ჩიმბოდა და იუნგაია, 250 დასახლებული პუნქტები, დაიღუპა 70 ათასზე მეტი ადამიანი, დაზარალდა 800 ათასი. პერუში გამოცხადდა 8 დღე გლოვა. 1980 წელს სამხრეთ იტალიაში მიწისძვრამ 1000—ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა.

1986 წელს საშინელმა მიწისძვრამ ათასობით ადამიანი შეიწირა ქ.მეხიკოში. ყოფილ საბჭოთა კავშირში შედარებით ყველაზე ძლიერი მიწისძვრა იყო: კებინის (ტიან–შანი) 1911 წელს, ლენინაკანის 1926 წელს, ზანგეზურის (სომხეთი) – 1931 წელს, ჩატკალის (ტიან–შანი) – 1946 წ. კაზანჯიკის (თურქმენეთი) – 1948 წელს, ხაიტი (ტაჯიკეთი)– 1949 წელს, კურილიის (შორ.აღმოსავლეეთი) – 1952 წელს, ტაშკენტის – 1966 წელს, დაღისტანის – 1970 წელს.

საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე საშინელი ძალის მიწისძვრა, ქართლის ცხოვრების ცნობით, მომხდარა 1089 წელს, როცა ქალაქი თმოგვი ციხიანად ჩაქცეულა (გორისა და თბილისის მიწისძერები ძლიერთა თანრიგს არ მიეკუთვნება).

იაპონელები ვარაუდობენ, რომ მიწისძვრის მოახლოებისას მაგნიტი კარგავს მიზიდულობის ძალას. აკვარიუმის პატარა თეთრი თევზები მიწისძვრამდე აკვარიუმიდან ხტებიანო.

1988 წლის ნოემბერში 10 ბალზე მეტი იყო სომხეთში. მე–11 საუკუნეში იყო ძლიერი მიწისძვრა ლენინაკანში – 1026 წელს და ზანგეზურში – 1031 წელს.

გაზ.კომუნისტი 06.01. 89 წ.

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა 3
ი—დენის ძალა (მოკლე ბიოგრაფია) 4
სიზმარი და ცხადი 9
სანამ კოკა წყლის გზაზე გატყდებოდეს 20
მონანიება 27
რაც მოგივა დავითაო... 44
უსულო მოწმეები 106
ელექტროხიშტი ტურა—„ტრუბას“ არხი 142
ბრძნული აზრების სამყაროში 165
ეს საინტერესოა 168